კვირის პალიტრა

№24 (314)

ფასი 60

1168
2006

რატომ ემუქრებიან ლექს-სენს ნინო შუბლაძე და ნანუკა ჭორჭოლიანი

რას ნანობს ქართველი რეპერი

ერროვნული მოძრაობის უცნობი დეტალები



გურამ დოჩანაშვილი ეჭვობს, რომ მისი დაჭრა ალექსანდრეს ბალში შემთხვევითი არ იყო...

...ბიასლე!



„მისტერ პრეზიდენტი“ ტოლის მასწავლებელი ბასდა



ვინ დაბრუნდება თამაშში „ჯეოპარელებიდან“

...ქართული ჰანგის ჯადოქარი პანთეონში 19 წლის შემდეგ დაკრძალეს

ყოველი წამი სიამოვნებაა

ზოგჯერ სიამოვნება იზომება დროით
მაგთისთან დრო ყოველთვის წამებში იზომება

დაზოგეთ ყოველი წამი

საქართველოს მობილური ოპერატორებიდან
მხოლოდ მაგთი აღრიცხავს და ანგარიშობს
თქვენს ნალაპარაკებ დროს 1 წამის სიზუსტით.

არავითარი დამრგვალება!

ილაპარაკეთ მეტი!

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი
MAGTI
...ერთად თქვენს სამყაროსთან

თქვენი დაბალანსებული ცხოვრება

ბალანსი მაგთიში...
ბალანსი ცხოვრებაში...

ცვლილება თქვენს სასარგებლოდ

ხართ მაგთის წინასწარი გადახდის სისტემის აბონენტი?
ამიერიდან

- თუ ანგარიშზე გაქვთ თანხა, თქვენი ნომერი აქტიური იქნება ბოლო გადახდიდან მთელი 1 წლის განმავლობაში, ანუ შეძლებთ დარეკვას, შეტყობინების გაგზავნას, და ა. შ.
- თუ ანგარიშზე ამოგეწურებათ თანხა, გინარჩუნდებათ გარანტირებული შემომავალი ზარი ბოლო გადახდიდან 1 წლის განმავლობაში.
- შემომავალი ზარების გათიშვის შემდეგ 1 წლით გინარჩუნდებათ ნომერი.
- თქვენი ადგილობრივი ზარები აღირიცხება და იანგარიშება 1 წამის სიზუსტით.

25 11 11 25 00 00 525
www.magticom.ge

მაგთი
MAGTI
...ერთად თქვენს სამყაროსთან

ᲙᲘᲠᲘᲜᲔ ᲞᲐᲚᲘᲐᲜᲘ
ᲒᲖᲐ
№24 (314)
15 — 21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. 2006
ᲤᲐᲡᲘ 60 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
FIFA 2006 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲜᲣ „ᲨᲕᲔᲢᲔ, ᲘᲐᲡᲝᲜ, ᲨᲕᲔᲢᲔ!..“ 3
ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ 4
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲡᲐ
ᲛᲝᲠᲘᲒᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ? ᲐᲜᲣ ᲨᲔᲠᲘᲒᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲨᲘ? 5
ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲒᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲖᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲚᲘᲚᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ 8
ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ
ᲠᲐ ᲣᲨᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲡᲐᲒᲚᲕᲠᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲚᲐᲮᲐᲕᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲗᲕᲚᲐᲡ? 9
ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ
„ᲔᲢᲐᲚᲝᲜᲘᲡ“ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘ ᲢᲔᲚᲔᲡᲢᲣᲓᲘᲐᲨᲘ 10
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲠᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲐ ᲚᲔᲥᲡ-ᲡᲔᲜᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲨᲣᲑᲚᲐᲫᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲜᲣᲚᲐ ᲫᲝᲠᲯᲝᲚᲘᲐᲜᲡ 11
ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
- „ᲙᲕᲐᲜᲢᲠᲘᲨᲕᲘᲚᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲧᲕᲘᲐ ᲕᲔᲡᲠᲝᲚᲔ, ᲨᲔᲛᲔᲛᲚᲝ, ᲡᲮᲕᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲛᲔᲙᲚᲐ...“ 14
- 60 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲛ ᲒᲐᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲐ 15
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ
ᲐᲡᲔᲗᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ — ᲡᲐᲑᲔᲓᲘᲡᲬᲔᲠᲝ „ᲪᲐᲛᲔᲢᲘ“ ᲓᲐ ᲠᲐ ᲚᲘᲠᲡ „ᲐᲘ, ᲐᲥ ᲒᲐᲐᲩᲔᲠᲔ“ 17
ᲤᲡᲙᲔᲠᲘ
ᲜᲣ ᲓᲐᲡᲪᲘᲜᲔᲑᲗ ᲛᲐᲗ, ᲨᲔᲘᲑᲠᲐᲚᲔᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲕᲔᲓᲠᲔᲗ ᲣᲤᲐᲚᲡ... 21
ᲐᲛᲞᲚᲣᲐ
„ᲛᲘᲡᲢᲔᲠ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ“ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲤᲣᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ 23
ᲗᲘᲜᲔᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲜᲢᲔᲑᲘ
„ᲞᲝᲜᲩᲘᲙᲐ“ ᲗᲐᲙᲝᲡ „ᲡᲣᲚᲔᲚᲣᲠᲘ“ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ, ᲨᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ, „ᲩᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ“ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲔᲑᲘ 25
ᲤᲐᲜ-ᲙᲚᲣᲑᲘ
ᲨᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲛᲐᲙᲐᲠᲝᲜᲘ ᲓᲐᲣᲨᲘᲜᲔᲡ 28
ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ
ᲘᲐ ᲡᲣᲮᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲚᲐᲛᲐᲖ ᲥᲝᲠᲬᲘᲚᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ 29
ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲛᲐ
ᲒᲐᲖᲐ ᲒᲐᲐᲚᲘᲛᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲠᲘᲔᲠᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲘ ᲨᲝᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲘᲘᲦᲝ 31
ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲖᲐ
ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ. ᲡᲐᲜᲐᲛ ᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ... (ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ) 33

„ᲞᲝᲜᲩᲘᲙᲐ“ ᲗᲐᲙᲝᲡ „ᲡᲣᲚᲔᲚᲣᲠᲘ“ ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐ, ᲨᲣᲠᲘᲐᲜᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ, „ᲩᲐᲙᲔᲢᲘᲚᲘ“ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲜᲐᲠᲙᲝᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲝᲜᲔᲑᲘ

„ᲓᲦᲔᲡ 12 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲝᲒᲝᲔᲑᲘ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ ᲛᲐᲙᲘᲐᲟᲘᲗ, ᲐᲥᲡᲔᲡᲣᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲩᲝᲜᲩᲮᲚᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲥᲣᲡᲚᲘᲐᲜᲘ ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲚᲘᲗ ᲓᲐᲓᲘᲐᲜ. ᲛᲔ ᲙᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, 15 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ ᲒᲐᲕᲘᲙᲔᲗᲔ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲛᲐᲙᲘᲐᲟᲘ, ᲩᲐᲕᲘᲪᲕᲘ ᲛᲘᲜᲘᲥᲕᲔᲓᲐᲑᲝᲚᲝ ᲓᲐ ᲪᲝᲢᲐ ᲮᲐᲜᲨᲘ ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲐᲡᲐᲙᲨᲘ, ᲐᲡᲔ ᲡᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲣᲚᲔᲚᲔᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲡᲐᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲤᲔᲠᲘᲡᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲣᲠᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲛᲝᲔᲡᲬᲠᲔᲑᲐ“.

25

ᲝᲗᲐᲠ ᲙᲕᲐᲜᲢᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘᲐ

„ᲛᲘᲑᲠᲫᲐᲜᲔᲡ, ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲛᲔᲜᲓᲝ ᲙᲕᲐᲜᲢᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲪᲕᲘᲓᲐᲜ, ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲙᲚᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ, ᲕᲘᲜᲪ ᲙᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲘᲬᲕᲔᲓᲐ. ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲐᲑᲐᲜᲝᲡᲗᲐᲜ, ᲛᲐᲡ ᲖᲔᲓᲘᲖᲔᲓ ᲡᲐᲛᲘ ᲢᲧᲕᲘᲐ ᲕᲔᲡᲠᲝᲚᲔ“.

14

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ, „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚᲘ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ...

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡᲐᲕᲔ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ ᲛᲝᲛᲔᲬᲝᲜᲐ. ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘ, ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲙᲘᲜᲝᲨᲘ ᲓᲐᲛᲞᲐᲢᲘᲟᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲔ, ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲐᲔᲬᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ“.

46

ᲜᲣ ᲓᲐᲡᲪᲘᲜᲔᲑᲗ ᲛᲐᲗ — ᲨᲔᲘᲑᲠᲐᲚᲔᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲐᲕᲔᲓᲠᲔᲗ ᲣᲤᲐᲚᲡ...

„ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ, ᲘᲡ ᲐᲜ ᲘᲛᲞᲝᲢᲔᲜᲢᲘᲐ, ᲐᲜ — ᲪᲘᲡᲤᲔᲠᲘ...“ ᲛᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲜᲣ ᲒᲐᲒᲘᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘ, ᲓᲐᲣᲛᲢᲙᲘᲪᲝ ᲐᲛ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲮᲐᲠ.

21

ტაიმ-აუტი 36

რომანი

გაგა ვაჩნაძე. ველური წაბლის ხეივანი (დასაწყისი) 38

ჯანმრთელობა 43

იმიჯი

სხეულის რა ადგილებგე იკეთებენ გოგონები ტატუირებას და რა შიგურებია მოდაში 44

სამზარეულო

„საბერძნეთში რვაფეხა ვჭამეთ და ისე მოგვწონა, რომ ხუთჯერ შევუკვეთეთ“ 45

კვალი

ცხოვრებით, „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილი, სიკვდილით – „ოთარანთ ქვრივის“ გიორგი... 46

მარხვა

„კაცნი, რომელნიც მოიკლებენ საჭმელსა და არ იშლიან ცუდთა საქმეთა, დაემსგავსებიან ეშმაკსა...“ 48

ტაძარი

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ნებით დაარსებული ახალი შუამთის მონასტერი 48

ანტიდეპრესანტი 50

მონადირე

14 წლის ბიჭის ხიშათიანი ღამე და ქართველი მონადირისთვის მიუღებელი წესები 50

ნამდვილი ამბავი 52

ადამიანი-ლეგენდა

შერლოკ ჰოლმსი ცხოვრობდა და დღესაც ცოცხლობს 53

მუნდიალი 55

ბესტსელერი

შიო გვეტაძე. მონანიება (გაგრძელება) 57

შოუ

გუგას და ნატალის ჩხუბის მიზეზი მოწონება იყო 61

შოუბიზნესი 64

ვარსკვლავები 66

ავტო 68

სკანვორდი 69

ჰოროსკოპი

კვირის (15-21 ივნისი) ასტროლოგიური პროგნოზი 70

ტესტი 71

ზაზა ზაალიშვილის დასავლური კარიერა და...

ჰერცოგისა და კავარადოსის პარტიების წარმატებით შესრულებას, მონრეალის მუსიკალურ ფესტივალზე გამარჯვება მოჰყვა, რამაც მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა.

31

სხეულის რა ადგილებზე იკეთებენ გოგონები ტატუირებას

„ბოლო დროს, ისეთ რაღაცას იხატავენ, რომ გაოცდებით...

– მაინც რის დახატვას გთხოვენ?

– ვერ ვიტყვი. ამ შემთხვევაში, მკითხველის ფანტაზიას მივცემ გასაქანს“...

44

მატჩი, რომლის დროს ბინებაც გამართლებულია და მანეკენზე თავდასხმაც

„ფეხბურთელებს სამ ასოზეც ხშირად ვუშვებ. ლუდი არ მიყვარს, არც მზესუმზირა, ამიტომ მათ არც ფეხბურთის ყურებისას მივირთმევ“.

28

ველური წაბლის ხეივანი

– რას შვრები, ეე, გაგიჟდი? – მოქაჩა მკლავებით ქალმა. ქვეშ მოიქცია და მის ტუჩებს დააკვდა. მერე კი ისეთი რიტმი შესთავაზა ზემოდან მყოფმა და ისეთი ზანზარი აუტეხა საწოლს, რომ ნიკას სიცილი აუვარდა...

– მივფრინავთ, მივფრინავთ... – თქვა მან და უეცრად მამაკაცის ხმა შემოესმა.

– მიფრინავთ, არა?

– ვაიმე, ჩემი ქმარი! – წამოიკივლა ირინამ და საწოლიდან გადავარდა.

ნიკამ მიიხედა და, მისდა გასაოცრად, ნომერში უცხო მამაკაცები დალანდა. რაც შემდეგ მოხდა, ძალიან ძნელი აღსაწერია.

38

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით

გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია

მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49

ტელ: 38-50-03 email: gza@kvirispalitra.com

FIFA 2006 საქართველოში

ანუ „შვეცე, იასონ, შვეცე!..”



თუ ასეთი მაგარი გულშემატკივრობა ვიცოდით ქართველებმა, ნეტავ, ვის ვუმალავდით აქამდე?! ჩვენს ფეხბურთელებს ვაგინებთ, ბოთლებს ვესვრით და სხვებისთვის მზად ვართ, ლამის ერთმანეთი დავხოცოთ... თითქმის ერთი კვირაა, თბილისის ქუჩებში უწყვეტად ისმის შეძახილები: „იტალია“, „არგენტინა“, „ბრაზილია“, „ტოგო“... და ა.შ... მოკლედ, ქალაქში გასულს თავი ნებისმიერ უცხო ქვეყანაში გეგონება, ოღონდ, არა — საქართველოში. რას ჰგავს ეს, ხალხო?!. ტელევიზორს ჩართავ და — უარესი: იწყება საინფორმაციო პროგრამა და იმედი გაქვს, რომ იქ მაინც გეტყვიან რაიმე „სასიამოვნოს“, ამან ის მოკლა და იმან ეს დააყაჩაღაო... თქვენც არ მომიკვდეთ! გამოჯგიმულან ეს ჩვენი წამყვანები ბრაზილიის თუ არგენტინის მაისურებში და ფეხბურთზე გელაპარაკებიან. ეს „დედინაცვალიც“ რა სწრაფად დამთავრდა, მარიას ფან-კლუბის შექმნაც ვერ მოვასწარით.

მოკლედ, კაცს ბრაზი მოგდის, გინდა, მიხვიდე პარლამენტში და დეპუტატებს შესჩივლო, იქნებ, ბოლო მოუღოთ ამ განუკითხაობას-თქო, მაგრამ რა ხდება პარლამენტში: დაყოფილან ფრაქციებად და ფეხბურთს უხათქუნებენ ფოიეში. თან უცინიან და ეხვევიან ერთმანეთს, ეს რა კარგი გოლი გაიტანეო... იმისთვის აგირჩიათ თქვენ ხალხმა, რომ ერთმანეთს გადაეხვიოთ, თუ თავ-პირი რომ ამტვრიოთ და იჩხუბოთ?

გამოვიდა სიტყვით ვიცე-სპიკერი და კოლეგებს მოუწოდა, ტემპში ვიმუშაოთ, 5 საათზე ფეხბურთიაო. ახლა, ზუსტად 5-ზე ხომ ვერ დაამთავრებ სხდომას, კიდევ ათასი საქმეა: იქ ლუდი უნდა მოიმარაგო, აქ თევზი უნდა იყიდო. ამას მინიმუმ, ერთი საათი ხომ უნდა! ესეც შენი 4 საათი. 2-დან 3-მდე ისედაც ისვენებენ, 3-დან 4-მდე ისედაც ძილის საათი აქვთ და როდისღა იმუშაონ?! არადა, რამდენი აქტუალური საკითხია გადასაწყვეტი, რაც ამ დღეებში ხალხს აწუხებს?! ამიტომ დასვენება კი არა, კეთილი ინებონ და განიხილონ ეს გაურკვეველი საკითხები: პელე უფრო მაგარია, თუ — მარადონა; ინგლისი უფრო ლამაზ ფეხბურთს თამაშობს, თუ — ჰოლანდია და რა ვიცი, კიდევ — რამდენი!..

ვინ მყავს ასეთი მაგარი ან ერთი და ან — მეორე?! სად იყვნენ პელე და მარადონა, ჩვენი „მერცხალი“ რომ ანგრევდა ფოთში ყველაფერს; ვინაა გარინჩა და ბეკენბაუერი, როცა იასონ კვირკველია ერთი დარტყმით (ნახევარი ძალით) კარის ძელს ტეხდა და მეკარეს ტყირპს უხეთქავდა... ეს ფიფაც კაი აფერისტი „ვინმეა“: იცის, ჩვენი უმდიდრესი საფეხბურთო ტრადიციების შესახებ, დარწმუნებულია, რომ ქართველები უეჭველად გახდებიან მსოფლიო ჩემპიონები და ამიტომ შესარჩევი ტურიდანვე გვაგდებს. სპეციალურად სვამენ ჩვენს ქვეჯგუფში ძლიერ გუნდებს და თან თურმე აფრთხილებენ და აქეზებენ, შეეწინააღმდეგეთ ქართველებს და ბურთი წაართვით, რომ გოლი არ გაგიტანონო... იფ, რა კაია!.. თუ ბურთი წაართვი და იქით შეუტიე, როგორღა მოგიგებს?!.

ამიტომ მოდი, უარი ვთქვათ მაგათ კორუმპირებულ სისტემაზე და ჩვენ თვითონ, საქართველოში ჩავატაროთ მსოფლიო ჩემპიონატი. რა, არ გვაქვს მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების შესაბამისი უბნები თბილისში თუ რა?!. მაღალგანვითარებული ქვეყანა ამერიკა — ვაკე იქნება, ულამაზესი ვერა — საფრანგეთის გუნდს გამოიყვანს, საბურთალო — ინგლისი იქნება, ნახალოვკა — რა თქმა უნდა, კოლუმბია, ვარკეთილი — განა, ჩვენი აფრიკის დასახლებაც შეგვაწევს ერთ-ორ გუნდს და მეტი რაღა გვინდა?!

რომ გაიგებს მსოფლიო ფეხბურთის მოყვარული საზოგადოება, ნამდვილი მსოფლიო ჩემპიონატი თბილისში ტარდებაო, ყველა მიატოვებს გერმანიას და აქეთ მოაწყდება — ესეც შენი ტურიზმი და შემოსავალი; თვითონ ფიფასაც შერცხვება, ეს რა დაგვემართა, რა დროს რონალდინიო და ანრია, თოდუა და ქემოკლიძე ბდღვნიან ყველაფერს საქართველოშიო და შემდეგ ჩემპიონატებს საქართველოში დანიშნავენ. ჯერ მარტო ლუდი გაიყიდება იმდენი, რომ ბიუჯეტი შეივსება კი არა, გასკდება კიდეც; „კოკა-კოლას“ საცობებში „თ“-ს ამოკითხვა ყოველ მეორე ბოთლზე გახდება შესაძლებელი; ამდენ სტუმარს სასტუმროები ვერ დაიტევს, ამიტომ ხალხი ბინებს გააქირავებს „ორ სტუდენტ ფეხბურთელზე“, ფული შემოუვა და გვეშველება ერთხელ და სამუდამოდ. ასე რომ, გაუმარჯოს ფეხბურთს — „საქართველოს გადარჩენის უკანასკნელ შანსს“!..

P.S. თბილისი. 2010 წელი.

— რას აკეთებ?

— ფეხბურთის ფინალს ვუყურებ, საქართველო და ბრაზილია ხვდებიან. შენ რა, არ უყურებ?

— ხომ იცი, ბებია მყავდა ბრაზილიელი და არ შემიძლია, ვერ ვუყურებ მაგათ საცოდაობას!..

პროვოკატორი

„ხელისუფლების რეიტინგი ეცემა, მაგრამ არ იზრდება ოპოზიციის მიმართ ნდობა...“

— თვითმმართველობის არჩევნების თარიღს ხელისუფლება ჯერჯერობით არ აცხადებს. თქვენი აზრით, რითაა ეს განპირობებული?

ვალერი გელბახიანი, *პარლამენტის წევრი:*

— სოციალური პროექტების დამთავრებას, რომელიც თბილისშია დაწყებული, გარკვეული ვადა სჭირდება. დღეს მთელი ქალაქი გადათხრილია, მოსაწესრიგებელია ქუჩები, გარე განათება... ამის გამო, ხალხი გაღიზიანებული და აგრესიულია. ეს, მმართველი პარტიის რეიტინგზე უარყოფითად მოქმედებს. ახლა რომ არჩევნები ჩაატარონ, ის ნაციონალებისთვის ცუდი შედეგით დამთავრდება. სააკაშვილი, როგორც მმართველი პარტიის ლიდერი, მიზანშეწონილობის პრინციპიდან გამომდინარე იმოქმედებს: როცა გამარჯვების მეტი შანსი იქნება, მაშინ დანიშნავს არჩევნებს. რაც შეეხება შედეგებს — პროგნოზირება ცოტა ძნელია. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია — ხელისუფლების რეიტინგი ეცემა, მაგრამ არ იზრდება ოპოზიციის მიმართ ნდობა. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ მოსწონს მმართველი ძალა, მაგრამ რომელიმე ალტერნატიული პარტიის სასარგებლოდაც არ აკეთებს არჩევანს. ასეთ შემთხვევაში, ოპოზიციას მხოლოდ ერთი პრინციპით მოქმედება უშველის — ძალა ერთობაშია. ქართულ სინამდვილეში პოლიტიკური ბლოკების შექმნა ყოველთვის ამართლებდა: ასე იყო „აღორძინების“ შემთხვევაში, ასე მოხდა 2003 წელსაც, როცა ბლოკად ჩამოყალიბებამ ნაცმოძრაობას წარმატება მოუტანა. ე.ი. ხალხი, არჩევანის გაკეთების მომენტში, თავის სიმპათიას სოლიდური ძალის მიმართ ამჟღავნებს და არა რომელიმე ლიდერის ან პარტიის მიმართ. თუ ასეთი გაერთიანება შედგა, მმართველი პარტია სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდება. ის აღარ იქნება უალტერნატივო ძალა, როგორც ეს წინა არჩევნების დროს იყო. ■

„მალე საკრებულოში ბალანსი შეიცვლება“

— თქვენ ალტერნატიული საკრებულოს ჩამოყალიბებაზე ლაპარაკობთ და იმედი გაქვთ, რომ უმრავლესობის წევრები ოპოზიციაში გადმოსასვლელად ემზადებიან. საკრებულოში ძალთა ბალანსი შეიცვლება?

ჯონდი ბაღათურია, *საკრებულოს წევრი:*

— მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჩემი კანდიდატურა საკრებულოს წევრად დაამტკიცა, ვიღაც-ვიღაცებს სხდომის ჩატარების სურვილი დაეკარგათ. ჩემი ინფორმაციით, საკრებულოს თავმჯდომარე რამდენიმე თვის განმავლობაში არ აპირებს სხდომის მოწვევას. ასეთი ცანცარითა და არასერიოზული მოქმედებებით იმას მიაღწევენ, რომ ჩვენ შევიკრიბებით და თავად ჩავატარებთ სხდომას. ეს იქნება ალტერნატიული საკრებულო, რომელიც საზოგადოების მხარდაჭერით ისარგებლებს. ჩვენ გარშემო გაერთიანდება იმ ადამიანთა ჯგუფი, ვისაც სინდისი აქვს და ქალაქის პრობლემები აღელვებს. საბედნიეროდ, საკრებულოს უმრავლესობაშიც არიან ადამიანები, რომელთაც უყვართ ქვეყანა და ჩვენ, მათთან აუცილებლად ვითანამშრომლებთ. კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს შევიკავებ, თუმცა ვიტყვი — მალე საკრებულოში ბალანსი შეიცვლება, თუ ხელმძღვანელობა გააგრძელებს არასერიოზული განცხადებების გაკეთებას და სხდომების ჩაშლას, შესაძლებელია, ოპოზიციის რიგები ისე გაიზარდოს, რომ ჩვენ უმრავლესობაც კი გავხდეთ. ასეთ შემთხვევაში, ქალაქის ბიუჯეტს ისე უტიფრად ვეღარ გაფლანგავენ, როგორც ეს დღეს ხდება. ■

პატიმრები ისევ კასტებად არიან დაყოფილი?..

— ციხის ბუნტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის გაკრცელების შემდეგ, პატიმრებთან მოპყრობა კიდევ უფრო გამკაცრდა. თქვენ რა ინფორმაციას იღებთ სასჯელაღსრულებითი დაწესებულებებიდან?

ნანა კაკაბაძე, *ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ — ლიდერი:*

— ციხეში ისეთი პირობებია შექმნილი, რომ ამაზე უარესი უბრალოდ, აღარ არსებობს. ნიღბიანები იარაღით აშანტაჟებენ, სცემენ და აწამებენ პატიმრებს. თან ემუქრებიან, ადვოკატთან ან ოჯახის წევრთან არ წამოსცდეთ სიმართლე, თორემ, სიცოცხლეს გამოასალმებენ. ე.ი. „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ ბრძოლა, მხოლოდ ფარსია. სამაგიეროდ, ზოგიერთ პატიმარს, ისეთ კომფორტულ საკნებში ამყოფებენ, რომ კურორტზე ვერ ინატრებს კაცი. „ობშიაკის“ ფულსაც აგროვებენ, პრივილეგირებულ პატიმრებს დი-ვი-დით, ტელევიზორითა და ყველანაირი საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფენ. სხვა პატიმრების ახლობლებს კი, საკვების შეტანის უფლებასაც არ აძლევენ. ექიმი რომ მივიდეს და უმკურნალოს, ამის საშუალებაც არ არის. პატიმრებს ათასნაირი სნეულება გაუჩნდათ. მე მიკვირს, ასეთ პირობებში ყოველთვიურად ათეულობით პატიმარი რომ არ იღუპება. მაგრამ ვინ ტუქსავს ახალაიას იმისთვის, რომ სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები, ადამიანთა საწამებელ კორპუსებად გადააქცია? უფრო მეტიც — მას აქებენ და ვანო მერაბიშვილის მსგავსად, ლამისაა, გმირად გამოაცხადონ. როგორც ჩანს, ეს, ხელისუფლების პოლიტიკაა, ამიტომ ახალაიებს და მის მსგავს ფიგურებს ეს მთავრობა არასოდეს დატუქსავს. ■

თუ კანონი ხელისუფალთა ნებას დაჯაბნის...

— საქმის სასამართლო განხილვის პროცესში, მოპასუხე მხარე, თქვენს დასწრებას ითხოვს. საქართველოში ჩამოსვლას არ აპირებთ?

ვალერი გელაშვილი, *ბიზნესმენი:*

— თუ საკონსტიტუციო სასამართლო საჭიროდ ჩათვლის პროცესებზე ჩემს დასწრებას, მე მზად ვარ, ჩამოვიდე და ყველა კითხვას გავცე პასუხი. ამისთვის მხოლოდ უსაფრთხოების გარანტიებს ვითხოვ. დარწმუნებული ვარ, რომ მოპასუხე მხარე პროვოკაციულ ნაბიჯებს არ მოერიდება. ბოლო ერთი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენები ამ ვარაუდის საფუძველს მაძლევს: ჯერ იყო და, ჩემი ლიკვიდაცია გადაწყვიტეს; საზოგადოებამ კარგად იცის, რომ მაშინ ძლივს გადავურჩი სიკვდილს, შემდეგ ჩამოვედი და 84-ე სკოლა დაწვეს, ათასი სიბინძურე დამაბრალეს და სრულიად უსაფუძვლოდ, დეპუტატის უფლებამოსილებაც შემიწყვიტეს. მათგან ყველაფერია მოსალოდნელი. მე ვარ ერთადერთი ბიზნესმენი, რომელსაც „სახელისუფლებო რეკეტის“ პირობებში, ვერაფერი წაართვეს. იმედი მაქვს, სასამართლო ობიექტური იქნება და ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც კონსტიტუციის შესაბამისი იქნება. თუმცა, ამისთვის დიდი გამბედაობა მართებს. ქართულ სასამართლო სივრცეში ეს იქნება პირველი პრეცედენტი, როცა კანონი ხელისუფალთა ნებას დაჯაბნის... ■

„ხანდაზმულ ადამიანებს პენსიის მისაღებად საათობით ლოდინი აღარ დასჭირდებათ“

— პრეზიდენტის მიერ „სახალხო ბანკისთვის“ მიცემული ვადა იწურება. პენსიონერებს რიგში აღარ მოუწევთ დგომა?

გიორგი გოგუაძე, *„სახალხო ბანკის“ გენერალური დირექტორი:*

— ჩვენს საბანკო სისტემაში პრობლემები მართლაც, არსებობდა და პრეზიდენტის შენიშვნაც სამართლიანი იყო. თუმცა, ქვეყანაში არსებულ სოციალურ პრობლემას მხოლოდ „სახალხო ბანკი“ ვერ მოაგვარებს. ყველა სახის სოციალური დახმარება ბანკის ანგარიშზე ერთ დღეს ირიცხებოდა. დაახლოებით 300000 ადამიანი იმავე ან მეორე დღეს, კუთვნილ თანხას იღებდა, რაც თავის მხრივ, რიგების გაჩენას იწვევდა. თვის ბოლოს, მოსახლეობა კომუნალურ გადასახადებსაც იხდის. ამგვარად, ორი დღის განმავლობაში ჩვენს ბანკს ნახევარი ქალაქის მომსახურება უწევდა, რაც უამრავ სირთულეს ქმნიდა. პრეზიდენტის განცხადების შემდეგ, ყველა სახელმწიფო სტრუქტურა გააქტიურდა. გადაწყდა, რომ 15 რიცხვიდან დაიწყება პენსიების დაფინანსება და მათი გასტუმრება ეტაპობრივად მოხდება. გარდა ამისა, დევნილები, რომლებიც პენსიონერებიც არიან, ბანკში თვეში ორჯერ მოდიოდნენ, ახლა კი, ისინი პენსიასა და შემწეობას ერთდროულად მიიღებენ, ოღონდ — სხვა რიცხვში, რათა რიგში დგომამ არ მოუწიოთ. მერიასთან შეთანხმდა, რომ გაიმიჯნოს კომუნალური გადასახადების სისტემა და მოქალაქეებს ჰქონდეთ საშუალება, ყოველი თვის 25 რიცხვამდე, დაფარონ არსებული დავალიანება. ამ ზომების მიღების შედეგად, მდგომარეობა რადიკალურად შეიცვლება, ხანდაზმულ ადამიანებს პენსიის მისაღებად, საათობით ლოდინი აღარ დასჭირდებათ. ■

მოამზადა
ხათუნა მაღრაძემ

მოერიგდებენ თუ არა საბჭაშვილი და პუტინი?

ანუ მორიგდებიან თუ არა პუტინი და ბუში?

რუსუდან ლებანიძე

საკითხის ასე დაყენებისკენ, ბევრ სხვა მიზეზთან ერთად, ერთმა თითქოსდა „უმნიშვნელო“ გარემოებამაც მიბიძგა. საქმე ის გახლავთ, რომ სანქტ-პეტერბურგში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა მარტო იქ მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფონზე კი არა, იმავე სანქტ-პეტერბურგში მოგვიანებით დაგეგმილი, „დიდი რვიანის სამიტის“ წინაც გიმართა. და თუ საკაშვილ-პუტინის შეხვედრის დასრულებისთანავე, ურთიერთობაში გარკვეული დათბობა შეინიშნებოდა, ეს, ყველაფერთან ერთად, ბუში-პუტინის მოახლოებული შეხვედრის ერთგვარ წინასწარ გამოძახილადაც შეიძლება, ჩაითვალოს. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ შეხვედრის წინ დასმულ კითხვაზე — მორიგდებიან თუ არა საკაშვილი და პუტინი დღეს? — ბევრი პასუხობდა: გააჩნია, აქვთ თუ არა გადაწყვეტილი შერიგება პუტინს და ბუშს ხვალო... მავანნი და მავანნი კი, უფრო შორსაც მიდიოდნენ და შემხვედრ კითხვას სვამდნენ: კი, მაგრამ ბუშმა და პუტინმა საერთოდ კი იჩხუბესო?..

როდესაც დიდი სახელმწიფოები „ჩხუბობენ“, მათი ინტერესების არეალში მოქცეული პატარა ქვეყნები ზოგჯერ უნებლიეთაც კი იჭყლიტებიან. ხოლო როცა დიდი სახელმწიფოები „რიგდებიან“, მათი „ჩხუბისას“ გაჭყლეტილი პატარა ქვეყნები ხშირად, აღარც კი ახსენდებათ. დღეს გაჩნდა იმის მცირე იმედი, რომ ასეთი დიდი უბედურება საქართველოს ნაკლებად დაემუქრება. არადა, როგორც ექსპერტები, ისე უბრალო მოქალაქეები (როგორც საქართველოში, ისე რუსეთში), სანქტ-პეტერბურგის შეხვედრას საკმაოდ დასაბუთებული სკეპტიციზმით უყურებდნენ...

ქართული „კატეგორიულობა“ და რუსული „კეთილი ნების ჟესტი“

რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრა სულ სხვადასხვა ანალიტიკური ვარაუდისა და პროგნოზის გაკეთების საგანი გახდა. მათი არსი კი, ერთადერთ რამემდე დადის: პასუხი უნდა გაეცეს კითხვას — შეძლებენ თუ არა პრეზიდენტები ორმხრივ ურთიერთობაში არსებული დაძაბულობის განმუხტვას და დაადგებიან თუ არა, არსებული პრობლემების გადაჭრის გზას?

რით ჩადის პუტინთან შეხვედრაზე სააკაშვილი?

პირველ რიგში, სააკაშვილი სანქტ-პეტერბურგში შესამჩნევად დაცემული რეიტინგით (მათ შორის, თვით საქართველოს შიგნითაც) ჩადის. საქართველოს პარლამენტის დეპუტატის, რესპუბლიკელი ივლიანე ხაინდრავას მონაცემებით, პრეზიდენტის პარტიის რეიტინგი ოპოზიციის ერთიან რეიტინგს გაუთანაბრდა. და ეს მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში მოსვლისას (რაც არცთუ ისე დიდი ხნის წინ მოხდა) სააკაშვილის ნდობის ვოტუმი 90%-ზე მეტი იყო. სხვათა შორის, სააკაშვილის კატეგორიულობას, ალბათ, ეს, ცივი კომპრესივით მოქმედი გარემოებაც შეანელებს.

მეორე მხრივ, ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში, სააკაშვილს არ შეიძლებოდა, არ შეემჩნია, რომ რუსეთი მზადაა, ადეკვატურად უპასუხოს იმ ქვეყნებს, რომლებიც პოსტსაბჭოურ სივრცეში მისი პოზიციების დაკნინებას ფარულად თუ ცხადად ცდილობენ და ამით, არსებითად, მის ნაციონალურ უსაფრთხოებას აყენებენ ზიანს. ამჯერად, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები რუსეთისთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ფაქტორებს არ წარმოადგენს, რადგან მოსკოვის პოლიტიკა მათი არსებობით კი არა, თბილისის პოლიტიკის წყალობით რეგიონში შექმნილი ფაქტობრივი მდგომარეობით განისაზღვრება: საკუთარ თავზე „ანტირუსული რკალის“ მთავარი „მოთამაშის“ როლისა და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონიდან რუსეთის გამოძევების ძირითადი სიმძიმის აღებით, საქართველო თავადვე მიდის, რუსეთის საზღვართან არსებული კონფლიქტების გამწვავებაზე.

ამასთან დაკავშირებით, იგივე ხაინდრავა აცხადებს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების — როგორც უმთავრესი საკითხის — დაყენებით, მიხეილ სააკაშვილი საკუთარი პიარკამპანიის ტყვე გახდა. „ჯერ ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პრობლემებისთვის უნდა მიეხედა და ყველა იმ სიკეთის დემონსტრირების შემდეგ (რომელიც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნების შემთხვევაში ექნებოდათ), შეეთავაზებინა მათთვის მოლაპარაკებები. სულსწრაფობამ სააკაშვილი საკუთარი პროგრამებისა და დაპირებების ტყვედ აქცია“, — აღნიშნა ხაინდრავამ. ამდენად, სააკაშვილი, საკუთარი პროგრამების ობიექტური საფუძვლების არარსებობის გამო, ერთგვარ ცაიტნოტში მყოფიც მიემგზავრება სანქტ-პეტერბურგში.

საკუთარი ოპოზიციური დამოკიდებულებ-

ის ახსნისას, ივლიანე ხაინდრავამ ისიც აღნიშნა, რომ მისი პარტია არ ეთანხმება „ავტონომიიდან, სოფლის თვითმმართველობის სიმბოლურ დონემდე აჭარის სტატუსის დაყვანას“. ესე იგი, საქართველოს პრეზიდენტი შეხვედრაზე, კონფლიქტების გადაჭრის იმ მოდელისადმი ნდობის დაკარგვის ფონზეც მიემგზავრება, რომელსაც თავადვე გვთავაზობდა და გვთავაზობს: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, ფართო ავტონომიის გარანტიებით საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართული მხარე ამ გარანტიებს არ დაარღვევს. სხვათა შორის, ამის დასტურად, თუნდაც ის კმარა, რომ თავის დროზე, თბილისმა ასლან აბაშიძეს, აჭარის დატოვების სანაცვლოდ, უსაფრთხოების გარანტია მისცა, შემდეგ კი, ინტერპოლის ხაზით მისი ძებნა გამოაცხადა.

შეხვედრა სანქტ-პეტერბურგში. 2006 წლის 14 ივნისი

რით ჩადის სააკაშვილთან შეხვედრაზე პუტინი?

ვლადიმირ პუტინი სააკაშვილთან შესახვედრად, პირველ რიგში, რუსეთის მხრიდან იმ პრაქტიკულად შესრულებული ვალდებულებით მიდის, რომლებიც ახალქალაქიდან და ბათუმიდან ბაზების გაყვანას ითვალისწინებდა. აქ ბევრს აღარ ვილაპარაკებ იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ეს ნაბიჯი თავად რუსეთის ინტერესებისთვის, რადგან ამაზე პასუხი ცალსახაა: ეს იყო გარკვეულწილად იძულებითი, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, სრულიად გაუმართლებელი, მაგრამ მაინც კეთილი ნების ჟესტი. ამის მიუხედავად, სანქტ-პეტერბურგში მიმავალ რუსეთის პრეზიდენტს შეგნებული აქვს ის როლი, რომელიც მოსკოვმა აჭარის კრიზისის გადაჭრაში შეასრულა. შეფასებები აქაც შეიძლება არაერთმნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ კეთილი ნების ჟესტი ისევ აშკარაა.

თუმცა, მას შემდეგ, რაც ამ ნაბიჯებს საქართველოს მხრიდან სათანადო შეფასება არ მოჰყვა, რუსეთმა რამდენადმე განსხვავებული პოლიტიკა აირჩია. ამ პოლიტიკის არსი ძალზე უბრალო განმარტებამდე დადის: დიალოგი მხოლოდ იმასთანაა შესაძლებელი, ვინც ამ დიალოგზე წასასვლელად მზად არის. მით უფრო მაშინ, როცა რუსეთის წინა პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი ვალდებულების სია, ვგონებ, უკვე ამოწურულია.

შედეგად, უნდა დავასკვნათ, რომ პუტინი სააკაშვილთან შეხვედრაზე ალბათ, უფრო ერთმნიშვნელოვანი პოზიციით მიდის. ეს პოზიცია კი, შემდეგში გამოიხატება: არ შეიძლება, რუსი მშვიდობისმყოფელები აფხაზეთიდან მხოლოდ თბილისის სურვილით გამოიდევნონ, ხოლო თავად კონფლიქტები კი, არა მარტო ქართული, არამედ აფხაზური და ოსური ინტერესების გათვალისწინებითაც უნდა გადაიჭრას. აქვე, გავბედავ და იმასაც ვივარაუდებ, რომ თავის ქართველ კოლეგასთან შესახვედრად მზადებისას, რუსეთის პრეზიდენტი იმასაც გაიანგარიშებდა, თუ რა უჯდება ქართულ ეკონომიკას რუსეთის ბაზრის „ღვინიანი და დაგაზული ფეკალიებით“ შევსების სურვილის აუსრულებლობა და აგრეთვე, რამდენად „წარმატებით“ იკიდებს ფეხს ქართული ღვინის ნაწარმი ჩინეთსა თუ პაპუა-ახალ გვინეაში... ასე რომ, ქართველმა ექსპერტებმა მთლად გვერდზე არც ქართული ღვინის, სასოფლო-სამეურნეო და გადამამუშავებელი მრეწველობის პერსპექტივებსა და ქართული მინერალური წყლების შემდგომ ბედზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა უნდა გადადონ.

(ვიქტორ იაკუბიანი, სამხრეთ კავკასიის პრობლემების ექსპერტი).

„განქორწინება“ მოსალოდნელი არ არის...

ახლა კი, მოდით, მივუბრუნდეთ დასაწყისში დასმულ კითხვას — შერიგდებიან თუ არა პუტინი და ბუში? „ამ ბოლო ხანებში, მოსკოვი და ვაშინგტონი სულ უფრო მეტად მოგვაგონებენ მეუღლეებს — განქორწინების წინ. ელცინისა და „ადრეული“ პუტინის პერიოდების „პარტნიორობაზე“, ვარდისფერი ოცნებები გამუდმებულმა შფოთმა და ჩხუბმა შეცვლა. აღინიშნება თუ არა, „დიდი რვიანის“ სამიტი ბუშისა და პუტინის შერიგებით. თუ, პირიქით, „განქორწინების“ ოფიციალური გაფორმებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადაიდმება“ — რუსი ჟურნალისტის მიერ წამოწეულ ამ და ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხზე რუსეთის საკითხებში ერთ-ერთი წამყვანი ამერიკელი ექსპერტი, სტენფორდის უნივერსიტეტის თანამშრომელი, **მაიკლ მაკ-ფოლი** მსჯელობს.

— *მაიკლ, ჩვენში მიიჩნევენ, რომ აშშ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ რიტორიკას, მხოლოდ იმისთვის იყენებს, რომ რუსეთს ყოფილ საბჭოთა კავშირში გავლენის სფეროები დააკარგვინოს...*

— არა მგონია, რუსეთი თავის ეგრეთ წოდებულ გავლენის სფეროებს კარგავდეს. მეტიც, ჩემი აზრით, რუსეთი ევრაზიაში რეგიონულ ჰეგემონიას მრავალი ათწლეულის მანძილზე შეინარჩუნებს. საკითხავი მხოლოდ ისაა, როგორი ჰეგემონი იქნება რუსეთი — თანამშრომლობისკენ თუ იძულებისკენ მიდრეკილი; ამერიკის შეერთებულ შტატებს ისეთი ტიპის ქვეყნებში, როგორებიცაა: ყირგიზეთი, საქართველო ანდა სულაც უკრაინა, სტრატეგიული ინტერესები არა აქვს. თუ ვინმე ფიქრობს, რომ პოსტკომუნისტურ სამყაროში აგორებული დემოკრატიზაციის ახალი ტალღა, ამერიკული შეთქმულებაა, ის თეთრ სახლზე ზედმეტად კარგი აზრისაა. უნდა ვაღიარო, რომ ამ სახლში არც ამდენად ჭკვიანი ადამიანები სხედან...

— *მაშინ, უკრაინის, საქართველოს და მოლდავეთის ნატოში შესაძლო შესვლაზე ლაპარაკი რაღას ნიშნავს?.. განა ეს იმის ნათელი დადასტურება არაა, რომ დასავლეთს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სტრატეგიული ინტერესები აქვს და იქ რუსეთის როლის დაკნინებას ცდილობს?*

— ნატოსთან მიერთების პროცესი ამ სახელმწიფოების ხალხების და არა ბრიუსელში მდებარე ალიანსის შტაბბინის მიერ უნდა იყოს ინიცირებული. სხვათა შორის, მე საკუთარი თვალით ვნახე ამ საკითხზე უკრაინაში ჩატარებული ამასწინანდელი გამოკითხვის შედეგები, რის მიხედვითაც, მოსახლეობის უმეტესობა ნატოში შესვლის წინააღმდეგია. მაგრამ თუ უკრაინა ამ ბლოკში მაინც შევა, არა მგონია, ამას რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს. იმიტომ, რომ ნატო დღეს სულ სხვა ალიანსია, ვიდრე ის 20 წლის წინ იყო. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ შემდგომში, თავად რუსეთიც შესულიყო ნატოსა და ევროკავშირში. რა თქმა უნდა, ეს საკუთრივ შესაძლებელია, ოღონდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსები ამას თავად მოინდომებენ და იმ კრიტერიუმებსაც დააკმაყოფილებენ, რომლებსაც ამ ორგანიზაციებში მისაღებ ახალ წევრებს წაუყენებენ.

— *რუსეთს მუდმივად სდებენ ბრალს ენერგეტიკულ შანტაჟში. მაგრამ განა ის ვალდებულია, რომ ვთქვათ, უკრაინას მუდმივად მიაწოდოს იაფი გაზი?*

— რა თქმა უნდა, არ არის ვალდებული. მე პირადად მიმაჩნია, რომ „გაზპრომს“ სრული უფლება აქვს თავის გაზს საბაზრო ფასი დაადოს. მაგრამ თქვენი შეკითხვა მაინც უცნაურად მეჩვენება. მე მე-

გონა, რომ უკრაინას გაზით რუსეთი კი არა, კერძო კომპანია „გაზპრომი“ ამარაგებდა. ხოლო თუ აქ სწორედ რუსეთზეა ლაპარაკი, მაშინ სიტუაცია სულ სხვაგვარად გამოიყურება. იმიტომ, რომ როცა სიტუაციაში კერძო კომპანიები კი არა, სახელმწიფოები ერთვებიან, ყველაფერი იცვლება. ბევრი ქვეყანა თავის საგარეო პოლიტიკაში ისეთ რამეებს სჩადის, რაც საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს ძალზე ნაკლებად შეესაბამება. მაგალითად, აშშ, ეგვიპტესა და ისრაელს უზარმაზარ ფინანსურ სუბსიდიებს აძლევს. ამას საბაზრო ეკონომიკასთან საერთო აბსოლუტურად არაფერი აქვს. აღნიშნულ შემთხვევაშიც, შეუძლებელია თავის მოკატუნება და იმის მტკიცება, რომ პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ, საბაზრო ფასებია და არა ეროვნული ინტერესები.

— განა სხვა ქვეყნები და მათ შორის ამერიკაც არ მიმართავენ პოლიტიკური მიზნებით განპირობებულ ეკონომიკურ ზეწოლას?

— რა თქმა უნდა, მიმართავენ. ჩემი ქვეყანა, მაგალითად, ამას კუბასთან და ირანთან მიმართებაში აკეთებს. რუსეთი კი, იმავეს საქართველოსა და მოლდავეთის მისამართით სჩადის. მაგრამ პრობლემების გადაჭრის მსგავსი მეთოდი იშვიათად ამართლებს. მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ კუბისა და ირანის წინააღმდეგ მიმართული ამერიკული სანქციები საბოლოოდ, განწირულია...

— ჩვენში ბევრი ფიქრობს — მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის იმდენად დაუძლეველი უთანხმოებები არსებობს, რომ ახალი „ცივი ომის“ მოახლოების წინაშე ვდგავართ...

— რუსეთისა და ამერიკის ახლანდელი ურთიერთობა „ცივ ომს“ აბსოლუტურად არაფრით მოგვაგონებს. „ცივი ომი“ დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგიების მქონე ორი გლობალური სუპერსახელმწიფოს ბრძოლა იყო. საბჭოთა კავშირი და აშშ ბირთვული განადგურების მუქარას მშვიდობის შესანარჩუნებლად იყენებდნენ. ეს სიტუაცია აღარ განმეორდება. ხოლო ისინი, ვინც „ცივ ომს“, როგორც ისტორიულ ანალოგიას, ისე იყენებენ, მხოლოდ საკუთარი უმეცრების დემონსტრირებას ახდენენ. ანდა შეიძლება, ამ ადამიანებს იმ დროის ნოსტალგია აქვთ, როცა რუსეთი სუპერსახელმწიფო იყო...

— როგორია თქვენი სამომავლო პროგნოზი? რომელ მოვლენებს შეუძლია, თეთრ სახლს კრემლთან ურთიერთობის შეცვლა ან სულაც გაწყვეტა აიძულოს?

— თეთრი სახლი ნამდვილად არაა კრემლით იმდენად შეფიქრიანებული, რამდენდაც კრემლი — თეთრი სახლით. ბუშს ამჟამად, ძალზე ბევრი სხვა პრობლემა აქვს და რუსეთს, მათ შორის, ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია. ამიტომაც, მე პირადად, რუსეთის მიმართ ამერიკის პოლიტიკაში რაიმე ცვლილებებს ვერც ახლა და ვერც მრავალი წლის შემდეგ, ვერ ვჭვრეტ...

■

რამდენიმეთვიანი „დაკვირვების“ შემდეგ, საგარეო საქმეთა ექსმინისტრმა „ვეფხისტყაოსნის“ უარყოფით პერსონაჟებს შორის, ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ოპოზიციონერთა სახეებიც „აღმოაჩინა“. თუ აქამდე, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატად თბილისის მერის პოსტზე ბევრს, სალომე ზურაბიშვილი წარმოედგინა, მისი არასახარბიელო ეპითეტის შემდეგ, ოპოზიციონერები განაწყენდნენ და „საქართველოს გზის“ ლიდერის არაქართველობასა და აპოლიტიკურობაზეც კი ალაპარაკდნენ. თავად ქალბატონი სალომე კი, თვითმმართველობის არჩევნებზე საკუთარი კანდიდატურის თავისი პარტიული სიით წარდგენას გეგმავს და გამარჯვების იმედიც აქვს...

„...ვიზუალურად მოვწონვარ თუ ჩემი პარტიის სამოქმედო პროგრამა მოსწონთ...“

სალომე ზურაბიშვილის მეგობები და კონფლიქტის ზონიდან მამოყოლილი შთაბეჭდილებები

თამარ როსტიაშვილი

— სინამდვილეს არ შეეფერება ის, ვითომ შემომთავაზეს, თბილისის მერის არჩევნებზე ერთიანი ოპოზიციის კანდიდატი ვყოფილიყავი, ასეთი რამ ნამდვილად არ ყოფილა. მერს პირდაპირი გზით არ ირჩევენ და კანდიდატის დასახელებას რა აზრი აქვს?.. ოპოზიციონერებს ხომ არ დაავიწყდათ, რომ მერის არჩევა მას შემდეგ ხდება, რაც საკრებულოში პოლიტიკური პარტიების სიებს დაამტკიცებენ?.. მსურს, შევეკითხო მათ — რომელმა პარტიებმა შემომთავაზეს, რომ ერთიანი ოპოზიციის კანდიდატი ვყოფილიყავი? კერძო საუბრები ერთი-ორ პიროვნებასთან მქონდა, მაგრამ ოფიციალური შემოთავაზება არც ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლისგან არ მიმიღია. როდესაც ვთქვი, რომ მერის პოსტზე არჩევნებში მონაწილეობას ვაპირებდი, ეს მხოლოდ სურვილი იყო და არა კანდიდატურის წარდგენა. აბსურდულია კანდიდატურების დასახელება მაშინ, როდესაც მერს პირდაპირი გზით არ ირჩევენ. იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციაში გავერთიანდებოდი, არასდროს მეცოდინებოდა, „საქართველოს გზას“ რა ძალა და უნარი შესწევს. თუ შევიდოდი ერთიან „ბორშჩში“ და თვითმმართველობის არჩევნებში ოპოზიცია გაიმარჯვებდა, ზოგიერთი იტყოდა, რომ წარმატება მისი პარტიის დამსახურება იყო და არა „საქართველოს გზის“ ლიდერის. ისიც არ მესმის, რა მიზეზის გამო დამასახელეს თბილისის მერის პოსტზე ერთიანი ოპოზიციის კანდიდატად — იმის გამო, რომ ვიზუალურად მოვწონვარ თუ ჩემი პარტიის სამოქმედო პროგრამა მოსწონთ?.. მათ წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რა სამოქმედო პროგრამა მაქვს შემუშავებული. ეს თამაში ცოტა მეუცნაურება. ვფიქრობ, ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებისათვის მთავარია, ამომრჩეველს მივცეთ საშუალება, მისთვის სასურველი პარტიის სასარგებლოდ თავისუფალი არჩევანი გააკეთოს. თუ მხოლოდ ხელისუფლებასა და ერთიან ოპოზიციას შორის დავუტოვებთ არჩევანს, ეს არასწორი და უსამართლო მიდგომა იქნება. მიკვირს, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის პარტიები ერთიანდებიან — მაგალითად, შალვა ნათელაშვილი და კოკო გამსახურდია. მიმაჩნია, რომ ოპოზიციური პარტიების ხელოვნურად გაერთიანება ქვეყანას კარგს ვერაფერს მოუტანს.

— ოპოზიცია ვარაუდობს, რომ „საქართველოს გზას“ თვითმმართველობის არჩევნებში წარმატების მიღწევა გაუჭირდება. თავად თუ გაქვთ გამარჯვების იმედი?

— მაქვს მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი. წარმატების მიღწევა ძალზე რთუ-

ლია, მაგრამ — შესაძლებელი. პარტიული გამოცდილება არ მაქვს და პარტიის „აშენება“ ძალიან ძნელია, მაგრამ მიმაჩნია, რომ თანამოაზრეებთან ერთად, ამას მაინც შევძლებთ. არავის არ „ვეწებები“ და პიროვნულად, არც არავის ვლანძღავ. ჩემი ვითომდა მომხრეები, ერთ დღეს მხარს რომ მიჭერენ და მეორე დღეს მლანძღავენ, ხან პარიზელს მიწოდებენ და ხან — არაპოლიტიკოსს, — ეს ჩემთვის შეურაცხმყოფელია. ბერძენიშვილმა ისიც კი იკადრა, რომ თქვა, ვითომ მე ევროპელი მრჩევლების გუნდი მყავს და მათი მითითებებით ვმოქმედებ. ეს უფრო დამამცირებელია ჩემთვის, ვიდრე ის სიტყვა, რომელიც მათი მისამართით გამოვიყენე — ვგულისხობ, რა თქმა უნდა, „ქაჯებს“. თუ მათ ამ სიტყვის მნიშვნელობა არ იციან, ვურჩევ, ლიტერატურაში კარგად ჩაიხედონ. ქაჯები — ოპოზიციონერების მოქმედებებს ვუწოდე და არა ცალკეულ პიროვნებებს. ვწუხვარ, რომ საქართველოს ჯერ კიდევ ვერ მოსცილდნენ ქაჯები, თორემ, მე გავიმარჯვებ თუ დავმარცხდები, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. საქართველო ჯერ არ არის გამოსული პოსტკომუნისტური სისტემიდან. ჯერ კიდევ ვერ გადავერთეთ დემოკრატიულ წყობაზე. დემოკრატიის გზა ნამდვილად არ არის მოფენილი იავარდით, მაგრამ ეს უნდა შევძლოთ, რათა ქვეყანა საბოლოოდ დაემსგავსოს ძლიერ დემოკრატიულ სახელმწიფოს. ხშირად ვხვდები მოსახლეობას და ვხედავ, თუ როგორია მისი განწყობა ჩემი პარტიისადმი. წინასაარჩევნო პროგრამაზე მუშაობა თითქმის დასრულებულია. შადრევნებს კი არ უნდა ვაშენებდეთ და ფასადებს ვლებავდეთ, არამედ მიმაჩნია, რომ უფრო მნიშვნელოვანია, ქალაქის ძველ უბნებში იერის შესანარჩუნებლად, ტარდებოდეს ძირეული სამუშაოები. პრიორიტეტულია ქალაქის გასუფთავების საკითხიც. თბილისი არ აკმაყოფილებს ჰიგიენურ სტანდარტებს. რა დროს ფასადების შეღებვა და ხეების განათებაა, როდესაც ანტისანიტარიის მიზეზით, ლეიშმანიოზით დაავადებულ ცხოველთა რაოდენობა დღითი დღე მატულობს?!. მოუგვარებელია ურნაბიზაციის საკითხიც. სამშენებლო კომპანიები, სადაც უნდათ, იქ აშენებენ კორპუსებს. რატომ იხარჯება ამდენი ფული ზურა წერეთლის ქანდაკების დასადგმელად მაშინ, როდესაც თბილისის ძველ უბნებში საცხოვრებელი სახლები ინგრევა?.. რაც შეეხება სოციალურ საკითხებს — რასაკვირველია, ამ პრობლემების გადაწყვეტაც პრიორიტეტულია, მაგრამ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამხელა იქნება ქალაქის ბიუჯეტი. წინასწარ დაპირება და შემდეგ — შეუსრულებლობა ძალიან ცუდია. ცრუდაპირებების მოსმენით ხალხი ძალიან გადაღლილია.

ხშირად ვხვდები მოსახლეობას და ვხედავ, თუ როგორია მისი განწყობა ჩემი პარტიისადმი. წინასაარჩევნო პროგრამაზე მუშაობა თითქმის დასრულებულია

ცხინვალის მოსახლეობაში არავითარი დაძაბულობა არ იგრძნობოდა. ოსებიც და ქართველებიც სიხარულითა და კეთილგანწყობით შემხვდნენ

— ოპოზიცია ამბობს, რომ თუ საარჩევნო ადმინისტრაცია არ შეიცვალა, არჩევნებში მონაწილეობაზე უარს იტყვის.

— ბოიკოტი ჩემთვის მიუღებელია. საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, მთელი რიგი შენიშვნები მაქვს. ოპოზიცია, სანამ ბოიკოტს გამოაცხადებდა, წინასწარ შევთანხმდით, რომ მემორანდუმის ერთადერთი და მთავარი მოთხოვნა, საარჩევნო კოდექსის შეცვლა იქნებოდა, მათ კი რატომღაც, ამას მთელი რიგი მოთხოვნები დაუმატეს. როდესაც გამზადებული მემორანდუმი გამომიგზავნეს, ხელმოწერაზე უარი ვთქვი, რადგან ეს უკვე არ იყო ის შეთანხმება, რომელზეც მანამდე მოვილაპარაკეთ. შედეგს მხოლოდ მაშინ მივაღწევდით, თუ მხოლოდ ერთი კონკრეტული საკითხის გარშემო ვაიძულებდით ხელისუფლებას, მოთხოვნა გაეთვალისწინებინა. ოპოზიციამ საარჩევნო კოდექსის შეცვლის მოთხოვნას რამდენიმე განსაკავებული საკითხი დაუმატა, ხელისუფლებაკი ახლა, ხან ერთი მოთხოვნის შესრულებას ჰპირდება, ხან — მეორისას, ამ დროს, არც ერთს არ ასრულებს. ბოიკოტის გამოცხადება უკვე დამარცხებულ პოზიციას ნიშნავს. ულტიმატუმების ენით ლაპარაკი ჩემთვის მიუღებელია. ბოიკოტი ყველა უცხოელი დიპლომატისთვის მიუღებელია, რადგან მათი ფუნქციაა, დემოკრატიის გაძლიერება და არა საშინაო პოლიტიკაში ჩარევა... მიმაჩნია, რომ თუნდაც, არ შიცვალოს საარჩევნო კოდექსი, „საქართველოს გზას“ მაინც აქვს გამარჯვების შანსი.

— ცხინვალში ვიზიტით კმაყოფილი ჩანდით, რა იყო ამის საფუძველი?

— ცხინვალში ჩასვლა მოულოდნელად გადავწყვიტე. წინასწარ რომ განმეცხადებინა, კონფლიქტურ რეგიონს ისე თავისუფლად ალბათ, ვერ მოვივლიდი. ცხინვალის მოსახლეობაში არავითარი დაძაბულობა არ იგრძნობოდა. ოსებიც და ქართველებიც სიხარულითა და კეთილგანწყობით შემხვდნენ. ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნო იყო. ცხინვალში შექმნილი სიტუაცია მაფიქრებინებს იმას, რომ შესაძლოა, კონფლიქტურ ზონაში პრობლემა საბოლოოდ, მშვიდობიანად მოგვარდეს, თუკი (ყველაზე მნიშვნელოვანი ყოველთვის, „თუ“ არის) ჩვენი ხელისუფლება არ მიიღებს ისეთ ზომებს, რომლებმაც შესაძლოა, მდგომარეობა დაძაბოს.

გაგრძელება 70-ე გვერდზე

წლების მანძილზე საქართველოში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და სოციალურმა მდგომარეობამ ბევრი ჩვენი თანამემამულე აიძულა, ლუკმაპურის საშოვნელად, საზღვარგარეთ წასულიყო და იქიდან ერჩინა ოჯახი. რა ხდება დღეს? ისევ ისეთი ინტენსივობით გარბიან თუ არა ქართველები საქართველოდან? რომელ ქვეყნებში შელწევას ცდილობენ ყველაზე მეტად? — ამ კითხვებით, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, გიორგი ხევიაშვილს ვესტუმრეთ.

რა უშლის ხელს საზღვრის გადამლახავი ჩვენი თანამემამულეების დათვლას?

კითხვები, რომლებზეც პასუხი ვერ მივიღეთ

თამუნა კვინიკაძე

— წინა წლებთან შედარებით, იკლო თუ არა საზღვარგარეთ მიგრაციის დონემ?

— ბოლო ორი წელია, რაც ქვეყნიდან ჩვენი თანამემამულეების გადინების დონე თანდათან კლებულობს.

— რამდენი პროცენტით?

— სამწუხაროდ, ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია, მიგრაციული პროცესების აღრიცხვის არსებული სისტემა არ იძლევა რეალურად მიმდინარე მოვლენათა ადეკვატური ასახვის საშუალებას.

— მაშინ, რა ინფორმაციაზე დაყრდნობით ამბობთ, რომ ემიგრაციის დონემ დაიწია?

— მე არ შემიძლია ზუსტი ციფრის დასახელება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენთვის მიახლოებული მონაცემები არ არის ცნობილი. სამწუხაროდ, აღწერის დროს, ოჯახის წევრები მალავენ, რომ მათი ახლობელი საზღვარგარეთ იმყოფება. ეს ძალზე ართულებს მათ აღრიცხვას.

— ე.ი. კითხვაზე — რამდენი ქართველია საზღვარგარეთ წასული? — ზუსტი პასუხის გაცემა დღეს შეუძლებელია?

— ეს არა მარტო დღეს, ადრეც შეუძლებელი იყო. მე შეგნებულად არ ვასახელებ დაახლოებით რიცხვს.

— რა უშლის ხელს საზღვრის გადამლახავი ჩვენი თანამემამულეების დათვლას?

— ეს კითხვა ჩვენც დაგვებადა. წინა ხელისუფლების დროს, სრული ქაოსი იყო. საზღვრის გადამკვეთების სათანადო რეგისტრაცია არ ხდებოდა. ვერ ხერხდებოდა ვერც იმ პირთა დათვლა, ვინც თავის დროზე, ქვეყანაში დაბრუნდა ან არ დაბრუნდა და არალეგალურად დაიწყო ცხოვრება უცხოეთში. ჩვენ ამ საკითხებზე მთელი სერიოზულობით ვიწყებთ მუშაობას. ახლო მომავალში ყველაფერი ნათელი იქნება.

— თქვენთვის თუ არის ცნობილი, სტატისტიკური მონაცემებით, ყველაზე მეტი ქართველი რომელ ქვეყნებში ცდილობს დამკვიდრებას?

— ამ კითხვაზე ვერ გიპასუხებთ...

— დიდი ხნის განმავლობაში, ევროპის რამდენიმე ქვეყანა ჩვენს მოქალაქეებს, როგორც ლტოლვილებს, თავშესაფარს აძლევდა. დღეს ასე აღარ ხდება. ბევრი ქართველი არალეგალურად ცხოვრობს საზღვარგარეთ. რამდენად რეალურია, რომ საჭიროების შემთხვევაში, ამ ადამიანებმა სახელმწიფოს მხრიდან დახმარება მიიღონ?

— ჩვენ ვცდილობთ, ასეთი კატეგორიის ადამიანებს დავეხმაროთ. მათ უნდა შეგვატყობინონ საკუთარი მდგომარეობის შესახებ, იმ ქვეყანაში არსებული ჩვენი საკონსულოს და დიასპორის მეშვეობით. ჩვენ მათ დახმარების ხელს გავუწვდით, თუ, რა თქმა უნდა, არ არიან დამნაშავეები და კრიმინალები.

— მერე, ამ მხრივ, რა მდგომარეობაა? მოგმართავენ ხოლმე?

— ნაკლებად.

— რატომ? ნდობის ფაქტორია შესუსტებული?

— ალბათ.

— ბატონო გიორგი, როგორც საუბრიდან ირკვევა, დღეს სახელმწიფოში ვერ ხდება მიგრაციული პროცესების მართვა სათანადო დონეზე. რას აპირებთ სამომავლოდ?

— ამ პრობლემის გადაჭრაში მალე დახმარებას გაგვიწევს ისეთი სერიოზული პარტნიორი, როგორიცაა ამერიკის მიგრაციის სამსახური. იგი 15000 მოხელეს აერთიანებს და 2-მილიარდიანი ბიუჯეტი აქვს. ჩვენ მის ხელმძღვანელობასთან გვქონდა შეხვედრა. მივაღწიეთ შეთანხმებას. სულ რაღაც ერთ თვეში, მათი სპეციალისტები ჩამოვლენ საქართველოში და დაგვეხმარებიან, გაგვიზიარებენ გამოცდილებას. ჩვენ ასევე ვთანამშრომლობთ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. შეხვედრები გვაქვს სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ ჩვენი დიასპორის წარმომადგენლებთან. ეს დაუძლეველი და გადაუჭრელი პრობლემა ნამდვილად არ არის.

— ორმაგ მოქალაქეობაზე რას გვეტყოდით?

— იმ ქართველებს, რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ და ამავე დროს, სურთ, ჰქონდეთ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა, ყველანაირად ვუმარტივებთ პასპორტის აღების პროცედურას. მოთხოვნა ძალიან დიდია.

— ყველაზე ხშირად, რომელ ქვეყანაში მცხოვრები ქართველები ითხოვენ ქართულ პასპორტს?

— ყველაზე დიდი მოთხოვნაა თურქეთსა და ისრაელში მცხოვრები ქართველებისგან.

— შიდამიგრაციული პროცესებიც ისეთივე უმართავია, როგორიც ემიგრაციული?

— წინა ხელისუფლების დროს, ეს პროცესი თვითდინებაზე იყო მიშვებული. არანაირ მართვას არ ემორჩილებოდა, არ ტარდებოდა მიზანდასახული პოლიტიკა. ყველაზე მძიმე მდგომარეობა მაღალმთიან რეგიონებშია: აჭარაში, სვანეთში. ჩვენ ვცდილობთ, რაც შეიძლება მართვადი გავხადოთ მდგომარეობა, მაგრამ დღესაც გვხდება მთიდან გამოქცეული ოჯახების მიტოვებულ სახლებში ძალით შესვლის შემთხვევები.

— იქნებ, ეს იმის შედეგია, რომ ამ ხალხს სახელმწიფომ დროზე არ მიხედა?

— ნაწილობრივ ასეა. წლების განმავლობაში, მიგრაციის სამსახური მხოლოდ ფორმალურად არსებობდა.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან შეხვედრის შემდეგ, იმის გასარკვევად, თუ რამდენი ქართველია საქართველოდან საზღვარგარეთ წასული, სტატისტიკის დეპარტამენტს ვეწვიეთ. სამწუხაროდ, ამ კითხვაზე პასუხის გამცემი ამ უწყებაშიც არავინ აღმოჩნდა. 2002 წლის შემდეგ აღრიცხვა არ ჩატარებულა.

სტატისტიკის დეპარტამენტში ჩვენ მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ქართველთა ემიგრაციის მაჩვენებელი, ქვეყნების მიხედვით, ასე განაწილდა:

1. *რუსეთის ფედერაცია*
2. *საბერძნეთი*
3. *გერმანია*
4. *აშშ*
5. *ისრაელი*

საქართველოს რეგიონების მიხედვით, ემიგრირებულთა რაოდენობით პირველი ხუთეული ასე გამოიყურება:

1. *თბილისი*
2. *იმერეთი*
3. *სამეგრელო-ზემო სვანეთი*
4. *კახეთი*
5. *ქვემო ქართლი.*

ყველა ქართველის წარმატება, მით უმეტეს — ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიღწეული, სასიხარულო და საამაყოა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, უფრო ვრცლად მოგვეთხრო იმ ჯილდოს შესახებ, რომელიც ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიამ, მედიაპროექტ „ეტალონს“ მიანიჭა. გერმანიის ქალაქ ჰანოვერიდან გამოგზავნილი დიპლომისა და ოქროს მედლის შესახებ „ეტალონის“ იდეის ავტორი და წამყვანი, გოჩა ტყეშელაშვილი მოგვითხრობს.

„ეტალონის“ ოქროს მედალი და ჰაუმრები ტელესტუდიაში

ლალი ფაცია

— ჰანოვერში, ყველაზე ეროვნულ მედიაპროექტ „ეტალონს“ ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები ინტერნეტით გაეცნნენ და დაინტერესდნენ, თუ რა თამაში იყო ეს. შემდეგ დაგვიკავშირდნენ და მიგვიწვიეს კონფერენციაზე, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მეცნიერების სხვადასხვა დარგის სიახლეებს განიხილავენ. იქ ჩასვლა ვერ შევძელი, მაგრამ ჩემი მეგობრის, ბიზნესმენ მაკა ვეზირიშვილის დახმარებით, რომელიც რუსეთში მოღვაწეობს, პროექტის ექსპერტიზაზე გაგზავნა შევძელი. ამაში ტელეკომპანია „იმედის“ მესვეურებმა შემიწყვეს ხელი. პასუხს გულისფანცქალით ველოდით. და აი, მივიღეთ დიპლომი და ოქროს მედალი. ეს აღიარებაა, რომ „ეტალონი“ პედაგოგიკის სფეროში აღმოჩენას წარმოადგენს.

— იქნებ, დავაკონკრეტოთ — რას ნიშნავს ეს?

— ევროპასა და ნებისმიერ განვითარებულ ქვეყანაში, პედაგოგიკისთვის სპეციალური ინსტიტუტები არსებობს და უამრავი თანხა იხარჯება, რომ სიახლე აღმოაჩინონ, მიაგნონ ისეთ ხერხს, რომელთა მეშვეობითაც დაინტერესებენ ახალგაზრდებს სწავლით. სწორედ ამიტომ აღიარეს „ეტალონი“ აღმოჩენად და სპეციალური ტერმინიც შეურჩიეს — მედიაპედაგოგიკა... თანამედროვე მეთოდებით, ფსიქოლოგიური და სოციალური ელემენტების გამოყენებით, შევძელით, რომ ახალგაზრდებში სწავლის სურვილი აღგვეძრა.

„ეტალონის“ იდეური და შინაარსობრივი მხარე აღიარებულია, ახლა მის საეკრანო, ვიზუალურ მხარეს უნდა მივხედოთ

— რას ნიშნავს თქვენთვის ეს ჯილდო და ტერმინი — მედიაპედაგოგიკა?

— ფაქტობრივად, ეს გახლავთ რეკომენდაცია ევროპის საბუნებისმეტყველო აკადემიისგან სხვა ქვეყნების წინაშე, რომელიც ადასტურებს — ჩვენი პროექტის მეშვეობით შესაძლებელია სწავლა-განათლებით ბავშვების დაინტერესება. ყოველივე ამის შემდეგ, პროექტს საფუძვლიანი ტექნიკური სრულყოფა ესაჭიროება. რადგან „ეტალონის“ იდეური და შინაარსობრივი მხარე აღიარებულია, ახლა მის საეკრანო, ვიზუალურ მხარეს უნდა მივხედოთ. ამ ზაფხულს სტუდია, განათება და ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

— საინტერესოა, რაში მდგომარეობდა პროექტის ექსპერტიზა?

— გადაცემის ჩაწერას რომ დაესწროთ, ნახავთ, რომ ბავშვი, რომელიც არასდროს ყოფილა თბილისში და უეცრად ხვდება წარმატებული ტელეკომპანიის სტუდიაში, თავიდან შებოჭილია. ამიტომ საჭიროა, რაღაც ხერხებით, მისი გახსნა მოვახერხოთ. ამაში ქართული ეროვნული მუსიკა გვეხმარება... ვეუბნებით, რომ მთავარია, იყოს აქტიური... შემდეგ, ბავშვი პირდაპირ ერთვება თამაშში. საინტერესოა ისიც, რომ მე-8, მე-9, მე-10 კლასების მოსწავლეები პროექტში ერთდროულად მონაწილეობენ. ეს სიახლეა პედაგოგიკის სფეროში. აქამდე მიაჩნდათ, რომ ამ ასაკის ბავშვების ერთად თამაში მიზანშეწონილი არ არის, არადა, მათი ცოდნის დონე განსხვავებულია. მაგრამ ჩვენი კითხვები ისეა შედგენილი, რომ ლოგიკური აზროვნების უნარს ითვალისწინებს. მონაწილეებმა დროის მოკლე მონაკვეთში, სწორი გადაწყვეტილება უნდა მიიღონ... ამ ყველაფერს იქ ექსპერტიზა ჩაუტარდა — შეისწავლეს, თუ რა სისტემით მიმდინარეობს თამაში, გაეცნნენ დოკუმენტებს. აქ აღსანიშნავია აგრეთვე სოციალური საკითხიც — რომ სტიპენდია ენიშნება არა მარტო მოსწავლეს, არამედ მისი კლასის დამრიგებელსაც — გამარჯვებული მოსწავლის აღზრდისთვის.

— როგორია თქვენი უახლოესი გეგმები? ვიცი, რომ საინტერესო ჩანაფიქრები გაქვთ.

— გადამწყვეტ თამაშამდე, ოთხი გადაცემაა დაგეგმილი, რომელიც ივლისის დასაწყისში გავა ეთერში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდი ნარკომანის წინააღმდეგ საბრძოლველად, აწესებს სტიპენდიას სპეციალურ კონკურსში გამარჯვებულისთვის. ამ შემთხვევაში, ყველაზე მთავარი ერთი რამ არის — იმ აზრის დამკვიდრება, რომ ნარკომანია — სირცხვილია. სპეციალისტები გამუდმებით მსჯელობენ პრობლემაზე — ნარკომანია ავადმყოფობაა თუ დანაშაული? ნარკომანი პოტენციური დამნაშავეც არის და ავადმყოფიც — ეს ფაქტია. აზრის დამკვიდრებაზე მოგახსენეთ და ამაში უდიდესი როლი მასმედიას ეკუთვნის. ჩვენ ბავშვებს მივეცით დავალება — შეუძლიათ დახატონ სურათი, დაწერონ ლექსი, მოთხრობა, ოღონდ, მთავარია, რომ გამოხატონ თავიანთი განწყობილება, აზრი, რომ დღეს გაჩუმება არ გვეკადრება, რომ ნარკომანია სირცხვილია, და ეს ყველამ უნდა იცოდეს. ამ კონკურსში გამარჯვებული, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო ფონდის სტიპენდიით დაჯილდოვდება. ეს რამხელა ბედნიერებაა! ეს, გარკვეულ სიამაყესთან ერთად, პასუხისმგებლობაცაა... გეგმებზე მკითხეთ და გეტყვით, რომ რუსეთის საელჩომ გამოთქვა სურვილი, რომ „ეტალონში“ რუსმა და ქართველმა მოსწავლეებმა ერთად ითამაშონ. ისინი ბავშვებს რუსეთიდან ჩამოიყვანენ. თამაში ორ ენაზე წარიმართება.

— მაქვს ინფორმაცია, რომ „ეტალონში“ პატიმრები ითამაშებენ.

— დიახ. ჩანაფიქრი არსებობს. ამ თემაზე, იუსტიციის მინისტრთან ერთად, ჩავატარეთ პრესკონფერენციას. პატიმრებიდან, ოთხი ქალი და ექვსი მამაკაცი მიიღებს მონაწილეობას.

— შედეგად რას მოიტანს „ეტალონში“ პატიმრების თამაში?

— შესაძლებელია, რომელიმე მათგანს შვილი ჰყავდეს სტუდენტი და გამარჯვების შემთხვევაში, მის შვილს სტიპენდია დაენიშნოს ან სამსახური მოეძებნოს. შესაძლებელია, საქმე ვადამდე გათავისუფლებამდეც კი მივიდეს... ვნახოთ, ეს მხოლოდ პრეზიდენტის პრეროგატივაა... კიდევ ერთ ინფორმაციასაც მოგაწვდით: შემოდგომაზე შესაძლებელი იქნება, ახალი პროექტის — „ეტალონ-პლუსი“ დაწყება, რომელიც სტუდენტებისთვის იქნება განკუთვნილი.

■

ლალი ფაცია

ჟურნალისტები – ნინო შუბლაძე
და ნანუკა ჟორჟოლიანი
რესპონდენტი – ლექს-სენი

ნანუკა:

— **გუშინდელი** *(ინტერვიუ ჩაწერილია 11 ივნისს. — ავტ.)* **თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— ა, პირდაპირ თამაშით დაიწყე? ცხოვრებაში, საერთოდ, მაქსიმალისტი ვარ და ამიტომ, არგენტინის თამაშით რომ არ მოგატყუო, კმაყოფილი არა ვარ.

ნანუკა:

— **მიუხედავად ამისა, არგენტინის ნაკრების ფანად მაინც რჩები?**

— რა თქმა უნდა. თანამედროვე ფეხბურთში მთავარი, მაინც შედეგია. როცა ვუყურებდი, ვატყობდი, რომ ცოტა მეტი შეეძლოთ. როცა შეგიძლია და არ აკეთებ, — ცუდია.

ნინო:

— **გუშინდელი თამაშის შემდეგ, არგენტინის ნაკრების გაჩემპიონებაში ეჭვი ხომ არ შეგეპარა?**

— ჯერჯერობით, არა. რა თამაშებიც ვნახე, ყველაზე დიდი პოტენციალი არგენტინას აღმოაჩნდა. ამან ნაყოფი უნდა გამოიღოს.

ნინო:

— **ფინალში არგენტინის ნაკრების ნახვას, ვისთან ერთად ისურვებდი?**

— ბრაზილიის ნაკრებთან ერთად.

ნინო:

— **გაქვს იმედი, რომ მოიგებს?**

— შეიძლება ბრაზილიასთან ლამაზი ფინალი გამოვიდეს. ზიანი ხომ უნდა მივაყენოთ ბრაზილიას!

ნანუკა:

— **ისე არგენტინელები მაგრად „იჩეხინებით“. ინგლისელებს, რომლებმაც მოედანზე ფეხბურთელების „ჩეხის“ მაგალითი აჩვენეს, არაფრით ჩამოუვარდებით...**

— არა, ჩვენ ტექნიკურ, კორექტულ ფეხბურთს ვთამაშობთ.

ნანუკა:

— **კი არ თამაშობთ, მარადონას დროს თამაშობდით და ამას გულისხმობ.**

— არა, ახლაც ასეა. პირველსავე თამაშისას არგენტინამ საკუთარი ტექნიკის დემონსტრირება მოახდინა. ოღონდ, შენელებული ტემპით, ნახევარი ძალით ითამაშა.

ნინო:

— **არგენტინელებიდან რომელ ფეხბურთელს გამოყოფ?**

— წინა ნაკრებიდან ძალიან მიყვარდა ბატისტუტა. სხვათა შორის, წინა ჩემპიონატით კმაყოფილი არა ვარ...

ნანუკა:

— **ახლანდელი გუნდიდან ვის დაასახელებ?**

— მესის.

ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, საბოლოოდ ასეთ აზრამდე მივედი: რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლში“ — ერთმანეთს პირისპირ ფეხბურთის გულშემატკივრები შეხვედროდნენ, რადგან სპორტის ამ სახეობამ ბოლო ერთი კვირაა, მთელი საზოგადოება მოიცვა. დიდი თუ პატარა, კაცი თუ ქალი — ყველა, მსოფლიო ჩემპიონატზე ფიქრს მოუცავს. სხვადასხვა ქვეყნის გულშემატკივრებს შორის „საქმე ირჩევა“.

ნებისმიერი ადამიანი თავისებურად გამოხატავს საყვარელი გუნდის მიმართ თავის დამოკიდებულებას. მაგალითად, პატრიოტმა რეპერმა, ლექს-სენმა გადაწყვიტა, რომ მთელი თვე არგენტინის ნაკრების მაისურით იაროს. ბუნებრივია, ჟურნალისტებიც აქტიურად არიან ჩაბმული საყოველთაო ზეიმში და აი, სწორედ ორნი — ნინო შუბლაძე და ნანუკა ჟორჟოლიანი ჩვენს რუბრიკაში გულშემატკივრის როლში ხვდებიან არგენტინის ფანს — ლექს-სენს. ისინი ბრაზილიას გულშემატკივრობენ. ასე რომ, მატჩმა — ორი ერთის წინააღმდეგ — ჩვენს ფურცლებზე სტარტი ასე აიღო.

რატომ დაუპირისპირდა ლექს-სენი
ნინო შუბლაძესა და ნანუკა ჟორჟოლიანს

ნანუკა:

— **რა გააკეთა ჯერ ამ „ახალშობილმა“ მესიმ, რით დაგარწმუნა, რომ მაგარია?**

— მე მასზე დიდ იმედებს ვამყარებ. მის „ახალშობილობაშია“ ყველაფერი. ნახე, ცოტა ხანში, როგორ დაიქოქებიან...

ნანუკა:

— **არ მოგეჩვენა, რომ რაღაც-რაღაცებს „ყნოსავენ“? სასწაულებრივად დარბოდნენ.**

— არგენტინელების მოწინააღმდეგები ალბათ — კი, ჩვენები — არა.

ნინო:

— **ჩემპიონატის ფავორიტი ფეხბურთელი, შენი აზრით, ვინ იქნება? ვინ მოგწონს?**

— ალბათ, რონალდინიო გაიბრწყინებს ისევ...

ნანუკა:

— **მაგარია ჩემი რონალდინიო, მა-გა-რი...**

— ახლა რონალდინიოს საუკუნეა... ის ამ ჩემპიონატზეც აუცილებლად გაიბრწყინებს!.. მე საერთოდ ობიექტური ადამიანი ვარ. მიუხედავად იმისა, რომ არგენტინის ნაკრების სერიოზული გულშემატკივარი ვარ... არგენტინას ბავშვობიდან ვგულშემატკივრობ, იმ პერიოდიდან, როცა ბურთს საერთოდ ფეხი შევახე... ვნახოთ, გამოჩნდება ვინ წავა შორს...

ნინო:

— **შენგან სიმღერას ხომ არ უნდა ველოდეთ ფეხბურთზე ან კონკრეტულად არგენტინის ნაკრებზე?**

— სიმღერის დაწერა სასიამოვნოდ დაემთხვა ამ პერიოდს. იმის გამო, რომ ეს ჩემპიონატი გერმანიაშია, მეც ავდექი და გერმანული სიმღერა ჩავწერე. ოღონდ, ეს ფეხბურთს არ ეხება, საქართველო-გერმანიის მეგობრობაზეა. ცოტა ხანში, გერმანიაში მივდივარ. თან წავიღებ ამ ახალ სიმღერას და იქ „დავატრიალებ“.

ნინო:

— **როგორ ფიქრობ — რა უფრო მაგარია, ფეხბურთი თუ სიმღერა?**

— ძალიან მწყდება გული იმაზე, რომ ფეხბურთს არ გავყევი. არადა, ბავშვობიდან ვვარჯიშობდი, მერე კარატეზე გადავერთე. ჯობდა, ფეხბურთს გავყოლოდი.

ნანუკა:

— **ახლა „კალაძე-2“ იქნებოდი?..**

— ვფიქრობ, რომ მინიმუმ, „ბარსაში“ მაინც ვითამაშებდი. წარმატება მართლა მქონდა. ერთხელ, ჩემს ძმას წავყევი, გუნდში კაცი აკლდათ. ამიყვანეს, 3 გოლი გავიტანე და თამაში მოვაგებინე. ამის შემდეგ, ჩემთან მწვრთნელი მოვიდა და

მითხრა: აი, ეს ბუცები — ითამაშე ფეხბურთი, იარე ჩვენთან, შენი გადასახადიც არ მინდაო. ორი წელი დავდიოდი. სერიოზული გასვლითი თამაშები გვქონდა... ახლა, ხომ გითხარით, მართლა ვნანობ, ფეხბურთს რომ არ გავყევი.

ნანუკა:

— ქართველი ფეხბურთელებიდან, შენი ფავორიტი ვინ არის?

— ჩემთვის მტკივნეულ თემას შეეხე... ალბათ, კობიაშვილი.

ნინო:

— როგორ ფიქრობ — ოდესმე თუ ეშველება ქართულ ფეხბურთს?

— მგონი, არასდროს.

ნანუკა:

— რატომ?

— შევარდნაძის მთავრობისას ვამბობდი — სანამ ესენი არიან, ფეხბურთს კი არა, არაფერს ეშველება-მეთქი. მთავრობა შეიცვალა, ქვეყანა „პოზიტივისკენ“ წავიდა, მაგრამ ფეხბურთს მაინც არაფერი ეშველა. დავადგინე, რომ ამ სფეროში საშველი არ არის. თაობა თუ მკაცრ რეჟიმში არ აღზარდე, არაფერი გამოდის. მენტალიტეტის ბრალია. ქართველი ფეხბურთელები მოედანზე სხვანაირად დარბიან, პასს სხვანაირად აწოდებენ... ფეხბურთს საკუთარი თავისთვის თამაშობენ და არა ქვეყნისთვის, ქვეყნის სახელისთვის. თუ ასეთი დამოკიდებულება იქნება, არაფერი გამოვა.

ნინო:

— ესე იგი გადაუარე, ხომ, საქართველოს ნაკრებს?!.

— აი, რას ნიშნავს ჟურნალისტები — ნათქვამი სხვანაირად ესმით... შენც ვერ გაიგე სწორად ჩემი ნათქვამი. ბრმად სიყვარული არ შემიძლია, ჩემი ცუდი უნდა დავინახო, ცოტა კრიტიკული თვალით უნდა შევხედო. არგენტინის ნაკრების გულშემატკივარი ვარ, რეალური შანსი ბრაზილიის ნაკრებს აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არგენტინა ბრაზილიას ვერ მოუგებს. ვნახოთ. აღდგომა და ხვალეო...

ნინო:

— კი, ბატონო, შემხვდები სადმე ქალაქში...

— მე არ ვიმუქრები, ჩემი მუქარა ძირითადად, პასუხია კითხვაზე. ჩვენს შტაბში ინგლისელები მოცვივდნენ, ფანები, თამაში მაინც იცოდნენ!.. მე ასე ვუპასუხე: „ისევ კითხვა გირჩევნიათ წიგნისა, არგენტინა „გაუკეთებს“ ინგლისსა“ *(იცინის)*... არც ბრაზილიას მოვრიდებივარ: „მოგაყენებთ მაქსიმალურ ზიანს, გავაფარჩაკებთ თქვენს ბრაზილიას“...

ნანუკა:

— ნინო, ვაი, რომ, არ ვწერთ ლექსებს, ახლა ამას რომ ვუპასუხოთ!..

— იტალიაზეც მაქვს სათქმელი: „იტალიაში კარგია პიცა, ფეხბურთის ნიჭი ღმერთმა არ მისცათ“.

ნინო:

— მოდი, არგენტინაზეც გვითხარი.

— არგენტინა ხელშეუხებელია. რომ მოიგებს, მერე პოემას მივუძღვნი.

ნინო:

— არგენტინის ნაკრების მაისურით რომ დადიხარ და კიდევ აპირებ, რომ ერთი თვე ასე იარო, რას გრძნობ და განიცდი ამ დროს?

— რატომღაც მგონია, რომ ამ ფორმით რაღაცნაირად ვეხმარები არგენტინის ნაკრებს. ვფიქრობ, რომ უკეთ ითამაშებენ, წარმატება ექნებათ.

ნინო:

— გერმანიაში რომ მიდიხარ, ფინალს ხომ არ დაესწრები?

— შეიძლება. ვნახოთ...

ლექს-სენი: „მოგაყენებთ მაქსიმალურ ზიანს, გავაფარჩაკებთ თქვენს ბრაზილიას“...

ჟურნალისტი – ლექს-სენი
რესპონდენტები – ნინო შუბლაძე და ნანუკა ქორქოლიანი

— გამარჯობათ. ეთერშია „კურიერი“ *(იცინს)*... თქვენ დაქალები ხართ?

ნინო:

— კი, ოღონდ, არა — „რუსთავი 2“-დან, უფრო ადრე დავმეგობრდით, ადრეც ერთად ვმუშაობდით.

— და ეს განაპირობებს იმას, რომ ბრაზილიის ნაკრებს გულშემატკივრობთ?

— არა, არა *(ორ ხმაში. — ავტ.)*.

ნინო:

— მე რამდენიმე გუნდს ვგულშემატკივრობ ხოლმე. მერე, რომ იცხრილება, ზუსტად ვიცი, ჩემპიონობა ვისია.

ნანუკა:

— მე კონკრეტული ფეხბურთელების ხათრით ვგულშემატკივრობ გუნდს — ჩემი ფავორიტი ფეხბურთელები მყავს.

— ვინ არიან?

ნანუკა:

— მაგალითად, ბალაკი, რონალდინიო (ის სულაც არ არის სიმპათიური), კაკა... ბექჰემი არ მომწონს...

— თუ შეგიძლიათ ერთმანეთში როლები გაცვალოთ — ერთი დაჯდეს „კურიერის“ სტუდიაში და პროგრამა წაიყვანოს და მეორემ მხოლოდ რეპორტიორად იმუშაოს ცხელ წერტილებში?

ნანუკა:

— ვერა, რადგან, ნინო არ არის იმ ბუნების ადამიანი, ვინც ცხელ წერტილებში ივლის და კრიმინალურ ნიუსებს მოამზადებს, არც მე ვარ წამყვანის „ნატურა“, სტუდიაში ვერ დავჯდები.

— ესე იგი, ნანუკა, ნინოს მაგივრადაც მიპასუხე, ხომ?

ნინო:

— შეიძლება, გამიკეთებია კრიმინალური ნიუსები და გავაკეთებ კიდეც, მაგრამ ნანუკასავით, ციხე-ციხე სირბილი არ შემიძლია.

ნანუკა:

— მე უფრო რეპორტიორი ვარ, ვიდრე წამყვანი. რეპორტიორობა უკეთ გამომდის.

— ხოლო თუ რატომ დადიხარ შენ ცხელ წერტილებში, ამას კითხვაც არ უნდა...

ნანუკა:

— აბა, მითხარი, რატომ დავდივარ? საინტერესოა შენი მოსაზრება, რას ფიქრობ?

— რომ ვთქვა, მცემ *(იცინის)*... **მებრძოლი, ქალი-რეპერი ხარ.**

ნინო:

— რა მაგარი იქნება: ნანუკა „რუსთავი 2“-ის მიკროფონით ხელში და ლექს-სენი — არგენტინის მაისურით, რომ გარეპოთ და კლიპიც გადაიღოთ. სერიოზული რამე გამოვა *(იცინიან)*.

— დიმა ობოლაძის ადგილას რომ ყოფილიყავით, რომელი შეძლებდა ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟის წაყვანას?

ნანუკა:

— მე შევძლებდი.

ნინო:

— მე „ბეზ პიწი მინუტ“ კომენტატორი ვარ: თეატრალურ უნივერსიტეტში კოტე მახარაძის ჯგუფში ვსწავლობდი. ბატონი კოტე სულ მეხვეწებოდა — იქნებ, შეძლო ფეხბურთის კომენტატორობაო... ჯერ ქალი-კომენტატორი არ ყოფილა, მგონი, ერთი თამრიკო ბალავაძე იყო. მე გაგზრდიო, — მეუბნებოდა ბატონი კოტე, მაგრამ ვერაფრით წარმოვიდგინე ჩემი თავი ამ როლში. სიგიჟედ მომეჩვენა. არადა, საინტერესო იქნებოდა, მაგრამ ამ მიმართულებით ვერ გადავდგი ნაბიჯი.

— „რუსთავი 2“-ის გარდა, თუ იმუშავებდით სადმე?

ნინო:

— არც ერთ არხზე.

— ტელევიზიებში დღეს როგორი სიტუაციაა?

ნანუკა:

— მიუხედავად იმისა, რომ ამდენ რაღაცას ვაშუქებთ, მაინც ინფორმაციული კრიზისია. ზოგჯერ არაფერი არ ხდება რომ... ძირითადად, ჩვენ ვეძებთ და ვქმნით მასალას. სამწუხაროდ, ეს ხშირად, ნეგატიური ინფორმაციაა.

— სხვა კიდევ რა მოვლენები უნდა ხდებოდეს ქვეყანაში, რომ ინფორმაციული კრიზისი არ იყოს? მკვლელობას, ქურდობას, ყაჩაღობას, ოპოზიციის ნამოქმედარს, ხელისუფლების საქმიანობას, ყველაფერს აშუქებთ. ყველაფრის სენსაციად ქცევა ხომ არ შეიძლება?!

ნინო:

— ყველა ტელევიზიას მუშაობის საკუთარი პრინციპები აქვს. ინტრიგა, ინტრიგა, სკანდალიო! — ხომ გაგიგონია... ასე იყიდება პროდუქცია. საბოლოოდ, მთავარი მაჩვენებელი — რეიტინგია, თორემ, როგორც მოქალაქეს, რიგით მაყურებელს ასეთი დოზით მკვლელობის გაშუქება არ მომწონს. მაგრამ ფაქტია, რომ ეს პროდუქციას კარგად ყიდის. ალბათ, ამით ხელმძღვანელობს ჩვენი არხის ხელმძღვანელობა.

— ახლა თქვენი მუსიკალური გემოვნება და განათლება მაინტერესებს. რა სტილისა და ჟანრის მუსიკას უსმენთ?

ნანუკა:

— გააჩნია, როგორ ხასიათზე ვარ. საერთოდ, მე ვმღერი, თან — საკმაოდ კარგად, მაგრამ თუ ცუდ ხასიათზე ვარ, სიმღერა არ შემიძლია.

ნინო:

— ყველანაირი ჟანრის მუსიკას ვუსმენ. ხშირად ვცეკვავ კიდეც... მინდა ვთქვა, რომ რეპი საქართველოში — მარაზმია, მაგრამ შენ რაღაც სხვა მიმართულება აირჩიე რეპში. რაღაცნაირად, ქართულს მიუსადაგე, მოარგე. მოკლედ, კარგად „გაქაჩე“...

— რამდენად სპორტულები ხართ?

ნანუკა:

— დრო სპორტისთვის ნაკლებად მრჩება.

ნინო:

— ბავშვობაში დავდიოდი კალათბურთზე, წყალბურთზე, ცურვაზე, ტანვარჯიშზე. ახლა ვარჯიშისთვის დრო არ მრჩება.

ნანუკა:

— სამსახურის შემდეგ, ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ, მაგრამ ამას სტაბილურად ვერ ვახერხებ. უქმე დღეებში აუზზე დავდივარ. სპორტით რომ იყო დაკავებული — ეს მაინც სურვილიდან გამომდინარეობს. სპორტულად უნდა იცხოვრო რაც ხან გამოდის, ხან — არა.

— თქვენი ცხოვრებით, საქმიანობით კმაყოფილები თუ ხართ?

ნინო:

— ამჟამად — კი. საოცარ რეჟიმში ცხოვრება მიწევს: დილის 10-ის ნახევრიდან ღამემდე წუთი არ გვაქვს თავისუფალი. შენ თუ იმუშავებდი „რუსთავი 2-ში“, ასეთ რეჟიმს გაუძლებდი?

— ადამიანი რასაც აკეთებ, ის თუ გსიამოვნებს, ალბათ, ყველაფერს შეძლებ. ხანახან მეც ვიღლები საქმიანობისგან და ვამბობ ხოლმე — წავალ, მძღოლად ვიმუშავებ-მეთქი. ასეთი აზრები მაწუხებს ხოლმე, მაგრამ შორიდან ალბათ, ყველაფერი სხვანაირად ჩანს...

ნინო:

— მენეჯერი თუ გყავს?

— კი, მყავს. მე ევროპიდან ვიმართები — გერმანიაში მყავს პროდიუსერი... ახლა ის მითხარით — როგორ ფიქრობთ, ქართული საზოგადოების კრიზისი რაში მდგომარეობს? არის თუ არა ეს მენტალიტეტის ბრალი?

ნინო:

— ბევრ რაღაცას უსაქმურობა იწვევს. დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ჩემი თაობის ადამიანები კაფე-კაფე სიარულსა და ჭორაობას ვერ ელევიან. არ მჯერა, რომ მათ თავი ვერ დაისაქმეს. ვისაც სურვილი აქვს რომ იმუშაოს, იმას უმართლებს.

— გეთანხმები. სახლში კომპიუტერს რომ ჩაჯრთავ, „მოვარდება“ რაღაც „იდიოტი“ იდეა, მოსვენებას არ მაძლევს... მინდა თუ არ მინდა, ჩემს საქმეს ვაკეთებ. ზოგჯერ იდეა, მუზა ღამეც მაღვიძებს...

ნინო:

— ამისთვის ღმერთს მადლობა შესწირე. ჯობია, საქმემ დაგღალოს, ვიდრე უსაქმურობამ.

■

ფიგურინი - მსუნაგეული და ეფექტური საშუალება ჭარბი წონის ტოქსიკისთვის

- სწრაფად და უსაფრთხოდ ახდენს სხეულის ტოქსიკის
- აქვეითებს მადას და პრ საჭიროებს მკაცრ დიეტას
- შლის სხიმებს, ზედმეტი ფიზიკური დატვირთვის გარეშე

სრულყოფილი სხეულის ფორმულა!

დოზირება:
წონის გათვალისწინებით მიიღება 1 კაფსულა ორჯერ დღეში ან 2 კაფსულა ორჯერ დღეში, (კურსი 1 თვიდან 6 თვის ჩათვლით). პრეპარატი არ გამოიყენება ორსულობის და ლაქტაციის პერიოდში. სიფრთხილით ინიშნება ნაღვლ-კენჭოვანი დაავადების დროს. გთხოვთ მითითებულ დოზას ნუ გადააჭარბებთ.

გვერდითი მოვლენები:
მომატებული მგრძნობელობა პრეპარატში შემავალი რომელიმე კომპონენტის მიმართ.

უკუჩვენება:
ორსულობა და ლაქტაცია.
18 წლამდე ასაკი.

ყოველი კაფსულა შეიცავს:
პარკოსანი გუარას თესლები-30მგ.
ლოხა ბასმა (ნატურალური რკინის წყარო)-50მგ.
მრგვალფოთლიანი მრავალძარღვა-30მგ.
მჟავე ემბელიას ნაყოფი-20მგ.
დარფილფილის ნაყოფის მშრალი ექსტრაქტი-20მგ.
კოჭა-20მგ.; სამყე-250მგ.
ინდური ტყვიაბალახა-25მგ.
აკაცია კატეხუს მშრალი ექსტრაქტი-15მგ.
ტრიპალა (ემბელია, ტერმინალია ბელერიკა, ტერმინალია ჩებულა)-100მგ.

R- № 0003504

ყურადღებით გაეცანით საშკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას

PSP ჩემი ოჯახის აფთიაქი
აღმაშენებლის 148/III

აჯანტა ფარმა ლიმიტედი ინდოეთი

„კვანტრიშვილს სამი ტყვია ვესროლე, შემეძლო სხვებიც მეგვალა...“

90-იანი წლების ყველაზე გახმაურებული შეკვეთილი მკვლელობა გახსნილია

მოსკოვის პროკურატურამ ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ქართველი ბიზნესმენის — ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობის საქმე გახსნილად გამოაცხადა. რუსი სამართალდამცველების თქმით, გამოძიებით დადგინდა, რომ მკვლელობა შეკვეთილი იყო. გამოძიების ვერსიით, კვანტრიშვილის მოკვლა ცნობილი დაჯგუფების — „ორეხოვოს“ ლიდერმა — სერგეი ტიმოფეევმა, მეტსახელად სილვესტერმა შეუკვეთა. შემსრულებელი, როგორც გამოძიების შედეგად გაირკვა, შინაგანი ჯარების ყოფილი სამხედრო მოსამსახურე — 39 წლის ალექსეი კუზმინი, მეტსახელად ლიოშა სოლდატი აღმოჩნდა.

ცნობილი მომღერალი და ბიზნესმენი იოსებ კობზონი კვანტრიშვილთან გამოთხოვებისას

საქმის მასალებში აღნიშნულია, რომ კუზმინი მარტო არ მოქმედებდა. მას ორი დამხმარეც ჰყავდა. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ორივენი ყოფილი სამართალდამცველები არიან. ერთი ქალაქის რაიონულ სამართველოში, მეორე კი მილიციის განყოფილებაში მუშაობდა (მათ ვინაობას გამოძიება ამ ეტაპზე არ ამჟღავნებს). მოსკოვის ქალაქის პროკურატურის ცნობით, კუზმინი და მისი თანამზრახველები 12 სხვადასხვა დანაშაულში — მკვლელობებსა და თავდასხმებში (მათ შორის კომპანია, „რუსკოე ზოლოტოს“ ხელმძღვანელზე — ალექსანდრ ტარანცევზე თავდასხმაშიც) არიან ბრალდებულები.

ოთარ კვანტრიშვილი მოსკოვში მოღვაწეობდა და ის „ასოციაცია XXI-ე საუკუნისა“ და სპორტსმენთა სოციალური დაცვის ფონდის თავმჯდომარე გახლდათ. სნაიპერული ცეცხლსასროლი იარაღიდან მას 1994 წლის 5 აპრილს ესროლეს. მკვლელი მას იმ აბანოსთან ჩაუსაფრდა, სადაც კვანტრიშვილი რეგულარულად დადიოდა. მისი დღის განრიგი, რა თქმა უნდა, წინასწარ ჰქონდათ შესწავლილი. კვანტრიშვილი აბანოს შენობაში შედიოდა, როცა მოულოდნელად სნაიპერის მიერ გასროლილი ტყვია მოხვდა. ქართველი ბიზნესმენი შენობის ზღურბლთან უსულოდ დაეცა...

მკვლელობის საქმის გახსნა რუსმა სამართალდამცველებმა მომხდარი ფაქტიდან მხოლოდ 12 წლის შემდეგ შეძლეს. აღსანიშნავია, რომ 1994 წელს, სხვა დანაშაულისთვის მსჯავრდებულმა, ცნობილმა კილერმა — ალექსანდრ სოლონიკმა კვანტრიშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით სამართალდამცველებს აღიარებითი ჩვენება მისცა, თუმცა გამოძიებით ამ დანაშაულთან მისი კავშირი არ დადასტურდა. ამბობენ, რომ სოლონიკი მაშინ აიძულეს, დაეწერა ასეთი ჩვენება.

საქმემ წინ კუზმინის დაპატიმრების შემდეგ წაიწია. კუზმინი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე საშიში კრიმინალური დაჯგუფების ლიდერი, 2006 წლის 12 თებერვალს აიყვანეს. პროკურატურის ინფორმაციით, ის „ორეხოვო-მედვედკოვოს“ ცნობილ ბანდას მეთაურობდა. ამ კრიმინალურ დაჯგუფებას სამართალდამცველები „კილერების ბრიგადასაც“ უწოდებდნენ. ამბობენ, რომ მილიციელები კუზმინს და ბანდის სხვა ლიდერებს თუ წევრებს წლების მანძილზე დასდევდნენ, მაგრამ გახმაურებულ თუ გაუხმაურებელ მკვლელობებსა და სხვა სახის მძიმე დანაშაულებში ეჭვმიტანილებისა და ბრალდებულების ადგილსამყოფელს ვერაფრით ადგენდნენ. ბანდის წევრები არასდროს ჩერდებოდნენ დიდხანს ერთ ადგილზე, პერიოდულად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს, ძირითადად, ნაქირავებ ბინებში ცხოვრობდნენ, ატარებდნენ ყალბ დოკუმენტებს, იცვლიდნენ გვარებს და მობილური ტელეფონის ნომრებს...



მკვლელი — ლიოშა სოლდატი

კუზმინის კვალზე გასვლა მილიციამ მხოლოდ შარშან მოახერხა. სწორედ 2005 წელს კუზმინი პრესტიჟულ ადგილას მდებარე 15-სართულიანი შენობით დაინტერესდა. შენობაში ორგანიზაცია — „ფიზიკოსი“ დაარსების დღიდან მრავალი წლის მანძილზე გახლდათ განთავსებული. აღნიშნულ შენობასთან დაკავშირებით, ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და ბიზნესით დაინტერესებულ კრიმინალებს შორის, დავა გაიმართა. ამ დავის წყალობით, პროკურატურა კუზმინის კვალს დაადგა...

დაკავებისას, კუზმინისა და მის თანამზრახველებს ცეცხლსასროლი იარაღი აღმოაჩნდათ, მათი საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას კი, მილიციამ სხვადასხვა ტიპის იარაღთან ერთად, დიდი რაოდენობით საბრძოლო მასალაც იპოვა.

გამოძიებით გაირკვა, რომ ცნობილი სპორტსმენისა და ბიზნესმენის, ოთარ კვანტრიშვილის ლიკვიდაციის შესახებ ბრძანება კუზმინმა უშიშროების ყოფილი თანამშრომლისგან (წოდებით უფროსი ლეიტენანტი), იმ დროისთვის კი „ორეხოვოს“ ბანდის ლიდერისგან — გრიგორი გუსიატინსკისგან (მეტსახელად გრიშა სევერნი) მიიღო. თავად გუსიატინსკის კი, კვანტრიშვილის მკვლელობის საქმის ორგანიზება ბანდის „ნათლიად“ აღიარებულმა სილვესტერმა დაავალა. სამართალდამცველები ამბობენ, რომ ამ ეტაპზე მკვლელობის მოტივი გაურკვეველია.

მომხდარი ფაქტიდან რამდენიმე დღეში, დანაშაულთან დაკავშირებით, ერთბაშად სამი ვერსია გავრცელდა: ერთის თანახმად, კვანტრიშვილის მკვლელობა ჩეჩნების მიერ იყო ორგანიზებული, მეორე ვერსიის მიხედვით, კვანტრიშვილი მის მიერ 1993 წელს დაარსებული პარტიის — „რუსეთის სპორტსმენების“ საქმიანობას შეეწირა, მესამე ვერსიით — ბიზნესმენის მკვლელობა რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებმა შეუკვეთეს... გამოითქვა აზრიც, რომ კვანტრიშვილი სასტუმრო „კოსმოსის“ აქციების გამო მოკლეს, მილიცია მკვლელს ბიზნესმე-

ნის საქმიან პარტნიორებს შორის ეძებდა...

ქვეყნდებოდა საგაზეთო პუბლიკაციები იმასთან დაკავშირებითაც, რომ კვანტრიშვილი ლევ იაშინის სახელობის, სპორტსმენთა სოციალური დაცვის ფონდის (რომელსაც თავად ხელმძღვანელობდა) საქმიანობას შეეწირა. ამ ვერსიის თანახმად, ფონდის ფინანსებით სხვადასხვა კრიმინალური დაჯგუფება იყო დაინტერესებული. 1998 წელს, Kremliovskaia group-ის ბელგიელი დამფუძნებლის — რაშმიელ ბრანდვაინის მკვლელობის შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კვანტრიშვილი საერთაშორისო ნარკობიზნესში იყო გარეული და მისი ლიკვიდაციაც სწორედ ამ საქმიანობისას შექმნილ უთანხმოებას მოჰყვა შედეგად. ვერსიის თანახმად, ბრანდვაინი და კვანტრიშვილი პარტნიორები იყვნენ, ისინი ნარკოტიკული ნივთიერების დიდ პარტიებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში აგზავნიდნენ სარეალიზაციოდ...

აღსანიშნავია ისიც, რომ კვანტრიშვილის მკვლელობამდე რვა თვით ადრე, მისი ძმა მოკლეს. დანაშაული დღემდე გაუხსნელია. ოთარ კვანტრიშვილის მკვლელობიდან წელიწად-ნახევრის შემდეგ — 1995 წლის 13 სექტემბერს, სილვესტერი საკუთარ „მერსედესში“ ააფეთქეს. მოკლეს გუსიატინსკიც. ამჟამად სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ ყველა ამ ფაქტს სილვესტერისა და კვანტრიშვილის კონფლიქტი უდევს საფუძვლად.

ცნობილია, რომ 1994 წელს, რუსეთის იმდროინდელმა პრეზიდენტმა — ბორის ელცინმა არყის, სიგარეტისა და ნავთობპროდუქტების საექსპორტო კომპანიის შექმნის შესახებ გასცა განკარგულება. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ კომპანიისთვის სწორედ კვანტრიშვილს უნდა ეხელმძღვანელა. ამბობენ, რომ მაშინ, ეს ძალიან არ მოეწონათ მსხვილი კომერციული სტრუქტურების ხელმძღვანელ პირებს, ასევე „შავი სამყაროს“ ავტორიტეტებს, რომლებიც იმ დროს, ფაქტობრივად, ქვეყანაში ბიზნესს აკონტროლებდნენ...

ამ ვერსიის თანახმად, კვანტრიშვილსა და ცნობილ კრიმინალს საერთო ბიზნესინტერესები აღმოაჩნდათ, ვერ შეთანხმდნენ და მათ შორის უთანხმოება წარმოიშვა. კრიმინალებმაც არ დააყოვნეს და ურჩი ქართველი ბიზნესმენი თავიდან მოიშორეს.

„მიბრძანეს, არავინ დამენდო კვანტრიშვილის გარემოცვიდან, უნდა მომეკლა ყველა, ვინც კი წინააღმდეგობას გამიწევდა. გამოჩნდა თუ არა აბანოსთან, მას ზედიზედ სამი ტყვია ვესროლე. კვანტრიშვილს პირადი დაცვა ახლდა. დაცვის წევრებმა საპასუხო ცეცხლი გახსნეს. შემეძლო, ისინიც მომეკლა, რადგან ვერ მხედავდნენ, მე კი, იარაღში კიდევ რვა ტყვია მქონდა დარჩენილი. ამის მიუხედავად, აღარ ვისროლე. ყოველთვის გავურბივარ ზედმეტ მსხვერპლს...“— ასეთი ჩვენება მისცა გამოძიებას ლიოშა სოლდატმა...

■

60 წლის მასნავლებელი ყოფილმა მოსწავლემ გააუპატიურა

„...მაშინ გადავწყვიტე მისი მოკვლაც...“

18 წლის ზაზა პაპაშვილი (ყველა გვარ-სახელი შეცვლილია) პოლიციამ საზარელი დანაშაულის ჩადენიდან მეორე დღეს დააკავა. სამართალდამცველებმა მას შინ, დილით მიაკითხეს. ამ დროს, ზაზას მშვიდად ეძინა. გაღვიძებულს, არაფერი გაჰკვირვებია, როგორც ჩანს, პოლიციელთა „სტუმრობა“ მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. როცა უთხრეს, რომ ადამიანის მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი და ხელბორკილებიც დაადეს, წინააღმდეგობა არ გაუწევია, მხოლოდ ის თქვა, რომ ჩადენილ დანაშაულს მთლიანად აღიარებს...

გამოძიებას მან სადისტური დანაშაულის შესახებ დეტალური ჩვენება მისცა. ჩვენების მიხედვით, მკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე, მან თავისი მსხვერპლ სცემა, შემდეგ გააუპატიურა, ბოლოს, მისი მოკვლაც გადაწყვიტა...

ეჭვმიტანილის სიტყვები სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამაც დაადასტურა. მოკლულის გვამზე ძალადობის კვალი აშკარად შეინიშნებოდა. სისხლნაჟღენთები სხეულის სხვადასხვა ადგილზე დაფიქსირდა. მსხვერპლს დაზიანებები ეტყობოდა როგორც ტანზე, ასევე სახის არეშიც. ექსპერტების თქმით, მას თავი ბასრი იარაღის დარტყმის შედეგად ჰქონდა გაპობილი. თავის ტვინის დიდი ნაწილი გარეთ იყო გადმონთხეული; დაფიქსირდა თავის ქალის სარქვლისა და ფუძის ძვლის მოტეხილობაც. ეჭვმიტანილმა ჩვენებაში აღნიშნა, რომ თავდაპირველად, მან მსხვერპლს თავში მაგრად ჩაარტყა მოზრდილი ქვა; რაც შეეხება ბასრ იარაღს — შეშის საპობი ნაჯახი აღმოჩნდა...

პროკურატურამ ზაზა პაპაშვილს შესაბამისი მუხლებით, მათ შორის — განზრახ, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის მუხლით წაუყენა ბრალი. გაირკვა ისიც, რომ ზაზასთვის ეს პირველი დანაშაული არ გახლდათ: 14 წლის ასაკში, ის სექსუალური ხასიათის დანაშაულისთვის გაასამართლეს. განაჩენის მიხედვით, ზაზამ 6 წლის გოგონასთან, გაუკუღმართებული სექსუალური ქმედება ჩაიდინა. მაშინ, მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ შრომა-აღმზრდელობით კოლონიაში მოხდით. მოგვიანებით, შეფარდებული სასჯელი პირობით ჩაუთვალეს და გამოსაცდელ ვადად, 2 წელი დაუნიშნეს. ჩადენილი დანაშაული ზაზამ მაშინაც აღიარა...

დამნაშავე, სტუდენტი გოგონათი დაინტერესდა

პირობითი სასჯელის ვადის ამოწურვიდან რამდენიმე თვეში, კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა: ზაზა მშობლებთან ერთად, თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ ზაფხულში დროებით, სოფელში გაემგზავრა. რამდენიმე კვირა მას ბიძის ოჯახში უნდა გაეტარებინა. ერთ საღამოს, ბიძის თანასოფლელებთან ერთად იქეიფა, ღვინო მალე მოერია და ძალიან დათვრა. დაახლოებით 10 საათისთვის, ერთ-ერთი მეზობლის სახლში მივიდა. ოჯახის უფროსს — ემზარ ტოკლიკიშვილს უთხრა, რომ ნაჯახის ტარი სჭირდებოდა, რადგან ბიძას შეშის დაპობაში დახმარება აღუთქვა. ტოკლიკიშვილმა უარი უთხრა. აუხსნა, რომ უკვე ძალიან გვიანი იყო, ტარი დასამზადებელი ჰქონდა და სთხოვა, მეორე დღეს მისულიყო მასთან. თან დასძინა — თავს შეუძლოდ ვგრძნობ, გამოვჯანმრთელდები თუ არა, ტარს დავამზადებ და შეგატყობინებო. ჩვენებაში, მოწმის სახით დაკითხული ტოკლიკიშვილი აღნიშნავს, რომ ზაზას მაშინვე შეატყო განაწყენება.

აღნიშნული დიალოგის დროს, ზაზამ ტოკლიკიშვილის ეზოში ახალგაზრდა გოგონას მოჰკრა თვალი. თუმცა, მაშინ არაფერი უთქვამს, უსიტყვოდ დატოვა იქაურობა და შინისკენ წავიდა. გზაში მეზობელი შეხვდა და მას ჰკითხა გოგონას ვინაობა. მეზობელმა უთხრა, რომ ის ემზარ ტოკლიკიშვილის ქალიშვილი იყო. გოგონა თბილისში, უნივერსიტეტში სწავლობდა და მშობლებთან არდადეგებზე იყო ჩასული. შინ დაბრუნებულ ზაზას, ოჯახის წევრები არ დახვდნენ. მარტომ დალია კიდევ რამდენიმე ჭიქა ღვინო და ცოტა ხანში, ტოკლიკიშვილების სახლში მიბრუნება გადაწყვიტა. თავის ჩვენებაში წერს, რომ სურდა, გოგონა სახლიდან გამოეყვანა და მასთან უბრალოდ, ესაუბრა...

როცა იქ მივიდა, უკვე საღამოს 11 საათი სრულდებოდა. ოჯახის წევრები დასაძინებლად ემზადებოდნენ. ზაზა ეზოში ჩუმად შეიპარა, საძინებლის ფანჯარასთან მივიდა და ფანჯრის მინაზე დააფხაჭუნა. ამით გოგონას ყურადღების მიპყ-

რობას შეეცადა. მიზანს რომ ვერ მიაღწია, ფანჯარაზე ბრახუნი ატეხა და ამის შედეგად, მინა ჩაამსხვრია. ამის შემდეგ, დიდი ქვა აიღო და სახლში შესასვლელ კარს ესროლა. ხმაურზე ემზარ ტოკლიკიშვილი გამოვიდა გარეთ. მისი დანახვისთანავე, ზაზამ კიდევ ერთი ქვა მოიმარჯვა და როცა ოჯახის უფროსი მიუახლოვდა, მას პირდაპირ თავში ჩაარტყა. ემზარ ტოკლიკიშვილი უგონოდ დავარდა. აღშფოთებულმა ოჯახის წევრებმა კივილი მორთეს. ზაზა სასწრაფოდ გაიქცა იქიდან და მიიმალა. დაზარალებულმა პოლიციაში იჩივლა, მაგრამ ზაზა გამოძიებას თავს არიდებდა...

მსხვერპლს ჯერ წინ გაუსწრო, შემდეგ – ჩაუსაფრდა...

მორიგი დანაშაული თბილისში ჩაიდინა. ზაზა მშობლებთან ერთად გარეუბანში ცხოვრობდა. იმ დღეს, თავის ძმას იმავე უბანში მცხოვრები მარტოხელა ნათესავი ქალის სახლში გაჰყვა. იანვარი იყო და მოხუც ქალს გასათბობად, შეშის დაჩეხა უნდოდა. დახმარება ძმებს სთხოვა. ზაზამ ნაჯახი შინიდან წაიღო. როცა შეშის ჩეხას მორჩნენ, მასპინძელმა სუფრა გაშალა. ვახშმობისას, ძმებმა რამდენიმე ჭიქა არაყიც დალიეს. ცოტა ხანში, ზაზამ საპირფარეშოში გასვლა მოიმიზეზა და ეზოში გავიდა. ღობის იქით მან ხანში შესულ, სათვალიან ქალს და 13-14 წლის გოგონას მოჰკრა თვალი. კარგად რომ დააკვირდა, ქალი იცნო: ის იმ სკოლის უცხო ენის მასწავლებელი იყო, სადაც ადრე, ზაზა სწავლობდა. ამასობაში, გოგონა და ის ქალბატონი ერთმანეთს დასცილდნენ და ცალ-ცალკე განაგრძეს გზა. ზაზამ გადაწყვიტა, მარტოდ მიმავალ მასწავლებელს დასდევნებოდა. საქმის მასალებში წერია, რომ მან მაშინვე განიზრახა მისი გაუპატიურება... ზაზამ ეზოში დადებული თავისივე ნაჯახი აიღო და ქუჩაში გავიდა. მასწავლებელს — მანანა კაპანაძეს წინ გადაუსწრო, მოფარებული ადგილი შეარჩია და იქ ჩაუსაფრდა. რამდენიმე წუთში, იმ ადგილს მანანა კაპანაძეც მიუახლოვდა. ზაზამ ნაჯახის მუქარითა და ძალის გამოყენებით, ის გზიდან გადაიყვანა და დაახლოებით 20 მეტრში, ძველი შენობის ნანგრევებში შეიყვანა. ქალი მიწაზე წააქცია. მისგან წინააღმდეგობას რომ წააწყდა, მოზრდილი ქვა აიღო და კეფის არეში მაგრად ჩაარტყა. მანანა კაპანაძემ გონება დაკარგა, ზაზამაც, უმწეო ქალის მდგომარეობით ისარგებლა და გააუპატიურა იგი. ჟინი რომ დაიკმაყოფილა, ნაჯახი აიღო და ჯერ კისრის არეში, მეორედ კი — თავში ჩაარტყა მომაკვდავ ქალს. ის მაშინვე გარდაიცვალა...

„ვიცოდი, რომ ის ქალი გაუთხოვარი იყო"

დაკითხვისას, ბრალდებულმა სიმთვრალის ფაქტი უარყო. მაგრამ გამოძიების მასალების მიხედვით, გამოკვლევის შედეგად, მის სისხლში ალკოჰოლის შემცველობა დაფიქსირდა. ბრალდებულმა ისიც აღნიშნა, რომ გზაზე მან მხოლოდ მანანა კაპანაძე შენიშნა, მისი თანმხლები გოგონა კი, არ დაუნახავს. მკვლელობის ფაქტი იმით ახსნა, რომ შეეშინდა, მასწავლებელს ჩადენილ დანაშაულში არ ემხილებინა, თუმცა, დარწმუნებული არ იყო, რომ ქალმა ის იცნო...

ეჭვმიტანილის ჩვენებიდან:

„სუფრასთან დაახლოებით 10 წუთი ვიჯექი. არც ერთი ჭიქა არაყი არ დამილევია. სუფრიდან რომ წამოვდექი, უკვე შინ წასვლას ვაპირებდი. მასწავლებელი ქალი ჯერ კიდევ ეზოდან დავინახე. მარტო მიდიოდა და მაშინვე გადავწყვიტე, სადმე დავლოდებოდი, გადამეთრია და მასთან სქესობრივი კავშირი დამემყარებინა. მას ქმარი არასდროს ჰყოლია. ჩავუსაფრდი და როცა მომიახლოვდა, წინ გადავუდექი. არ ვიცი, მიცნო თუ არა. 60 წლამდე იქნებოდა, სათვალე ეკეთა და შავი პალტო ეცვა. მკითხა — რა გინდაო? ვუთხარი — გზიდან გადავიდეთ და აი, იმ ნანგრევებში შევიდეთ-მეთქი. ხელში შავი, ყვავილებიანი ხელჩანთა ეჭირა... ხელი ჩავავლე მკლავში და გზიდან ძალით გადავათრიე. ყვიროდა — ხელი გამიშვი!.. ნაჯახი დავანახვე, ვუთხარი — ნუ ყვირი და რასაც გეტყვი, ის გააკეთე, თორემ ამ ნაჯახით თავს წაგაჭრი-მეთქი. მაინც ყვიროდა, მთხოვდა, თავი დამენებებინა მისთვის და გამეშვა. მე არ ვეშვებოდი, ვეჭიდავებოდი. წინააღმდეგობას რომ მიწევდა, ქვა ჩავარტყი თავში. მან მაშინვე დაკარგა გრძნობა... გონს არ მოსულა, ისე დავამყარე მასთან სქესობრივი კონტაქტი. ამ დროს ის საშინლად ხრიალებდა. მაშინ გადავწყვიტე, მომეკლა, რადგან შემეშინდა, დანაშაულში არ ვემხილებინე..."

მოწმე **ევა დოლონაძის** ჩვენებიდან:

„ამ შემთხვევამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე მთხოვა მანანა მასწავლებელმა, მისი მეზობლის ყოფილი თანამშრომლის ოჯახში გავყოლოდი. მანანა მასწავლებლის მეზობელი მძიმე ავადმყოფი იყო, ლოგინად გახლდათ ჩავარდნილი, ნათესავებიც არ ჰყავდა და მას მანანა მასწავლებელი უვლიდა. იმ ქალის ყოფილ თანამშრომლებს მისთვის დახმარების ფული უნდა აეკრიბათ. მანანა მასწავლებელი ამბობდა — მათ ვერაფრით დავუკავშირდი, ერთ-ერთი სად ცხოვრობს, ვიცი და მიმყევი, ამბავი გავიგოთო. მანანა მასწავლებელი ჩემთან განსაკუთრებით ახლოს იყო, ოჯახებით ვახლობლობდით და მასთან ბევრ დროს ვატარებდი. იქ რომ მივედით, გვითხრეს, თანხა ჯერ სრულად არ არის აკრებილი და როცა მოვაგროვებთ, შეგატყობინებთო. ამის შემდეგ, დაახლოებით ერთი თვე გავიდა, მათგან კი არაფერი ისმოდა. ერთ დღეს, სკოლაში უცნობი ქალები მოვიდნენ, მანანა მასწავლებელი იკითხეს, ის კი არ იყო სამსახურში. უთქვამთ — ფული გვაქვს მისთვის გადასაცემი და იქნებ, თვითონ მოაკითხოსო. ეს რომ გავიგე, მაშინვე, მანანა მასწავლებელთან გავიქეცი და ამბავი შევატყობინე. ძალიან გაუხარდა, სიხარულით ლოყაზე მაკოცა და მითხრა, ამ საღამოსვე წავიდეთ, მოხუცს ეს ფული ძალიან სჭირდება და დრო არ დავკარგოთო. მანამდე, ჩემთან სახლში შევიარეთ, ვისადილეთ. დედამ მას მურაბები და ხილი ჩაუწყო ქსოვილის, ყვავილებიან ხელჩანთაში, უთხრა — ჩემი დამზადებული კონსერვებია და მიირთვითო... რომ მივედით, მოგვიბოდიშეს თანხის დაგვიანების გამო და ფული მოგვცეს. უკან რომ ვბრუნდებოდით, მანანა მასწავლებელმა მითხრა — შენ სახლში წადი, მე ერთ ნაცნობთან შევივლი და იქიდან წავალ შინო. უკვე ბნელდებოდა და შევთავაზე გაცილება, მაგრამ არ მინდაო, მითხრა. მას შემდეგ ის არ მინახავს... მეორე დღეს მითხრეს, რომ მანანა მასწავლებელი მოკლეს..."

„სექსუალური მანიაკია... ის დანაშაულს წინასწარ გეგმავს"

სასამართლო პროცესზე განსასჯელის ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფის ფსიქიატრიული ექსპერტიზის განმეორებით ჩატარება მოითხოვა. ზაზა პაპაშვილის ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევის საკითხი წინასწარი გამოძიების პერიოდშიც დადგა, მაგრამ მაშინ ექსპერტებმა თქვეს, რომ ბრალდებული შერაცხადი იყო, დანაშაულის ჩადენის მომენტში სავსებით აცნობიერებდა თავის ქმედებასა და მოსალოდნელ შედეგს. განმეორებითი ექსპერტიზაც ჩატარდა. დასკვნა იმავე შინაარსის იყო. დაზარალებულის მხარე აცხადებდა, რომ დაცვის მხარე განსასჯელის შეურაცხადად გამოცხადებას ცდილობდა, რათა მისთვის პასუხისგება აერიდებინა. *„სექსუალური მანიაკია, რომელიც შესანიშნავად აცნობიერებს თავის ქმედებას, წინასწარ გეგმავს დანაშაულს, სპეციალურად ემზადება და შემდეგ, გეგმის მიხედვით ახორციელებს მას"*, — აცხადებდნენ მოკლულის ნათესავები სასამართლო პროცესზე.

განსასჯელის ნათესავები პროცესს არ დასწრებიან, თუმცა წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში წერდნენ, რომ ზაზასთვის არავითარი უცნაურობა არ შეუმჩნევიათ. *„არც ცუდი სიმთვრალე სჩვეოდა. გულჩათხრობილი იყო, მაგრამ შრომა უყვარდა. ყოველთვის მზად იყო, დაგხმარებოდა, არაფერს დაიზარებდა..."* — ასე ახასიათებს მას ერთ-ერთი მოწმე.

პროკურატურამ ტოკლიკიშვილის სხეულის განზრახ დაზიანებასა და კაპანაძის გაუპატიურება-მკვლელობის ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეები გააერთიანა. სასამართლომ ბრალდება დაადასტურა და 18 წლის ზაზა პაპაშვილი დამნაშავედ ცნო. ჩადენილი დანაშაულისთვის მას 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით. ■

ასეთი არაფერი მინახავს

საბედისწერო „ცამეტი“ და რა ღირს „აი, აქ გააჩერე“

რაც წინა კვირაში ვიხილე, ასეთი მართლა არაფერი მინახავს. მთელი მსოფლიო ფეხბურთმა გადარია. მათ შორის, ქართველებიც. დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ყველა ეკრანსაა მიჯაჭვული და სახეზე ნერვიულობა აღბეჭდვია. უფრო იღბლიანი გულშემატკივრები კი, გერმანიაში გაემგზავრნენ და უშუალოდ, სტადიონზე ღვრიან ოფლს. ფან-კლუბები, თავის საყვარელ ნაკრებს გულშემატ-კივრობენ, მათი მაისურები ჩაუცვამთ, შტაბბინებიც კი შეუქმნიათ და სხვა გუნდების ფანების გადმობირებასაც ცდილობენ, ერთმანეთის შტაბბინაში „შპიონს“ აგზავნიან და დროშის მოპარვას ავალებენ... „გაუმარჯოს არგენტინას!“ „გაუმარჯოს გერმანიას!“ — გაყვირიან და დროებით ავიწყდებათ, რომ არც ერთია არგენტინელი, არც მეორე — გერმანელი“. „ყველანი იმ ბედკრული საქართველოს შვილები არიან“, რომლის საზღვრის გადაკვეთისას, შესაძლოა, სწორედ ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდნენ, როგორ-შიც ჩვენი პირველი რესპონდენტი.

მარი ჯაფარიძე

ჯომპრომატი

„შარშან ზაფხულს, სხვა ქვეყანაში მივემგზავრებოდი (თავს შევიკავებ დასახ-ელებისგან). საზღვრის გადაკვეთისას, მგზავრების ბარგს, გულდასმით ჩხრეკ-ენ. ნელა, ზლაზვნით მოემართებოდნენ ჩემკენ და ჩემ წინ მდგომებს ათას სულე-ლურ შეკითხვას უსვამდნენ. თითოეულ ნივთს სათითაოდ უმოწმებდნენ. მათ საქციელზე ნერვები მეშლებოდა, თან-დათან ვღიზიანდებოდი და ვფიქრობ-დი, რომ თუ მეც გამიწყალებდნენ გულს შეკითხვებით, პასუხის ღირსადაც არ გავხდიდი. როგორც იქნა, ჩემამდეც მოაღწიეს. სავარძლის ქვემოდან ჩანთა გამოვაძვრინე და შესაკრავი გავხსენი. რა თქმა უნდა, თავფეხებიანად ჩაძვრნენ შიგ. — ეს რა არის? — ისე მკითხა ერთმა მესაზღვრემ, თითქოს ვიდეოკამერის კასეტები ცხოვრებაში პირველად ნახა. — კასეტები. — ვპასუხობ და ვცდი-ლობ, რომ მოთმინებამ არ მიღალატოს. — ამდენი რად გინდა? რეჟისორი ხარ? — რეჟისორი კი არა, ოპერატორი, — ვეუბნები და უფრო ვბრაზდები მათ უვიცობაზე. — უნდა გადაიღო? ცარი-ელია? რაიმე მაკომპრომეტირებელი მასალა ხომ არ არის ჩაწერილი? — აქ უკვე გამიწყდა მოთმინების ძაფი და მივახალე: — კი, როგორ არა, ჩვენი პრეზიდენტია შიშვლად გადაღებული-მეთქი. — შემომხედეს და ერთი მათ-განი მეუბნება: — მერე? შენ გგონია, ჩვენი პრეზიდენტის შიშვლად გადაღე-ბა კომპრომატია? — აი, ასეთი მარ-თლაც არაფერი მინახავს...“

„თქვენ იაბინებით?“

„გამარჯობა, „გზავ!“ როგორ ხართ? ჯიგრები ხართ, ყველანი. მარი, იმედია, არც ამჯერად გამაწბილებ და ჩემს მესიჯს დაბეჭდავ. ამბავი, რომელსაც ახლა მოგიყვებით, ქალაქის ყვითელ ავტობუს-ში გადამხდა თავს. ზამთარი იყო და ძალიან ციოდა. მთელი საათი ველოდე ავტობუსს და როგორც იქნა, მოვიდა. ტრანსპორტი ხალხით იყო გადაჭედილი, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ფანჯარასთან ერთადერთი ადგილი თავისუფალი გახლდათ. გვერდ-ითა სკამზე კი, არცთუ ისე ასაკოვან მა-მაკაცს ეძინა. გამიკვირდა, ცარიელი ადგ-ილი რომ შევნიშნე და როგორც იქნა, იქამდე მივაღწიე. ახლოს მისვლის შემ-დეგ მივხვდი, თუ რატომ არ სხდებოდნენ იმ სკამზე — კუთხეში ძაღლი მიკუნჭულიყო და ისიც თვლემდა. როგორც ჩანს, შეს-ცივდა და თავი ავტობუსს შეაფარა. ძალიან დაღლილი ვიყავი და ვიფიქრე — გამ-ოველაპარაკები, მივეფერები და თუ არ შემიღრინა, მერე დავჯდები-მეთქი. და-ვიხარე და ცუგრიას შევეკითხე: — პატ-არავ, შენთან რომ დავჯდე, ხომ არ მიკ-ბენ? — გვერდითა სკამზე მჯდომმა კაცმა გაიღვიძა, შემომხედა, თვალები დაახამხა-მა და მომიგო: — როგორ გეკადრებათ, ქალბატონო, მე არ ვიკბინები, დაბრძან-დითო... ხალხი ახარხარდა. ასეთი მარ-თლაც არაფერი უნახავთ, ალბათ“.

ვისია საცვლები?

„მართლაც, ისეთი არაფერი მინახავს, რაც ჩემს მეზობელს დაემართა. ჩემ ქვევით, ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ცხ-ოვრობს. ერთი შვილი ჰყავთ. კაცი მთე-ლი დღის განმავლობაში ლოთობდა, ცოლი კი, წელში წყდებოდა, რომ ოჯახი შეენახა. სულ ამ საკითხის გამო კამათო-ბდნენ. თანაც, კაცს ქალებში გაგრიალე-ბაც უყვარს და ეჭვიანობის გამო, ერთ-მანეთს ჭამდნენ. ამ ქალის ცოდვით დავი-წვი. უკვე რამდენიმე წელია, ჩვენთან ცხოვ-რობენ, მაგრამ ნინო ისეთი გადაღლილი ბრუნდება ხოლმე შინ, რომ მეზობლებს წესიერად არც კი გვიცნობს. ერთხელ, დილაუთენია, მათი სახლიდან, ჩხუბის ხმა გამოვიდა, ლამის დახოცეს ერთმანეთი. ქალი ედავებოდა, ლაშა თავს იმართლებ-და. მერე ნინო ატირდა და ქმარი აწყ-ნარებდა... კარგა ხანს იჩხუბეს, იდავეს და დაწყნარდნენ. ამის შემდეგ, გავიდა ხანი და კაცმა მუშაობა დაიწყო, სასმელს საერთოდ აღარ ეკარებოდა, ცოლ-ქმარი შეხმატკბილებულად ცხოვრობდა, სასეირნოდაც დადიოდნენ და ერთმა-ნეთს თვალებში შესცქეროდნენ. მიხარ-ოდა, რომ როგორც იქნა, ყველაფერი დაწყნარდა, მაგრამ არეული ოჯახის დამშვიდების მიზეზს ვერ ვხვდებოდი. ერთ დღეს, ჩემი ქმარი და ლაშა ჩვენთან ტელევიზორს უყურებდნენ და ლუდს სვამდნენ. ჩემმა ქმარმა შესთავაზა: — მა-ღაზიიდან არაყს მოვატანინებ და თითო ჭიქა გადავკრათო. ლაშამ ხელები გაასავსავა — აღარ ვსვამო და აი, რა გვიამბო: ხომ გახსოვთ, რომ ყოველდღე

ვსვამდი? სასმელს კარგად ვიტანდი, მაგრამ ბოლოს მაგრად ავურიე. ერთხელ, ცოლი შინ იყო, მე კი, მთვრალმა, სახლში ვიღაც ბოზი მივიყვანე — როგორც ჩანს, ჩუმად შევიყვანე ცალკე ოთახში, დილით კი, ისე გავაპარე, რომ ცოლს არაფერი გაუგია. სიმართლე გითხრა, არც მე მახსოვს, რა მოხდა იმ ღამით, ან ვინ იყო ის ქალი და დილით მის არსებობასაც ვერ გავიხსენებდი, რომ არა მისი წითელი, „კრუჟავებიანი“ ლიფი და საცვალი, რომელიც აივნის კართან დაუყრია. ის მამაცხონებული, შიშველი წავიდა? ჩაეცვა თავისი საცვლები, ნინო ხომ ვერაფერს გაიგებდა? დილით, ოთახში შემოსულმა, ეს წითელ-წითელი რაღაცები რომ დაინახა, ისეთი ყვირილი მორთო, რომ მის დაწყნარებას კარგა ხანი დასჭირდა. ამის შემდეგ, გადავწყვიტე, აღარ დავლიო, რადგან კაცს ისიც არ გახსოვს, ვინ გყავდა სახლში მოთრეული, უკვე დროა, თავს მიხედო... ამ ამბავს რომ ვუსმენდი, გამახსენდა ჩემი წითელი საცვლები, რომლებიც აივანზე, სარეცხის თოკზე გავფინე და ღამით, ქარმა სადღაც გააფრიალა. დილით ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერსად მივაგენი. თურმე, მათ აივანზე „შეფრენილა“ და კეთილი საქმეც გაუკეთებია. აბა, ლაშასთან ამას როგორ ვიტყოდი? ნინო დავიმარტოხელე და ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. რა თქმა უნდა, საცვლები ვეღარ დავიბრუნე, რადგან უკვე გადაყრილი იყო, მაგრამ სამაგიეროდ, ნინო დამშვიდდა და გულში ხინჯად ჩარჩენილი ამბავი დავიწყებას მისცა. ასე გამოვასწორე მეზობლის კაცი, საკუთარი საცვლებით“.

ხერხი სჯობია ღონესა...

„დედას გეფიცები, ასეთი მართლა არაფერი მინახავს. „მარშრუტკა“ მართლაც რომ მაგარი ტრანსპორტია. ერთხელ, იქ ძალიან მაგარი რაღაც ვნახე. მძღოლს სალონში განცხადება ჰქონდა გაკრული, სადაც უზარმაზარი ასოებით, შავით თეთრზე ეწერა: მგზავრობის ფასი — 50 თეთრი,

წინა სკამზე მგზავრობა — 1 ლარი,

რადიოტალღის შეცვლა — 50 თეთრი,

რადიოსთვის ხმის აწევა — 50 თეთრი,

ხმის დაწევა — 50 თეთრი,

„აი, აქ გააჩერე“ — 1 ლარი,

„დაუჩქარე, თუ შეიძლება“ — ფასი შეთანხმებით...

აი, ასეთი განცხადება ჰქონდა მძღოლს და მიდიოდა კაცი თავისთვის, წყნარად, რასაც უნდოდა, იმას უსმენდა და არავინ უწყალებდა გულს, გადართე-გადმორთე და აუწიე-დაუწიეს ძახილით. ამას მოფიქრება ხომ უნდა?“

„მოინგლისურე“ ბებო

„გამარჯობა! ინგლისიდან გიმესიჯებთ. უკვე 7 წელია, აქ ვცხოვრობ და საკმაოდ კარგი სამსახური მაქვს, შარშან ზაფხულს, საქართველოში გახლდით ჩამოსული შვებულებით და საკმაოდ მონატრებულ თბილისს „ჩავეხუტე“. მაგარია საქართველო, მანდ ყოფნას რა სჯობია, მაგრამ როცა სამსახური არ გაქვს და ყოველ დილით იმაზე ფიქრობ, საიდან მოუტანო ოჯახს სასმელ-საჭმელი, მაშინ ქვეყნის სილამაზეს ვერ ხედავ და არც არის გასაკვირი... მარი, მანდ რომ ვიყავი, „გზა“ მაშინ ვნახე, „გზავნილები“ მაგრად მომეწონა და ხშირად გიმესიჯებდით კიდეც. წამოსვლისას, ოჯახს ვთხოვე, რომ ჟურნალები გამოეგზავნათ და ახლა თვეში ერთხელ, ქართულ პრესას ვიღებ. მართალია, უკვე ძველ ინფორმაციებს ვეცნობი, მაგრამ მაინც მაგარია. ახლა კი ძირითად თემაზე გადავალ. შარშან, თბილისში ყოფნის ვადა რომ მეწურებოდა, წამოსვლა აღარ მინდოდა. სამსახურში დავრეკე და ვთხოვე, რომ 2 კვირით შვებულება გაეგრძელებინათ. რა თქმა უნდა, უფროსის გარეშე ამას ვერ მოვახერხებდი. მდივანმა გოგონამ მითხრა, რომ დამირეკავდა და შემატყობინებდა — მომცემდა თუ არა უფროსი დარჩენის ნებას. ზარს გამუდმებით ველოდი, მაგრამ ერთ საღამოს, შინიდან გასვლამ მომიწია. შინ მოხუცი ბებო მყავს, რომელმაც რა თქმა უნდა, ინგლისური არ იცის. ვთხოვე, თუ დარეკავენ, ყურმილს ნუ აიღებ, ავტომოპასუხეზე ამბავს დამიტოვებენ-მეთქი. შეიცხადა — რას ამბობ, ზარს ველი, აბა, როგორ შეიძლება, რომ არ ვუპასუხოო. ავდექი და ქართული ასოებით ინგლისური ტექსტი დავუტოვე: — გამარჯობა, მე მიშიკოს ბებია ვარ, ინგლისური არ ვიცი, მე ყურმილს დავდებ, თქვენ კი, „გადმორეკეთ“ და შეტყობინება დატოვეთ. რამდენჯერმე წავაკითხე და წავედი. მეორე დღეს, როგორც იქნა, დამირეკეს. მდივანი გოგონა გადარეული იყო. გუშინ საღამოს შენმა ბებომ გამაგიჟაო. თურმე დაურეკავს, ბებოს უპასუხია, როგორც დავარიგე და ყურმილი დაუდვია. რომ „გადმოურეკავთ“, ისევ უპასუხია და ასე განმეორებულა 8-ჯერ! აი, ასეთი „მოინგლისურე“ ბებო მყავს, რომელიც ძალიან მენატრება და მინდა, მოკითხვა გადავცე“.

ლოგიკა აუცილებელია

„წინათ, უმაღლეს სასწავლებლებში, ზოგიერთ ფაკულტეტზე, მხოლოდ ერთი სემესტრის განმავლობაში ისწავლებოდა საგანი — „ლოგიკა,“ რომელსაც უცნაური კაცი — ანტონი გვასწავლიდა. ის ძალიან მკაცრი ლექტორი გახლდათ და მუდამ ჭირდა მისი საგნის ჩაბარება. ძალიან მეზარებოდა სწავლა. კარგი აზრი მომივიდა და გადავწყვიტე — განმეხორციელებინა. ავდექი და მხოლოდ მე-13 ბილეთი ვისწავლე. გამოცდის წინ, ანტონმა აუდიტორიაში შეგვიყვანა და გამოგვიცხადა: — ახლა ყველანი გარეთ გახვალთ და სათითაოდ შემოხვალთ. ვინც ჩათვლის წიგნაკს ორიგინალური ხერხით მომიტანს, ისე, როგორც ეს არავის გაუკეთებია, „ხუთიანს“ დავუწერ, დანარჩენებმა კი, კეთილი ინებეთ და ბილეთზე მიპასუხეთო. საგონებელში ჩავცვივდით. ზოგმა რა მოიფიქრა, ზოგმა — რა, მაგრამ ლექტორმა ყველას ბილეთი ააღებინა. ავდექი და ხელებზე დამდგარი შევედი აუდიტორიაში, ჩათვლის წიგნაკი კბილებით მივუტანე. ამან არ გაჭრა — აბა, მჭედლიძევ, ბილეთი აიღეო... დავდექი მაგიდასთან და თავი მოვიქექე. ისღა დამრჩენოდა, რომ ჩემ მიერ გამოგონებული მეთოდით მემოქმედა. ავიღე ერთი ბილეთი და სასწრაფოდ დავაბრუნე. — რატომ დააბრუნე? — მეკითხება ანტონი. — ანტონ მასწ, მე-13 ნომერი იყო, თარსია... ბილეთები ავურიე და ერთი გამოვაძვრინე. ისიც უკან დავაბრუნე. ანტონმა სათვალის ზემოდან გამომხედა — რა იყო, მჭედლიძე? — ისევ მე-13 იყო, მასწ... ვუპასუხე და ისევ ავურიე ბილეთები. გამაჩერა, ყველა ბილეთი სათითაოდ ამოატრიალა, მოძებნა მე-13 ბილეთი და მომაწოდა. — რადგან ორჯერ ზედიზედ შეგხვდა, შენი ბედი ყოფილა, თარსი-მარსი არ ვიცი, დაჯექი და მოიფიქრეო... ხომ ხვდებით, რომ იმ გამოცდაში ხუთიანს მივიღებდი? ხოლო რაც შეეხება ჩათვლის წიგნაკის ორიგინალურად მიწოდების მეთოდს, მხოლოდ ერთმა მიიღო ასე ნიშანი — აუდიტორიის კარის ქვედა ნაწილსა და იატაკს შორის, საკმაოდ დიდი ადგილი იყო დარჩენილი. ჩვენმა მეგობარმა ჩათვლის წიგნაკი დერეფანში ძირს დადო, ფეხი მისცხო და ისე შეაგდო აუდიტორიაში. ჩვენ გავინაბეთ და სუნთქვაშეკრულები ველოდით ლექტორის რეაქციას. ცოტა ხნის შემდეგ, კარის ქვემოდან, ჩათვლის წიგნაკი უკანვე „გამოვარდა“ და შიგ „ხუთიანიც“ ეწერა“. აბა, ასეთი რამ გაგიგონიათ?“

ძველი ამბავი

„ერთ ამბავს მოგიყვებით, მამაჩემის „საფირმო“ ამბავი გახლავთ, რომელიც

თვითონ მას გადახდა თავს. მერწმუნეთ, ასეთს ვერსად მოისმენთ. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, მამაჩემი რაიკომის მდივნად მუშაობდა. ჰყავდა „გაზ-24“, რომელიც რომელიღაც ქვეყნის სელჩოს ჩამოუწერია და მხოლოდ იმიტომ იყიდა, რომ დიზელზე მუშაობდა. იმ წლებში, ასეთი რამ წარმოუდგენელი გახლდათ და არავინ იჯერებდა, რომ მანქანა „სალიარკაზე“ მუშაობდა. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, მამაჩემი და მისი მეგობარი რაიონიდან თბილისში მიდიოდნენ. გზაში საწვავი გაუთავდათ. გაჩერდნენ და სატვირთო მანქანებს ხელს უწევდნენ, რომ საწვავი ეთხოვათ. იმ პერიოდში, ხალხი გაცილებით კეთილი, ხელგაშლილი და გულუხვი იყო. უამრავი მსუბუქი მანქანა აჩერებდა და მძღოლები დახმარებას სთავაზობდნენ, მაგრამ ისინი, მხოლოდ დიდ მანქანებს აჩერებდნენ. როგორც იქნა, ერთმა სატვირთომ გააჩერა. მამა მისულა და „სალიარკა“ უთხოვია. სატვირთოში 2 მამაკაცი მჯდარა. ერთ-ერთს მთელი 20 ლიტრი „სალიარკა“ ჩამოუსხამს. თან უთქვამს: არ მენანება, კაცო, კიდევ რომ გაგიჩერდეს მანქანა, რა უნდა ქნა? „სალიარკას“ ასე იოლად კი ვერ იშოვიო. თან, ძმაკაცს თვალს უპაჭუნებდა — ვაი, ამათ პატრონსო... მამას კი, ჩუმად ეღიმებოდა მათ საქციელზე და არაფერს იმჩნევდა. როდესაც საწვავი ჩაუსხეს, სატვირთოს „შემადგენლობა“ ცოტა წინ წავიდა და გაჩერდა, რომ ეყურებინათ, როგორ დაქოქავდნენ მანქანას და ალბათ, ფიქრობდნენ, რომ კარგადაც იმხიარულებდნენ. მამამ კი, თურმე, ააბღუვლა მანქანა, ისე იქცეოდა, თითქოს, ვერ ქოქავდა, მერე, „გაბრაზებულმა“, საჭეს მუშტი დასცხო და მანქანიდან გადმოვიდა. სატვირთოში მყოფნი, სიცილით ერთმანეთს აწყდებოდნენ. მამას აუხდია საწვავის ავზის თავი და ისე დამდგარა, რომ შორიდან მაყურებელი იფიქრებდა, ავზში შარდავდა. შემდეგ, ჩამჯდარა მანქანაში და უცებ დაუქოქავს. წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდათ სატვირთოში მსხდომ მამაკაცებს. თურმე, მათი თვალები მანქანის ფარებზე უფრო გაფართოებული იყო...“

„ჟურდღელმა თქვა, ჩირგვში ვზივარ...“

„ასეთი მართლა არაფერი მინახავს, 43 წლის ქალი ვარ და სიყვარულმა ამ სიბერის მიჯნაზე მომიკაკუნა. ჩემზე ოდნავ უმცროსი, ცოლშვილიანი კაცი ისე შემიყვარდა, რომ მასზე ფიქრში ვათენვაღამებდი. არც ის იყო ჩემდამი გულგრილი, ერთმანეთს ვხვდებოდით კიდეც. მისგან მხოლოდ სიყვარულსა და ალერსს ვითხოვდი, სხვა არაფერი მინდოდა, რადგან მატერიალურად და საზოგადოებრივი მდგომარეობითაც მასზე მაღლა ვდგავარ. ხელი ბევრჯერ გამიმართავს მისთვის, პატიოსნად დაუბრუნებია ვალი, მაგრამ ისეთი მშიშარა და მხდალია, ქუჩაში რომ შემხვდება, დაფეთებული იყურება აქეთ-იქით — ვინმემ არ დაგვინახოს და ჩემს ცოლს ამბავი არ მიუტანოსო. მე კი, მთელი ქალაქი საქმიან და სერიოზულ ქალად მიცნობს. ვერ ვიჯერებ, არც არსად გამიგონია და არც წამიკითხავს, რომ კაცს ასე ეშინოდეს ცოლის. დათო, მინდა მთელი ქუთაისის გასაგონად გითხრა: — მგელი ვარო, რომ გაიძახი, მგელი კი არა, ბუჩქებში დამალული, მგლისგან შეშინებული, აკანკალებული ბაჭია ხარ! მებრალები და სიყვარულიც ნელ-ნელა მიქრება. დიდი მადლობა შენს ცოლს, შენი ასე გაზრდისთვის. გასაოცარიც ესაა ჩემთვის — ვის ველოდი და ვინ შემრჩა? ქუთაისი“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ:

30 წლის „ბავშვი“ და იდუმალი ქალი

„ერთი მეზობელი მყავს, ბავშვობაში სულ ნერვებს მიშლიდა, მაგარი დეგენერატი იყო. ვფიქრობდი: საცოდავი, ეს ვის უნდა შეუყვარდეს, უცოლო დარჩება-მეთქი, მაგრამ გავიზარდე და შემიყვარდა. გეგა, მაპატიე, რომ ვერ გიტანდი... ნინო-პიანინო“.

„ჩემმა საკუთარმა საქციელმა გამაოცა. მე და გვანცა ერთ ბიჭზე ვბდღვნიდით ერთმანეთს. ვაჯობე და ახლა მისი ცოლი ვარ. გვანცა, ორივემ ვიცით, რომ გოგა არ გიყვარდა და არც მას ჰყვარებიხარ. შენზე მართლა არ ვიბოღმები. იმედია, ნამდვილ სიყვარულს იპოვი და ბედნიერი იქნები. სალომე“.



„საჩხერიდან გიმესიჯებთ. ერთ მშვენიერ დღეს, ბიჭები შევიკრიბეთ და საჩხერის ერთ-ერთ სოფელში საქეიფოდ წავედით. ისე დავთვერით, რომ საკუთარი სახელიც კი დაგვავიწყდა. უეცრად, შევნიშნეთ, რომ ერთი ბიჭი გვაკლდა. ბევრი ვეძებეთ და ბოლოს, ეზოს ბოლოში მივაგენით — ლაფში, ერთ ტალახიან ღორთან ჩახუტებულს. ეს ამბავი ერთი კვირა გვეყო საკაიფოდ. ჩვენი ძმაკაცი გარეთ ცხვირსაც ვერ ყოფდა. აბა, ასეთი რამ თქვენ თუ გინახავთ?“

„რამდენიმე დღის წინ, 2 გოგო გათხოვდა. ორივეს ვუყვარდი. ყოველ შემთხვევაში, ასე მეუბნებოდნენ... ამოვისუნთქე. მართალია, თავი არც ერთს არ მოუბეზრებია, მაგრამ საშინელი შემთხვევაა, როცა სიყვარულის ინიციატორი — გოგონაა. ჩემი „ამოსუნთქვა“ კი, სულ ცოტა ხანს გაგრძელდა. გათხოვილებმაც დამირეკეს და ისევ სიყვარულს მეფიცებიან. მივხვდი, რომ მათ არც მე ვუყვარვარ და არც — თავიანთი ქმრები.“

„წინა ნომერში დაბეჭდილი, ძაღლის ამბავი მაგრად მომეწონა. იმ ძაღლის ფანი ვარ, მანქანებს რომ აჩერებს და სახლში ისე მიდის. ვენაცვალე ძაღლსაც, მის პატრონსაც და ამბის მომთხრობსაც. შემოგევლეთ, თამთა“.

„მარი, რამდენჯერაც მესიჯი გამოგიგზავნე, არასოდეს დაგიბეჭდავს. არ გეგონოს, გსაყვედურობ, რადგან ვიცი, ბევრი ადამიანი გიმესიჯებს. გთხოვ, ახლა მაინც ნუ გამაწბილებ. ჩქაროსნულ მატარებელში გავიცანი ერთი ბიჭი. სამტრედიელი იყო და გელა ერქვა. ჩემი ტელეფონის ნომერი არ იცის და ძალიან გამიხარდება, თუ თქვენი საშუალებით გამომეხმაურება. დიდი სურვილი მაქვს, მასთან ვიმეგობრო. როგორც ყოველთვის, მოუთმენლად ველი ხუთშაბათის დადგომას. პატივისცემით, შორენა“.

„ასეთი მართლა არაფერი მინახავს, გოგო გავიცანი ტელეფონით. მითხრა, შეყვარებული მყავსო და მაინც შემხვდა, მეორე დღისთვის კაფეში წამოსვლაზეც დამთანხმდა. იმ დღეს, შეყვარებულს შეხვდა და წამოსვლა გადაიფიქრა. ვერ გავიგე, თუ ის უყვარს, მე რატომ მხვდება?“

„იმან გამაოგნა, რომ 37 წლის ვარ, მყავს ქმარ-შვილი, ერთ 30 წლის „ბავშვს“ კი, იდუმალი ქალი ვგონივარ. პატარავ, ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ!“

„იცით, ვინ მაოცებს ყველაზე მეტად? — საკუთარი თავი. ვერ ვხვდები, ამდენ თაყვანისმცემელში არჩევანი დაბალ, ღიპიან და შემელოტებულ ბიჭზე რატომ შევაჩერე. ახლაც ვერ ვხვდები, თავი როგორ შემაყვარა. მერე კი, ადგა და მიმატოვა. უკვე 3 თვეა, ვზივარ და ვტირი, ცრემლებს ვღვრი და ისევ ჩემს „თავგასივებულს“ ველი. იცით, როგორ მენატრება? მთელ ქვეყანას მირჩევნია. ჰოდა, თუ მართლა შევიშალე, ჩემს სადაქალოს თავს მოვუყრი, სოფელში ჩავაკითხავ და მოვიტაცებ. გაიგე, ზურა? მიფრთხილდი“.

„გამარჯობა, მარი. ასეთი მართლა

არაფერი მინახავს, ათასი მესიჯი მოგწერე და არც ერთი არ დამიბეჭდე. გინახავთ, ასეთი რამე?.. მე და გიოს ერთმანეთი გვიყვარს და ამის მიუხედავად, ერთად ვერასოდეს ვიქნებით. ტანჯვის ელემენტი!“

„ასეთი მართლა არაფერი მინახავს, — ჩემს ახლობელს ქმარი და საყვარელი მუდამ ერთად უმშვენებენ გვერდს“.

„მართლა გამაოგნა ჩემი ქმრის საქციელმა — „გზავნილებში“ რომ დაგიმესიჯათ, მეგობარი გოგონები მყავს და ცოლი ეჭვიანობსო... მაინტერესებს, ნეტავ, რას უწოდებს მეგობრობას? საყვარელო, ნუთუ გგონია, რომ არაფერი ვიცი? ყველაფერიც კარგად მომეხსენება, მაგრამ ხმას არ ვიღებ, ვიდრე შესაფერისი მომენტი არ დადგება. მერე კი გიჩვენებ, რას ვუზამ იმ შენს „მეგობრებს“. შენი არაფერი მჯერა. გინდა მომატყუო, მაგრამ მხოლოდ თავს იტყუებ, იცოდე! თეკო“.

ამჯერად „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: მეტიჩარა. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. მოგვწერეთ, ვის საქმეში იყავით არამკითხე მოამბე. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

„ჩემ გამო ხარაკირის გაკეთებას აპირებდა და... მიმატოვა“

ან. „გზა“ №13-ში, რუბრიკა „გზავნილების“ თემა — „მურმანის ეკალი“ გახლდათ. ერთ-ერთმა მკითხველმა საინტერესო მესიჯი გამოგვიგზავნა, რომელიც დაიბეჭდა ქვესათაურით, „მურმანის ხანჯალი“. მკითხველი, მამაკაცი გახლდათ. ვიდრე ამბის გაგრძელებას შემოგთავაზებდეთ, მინდა, მცირედი შემოკლებით, უკვე გამოქვეყნებული მესიჯი შემოგთავაზოთ:

მარი ჯაფარიძე

„ვაი, ჩემს პატრონს! ჩემი მურმანის ეკალი ჩემივე „ხაზეიკაა“. ხელმოკლეობის გამო, იძულებული ვიყავი, რომ შეყვარებულს ჩემს ნაქირავებ ბინაში შევხვედროდი, მაგრამ მესამე დღეა, დიასახლისმა გამომიცხადა, რომ ამ ყველაფერზე უარი უნდა მეთქვა. ჰოდა, ახლა ვაგდივარ საწოლზე და დედაჩემს ფეხზე მასაჟს ვაკეთებინებ. რატომ? იმიტომ, რომ ცუდ დღეში ვარ. დილიდან რომ დავიძარით მე და ჩემი ქალბატონი, ღამის 11 საათზე დავბრუნდით შინ. მთელი დღე დავდივართ და „ოფლს ვიდენთ“... ხვალინდელი გეგმა კი ასეთია: დილიდან ვიწყებ ბინის ძებნას, რა თქმა უნდა, დიასახლისის გარეშე. მართალია, ცოტა გამიჭირდება, მაგრამ ჯობს „ყურებზე დავდგე“ და ბინა „ავაგდო“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხარაკირს გავიკეთებ“.

ეს მესიჯი აპრილის ბოლო კვირას მივიღე, ხოლო მისი გაგრძელება კი, სულ ახლახან, წერილის სახით მოვიდა რედაქციაში. ავტორი, მესიჯის მთავარი გმირი, ქალი გახლავთ. როგორც ჩანს, მათ სიყვარულს „ჰეფი ენდი“ არ ეწერა. თავად ავტორის თხოვნაც გახლავთ და ჩვენც გადავწყვიტეთ, რომ ერთი სიყვარულის ამბავი თქვენს სამსჯავროზე გამოგვეტანა.

— უკვე 27 წლის ქალი ვარ და 2 შვილის დედა. მე და ჩემმა მეუღლემ ოჯახი სიყვარულით შევქმენით, მაგრამ ჩვენი სიყვარული მისმა უინტერესო, უყურადღებო, უალერსო და მიძინებულმა სიფათმა გაანელა. ჩემნაირი მგრძნობიარე, ამაყი და მუდამ ალერსის მომლოდინე ქალისთვის, ასეთი კაცის ცოლობა დიდი სასჯელია. მე კი, მას უკვე 4 წელია ვუძლებ და მოთმინებით ვიტან. უკვე დიდი ხანია, ფიზიკური ურთიერთობაც კი არ გვქონია. ბოლო 2 წლის განმავლობაში, ურთიერთობა საგრძნობლად დაგვეძაბა. გაშორებასაც ვაპირებდი, მაგრამ გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა. არასოდეს მიფიქრია, რომ სითბო და სიყვარული სხვა მამაკაცში მეძებნა. ჩემთვის ღალატი და ორგულობა მიუღებელი გახლავთ. ერთ საღამოს, ბავშვები დავაძინე, საოჯახო საქმე მოვამთავრე და ჩემს მეგობარს დავუმესიჯე. სრულიად უცხო მამაკაცთან აღმოვჩნდი. მან პასუხი დამიბრუნა, მეც ვუპასუხე და ასე გაიბა ჩვენ შორის ნაცნობობა. როდესაც თავისი ვინაობა მითხრა, გავოცდი, რადგან ჩვენს უბანში მცხოვრები ის ახალგაზრდა მამაკაცი გახლდათ, რომელსაც ვერ ვიტანდი — მისი თვითკმაყოფილი სახის დანახვა ყოველთვის ნერვებს მიშლიდა. მუდამ ქუჩაში იდგა და მეგონა, რომ ქალების შებმისა და ქუჩური ტერმინების მეტი თავში არაფერი ეყარა... ძალიან კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა. მისთვის ჩემი ვინაობა არ გამიმხელია. ყოველ დილით იმ სურვილით ვიღვიძებდი, რომ მისთვის მეთქვა: — დილა მშვიდობისა! ვსაუბრობდით ყველაფერზე, ჩემს პრობლემებზე, შვილებზე, ქმარზე, ჩემს სარეცხზეც კი... რაც ქმრისგან მაკლდა, უცნობმა მამაკაცმა შემივსო. ამ საინტერესო, დამაინტრიგებელმა ურთიერთობამ პატარა გოგოსავით ამაცეტა. წარმოსახვაში, უკვე მასთან ერთად ვცხოვრობდი. მასთან ურთიერთობამ ამაყი გამხადა, მუდამ ფორმაში ვიყავი... ისეთი გულახდილი იყო, რომ თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, ჩემს ვინაობას რომ ვუმალავდი. ერთ მშვენიერ დღეს კი, ყველაფერი გავუმხილე. მეგონა, რომ განრისხდებოდა, მაგრამ სმა არ ამოუღია. ჩემდა გასაოცრად, აღიარა, რომ თურმე, ყმაწვილკაცობაში მოვწონდი კიდეც. ხანგრძლივი „ვირტუალური“ ნაცნობობის შემდეგ, გადავწყვიტეთ, ერთმანეთს შევხვედროდით და დაიწყო სიყვარულის ამბავი... ჩემდა სამარცხვინოდ, მისდამი ძლიერი ლტოლვა გამიჩნდა. მივუყრიდი ხოლმე ბავშვებს დედაჩემს და თავქუდმოგლეჯილი გავრბოდი. ის კი, პატარა ბავშვივით მიკრავდა გულში, თვალებს, შუბლს, თმას მიკოცნიდა და სულში მიძვრენდა. ჩემი შვილებიც დიდი სიყვარულით მიიღო და გამოცდილი მამასავით ეთამაშებოდა ხოლმე... ერთმანეთს მის ნაქირავებ ბინაში ვხვდებოდით, მაგრამ დიასახლისმა აგვიკრძალა. ამიტომ, დილიდან საღამომდე დაწანწალებდით — დავდიოდით ქუჩაში, მაღაზიებში... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ერთ-ერთი ხეტიალის დროს, ჩემს ქმარს გადავწყდით და ყველაფერი აქედან დაიწყო. მეუღლემ იმავე დღეს გამომიცხადა, რომ სახლიდან უნდა წავსულიყავი, მაგრამ შვილები მასთან დარჩებოდნენ — შენ დედობის ღირსი არა ხარო. საბოლოოდ, შევთანხმდით, რომ მე, ყოველგვარი სკანდალის გარეშე გადავიდოდი ნაქირავებ ბინაში, შვილებსაც თან წავიყვანდი, ხოლო ჩემი ქმარი ქალაქს დატოვებდა, იმ პირობით, თუ მთელ ჩემს თავგადასავალს თვითონვე მოვუყვებოდი ჩემს ოჯახს. ამის გაკეთება რთული იყო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა და ოჯახის წევრებს ყველაფერი დაწვრილებით მოვუყევი. გადაირივნენ, უშვერი სიტყვებით მლანძღეს. ჩემმა ძმამ კი, იმავე დღეს (აღდგომა იყო) ჩააკითხა სოფელში ჩემს მეგობარს და დღესასწაული მუშტით „მიულოცა“. ის ძალზე თავმოყვარე ადამიანია და ამის გადაყლაპვა არცთუ ისე იოლი იქნებოდა მისთვის. თანაც, ჰქონდა საშუალება, რომ თავადაც მუშტით გასწორებოდა ჩემს ძმას, მაგრამ ხელიც არ გაუნძრევია. როგორც თვითონ ამიხსნა, ამის მიზეზი ის იყო, რომ მერე მთელი უბანი გაიგებდა და თავი მოგეჭრებოდაო... ჩემთან ლაპარაკის სურვილი აღარ ჰქონდა, აღარც მესიჯებს მწერდა. ერთადერთი, რაც მითხრა, ის იყო: — სული მტკივაო... სახლში მთელი ოჯახის წევრები გავლანძღე და გამოვაცხადე: — ჩემს საქმეში ცხვირის ჩაყოფას გიკრძალავთ, თქვენზე, ყველაზე უარს ვამბობ, მის გარეშე ცხოვრებას კი არ ვაპირებ, თუნდაც, მთელი ცხოვრება მხოლოდ საყვარლებად დავრჩეთ-მეთქი. კარი გამოვიჯახუნე და წამოვედი. ჩემი თავის გამიკვირდა, როგორ გავბედე ამდენი? გზაში ერთი აზრი მომივიდა: ბავშვებს დედასთან დავტოვებ და მასთან ერთად, ჯოჯოხეთშიც კი წავალ-მეთქი. დავურეკე, რომ ჩემი გადაწყვეტილება მეცნობებინა, მაგრამ მისგან თავზარდამცემი ამბავი გავიგე: — გუშინ ღამე ცოლი მოვიყვანეო... — ენა ჩამივარდა, მის ერთგულებაში ეჭვი არასოდეს შემპარვია. როგორ მოიყვანა ცოლი ერთ დღეში? როგორ დავივიჯერო, ჩემთან რომ იყო, მასაც ხვდებოდა? უეცრად დაინგრა ყველაფერი, დამტოვა ლომების ხახაში და გაიქცა... მთელ ჩემს დარჩენილ ცხოვრებას შვილებს შევწირავ და გულის კარს აღარავის გავუღებ. საკუთარი თავი მეზიზღება, თავს მოტყუებულად და უმწეოდ ვგრძნობ. კაცი, რომელიც ჩემ გამო ხარაკირის გაკეთებას აპირებდა და ანტიდეპრესანტებს სვამდა, გაქრა და მიმატოვა... ნუ ეცდებით ჩემს დარწმუნებას, რომ გიჟი არა ვარ. საკუთარ თავს „დიაგნოზი“ უკვე დავუსვი. ქეთევანი.

მკითხველს შეუძლია, თავისი აზრი გაგვიზიაროს და დაგვიმესიჯოს ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61.

■

nu dascinebT maT SeibraleT da SeavedreT ufals...

ბექა ხოტივარი

კარგად მოგეხსენებათ, რომ ბუნებრივ საწვავზე, ბენზინსა და ელექტროენერგიაზე მომატებულმა ფასებმა ცხოვრება გაძვირა. გაძვირდა პროდუქტი, ტანისამოსი და შესაბამისად, მომსახურების სფეროს მუშაკებმაც გააძვირეს თავიანთი ხელობა. ამას წინათ, ერთი მეწაღის ჯიხურზე ასეთი წარწერაც კი ვნახე: „ყველაფერი გაძვირდა 3 ლარით“. სწორედ ამ წარწერის წაკითხვის შემდეგ, ჩემს მეგობარს რატომღაც ასეთი კითხვა გაუჩნდა: — ნეტავ, ბოზებმა თუ გააძვირეს თავისი „სტავკაო“? ამის გაგებას რაღა უნდოდა? თბილისის ერთ-ერთ ცნობილ „ბირჟაზე“ გავიარეთ და ფასებიც უეცრად დავადგინეთ. იქ თქვენც თუ გაგივლიათ, იმ ზორბა, ასაკოვან ქალბატონსაც შენიშნავდით, შავი ტანისამოსი რომ აცვია და „ბუღალტრის“ ფუნქციებიც რომ აქვს შეთავსებული. იქაურობა „სექენდ ჰენდის“ მაღაზიას მოგაგონებთ, სადაც სხვისი ნახმარი, ჭრელაჭრელა ტანისამოსია გამოფენილი და თავის მორიგ მყიდველს ელის. მოგეხსენებათ, რაც უფრო მეტადაა ტანისამოსი გაცვეთილი, მით ნაკლებია მისი ფასიც. სწორედ ასეა იმ ზემოხსენებულ „ბირჟაზეც“. რაც უფრო ასაკოვანი და მეტად „გაცვეთილია“ მეძავი, მით ნაკლები ღირს. ახალგაზრდა, ვარიასავით გოგონები კი, შედარებით ძვირად ფასობენ. ჯერ შორიახლოდან ვუყურებდი მათ. კლიენტები არ აკლდათ, მაგრამ ხან ფასზე ვერ რიგდებოდნენ, ხან ქალებს იწუნებდნენ, ხანაც სხვა მიზეზს პოულობდნენ და 5 კლიენტიდან მხოლოდ 2 თუ „მოხსნიდა“ ნაშას. თუმცა, გოგონები იმედს მაინც არ კარგავდნენ და ყოველი მორიგი მანქანის გაჩერებისას, სექსუალური რხევით უახლოვდებოდნენ მას. შემდეგ, საჯდომს გაბზეკდნენ, მანქანის სალონში შეიხედავდნენ და კევის ღეჭვით ელაპარაკებოდნენ კლიენტს. წარმატებული მოლაპარაკების შემთხვევაში, წინა სავარძელზე მოთავსდებოდნენ და ფანჯრიდან გამოყოფილი ხელით „ბუღალტერს“ ერთ, ორ ან სამ თითს დაანახვებდნენ ხოლმე. როგორც მივხვდი, ეს მოლაპარაკებული თანხის რაოდენობას ნიშნავდა. ჩემი ვარაუდი გამართლდა კიდეც, როდესაც მათთან სასაუბროდ მივედი:

— რა გინდა? — პირველი კითხვა „ბუღალტერმა“ დამისვა.

— არაფერი, ამბის გასაგებად მოვედი, — ვუპასუხე და დამაჯერებლობისთვის, დავამატე: — როგორ მიდის საქმე?

— საგადასახადოდან ხარ? — შემიბრუნა კითხვა.

— არა...

— აბა?

— ჟურნალისტი ვარ.

— ააა, გოგოებო, ჟურნალისტი მოვიდა! — დაიძახა ხმამაღლა და უცებ, ალყაში აღმოვჩნდი. ისე მათვალიერებდნენ, თითქოს ცოცხალ ჟურნალისტს პირველად ხედავდნენ.

— ინტერვიუ უნდა ჩაწეროთ? — ღრეჭით დასვა კითხვა ქერათმიანმა გოგონამ. როდესაც ჩემგან დასტური მიიღო, უცებ დასერიოზულდა და ისეთი პოზა მიიღო, რომ მივხვდი, რესპონდენტობისთვის მოემზადა.

— რა გაინტერესებს? — უცებ გამიშინაურდა და „შენობით“ მომმართა.

— თქვენი ბიოგრაფია არ მაინტერესებს, რადგან ვიცი, რომ ყველას დედა გყავთ ავად ან — შვილი, მამამ ბავშვობაში მიგატოვათ, სხვა გზა არ გაქვთ და ოჯახს ამ საქმით არჩენთ... მხოლოდ ის მაინტერესებს, რა ღირს თქვენი მომსახურება.

— მაგას მომსახურება არ ჰქვია. რა ღირს შენი გაჟიმვა-თქო, ასე უნდა შემეკითხო. პირადად მე, 50 ლარზე ნაკლებად არ დავდივარ, — სიამაყით თქვა და დანარჩენებს აშკარა უპირატესობის შეგრძნებით გადახედა.

— ჰო, ეს ყველაზე ძვირი ღირს, — დაადასტურა „ბუღალტერმა“.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ლამაზი ვარ და თანაც ჩემი საქმე კარგად ვიცი...

— ...და სულ რამდენიმე თვეა, რაც ჩვენთან არის, ჯერ არ გაბანძებულა...

— ეს ყველაზე დიდი ფასია, რომელსაც კლიენტი იხდის?

— კი, ასეა, დანარჩენები იმის მიხედვით იღებენ, როგორც კლიენტს მოელაპარაკებიან. ხანდახან ფასდაკლებაც გვაქვს ხოლმე. თუ კლიენტი ჭირს, 10 ლარადაც მიდიან გოგოები. თანაც სხვადასხვა მომსახურებას სხვადასხვა ფასი აქვს. ჩვეულებრივი, „მამაპაპური“ სექსი ყველაზე იაფია, 10-20 ლარი ღირს. მინეტი — ყველაზე ძვირი, 20-40 ლარი.

— ეს თანხა ერთჯერად გასვლაზეა თუ საათობრივად ანგარიშობთ?

— რა თქმა უნდა, ერთჯერადად, მაგრამ ერთ საათზე მეტხანს კლიენტი ჩვენთან არ ჩერდება და გამოდის, რომ საათობით ვიღებთ. 5 ლარადაც მივდივართ ხოლმე. ზოგი მარტო პურმარილს გვთავაზობს, მაგრამ ვის რად უნდა მაგათი მწვადი და ხინკალი? ის ფული მე გადამიხადოს და „პაუალუსტა“!

— ალბათ მუდმივი კლიენტურაც გყავთ, ხომ?

— კი, გვყავს, „დაჟე“ მათ მანქანებს შორიდანაც ვცნობთ და წინასწარ ისიც ვიცით, რა თანხას გადაიხდიან. ასეთ კლიენტს „პოსლეზეც“ მივყვებით, რადგან ვიცით, აუცილებლად გადაიხდის.

— თქვენც ემსახურებით კლიენტებს? — ვკითხე ასაკოვან ქალბატონს.

— არა, მე „ბუღალტერი“ ვარ. გოგონები მანქანაში რომ ჯდებიან და თითებს მაჩვენებენ, ამით თანხის რაოდენობას მეუბნებიან. მე მხოლოდ 20%-ს ვიღებ მათგან.

— ამ ფულს რაში გიხდიან?

— როგორ თუ რაში? რომ არავინ შეაწუხოს, არც პოლიციამ და არც უბნის ბიჭებმა. კიდევ, ათასი გამვლელ-გამომვლელია და ხომ იცი, ფხიზლად უნდა იყო...

— თქვენ რა, რემბო ხართ?

— რემბო კი არა, ყველა მიცნობს, გენაცვალე და პატივსაც მცემენ. ჩემი ხათრით ამ გოგოებს ხმას არავინ სცემს, თორემ მე რომ აქ არ ვიყო, უფასო ჟიმაობაში ამოხდიდნენ სულს. ერთი უფროსი ყველას სჭირდება, აბა!

— „მენიუში“ მამაკაცი არ გყავთ?

— როგორ არა, მაგრამ იმას აქ ვერ დავაყენებ. თუ კლიენტი მოვა, დავურეკავ და მაშინ გამოვიძახებ.

— კლიენტში ქალბატონებს გულისხმობთ თუ მამაკაცებს?

— ორივეს, გენაცვალე, ო-რი-ვეს! აბა, რა გგონია? იმდენი კაცი მოდის კაცის წასაყვანად, რომ ლამის ამ გოგოებზე მეტი კლიენტი მათ ჰყავდეთ. არც ქალები ამბობენ უარს ჩვენს კაცებზე, მაგრამ ქალი აქ მანქანას არ გააჩერებს და ფასზე არ შეგეკამათება, ასეთი ქალბატონებისთვის სპეციალური შეთავაზება მაქვს, ისინი მირეკავენ და მე საუკეთესო კაცს ვუგზავნი.

— მამაკაცის მომსახურების ფასიც იგივეა?

— როგორ გეკადრება, გენაცვალე? მამაკაცი ძვირი ღირს — 100 დოლარი. მაგაზე ნაკლებ არ იქნება...

ეს გახლავთ ქუჩის მეძავთა ფასები, მაგრამ თურმე ფასი იმაზეც ყოფილა დამოკიდებული, რომელ უბანში დგას ქალი. სასტუმროში მომუშავე მეძავების ფასი გაცილებით მეტია, ვიდრე „ბირჟაზე“ — 100 დოლარიდან იწყება და ვიპ-მომსახურება 1.000 და 1.500 დოლარიც კი ღირს. ამ ყველაფერზე გაცილებით საინტერესოდ ელიტური ინტერნეტმეძავები მომეჩვენა. გაცნობის ერთ-ერთ ქართულ საიტზე თუ შეხვალთ, მერწმუნეთ, კარგად იმხიარულებთ. იქაურ მეძავებს ერთი დაუწერელი კანონი აქვთ: თუ ხუთლარიანი მონობარათის კოდი არ გაუგზავნეთ, მათგან პასუხსაც ვერ ეღირსებით. ყველა მათი ანკეტა ასე იწყება: ჯერ გამომიგზავნეთ ხუთლარიანი მონობარათის კოდი და

თქვენი ტელეფონის ნომერი. ამის გარეშე არაფერი გამოვა. მერე მე დაგირეკავთ და დაგელაპარაკებით. გაიგეთ? მონოს შემდეგ ვიძლევი ნომერს.

მაგალითად, 26 წლის ნინოს, ასეთი შესავლის შემდეგ, დაწვრილებით აქვს მითითებული ფასები:

1 საათი — 50 ლარი

2 საათი — 80 ლარი

3 საათი — 100 ლარი

მთელი ღამე — 150 ლარი.

დამატებითი მომსახურება გნებავთ? არც მაგაზე დაგზარდებიან:

მასაჟი — 10 ლარი

ორალური სექსი (ჩვეულებრივი) — 20 ლარი

ანალური სექსი — 25 ლარი

თუ სექსუალური ფანტაზიები გაქვთ, მათი რეალიზაციისთვის უკეთეს ვარიანტს ვერც ინატრებთ:

სექსი 2 კაცთან ერთად:

1 საათი — 100 ლარი

2 საათი — 150 ლარი

3 საათი — 200 ლარი

მთელი ღამე — 300 ლარი.

ზუსტად იგივე ტარიფი მოქმედებს, თუ საკუთარ მეწყვილე ქალბატონს მიიყვანთ. არავითარი შეღავათი, მიუხედავად იმისა, რომ გასაკეთებელი საქმე ნახევრდება. და რა თქმა უნდა, იმის მითითებაც არ ავიწყდებათ, რომ ეს ყველაფერი აუცილებლად პრეზერვატივის „თანხლებით“ მოხდება, ხოლო „ცოცხალი“ სექსის მსურველებმა, ჯანმრთელობის ცნობა უნდა წარადგინოთ. რაც შეეხება შეხვედრას, ძირითადად, საკუთარ სახლში ეპატიჟებიან მამაკაცებს და რაც მთავარია, „აპარტამენტების“ ფასი მომსახურების ფასში შედის. ნინოს აქვე, საიტზე დავეკონტაქტე და ინტერვიუ ვთხოვე:

— ინტერვიუ ცირკის ბოზებთან გააკეთე, გაიგე? არ გრცხვენია? ამას როგორ მკადრებ(?!) შენნაირმა „პისარებმა“ (სწორედ ეს სიტყვა გამოიყენა) დამინგრიეს ოჯახი და ამირიეს ცხოვრება... ახლა კი სულში მიფათურებ ხელებს? ნ-ლარიანი მონოს კოდი გამომიგზავნე და ინტერვიუს მერე მოგცემო...

მის ანკეტას კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი და მართლაც, შემრცხვა. ქალი ასე „ნაყოფიერად“ მუშაობს, მისთვის ყოველი წუთი ძვირფასია, მე კი, ერთი „უსაქმური“ ჟურნალისტი, მივდგომივარ, ჯერ ოჯახი დავუნგრიე, ახლა კი ვთხოვ, რომ დამითმოს ესოდენ ძვირი წუთები (მისი ფასებით, წუთი, მინიმუმ, 1 ლარი მაინც ღირს) და ინტერვიუ მომცეს...

საიტზე ძირითადად ისეთი ფასებია, როგორიც ზემოთ მოვიყვანე, მაგრამ გაცილებით ძვირად ღირებული ქალბატონებიც შეგხვდებათ. 25 წლის მარიკა თავის ანკეტას ინტრიგით იწყებს:

„ვისაც არ უნდა ჩემთან, ის ან იმპოტენტია, ან — ცისფერი...“ მოდი და ასეთი შესავლის შემდეგ, ნუ გაგიჩნდება სურვილი, დაუმტკიცო ამ მშვენიერ გოგონას, რომ ნამდვილი მამაკაცი ხარ. ეს კი სულ რაღაც 50 დოლარი დაგიჯდებათ, საათში და თუ მოეწონებით, ანალურ სექსსაც არ დაიშურებს თქვენთვის (სწორედ ასე აღნიშნავს თავად).

2 საათი — 80 დოლარი. მთელი ღამე — 150 დოლარი. ფასის დაკლებაზე საუბარი — დროის კარგვაა (ამასაც თავად ამბობს). ალბათ შენიშნეთ, რომ ნინოსთან შედარებით, ფასები გაორმაგებულია. აბა, როგორ გგონიათ? თუ ლამაზი ქალი გინდათ, უნდა გადაიხადოთ კიდეც, ხოლო მარიკა რომ ლამაზია, ამას მის ანკეტაში მოთავსებული ფოტოებიც მოწმობს. სურათები ჩემია. ვისაც არ გჯერათ, დავნაძლევდეთო, სთავაზობს მომავალ კლიენტებს და ეს ალბათ კიდევ ერთი შემოსავლის წყაროა, რადგან დარწმუნებული ვარ, 100 დოლარზე ნაკლებს არ ჩამოვა ნაძლევზე. აქ ისეთებსაც შეხვდებით, ვინც „მეცნიერულ“ მუშაობას ეწევა და ტესტირების საშუალებით ავლენს საზოგადოების ხორცმეტებს. მაგალითად, 27 წლის ნატა წერს: „მონო არ მჭირდება, იქით ჩაგირთავთ, ვისაც გინდათ, მაგრამ როცა ვიღაც მეკონტაქტება და ცდილობს მელაყბოს, საიმისო დრო არ მაქვს, რომ ტყუილად მოვცდე და სათითაოდ ვარკვიო, მართლა საქმე აინტერესებს თუ ონანისტია. სწორედ ამიტომ ვითხოვ მონოს და მართალიც ვარ, რადგან გზავნის მხოლოდ ის, ვისაც სექსი უნდა. მე მათ ვურეკავ და ვხვდები, მერე იცით, რაც მოხდება და სწორედ ამაში ვიღებ ჰონორარს. ორივე კმაყოფილი ვიქნებით. მონოს კი იმდენს ვიყიდი, რამდენიც მინდა, მაგრამ აი, უსაქმურების გამოსავლენად კი, ნამდვილად კარგი ტესტია“. თუ ანკეტაში არ წერია, რომ მონობარათის კოდია საჭირო და პირდაპირ ტელეფონის ნომერია მითითებული, იცოდეთ, რომ თაღლითის ბადეში ხართ გახვეული. საკმაოდ ინტიმურ ენაზე შედგენილი ანკეტის ბოლოს მითითებულ ტელეფონის ნომერზე თუ დარეკავთ, იცოდეთ, რომ თქვენი ანგარიშიდან ერთი ლარი მოიხსნება. თითოეული ანკეტის ბოლოს, „მოდერების“ მიერ ხდება რეიტინგის გამოვლენა ანუ იმის დადგენა, თუ რამდენმა ადამიანმა დაათვალიერა ანკეტა თვის განმავლობაში. მეც დავინტერესდი და ვნახე, რომ ის ანკეტა, რომელშიც ტელეფონის ნომერია მითითებული, ერთი თვის განმავლობაში 2754 მამაკაცს დაუთვალიერებია. აქედან ნახევარმაც თუ დარეკა, მივიღებთ ოთხნიშნა რიცხვს, რაც პარლამენტარის ხელფასზე მეტია.

ინტერვიუ ცირკის ბოზებთან გააკეთე, გაიგე? არ გრცხვენია? ამას როგორ მკადრებ(?!)

საიტზე გაცილებით მორიდებულ მეძავებსაც შეხვდებით. 24 წლის სოფოს ანკეტამ, შეიძლება ითქვას, გამაოგნა: „მოგესალმებით. მაპატიეთ, ამ საიტზე არ უნდა შემოვსულიყავი, მაგრამ გაჭირვებამ მომიყვანა. მამა არ მყავს, დედა ცუდადაა, მე კი ვსწავლობ და ფული მჭირდება. სხვა არავინ მყავს. ამიტომ, იძულებული ვარ, სხეულით ვივაჭრო. რა ვიცი, აბა, რა როგორ ღირს... მიმოწერისას გავარკვიოთ. ძალიან მრცხვენია, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს. მინდა ვიპოვო ისეთი პიროვნება, რომელიც დამაფინანსებს, მე კი მისთვის ყველაფერს გავაკეთებ. ერთი პერიოდი ვსწავლობდი რუსეთში, მყავდა მეგობარი, რომელიც გეიშა იყო. ასე, რომ ყველაფრის აზრზე ვარ!“ გაგეცინათ? მეც! თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე გაცილებით კარგი წარმოდგენა (თუ შეიძლება, რომ ასე ითქვას) დამრჩა იმ მეძავებზე, ვინც მოურიდებლად და პირდაპირ აცხადებენ, რაც სურთ. როგორც, მაგალითად, 22 წლის მაკა: ვსვამ, ვეწევი სიგარეტსა და პლანს, „დედაზე“ ვიგინები და ფულზე ვიძლევი. ჩემთან არ მოიწყენთ! მომწერეთ მონოს კოდი! დედას გეფიცებით, აუცილებლად დაგირეკავთ!“

სამწუხაროდ, ისევე, როგორც რეალურ სამყაროში, ვირტუალურშიც არსებობენ მამაკაცი „მეძავები“. ქალებისგან განსხვავებით, მომსახურების ფასებს ისინი საიტზე არ უთითებენ. ახლა კი რამდენიმე ანკეტას ყოველგვარი კომენტარის გარეშე შემოგთავაზებთ.

ალეკო, *26 წლის:*

„მე ვარ მამაკაცი, რომელსაც უყვარს სექსი და ფული! მამაკაცებს, 30 წლის ქვემოთ, არ შევეხმიანები“.

დაჩი, *30 წლის:*

„ნამდვილი „სექს-ბოი“ ვარ, მომწერეთ მხოლოდ გოგონებმა. ფასი შეთანხმებით!“

ლაშა, *24 წლის:*

„მინდა, გავიცნო საინტერესო, კულტურული, ნორმალური ადამიანები, რომელთაც უყვართ სექსი და აფასებენ მას. გამომეხმაურონ სიმპათიური მამაკაცები, 30 წლამდე. ფასი შეთანხმებით!“

ლევანი, *43 წლის:*

„მე ვარ პოეტი! ვარ კარგი და ძალიან ნაზი. ვეძებ მეგობარს. სასურველია, თუ ის მარტოხელა მამაკაცი იქნება“.

მიშიკო, *29 წლის:*

„სექსი და არაფერი, სექსის გარდა! ისე, ჩემზე დიდ იდიოტს აქ ვერ ნახავთ, რადგან „იმას“ ვაბივარ! გამომეხმაურეთ, ქალებო! ფასი შეთანხმებით“.

გელა, *34 წლის:*

„ვეძებ სექსუალურ პარტნიორს. ჩემთვის ის პირველი მამაკაცი იქნება. გარკვეული თანხის საფასურად, თანახმა ვარ, მუდმივი საყვარელი მყავდეს. თანხას პირადი საუბრისას მოგახსენებთ...“

ამ მძიმე ნოტაზე დავამთავრებ, რადგან სხვაგვარად არც შეიძლება. ნუ დასცინებთ მათ, შეიბრალეთ და შეავედრეთ უფალს...

■

„მისტერ პრეზიდენტს“ დიდი თანამდებობა და ბევრი ფული უნდა

მამუკა ლომაშვილი „ქალაქ“ გლდანში ცხოვრობს. მასთან ინტერვიუზე მისულს, ისე შემომაღამდა, რომ ვერც კი გავიგე. უკვე ბნელოდა, როდესაც გუდა-ნაბადი ავიკრიბე და წამოსვლა დავაპირე. მამუკამ, როგორც ნამდვილ ჯენტლმენს შეეფერება, ჩემი გაცილება ითავა. მისი სახლიდან გაჩერებამდე კარგა მანძილი გვქონდა ფეხით გასავლელი. გზაში ჩემმა მობილურმა დარეკა. ტელეფონზე რომ ვლაპარაკობდი, ვიღაცამ გვერდით ჩამიქროლა და ჩემი მობილურიც ხელს გააყოლა. შეშინებულმა შევყვირე, მამუკა ადგილს მოსწყდა და 2 ნახტომით დაეწია მძარცველს. მან ნადავლი არ დათმო და წინააღმდეგობის გაწევა სცადა. არც მამუკამ დაიხია უკან და მათ შორის სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. ხან მამუკა იყო ზემოდან და ხან — მძარცველი... ქურდბაცაცას მეგობარი წამოეშველა, რომელიც, როგორც ჩანს, შორიახლოს იდგა და „კოლეგას“ თვალყურს ადევნებდა. კი გამისკდა გული, მამუკა 2 კაცს როგორ მოერევა-მეთქი, მოჩხუბრებს გარშემო ვურბენდი და ბრძოლაში მონაწილეობას ვცდილობდი, მაგრამ ჩემი ჩარევა აღარ გახდა საჭირო... შემდეგ, მამუკამ მისავათებულ დამნაშავეს ჯიბეები მოუჩხრიკა და 2 მობილური აღმოუჩინა. — შენი რომელიაო? — მომიბრუნდა მე. ტელეფონი დამიბრუნა, ხოლო მეორე უკანვე, ჯიბეში ჩაუტენა და ამის შემდეგ, ძლივსღა მოვკარი თვალი, როგორ გარბოდნენ მძარცველები „მიშა-მიშას“ ძახილით. მამუკა უვნებლად გადარჩა, ერთი ნაკაწრიც კი არ გასჩენია, რამაც ყველაზე მეტად გამახარა... ახლა კი ინტერვიუ, რომელიც ამ ინციდენტს წინ უსწრებდა. მამუკას ცხოვრებაში სიახლეა.

მარი ხაფარიძე

— მარტის თვიდან ვმუშაობ 39-ე საჯარო სკოლაში, იურისტად — კოორდინატორად, თვითმმართველობის საკითხებში. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ სკოლაში დავიწყებდი მუშაობას. მეძინა, როდესაც სკოლის დირექტორმა, მანანა დავითაიამ დამირეკა და სამსახური შემომთავაზა. ძილბურანში მყოფი დავთანხმდი და როდესაც ყურმილი დავკიდე, უცებ გამოვფხიზლდი და წამოვხტი — სად მე და სად — სკოლა? მაგრამ საბოლოოდ, მაინც მივიღე გადაწყვეტილება და სკოლის თანამშრომელი გავხდი.

ჩემი, ასე ვთქვათ, პედაგოგიური და მსახიობური კარიერა პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს

— ბავშვები როგორ შეხვდნენ სკოლაში შენს გამოჩენას?

— დერეფანში რომ დავდივარ, მიშა-მიშას მეძახიან; მთხოვენ — „მიშა მას, მიშა მას, პრეზიდენტს გააჯავრეთ, რა?“

— და შენც აჯავრებ ხოლმე?

— არა, რას ამბობ, მე ვეუბნები ხოლმე, რომ ჯობია, ტელევიზორში მიყურონ...

— სკოლაში ისეთი მცირე ანაზღაურებაა, რომ მეეჭვება, ხელფასით დაინტერესებულიყავი... რატომ დათანხმდი ამ სამსახურზე?

— ხანდახან ადამიანს ისეთი საქმის გაკეთება გიხდება, რომელიც უბრალოდ, მოვალეობის გამო უნდა გააკეთო. ქალბატონმა მანანამ მითხრა, რომ ბავშვებს ვჭირდები და მეც ამის გამო დავთანხმდი... თუ ერთ ბავშვს მაინც გამოვადგები, სწორ მიმართულებას მივცემ და სიკეთეს მოვუტან, ჩავთვლი, რომ ღირდა ჩემი აქ მოსვლა.

— როგორც ვატყობ, სკოლაში კუკარაჩას ფუნქციას ასრულებ...

— ჩემი უპირველესი მოვალეობაა, ბავშვებთან მეგობრობა და მათთან პრობლემებზე საუბარი. რაც სკოლაში მივედი, სულ სხვა კუთხით დავინახე ყველა პრობლემა, რომელიც იქ არსებობს.

— ბავშვებს თუ მოსწონთ შენთან ურთიერთობა?

— ჯერ ძალზე ცოტა დროა გასული საიმისოდ, რომ ყველა ბავშვთან მომესწრო კონტაქტის დამყარება, მაგრამ არის მოსწავლეების გარკვეული კატეგორია, რომელთანაც უკვე დავმეგობრდი. ზოგი მათგანი „სკოლის ამომგდებად“ იყო ცნობილი, ჩემთან კი მშვენიერი ურთიერთობა დაამყარეს და ყველას უკვირს, როგორ მოვახერხე მათთან საერთო ენის გამონახვა. რატომღაც, პედაგოგთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ბავშვს უნდა აუხსნას გაკვეთილი, მერე ბავშვებმა სახლში დაიზუთხონ და მეორე დღეს მასწავლებელს ჩააბარონ... ეს საკმარისი არ გახლავთ, მათ სჭირდებათ მოფერება და რაც მთავარია, პატივისცემით მოპყრობა. რაც სკოლაში დავიწყე მუშაობა, პირველად მომინდა, რომ დიდი თანამდებობა და ბევრი ფული მქონდეს... ერთხელ, ბავშვებს ვკითხე — რა პროფესია გაქვთ არჩეული-მეთქი? ერთმა მიპასუხა — ხელოსანი უნდა გამოვიდეო. — რატომ-მეთქი? — აბა, ჩემგან მაინც არაფერი გამოვა, ყველა მასწავლებელი ამას მეუბნებაო... — ბავშვს არასოდეს არ უნდა ჩავუნერგოთ, რომ ის არის უნიჭო და მისგან არაფერი „გამოვა... არ იფიქროთ, ჭკუას ვარიგებდე ვინმეს, შესაძლოა, მეც ვერ ვართმევ თავს ჩემს მოვალეობას ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ მე არასოდეს მავიწყდება ის, რომ ყველანი სკოლიდან და ბავშვობიდან მოვდივართ. შესაძლოა, ბევრ ბავშვს ცოტათი გვიან ეხსნება გონება, ზოგიერთი ოროსანი კი შესაძლოა, გაცილებით უკეთ აღზრდილი და კარგი თვისებების მქონე ბავშვი იყოს, უფრო ადამიანური და კეთილი, ვიდრე ხუთოსანი... ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში ბევრ სიახლეს ვგეგმავთ და იმედია, ბავშვები მხარს აგვიბამენ.

— რატომ თქვი წელან, თანამდებობა და ფული მინდაო?

— სკოლასთან ურთიერთობამ დამანახვა, რომ საკმაოდ ბევრი ბავშვია, ვინც ქუჩაში იზრდება. დიდი სურვილი მაქვს, რომ თითოეული მათგანი დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას და კარგ პიროვნებად ჩამოყალიბდეს. რამდენიმე ასეთი ბავშვი ჩვენს სკოლაშიც არის. თითქოს მოვახერხე, რომ მათთვის დამენახვებინა, რა არის კარგი და რა — ცუდი, მაგრამ სამწუხაროდ, ძალზე ცოტა დრო მქონდა საიმისოდ, რომ ჩემი საქმე ბოლომდე მიმეყვანა. მათ უკვე სკოლა დაამთავრეს და ამის შემდეგ დამოუკიდებლად უნდა განაგრძონ ცხოვრება. ფული და თანამდებობა კი სწორედ იმისთვის მჭირდება, რომ ასეთ ბავშვებს დავეხმარო, მივცე იმის საშუალება, რომ სწავლა განაგრძონ, სამსახური იშოვონ და გზას არ ასცდნენ. ახლა, ახალი კანონი შემოდის ძალაში, რომლის მიხედვითაც, თუ ბავშვს ატესტატში სამი „სამიანი“ ექნება, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარების უფლებას ვერ მიიღებს. ასეთ ბავშვებს საზღვარგარეთ გავუშვებდი სასწავლებლად, რომ განათლება მიეღოთ. რამდენიც გინდათ, იმდენი ადამიანი არსებობს, რომელიც სკოლაში სუსტი მოსწავლე იყო, მაგრამ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დიდი წარმატებებისთვის მიუღწევია. იქნებ ამ ბავშვებს შორის მომავალი პროფესორი, აკადემიკოსი ან პრეზიდენტიც კი გახლავთ... ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებდი, ამის საშუალება რომ მქონდეს. თუ სახელმწიფო ყველა ახალგაზრდას არ აძლევს უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საშუალებას და მიაჩნია, რომ არ არის საჭირო ამდენი განათლებული ადამიანი, მაშინ უნდა არსებობდეს ალტერნატიული სამუშაო ადგილები, სადაც ისინი იმუშავებენ, ვინც სწავლას ვერ განაგრძობს.

— მსახიობობას თავს ანებებ?

— ჩემი, ასე ვთქვათ, პედაგოგიური და მსახიობური კარიერა პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს. 14 ივნისს, 2 კვირით ამერიკაში მივემგზავრები (*მამუკას 10 ივნისს ვესაუბრე. — ავტ.*), პაროდიის თეატრთან ერთად. იმედია, ყველაფერი კარგად ჩაივლის. ეს გახლავთ ჩემი პირველი, შორეული მგზავრობა და მოუთმენლად ველი.

— ქვეყანაში შესასვლელ ვიზას, რა თქმა უნდა, უპრობლემოდ მიიღებდი...



განსაკუთრებით დამამახსოვრდა პატარა ვალოდიკა, რომელსაც უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ ბერი გახდება

— საელჩოში, გასაუბრებაზე მთელი ჯგუფი ერთად მივედით. როდესაც ჩემი რიგი მოვიდა და კონსულის პირისპირ აღმოვჩნდი, დიდად გაიხარა ჩემი დანახვით: „ვა

„პონჩიკა“ თაკოს „სულელური“ ბაკუვოგა, ეურიანი გოგონები, „ჩაკეტილი“ ცხოვრება და ნარკოტიკის ბონები

„გაფიქთხიღებთ, ქეჩა და შაჰ-აბასივით შავი ტიპები ნუ გამომეხმაუჩებიან“

მაიკლ ჯექსონისა და მერაია ქერის ფანი, მომღერალი თაკო ბაჩიჩილაძე, საკმაოდ პასიური თინეიჯერი ყოფილა — ის არც დისკოკლუბებში დადიოდა და არც ბარებში. სკოლაში „შატალოს“ თუ აწყობდნენ, ის სახლში მიდიოდა. „რაც უფრო ნაკლებს იგულავებ, ყველგან არ წახვალ და მასაში არ გაითქვიფები, უფრო კარგია, მაგრამ...“ — ამბობს თაკო, რომელსაც მშობლები ბავშვობაში არსად უშვებდნენ და ისიც, ბედს ემორჩილებოდა.

ლიკა ქაჯაია

— 18 წლის ადამიანი ზრდასრულ, ჩამოყალიბებულ ადამიანად მიიჩნევა, მაგრამ ის მაინც ბავშვია. თუმცა, არიან ისეთი მოზარდებიც, რომლებიც უფრო პატარა ასაკშიც კი, დამოუკიდებელ ცხოვრებას ეწევიან. სამწუხაროდ, მე ამის შანსი არ მქონდა. მშობლები დამოუკიდებლობის უფლებას არ მაძლევდნენ. ვფიქრობ, რომ 18-19 წლის ასაკში, ადამიანი (განსაკუთრებით ბიჭი) მშობლებს მიჯაჭვული არ უნდა იყოს. საერთოდ, ისეთ ბიჭებს უფრო ვაფასებ, რომლებმაც თავიანთი შრომით მოიპოვეს რაღაც და არა მამიკოების გავლენის ან ფულის მეშვეობით.

— რა განსხვავებას ხედავ თინეიჯერ და ზრდასრულ თაკოს შორის?

— თინეიჯერულ ასაკში, თავში რაღაცები მიქროდა, დავფრინავდი, ყველაფერს მსუბუქად ვუყურებდი — ყველაფერი იოლი და ლამაზი მეჩვენებოდა. ახლა, ცოტა ჭკუა ვისწავლე, ისეთი გამოუცდელი აღარ ვარ, ცხოვრებამ ბევრი რამ მაჩვენა.

— და რა გაჩვენა ცხოვრებამ, რა ისწავლე?

— სხვათა შორის, თავი გენიოსად არასდროს მიგრძნია, მაგრამ ადრე, ჩუმი, დამჯერი, დათმობი და ცოტა არ იყოს, დებილი ვიყავი. დედაჩემი მეუბნება: შენნაირი ადვილად გასაზრდელი ბავშვი არ მინახავსო. ჩემი და ჩემზე უფროსია და ამბობს: როცა ვჩხუბობდით, ყოველთვის ყველაფერს მითმობდიო. მოკლედ, კარგი ბავშვი ვიყავი.

— „ბულკივით“, არა?

— არა, „პონჩიკივით“ *(იცინის)* მერე, ცოტა აზრზე მოვედი, მივხვდი, რომ ასე, შორს ვერ წავალ.

— ეი. როცა გაიზარდე, ნელ-ნელა გაეშმაკდი?

— ეს სიტყვა მეზიზღება. ფუჰ, გაეშმაკდი... საერთოდ, კარგია, როცა ადამიანი დამთმობია, მაგრამ ცხოვრება ისეთია, რომ ამით შეიძლება, შენვე დაზარალდე — ამას მივხვდი და ჭკუა ამიტომაც ვისწავლე.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— მე-8 კლასამდე ფრიადოსანი ვიყავი, მაგრამ მერე, ცოტა არ იყოს, ავურიე.

— რას ნიშნავს „ავურიე“?

— ავურიე, რა... თუმცა, იმას არასდროს დავუშვებდი, რომ სამიანი მიმეღო, მაგრამ ჩემს ფრიადებს ოთხები ბლომად შეერია. ამის მიზეზი, რთული ასაკი იყო — ვითომ, სწავლა მეზარებოდა, სხვა აზრები მომდიოდა თავში და ა.შ.

— ეი. შეყვარებული იყავი?

— რომ გითხრა, სიყვარულით დატანჯული ვიყავი, ვიღაც მიყვარდა, იმას კი სხვა მოსწონდა-მეთქი — ტყუილი იქნება. უბრალოდ, პატარა-პატარა გატაცებები მქონდა.

— ბევრი თაყვანისმცემელი ბიჭი გყავდა?

— კი, კლასელებსაც ვუყვარდი და ცოტა უფროსებსაც. მახსოვს, ძალიან ბევრ გოგოს, სწორედ ამიტომ არ „ვევასებოდი“... სხვათა შორის, ადრე უფრო მეტი „პაკლო“ მყავდა, დღეს კი, ისეთი სახელი მომაკერეს, რომ ყველას ძალიან „ისეთი“ ვგონივარ.

— როგორი ჰგონხარ — უკარება?

— არა, არც მთლად უმაგისობაა. ეს მთლად მოგონილი არ არის, მაგრამ რატომღაც, ვიღაცებმა გადაწყვიტეს, რომ საშინლად მძიმე ხასიათი მაქვს. ძალიან მაინტერესებს, ამას რატომ ამბობენ ადამიანები, რომლებსაც გამარჯობითაც კი არ ვიცნობ. თუმცა, ამის გამო ნერვებს არ ავიშლი, ილაპარაკონ რამდენიც უნდათ, ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. შეიძლება ითქვას, რომ ამ უაზრობის მიმართ, ურეაქციო ვარ.

— ბიჭები შენი გულისთვის ჩხუბობდნენ?

— თაყვანისმცემლებს ჩემი გულისთვის უჩხუბიათ კიდეც, ჩემთვის სიურპრიზებიც მოუწყვიათ, მაგრამ ეს ამბები აღარც კი მახსოვს.

— როგორ ფიქრობ, გოგოებს შენი რატომ შურდათ?

— ალბათ, იმიტომ, რომ მათ ის ტიპები მოსწონდათ, რომლებსაც მე ვუყვარდი. ამას სხვა ახსნას ვერ უპოვი.

— შენ თუ შეგშურებია ოდესმე ვინმესი?

— მქონია მომენტი, როცა პატარაობისას, 18 წლის გოგოების შემშურდა — აუ, რა დიდები არიან-მეთქი, მაგრამ მათი ასაკის გავხდი თუ არა, მივხვდი, რომ შესაშური არაფერი იყო.

— თაკო, მასწავლებლებს აბრაზებდი ხოლმე?

— მასწავლებელი შეიძლება მარტო ჩემი პირდაპირობით გამებრაზებინა. როცა პედაგოგს ყველა ელაქუცებოდა იმისთვის, რომ მას კარგი ნიშანი დაეწერა, ამას ვერ ვიტანდი, ყველას ყველაფერს პირში ვეუბნებოდი და ამის გამო, ზოგჯერ უსიამოვნებაც მომსვლია.

— „შატალოზე“ არ მიდიოდით ხოლმე?

— მივდიოდით, მაგრამ არც ისე ხშირად.

— და სად მიდიოდით ხოლმე?

— რომ გითხრა, გასართობად მივდიოდით რომელიღაც პარკში-მეთქი, მოგატყუებ. როგორც მახსოვს, უმეტეს შემთხვევაში, სახლში მოვდიოდი.

— რატომ, შეკრული, მეგობრული კლასი არ გქონდათ?

— არა, ყველანი სხვადასხვანაირები ვიყავით. პირადად მე, სკოლიდან მეგობარი არ შემომრჩა. ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ მაინც...

— თქვენს კლასშიც იყო ე.წ. „დაჯგუფებები“? შენ რომელ ჯგუფს მიეკუთვნებოდი?

— ჩვენთან დაჯგუფებები „ვაფშე“ არ იყო. ყველა თავისთვის უბერავდა. პრინციპში, უაზრო კლასი გვქონდა. მახსოვს, ერთხელ მშობლებს შევჩივლე — კარგ სკოლაში რატომ არ მიმიყვანეთ-მეთქი.

— მშობლებს არ აბრაზებდი ხოლმე?

— ისე რა. სხვათა შორის, მათ ახლა უფრო ვაბრაზებ.

— ისინი რაიმეს გიკრძალავდნენ?

— გვიან ღამით წასვლა-წამოსვლა არ შემეძლო, დაღამებამდე შინ უნდა ვყოფილიყავი. ღამის 11 საათის შემდეგ, არსად არ

უნდა დამერეკა, არც აქეთ უნდა შევეწუხებინე სხვას და თუ ვინმე დარეკავდა, გიჟდებოდნენ. დისკოთეკაზე სულ სამჯერ გამიშვეს, ისიც, რად დამიჯდა, ვინ იცის... ამ მხრივ, ცოტა ჩაკეტილი ცხოვრება მქონდა. „ვაფშე“, ვიცი, რომ რაც უფრო ნაკლებს „იგულავებ“, ყველგან არ წახვალ, მასაში არ გაითქვიფები, უკეთესია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემს მშობლებს, ცოტა არ იყოს, ზედმეტი მოსდიოდათ — როცა ჩემი მეგობრები დისკოთეკაზე ან სადმე სხვაგან მიდიოდნენ, მე რატომ უნდა ვყოფილიყავი შინ? — ეს არ მესმის...

— თინეიჯერი თაკო ვისი ფანი იყო?

— ჯექსონის ფანი ვიყავი, მერე, მერაია ქერი შემიყვარდა. მათი პლაკატებით იყო ჩემი ოთახის კედლები აჭრელებული. ორივე დღემდე მიყვარს, მაგრამ მაიკლს უფრო ვაფასებ, რადგან ამ ბოლო დროს, მერაიამ ცოტა არ იყოს გაუბერა, ბოლომდე აღარ მომწონს.

— მათ რაში ჰბაძავდი?

— მაგალითად, ჩავრთავდი ჯექსონის სიმღერებს და ცეკვას ვსწავლობდი, თან, ვმღეროდი. მერაიას სიმღერაში ვბაძავდი, მათი ყველა ალბომი მაქვს.

— ჯექსონზე აგორებულმა ჭორმა (არასრულწლოვნებთან დაკავშირებით) შენზე რაიმე ზეგავლენა მოახდინა?

— დარწმუნებული ვარ, რომ ეს მართლაც ჭორია და მეტი არაფერი. მას ეს ფულის გამოძალვის მიზნით მოუგონეს. კაცს ბავშვები ძალიან უყვარს, კარგ საქმეს აკეთებს და მაინც, თავზე ლაფს ასხამენ... როცა რაღაცას ამბობენ, მაშინ, ამის დამტკიცებაც უნდა შეძლონ — ვინ შეუსწრო, ვინ ნახა, სად აქვთ ვიდეო ან ფოტოდამადასტურებელი საბუთები? ვიღაც ბავშვს დედიკომ დაავალა — ასე თქვიო, იმისთვის, რომ ფული ეშოვათ. ასეთი ხალხის ხელში, ჯექსონი ძალიან მეცოდება.

— ჩაცმის სტილით თუ ჰბაძავდი ვინმეს?

— არა, მაგრამ ყოველთვის ვადევნებდი თვალს მოდურ ტენდენციებს. თუმცა, ხშირად ვყიდულობდი იმასაც, რაც შეიძლება მოდაში არ იყო, მაგრამ ძალიან მიხდებოდა — იმას, რაც ჩემს გემოვნებას აკმაყოფილებდა.

— თუ გახსოვს დღე, როცა მშობლებმა დამსახურებულად დაგსაჯეს?

— მახსოვს, პატარა ვიყავი და ორიანი მივიღე. დედაჩემმა, მთელი 10 წუთი კუთხეში დამაყენა და შემარცხვინა. მეც მივხვდი, რომ ცუდად აღარ უნდა მესწავლა. მართლაც, ორიანი აღარ მიმიღია.

— გაპრანჭვა რა ასაკში დაიწყე?

— დღეს 12 წლის გოგოები სკოლაში მაკიაჟით, აქსესუარებით აჩონჩხლილი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით დადიან. მე კი, პირველად, 15 წლის ასაკში გავიკეთე მსუბუქი მაკიაჟი, ჩავიცვი მინიქვედაბოლო და ცოტა ხანში მივხვდი, რომ ამ ასაკში, ასე სიარული სისულელეა, რადგან ბავშვი მისი ასაკის შესაფერისად უნდა გამოიყურებოდეს და წლების შემდეგ, ისედაც ყველაფერს მოესწრება.

— დღევანდელ თინეიჯერებზე რას იტყოდი?

— ვფიქრობ, რომ დღევანდელი თინეიჯერები ძალიან ლამაზები არიან. რაღაც სხვანაირი ეფექტური, ეშხიანი თაობა წამოვიდა. მაგრამ მიმაჩნია, რომ ცოტა არ იყოს, ნაადრევად ჩამოყალიბდნენ (ჩვენ უფრო გვიან მოვმწიფდით) — 13 წლის ბავშვს რომ ვუყურებ, 18-ის მგონია... მაგრამ რას იზამ, დრო შეიცვალა და ჩვენც მის დინებას უნდა მივყვეთ. სხვათა შორის, ეს ბავშვები გემოვნებითაც გამოირჩევიან. მოკლედ, კარგი თაობა მოდის.

— ამბობენ — წინა თაობის თინეიჯერებისგან განსხვავებით, ესენი უფრო უწიგნურები არიანო...

— ამას ვერც დავეთანხმები და ვერც უარვყოფ, რადგან არ ვიცი, რამდენად უწიგნური თაობა მოდის. ეს ბავშვები, კომპიუტერის მეშვეობითაც საკმაოდ ბევრ ინფორმაციას ილებენ, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის, წიგნიც უნდა წაიკითხონ. დღევანდელი თინეიჯერები ბევრად უფრო თავისუფლები არიან, ვიდრე მათ ასაკში ჩვენ ვიყავით — მათ სახლში ვერ გააჩერებ, ვერაფერს აუკრძალავ. განსხვავებული, ევროპული გემოვნება ჩამოუყალიბდათ...

— დღევანდელ დღეს თინეიჯერი რომ იყო, შენც ასეთივე თავისუფალი იქნებოდი?

— არა, მათნაირი თავისუფალი ვერ ვიქნებოდი — ჩემს მშობლებს დრო ვერ შეცვლიდა. ყველაფერს ისევე ამიკრძალავდნენ, მეტყოდნენ, გააკეთებდნენ. არსად გამიშვებდნენ, რამდენიც არ უნდა მეყვირა — გამიშვით, თორემ თავს მოვიკლავ-მეთქი.

— როგორ ფიქრობ — თინეიჯერებს მეტი თავისუფლება იმის უფლებას აძლევს, რომ მათ სიგარეტი მოსწიონ ან ქუჩაში ხელგაწვდილები დადგნენ?

— 13-14 წლის ბავშვები კი არა, სიგარეტს არავინ არ უნდა ეწეოდეს. ეს პირველ რიგში, ძალიან დიდი ცოდვაა, მეორეც, შენს ჯანმრთელობას შენივე ხელით აყენებ ზიანს, რაღაც ნარკოტიკის მონა ხდები და ა.შ. რაც შეეხება მათხოვრობას — არ მესმის, როცა არ გიჭირს, რატომ უნდა იმათხოვრო. ქუჩაში დგომა არ უტყდებათ? ეს ბავშვები, ალბათ საკუთარ თავს პატივს არ სცემენ. ეს არის უაზრო ახირება, რომელსაც გართობას ეძახიან. ჯობია, მათხოვრობას თავი დაანებონ, მშობლებს ფული გამოართვან და სხვა რაღაცით გაერთონ.

— შენ და შენი მეგობრები როგორ ერთობოდით ხოლმე?

— ერთმანეთის სახლებში მივდიოდით, ვჭორაობდით, ვიცინოდით და ა.შ. მაგრამ ძირითადად, ჩემი ბავშვობის დროინდელი გართობა „ბასტი-ბუბუს“, კონცერტებს, გადაღებებს უკავშირდებოდა. მადლობა ღმერთს, რომ ასე მაინც ვერთობოდი, თორემ, შეიძლება გამეფრინა.

— როცა მეგობრები იკრიბებოდით, ძირითადად, ბიჭებზე ჭორაობდით?

— არა, ბიჭები სულაც არ გვყავდა ამოჩემებული *(იცინის)*.

— როგორ ფიქრობ, როცა 15 წლის გოგოს შეყვარებული არ ჰყავს, ეს კატასტროფის ტოლფასია?

— რაც არ უნდა მოხდეს ცხოვრებაში, ის კატასტროფას ვერ გაუტოლდება. თან, დრო ყველაფრის მკურნალია. ამ ასაკში, შეყვარებულის ყოლა აუცილებლობას არ წარმოადგენს და ეს არც უნდა იდარდონ...

— რა განსხვავებას ხედავ დღევანდელ ქართველ და უცხოელ თინეიჯერებს შორის?

— დღეს, მათ შორის განსხვავება თითქმის აღარ არის — ქართველები უცხოელებს „დაეწივნენ“.

— „დაწევაში“ რას გულისხმობ?

— ბავშვების მენტალიტეტს. თუმცა, უცხოელები მათგან განსხვავებით, უფრო დამოუკიდებლები არიან — მუშაობენ, სადაც უნდათ, იქ წავლენ, ვისთანაც უნდათ, იმასთან იცხოვრებენ, ჩვენები კი, მაინც დედამამაზე არიან დამოკიდებულნი.

— თაკო, როგორი ბიჭები მოგწონს?

— კაცი უნდა იყოს მაღალი. გაფრთხილებთ, ქერა ტიპები ნუ გამომეხმაურებიან, რადგან შავგვრემან (მაგრამ არა შაჰ-აბასივით შავ) ბიჭებს ვანიჭებ უპირატესობას. ჩემი რჩეული უნდა იყოს სერიოზული, მაგრამ ამასთანავე, ჯანსაღი იუმორის მქონე, საქმიანი და რაც მთავარია, მშობლებისგან დამოუკიდებელი.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— მათ ვურჩევდი იმას, რომ არ გაუსწრონ დროს, დატკბნენ ბავშვობის წლებით. გაერთონ (ნორმის ფარგლებში), დრო უქმად არ დაკარგონ, რადგან იმას, რასაც ახლა ისწავლიან, მთელი ცხოვრების მანძილზე გამოიყენებენ.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შენ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8(99) 17-35-27.*

ვამტკიცებ

ნია, 18 წლის:

„ამ ინტერვიუმ გამაოგნა. ის კი ვიცოდი, რომ თამამი და უზრდელი თინეიჯერებიც არსებობენ, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა, თუ ასე ცუდად იყო საქმე. ეგ ბავშვები მეცოდებიან. ვფიქრობ, რომ მათი ასეთი საქციელი მშობლების ბრალია. მეც თინეიჯერი ვარ, მაგრამ ასეთი „გართობა“ სამარცხვინოდ მიმაჩნია, ღმერთმა დამიფაროს „სვეტსკი“ მათხოვრობისგან. ხალხო! სანამ დროა, გონს მოდით, თორემ მერე, თქვენივე საქციელის „გაგიტყდებათ“.

უცნობი, 14 წლის:

„როცა თქვენი ინტერვიუ წავიკითხე, ცრემლები მომაწვა, რადგან სულ უფრო და უფრო მეტად ვრწმუნდები იმაში, რომ საქართველოში ცხოვრების სურვილს ვკარგავ. ის, რაც ჩვენს თაობას კარგად გამოსდის, ეს არის აგრესია, მიმბაძველობა, საკუთარი „მეს“ დაკარგვა. მათ თავისუფლება — უკომპლექსობა ჰგონიათ, იმას კი არ ფიქრობენ, რომ ამდენ სისულელეს სწორედ კომპლექსები აკეთებინებთ. გული მწყდება, რომ ქართველ თინეიჯერებს ასეთი მცირე ფანტაზია აქვთ“.

გიო, 16 წლის:

„გუშინ, მეტროში 3 გოგო შემოვიდა. ისინი დაახლოებით 12-13 წლისანი იქნებოდნენ. მთელი ვაგონი აიკლეს, გაიძახოდნენ — სექსი მაგარიაო. მერე, ერთ-ერთმა მათგანმა, რომელსაც ცხვირში უზარმაზარი საყურე ჰქონდა გარჭობილი, ბოლო ხმაზე იღრიალა — System of a down! — მაგარიაო... მთელი გზა, სამივე რაღაცებს რეპავდა (რა თქმა უნდა, ისევ და ისევ სექსზე, მაგრამ ამჯერად, ეტყობა, თეთრკანიანებით ვერ დაკმაყოფილდნენ და ამ საკითხში შავკანიანებს აქებდნენ).. გული გამისკდა. მეგობრებმა დამამშვიდეს — რა განერვიულებს, დაიკიდეო, მაგრამ ამდენი რამ სად უნდა დავიკიდო?“

თამთა, 16 წლის:

„გამარჯობა, ლიკა. შენი ინტერვიუ წავიკითხე და სიმართლე გითხრა, ჩემი თანატოლების საქციელს ახსნა ვერ მოვუძებნე, მათი არ მესმის. გართობას არც მე ვიკლებ, მაგრამ ასე არასდროს დავეცემი... სკოლაში რაღაც ჯგუფებად მართლა ვიყოფით და მინდა გითხრა, რომ ეს ძალიან მაღიზიანებს, მაგრამ რას ვიზამ?..“

ზურა, 18 წლის:

„პირველად წავიკითხე ჟურნალი „გზა“ და შენი სტატია (ალბათ, რუბრიკის ორიგინალურმა სათაურმა მიიპყრო ჩემი ყურადღება) და სიმართლე გითხრა, ძალიან მომეწონა. მეც მინახავს ასეთი „სვეტსკი“ მათხოვრები. ერთხელ, ისინი ჩემთანაც მოვიდნენ. ისეთი საყვარლები იყვნენ, რომ მათ სიხარულით „დავეხმარე“. თუმცა, ამის შემდეგ გადავწყვიტე, რომ მეორედ ასე აღარ მიმექარა, რადგან... თუმცა, მიყვარს თავისუფალი, უკომპლექსო გოგოები. მათთან ადვილად შევდივარ კონტაქტში და მალევე ვუმეგობრდები. ისინი პირდაპირები, უბოროტოები და გულღიები არიან, ყველაფერს ადვილად ეგუებიან (ზოგადად ასეა)“.

იოგა, 18 წლის:

„უკვე მესამე წელია, რაც იოგაში ვვარჯიშობ და ჯანმრთელი ცხოვრების წესს მივდევ. ვერ ვიტან სასმელს და სიგარეტს. ვამაყობ — პლანი არასდროს მომიწევია, არ მიზიდავს კლუბები, ბარები და მით უმეტეს, დისკოთეკები. არ გეგონოთ, რომ მოსაწყენი ცხოვრებით ვცხოვრობ — ერთ დღეში იმდენი სიხარულის და სიამოვნების მიღება შემიძლია, რომ ეს მაიმუნობები და მით უმეტეს, მათხოვრობა, მსგავსს ვერასდროს მომანიჭებდა. თინეიჯერებო, დაიმახსოვრეთ — სიცოცხლის ხალისს და სიამოვნებას, ერთი კათხა ლუდი ან სიგარეტის ნაფაზი ვერ მოგიტანთ...“

მარი, 14 წლის:

„მე ამ „სვეტსკი“ მათხოვრების ტოლი ვარ. თქვენი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ, გაოცებული დავრჩი. ძალიან ცუდი თაობა მოვდივართ. მიხარია, რომ ჩემს სამეგობროში მათნაირი არავინაა. მართალია, არც ჩვენ ვართ უფრთო ანგელოზები, მაგრამ როგორ შეიძლება, 14 წლის გოგო სიგარეტს ეწეოდეს? თან, რა მაგრად უსწორდებათ, ასეთები რომ არიან. მართალია, არც ერთ მათგანს არ ვიცნობ, მაგრამ მათ ვერ ვიტან. მაპატიეთ პირდაპირობა, მაგრამ არა მგონია, რომელიმე მათგანი ქალიშვილი იყოს. ძნელი დასაჯერებელია, რომ მათი მშობლები ვერაფერს ხვდებიან, ზედ ეტყობათ — როგორი ოჯახიდანაც არიან“.

სალომე, 14 წლის და **ლიკა**, 15 წლის:

„თქვენი რუბრიკის წაკითხვის შემდეგ, თავი ბედნიერ ადამიანებად ვიგრძენით, რადგან ჩვენც, თქვენი რესპონდენტების ტოლები, მაგრამ მათთან შედარებით უფრო ბავშვურები ვართ. ნუთუ, ისინი ფიქრობენ, რომ ეს დრო დაუბრუნდებათ?.. ისეთი შეგრძნება გვეუფლება, თითქოს საქართველოში ფარულ ევოლუციას ჰქონდა ადგილი, რადგან ღამის ეგრევე ქალებად და კაცებად იბადებიან. პატივს ვცემთ თითოეული ადამიანის ქმედებას, მაგრამ... უკაცრავად, რაც აქ წავიკითხეთ, ამას რა ჰქვია?..“

ოკო, 15 წლის:

„ახლანდელი ბიჭები, გოგოებს პატივს არ გვცემენ. მართალია, მიმთხოვრია კიდეც და ქუჩაში ფარდაშემოხვეულსაც მივლია, მაგრამ მერე რა მოხდა? ამაში ცუდს რას ხედავთ? ეს იმას არ ნიშნავს, რომ სუსტი ნებისყოფის და ცუდი ყოფაქცევის ვარ. წარმოიდგინეთ — ამხელა გოგოს, ბიჭისთვის ერთხელაც არ მიკოცნია... ხალხო, ჩვენ უბრალოდ ვერთობით, ახლა სხვა დროა და ეს უნდა შეიგნოთ. ჩვენც გვეყოლება შვილები, რომლებიც ჩვენგან განსხვავებულები იქნებიან და მათ არ უნდა გავუგოთ? ყველა თაობა ერთნაირი რომ იყოს, ცხოვრება უინტერესო იქნებოდა“.

ნინი, 15 წლის:

„მდიდარი ვარ, მაგრამ ეს სრულებით არ მთრგუნავს. „სვეტსკი“ მათხოვრების პრობლემა იმაშია, რომ ისინი თვითრეალიზებას ვერ ახერხებენ და უაზროდ ერთობიან. მე კი, სკოლის გაზეთის რედაქტორი ვარ და არც ფულიან ბიჭებზე ვაფრენ, არც სიგარეტს ვეწევი ჩუმ-ჩუმად. მიუხედავად გამორჩეული გარეგნობისა, შეყვარებული არ მყავს და ეს საერთოდ არ მადარდებს“.

ტატი, 14 წლის:

„ამ მესიჯით გურამს მინდა მივმართო — გთხოვ, ნუ შეგრცხვება შენი გრძნობების გამხელის და მეც ნუ დამტანჯავ ცრუიმედებით“.

ეკა, 19 წლის:

„დღევანდელი ახალგაზრდების პრობლემა ის არის, რომ ხშირად ჰბაძავენ სხვებს. არიან ადამიანები, რომლებსაც სულაც არ სიამოვნებთ ქუჩაში დგომა და მათხოვრობა, მაგრამ დაქალის უაზრო ახირებას ჰყვებიან. ჩვენც ახალგაზრდები ვართ, თუმცა, რაღაც უაზრო „კაიფის“ და „მუღამის“ გამო, თავს არ დავიმცირებთ. საერთოდ, რა მუღამი უნდა ჰქონდეს მათხოვრობას? ამ დროს, ისინი ჩვეულებრივი მათხოვრისგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ კარგად აცვიათ. თინეიჯერებო, თქვენი საქციელი სამარცხვინოა!“

მარი, 15 წლის:

„ლიკა, ძალიან დიდი ბოდიში, ასე გვიან რომ გაწუხებ (თან, საბერძნეთიდან გწერ), მაგრამ ახლა წავიკითხე შენი ინტერვიუ და პირდაპირ „ნერვი ამიტოკდა“ — საზიზღარი გოგოები. თუ ფული და გართობა უნდათ, ხელი გაანძრიონ, იმუშაონ! მიუხედავად იმისა, რომ 15 წლის ვარ, თითქმის 2 წელია, რაც ვმუშაობ. რომ მინდოდა, ჩემი ფული მქონოდა (იმიტომ, რომ ყოველდღე დედაჩემისთვის არ მეთხოვა — ფული მომეცი-მეთქი), მუშაობა ჩუმად დავიწყე. თავიდან, ერთ ოჯახში დავდიოდი — ვაუთოებდი ხოლმე. ეს დედაჩემმა გაიგო და მკითხა — ამას რატომ აკეთებო?.. დღეს, 2 წლის ბავშვს ვზრდი, თან, სახლს ვალაგებ, საჭმელს ვამზადებ. ჩემმა რამდენიმე მეგობარმა ეს რომ გაიგო, დამცინა, მაგრამ საქმის კეთება სულაც არ „მეგრეხება“. — ვმუშაობ, ხომ არ ვბოზობ, ხომ არ ვმათხოვრობ? ჩემი ფული მაქვს, საკაიფოდ ვიზმანები, ვერთობი და ბიჭებიც ბუზებივით მახვევია“.

თაპო, 16 წლის:

„პრივეტ“! არა მგონია, ზედმეტი თავისუფლება კარგი იყოს. მეც თინეიჯერი ვარ და განსაზღვრულ ჩარჩოში თავს მშვენივრად ვგრძნობ. მგონი, არც ბიჭებს უნდა მოსწონდეთ თავაშვებული გოგოები. ხომ გაგიგონიათ „ზედმეტი სითამამე უგემოვნობის ნიშანიაო (ეს მე კი არა, ჰიუგომ თქვა). ასე რომ, თინეიჯერებო, მართლაც საუკეთესო წლები გვიდგას და ნუ გააკეთებთ ისეთ რამეს, რომ მერე, ამ წლების გახსენებამ სირცხვილის გრძნობა და ტკივილი მოგანიჭოთ“.

ქრისტი, 14 წლის:

„მივესალმები მთელ საქართველოს! ამ მესიჯს ათენიდან გწერთ. ძალიან გამაკვირვა ჩემი ტოლი გოგონების საქციელმა. ვერ ვიტან, როცა გოგო სიგარეტს ეწევა, ალკოჰოლურ სასმელს ეტანება, ცუდ სიტყვებს ამბობს და იგინება. ჩემი აზრით, გოგო ნაზი და ზრდილობიანი უნდა იყოს. არ გეგონოთ, რომ ცხოვრებას ჩამოვრჩი — ყოველთვის მაგრად მაცვია, არაფერს ვიკლებ, მაგრამ ვიცი, რომ ცუდი საქციელის ჩადენა, სამარიაყოდ არ გამომადგება. ნუთუ, ეს გოგოები მომავალზე არ ფიქრობენ? მე მათთან არასდროს ვიმეგობრებდი და ვფიქრობ, რომ ასეთი გოგოები, ბიჭებს მხოლოდ გასართობად სჭირდებათ“.

■

ფეხბურთის ქართველმა გულშემატკივრებმა ერთმანეთს მაკარონი დაუშინეს

მატჩი, რომლის დროს გინებაც გამართლებულია და მანეკენზე თავდასხმაც

მოგეხსენებათ, რომ ახლა, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ტოტალური ფეხბურთის სეზონია. ჯერ არასოდეს ყოფილა, რომ ქართველები სხვადასხვა ქვეყნებს ასე „შეხმატკბილებულად“ გულშემატკივრობდნენ. გარდა იმისა, რომ ყველა ასაკისა და სქესის წარმომადგენელს საყვარელი ნაკრების მაისური აცვია, ფან-კლუბებიც შეიქმნა და თანამოაზრე ადამიანები, საყვარელ გუნდს ერთიანი ძალებით გულშემატკივრობენ. ცნობილია, რომ იტალიის ნაკრების ფანები „ჯეიობარში“ დაბინავდნენ, ინგლისის ნაკრების გულშემატკივრებმა კი, „რუსთაველის“ კინოთეატრი შეარჩიეს და მსაჯის ფორმაში გამოწყობილი მანეკენიც დაიდგეს. — თუ არბიტრს რამე შეეშლება, ამ მანეკენზე ვიყრით ჯავრსო.

ნათია ქივიძე

ისიც ცნობილი ფაქტია, რომ იტალიის გულშემატკივრები ბრაზილიის ფანებს ეწვივნენ და ერთმანეთს მაკარონი დაუშინეს. ამის შემდეგ, ხალხში გავრცელდა აზრი, რომ თითქოს, თითოეულ ფან-კლუბს ასეთი გულშემატკივრობისთვის 15.000 დოლარს უხდიანო. არავინ იცის, ეს სიმართლეა თუ არა, ან რომელი ქვეყანა უნდა იყოს ქართველების ფან-კლუბებით დაინტერესებული, მაგრამ... ლექს-სენმა თავის ფავორიტ გუნდს, არგენტინას ლექსებიც კი მიუძღვნა, მისმა თანამოაზრემ, პარლამენტარმა დათო კირკიტაძემ კი განაცხადა — ჩვენები ძალიან მაგრები არიან და მსოფლიო ჩემპიონები აუცილებლად გავხდებითო. თუმცა, ვერაფრით გავარკვიე — არგენტინელები ჩვენები როდის აქეთ გახდნენ, მაგრამ რას გაუგებ ქართველ კაცებს, მით უმეტეს მაშინ, როცა მთელი დღის განმავლობაში, ფეხბურთის სამი მატჩი მიმდინარეობს და კაცების 90% ტელეეკრანებს არის მიჯაჭვული. ის კი არა და, გულშემატკივრებს შორის, ქალების რიცხვმაც იმატა. ზოგი მათგანი ცდილობს, საოჯახო საქმეები ადრე მოამთავროს, რომ ფეხბურთის ყურებაც მოასწროს. ბევრი ქალი კი, არც ფან-კლუბში გაწევრებაზე ამბობს უარს.

ფეხბურთელებს სამ ასოზეც ხშირად ვუშვებ

ცუცა კაპანაძე:

— ვგიჟდები ფეხბურთზე. ყოველთვის ინგლისის ნაკრებს ვგულშემატკივრობდი. მათ ერთ-ერთი მსოფლიო ჩემპიონატი რომ მოიგეს, მაშინ ძალიან გახარებული ვიყავი. მერე, საფრანგეთი-ინგლისის თამაში იყო და ინგლისელებმა პენლებით წააგეს. ამის გამო, გავბრაზდი და საფრანგეთის მხარეს გადავინაცვლე, მაგრამ ახლა, ისევ ინგლისის გუნდს ვგულშემატკივრობ, რადგან ფეხბურთის სამშობლო ინგლისია და რომ არა ისინი, დღეს ჩვენი „დინამოც“ არ იქნებოდა. ძალიან მინდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე საქართველოც იღებდეს მონაწილეობას.

— რომელიმე ფან-კლუბში თუ ხართ გაწევრებული?

— არც ერთში. შინ მარტო ვზივარ, ფეხბურთს ვუყურებ და გიჟივით ვყვირი ხოლმე, მაგრამ ახლა გადავწყვიტე — ინგლისის ფან-კლუბში გავწევრდე.

— ფეხბურთის ყურებისას, უწმაწურ სიტყვებს თუ ამბობთ ხოლმე?

— რა თქმა უნდა, აბა, მსგავსი სიტყვების გარეშე, ფეხბურთს როგორ უნდა უყუროს ადამიანმა? ფეხბურთელებს სამ ასოზეც ხშირად ვუშვებ (იცინის). ლუდი არ მიყვარს, არც მზესუმზირა, ამიტომ მათ არც ფეხბურთის ყურებისას მივირთმევ და არც სხვა დროს. წინასწარ, ბევრ ბატიბუტს შევიძენ და თუ რომელიმე ფეხბურთელი გამაბრაზებს, ეკრანსაც ვესვრი ხოლმე.



ჯავრს მანეკენზე ვიყრით ხოლმე

გოჩა თანდარაშვილი:

— ინგლისის გულშემატკივარი ვარ, რადგან ყველაზე კარგი ქვეყანაა, ყველაზე კარგი ნაკრები ჰყავთ, ფეხბურთსაც ყველაზე მაგრად თამაშობენ.

— თქვენს კლუბში, მანეკენს მსაჯის ფორმა ჩააცვით. რატომ მოიქეცით ასე?

— იმიტომ, რომ თუ მსაჯი ისე არ მოიქცევა, როგორც ჩვენ გვინდა, ჯავრს ამ მანეკენზე ვიყრით.

— გასულ კვირას, ბრაზილიის ნაკრების გულშემატკივრებს ესტუმრეთ და საჩუქრად ყავა გადაეცით...

— აქ განსაკუთრებული არაფერია. უბრალოდ, ჩვენ ყველა გულშემატკივართან ჩვენს დამოკიდებულებას გამოვხატავთ. რა მოხდა, ყავა რომ ვაჩუქეთ? ეს აგრესია სულაც არ ყოფილა.

— ინგლისის ნაკრების მაისური ყოველთვის გაცვია?

— დიახ. ამწუთასაც კი. საერთოდ, სპორტული ჩაცმულობა მიყვარს და ჩემს გარდერობში, ბევრი სხვადასხვა გუნდის მაისურია. მაგალითად, ლივერპულის, ინგლისის და ა.შ.

— რატომ გახდა საჭირო, რომ საქართველოში, სხვადასხვა ქვეყნის ფან-კლუბი გახსნილიყო?

— ეს ყველაფერი „რუსთავი 2“-ის ინიციატივით მოხდა. სხვათა შორის, ამ იდეამ ძალზე გაამართლა, ხალხი უფრო აუტირებულია და წლევანდელ ფეხბურთს, უფრო დიდი „მუღამით“ უყურებს. მე არ მინახავს, მაგრამ მითხრეს, რომ ჩვენი ამბავი ბი-ბისიზე გაუშუქებიათ. აჩვენეს, თუ როგორ ვგულშემატკივრობთ მათ ქვეყანას.

— ხალხში გავრცელდა ქორი, რომ თითოეული ფან-კლუბი, 15.000 დოლარით ფინანსდება...

— მაგ შეკითხვაზე პასუხი ნამდვილად არ მაქვს, რადგან ეგ ჩემი საქმე არ არის. როგორც ვიცი, ყველა ფან-კლუბს თავისი სპონსორი ჰყავს, რომლებიც მაისურების, დროშების ყიდვას და ავტობუსების მოყვანას აფინანსებენ.



დევიდ ბექჰემის თაყვანისმცემელი ვარ

— ფეხბურთის ყურების განსაკუთრებული ტრადიცია თუ გაქვს?

— განსაკუთრებული არაფერი. ყველა მატჩს მეგობრებთან ერთად ვუყურებ. რა თქმა უნდა, ლუდსაც ვსვამთ და ხშირადაც ვიგინებით.

ნატო ნიჟარაძე:

— სიმართლე გითხრათ, ფეხბურთი საერთოდ არ მიყვარს და არც ისე ხშირად ვუყურებ, მაგრამ ამ ბოლო დროს, სპორტის ამ სახეობით მეც დავინტერესდი. ინგლისის ნაკრებს, პირველ რიგში, იმის გამო ვგულშემატკივრობ, რომ დევიდ ბექჰემის თაყვანისმცემელი ვარ. ამასთანავე, ისინი ძალიან კარგად თამაშობენ.

— ფეხბურთს როგორ უყურებთ?

— ფეხბურთს, როგორც ხელოვნებას, ისე

ვუყურებ. უწმაწურ სიტყვებს, ცხოვრებაში საერთოდ არ ვამბობ, რადგან ეს უკულტურობის ნიშანია. ლუდი ფეხბურთის გარეშეც ძალიან მიყვარს.

— როგორ ფიქრობ, თბილისში ამდენი ფან-კლუბი რომ გაიხსნა, ეს კარგია?

— ძალიან მიხარია, რომ ევროპულად დავიწყეთ აზროვნება. ისინი ცდილობენ, რომ ყველაფერი დღესასწაულად აქციონ, მათ შორის, ფეხბურთიც. ჩემი აზრით, სპორტი დიდი სიკეთეა, რადგან ჯანმრთელობისთვის ძალზე სასარგებლოა. ფან-კლუბის ძირითადი მიზანი კი ის არის, რომ ერთნაირად მოაზროვნე ადამიანები უფრო დაახლოვდნენ.

ნიკა ქავთარაძე:

— მე ინგლისის გულშემატკივარი ვარ. ამ გუნდს, არა მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონატებზე, არამედ, საკლუბო თამაშებისა და სხვა ჩემპიონატების დროსაც „ვბალელშიკობ“. ინგლისის ნაკრები ჩემი ფავორიტია, თუმცა, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრების წინსვლა უფრო მაინტერესებს და როცა ჩვენი გუნდიც მიიღებს მსგავს ჩემპიონატებში მონაწილეობას, მაშინ ინგლისის ნაკრები მეორე ადგილას გადავა და საქართველოს, ყველაზე დიდი შემართებით ვუგულშემატკივრებ. ინგლისის თამაშს კინო „რუსთაველში“ (სადაც ამ გუნდის ფან-კლუბია) ვუყურე. ბევრი ვიყვირეთ და დამსახურებული მოგებაც ვიგემეთ. ლუდიც მივირთვით, უწმაწური სიტყვაც უხვად გამოვიყენეთ და მსაჯიც ერთი-ორჯერ „მივტუქსეთ“. ყველაზე დიდი სიამოვნება ის არის, როცა ფეხბურთს სტადიონზე უყურებ.

თუ ქალს ფეხბურთი არ უყვარს, ასეთი ქალი — შორს ჩვენგან

— შენი აზრით, ამ ფან-კლუბების ჩამოყალიბება რამდენად გამართლებულია?

— ეს იმ ტელევიზიის ძალიან კარგი პიარკამპანიაა, რომელიც ფეხბურთის მატჩებს, პირდაპირი ტრანსლაციით გვთავაზობს.

— ეთანხმები თუ არა იმ აზრს, რომ ფეხბურთის დროს, მამაკაცების გვერდით, არც ერთი ქალი არ უნდა იყოს?

— თუ ქალს ფეხბურთი არ უყვარს და ტელევიზორთან ჩვენი ჯდომა აღიზიანებს, ასეთი ქალი — შორს ჩვენგან. თუ ქალს ფეხბურთი უყვარს და ლუდის დალევაზეც არ ამბობს უარს, მაშინ შეუძლია ჩვენთან ერთად იყოს და ჩვენი აღფრთოვანებაც გაიზიაროს. შენ რომელი ქალების რიგს მიეკუთვნები?

— ლუდი და ფეხბურთი რომ უყვარს.

— მაშინ გეპატიჟები. მოდი ჩვენთან და ერთად ვუყუროთ... ■

ია სუხიტაშვილი ლაქაზ ქორწილზე ოცნებობს

ახალგაზრდა, ნიჭიერმა მსახიობმა ია სუხიტაშვილმა უკვე არაერთხელ განაცხადა, რომ შეყვარებულია. მისი რჩეული, კახა ახვლედიანია, რომელმაც სულ ახლახან დაამთავრა თეატრალურ უნივერსიტეტში სამსახიობო ფაკულტეტი და უკვე რამდენიმე სარეკლამო და მუსიკალურ კლიპში ვიხილეთ. რა სიურპრიზებს უკეთებს ია შეყვარებულს, რატომ შურთ თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტ გოგონებს მისი და რა ურთიერთობა აქვს სადედამთილოსთან? ამ და სხვა კითხვებზე ია და კახა თავად გვიპასუხებენ.

სოფო ყარალაშვილი

— ია, მომიყევი, როგორ გაიცანით ერთმანეთი შენ და კახამ?

— საერთო მეგობრების წყალობით. სულ ისე ემთხვეოდა, რომ ქობულეთშიც ერთდროულად მივდიოდით დასასვენებლად. მერე, სოციალურ რეკლამაში გადაგვიღეს ერთად. „გრეხია“ ვთქვა, რომ თავიდანვე არ მომეწონა...

კახა:

— მეოთხე კურსზე ვიყავი, როცა ერთმანეთი გავიცანით. ია გარეგნობით ყოველთვის მომწონდა. ვამბობდი — კარგი გოგოა-მეთქი, ამ დროს, თურმე, ისიც ამბობდა ჩემზე — კარგი ბიჭიაო... ვმეგობრობდით და, როგორც ხედავთ, ეს მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა. ია ლამაზია, ნიჭიერი მსახიობია და ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ მამაკაცს ქალი შეუყვარდეს.

— ია, შენ რით მოგხიბლა კახამ?

— თავიდან, გარეგნულად მომეწონა ძალიან. მერე და მერე მივხვდი, რომ ამ ადამიანს აქვს ძლიერი ინტელექტი, იუმორის გრძნობა და ამავე დროს, ძალიან თავისუფალი ადამიანია. კახას გვერდით როცა ვარ, არაფრის მეშინია...

— კახა, შენი შეყვარებული საკმაოდ პოპულარული მსახიობია და ალბათ, ბევრი თაყვანისმცემელიც ჰყავს. ხომ არ გიჭირს მათი მოგერიება?

— იას თაყვანისმცემლებმა იციან, რომ ჩვენ შეყვარებულები ვართ და თან, სერიოზული ურთიერთობა გვაქვს. ნორმალურად მოაზროვნე და თავმოყვარე ბიჭი კი, როცა იცის, რომ გოგოს შეყვარებული ჰყავს, თავის გრძნობას არ გამოამჟღავნებს. ჯერჯერობით, არავის შეუწუხებია და თუ ეს ერთხელ მაინც მოხდება, დარწმუნებული ვარ, მეორედ ამის გაკეთების სურვილი აღარ გაუჩნდება...

ია:

— მე ბავშვებისაგან უფრო ვგრძნობ სითბოს და სიყვარულს. არა მგონია, კახას მათთან რაიმე პრეტენზია ჰქონდეს.

— რომელი უფრო ეჭვიანი ხართ?

კახა:

— როცა გიყვარს, იქ ეჭვიანობა აუცილებლად იქნება, მაგრამ ეს პათოლოგიაში არ უნდა გადაიზარდოს. მოსკოვში რომ იყო წასული ფილმის გადაღებაზე, პარტნიორისთვის უნდა ეკოცნა. ეს კადრები მქონდა „გადმოქაჩული“ და პირველად რომ ვნახე, კლავიატურას მუშტები ვურტყი. მეც მსახიობი ვარ, ჩვენთვის კი ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ როცა ქალი გიყვარს, ამის ყურება არასასიამოვნოა.

ია:

— მსახიობობა ძალიან სპეციფიკური პროფესიაა. არ ვამბობ, რომ დედას, მამას,

ძმას ან შეყვარებულს უნდა მოსწონდეს შენ მიერ ფილმში ან სპექტაკლში ნათამაშები ინტიმური სცენა (ოცნას ვგულისხმობ, მე სხვა არაფერი მქონია პარტნიორთან). იმ სიყვარულმა, რომელიც ჩემშია, ბევრ რამეზე მათქმევინა უარი და ვფიქრობ, რომ ეს მომგებიანიცაა მსახიობისთვის.

— კონკრეტულად რაზე გათქმევინა უარი?

— თუ ადამიანი გიყვარს და გინდა, რომ მას ასიამოვნო, კომპრომისზე უნდა წახვიდე. ნუ დამაკონკრეტებინებ.

— როგორც მივხვდი, გადაჭარბებულად არც ერთი არ ეჭვიანობთ...

ია:

— იცი, რა, მე უფრო ხშირად, მონატრების გრძნობა მაქვს. როცა მოსკოვში ვიყავი, ტელეფონის იმდენი გადასახადი მომივიდა, რომ ამ თანხით შემეძლო, პატარა მანქანაც კი მეყიდა... ეჭვიანობით კი, იმიტომ არ ვეჭვიანობ, რომ ალბათ დარწმუნებული ვარ კახას გრძნობაში.

კახა:

— გატყუებს, გატყუებს. ხანდახან ისეთ უაზრო რამეზე ეჭვიანობს, რომ.. აი, მაგალითად: ტელევიზორში „გაიჩითა“ სიმპათიური გოგო და მე აღვნიშნე, რომ კარგი გოგოა. ერთი თვის მერე, ია ამას გამიხსენებს — რა ვქნათ, მე რომ ასეთი კარგი გოგო არა ვარო?!. ეჭვიანობა სიყვარულს უფრო საინტერესოს ხდის. როცა დარწმუნდები, რომ ტყუილუბრალოდ იეჭვიანე, ხვდები — ეს შენი სიყვარულიდან გამომდინარეა.

— თეატრალურ უნივერსიტეტში ბიჭებს ალბათ, შურდათ შენი, როცა შეიტყვეს, რომ პოპულარულ მსახიობთან გქონდა რომანი...

— პირიქით, გოგონებს შურდათ იასი. თეატრალურში, ასე თუ ისე, პოპულარული ბიჭი ვიყავი. ბიჭები უბრალოდ, ამბობდნენ — კახას გაუმართლა, რა კარგი გოგო ჰყავს გვერდზეო!

ია:

— მართალს ამბობს. კახასთან რომ მივდიოდი, ინსტიტუტში გოგონების მალულ მზერას ყოველთვის ვიჭერდი... მე შეგუებული ვარ იმას, რომ კახას ყოველთვის ეყოლება თაყვანისმცემლები.

— რას ვერ აპატიებთ ერთმანეთს?

— რა ვიცი, შეიძლება, ღალატიც ვაპატიო... ვერ ვაპატიებ იმას, რომ წავიდეს და მიმატოვოს.

კახა:

— მე ღალატს ვერასოდეს ვაპატიებ.

— ია სიურპრიზს ხშირად გიკეთებს?

კახა:

— აუ, კი, ძალიან ხშირად. ამას წინათ, მაღაზიაში მაისური მომეწონა; მერე იამ მიყიდა. ჩემთვის ეს დიდი სიურპრიზი იყო.

ია:

— კახას „გაზმანვა“ ძალიან უყვარს. შეუძლია, გამომყვეს ტანსაცმლის საყიდლად და ჩემთან ერთად 5-6 საათი არჩიოს. ეს თვისება ბევრ მამაკაცს არა აქვს. მის გარეშე ველარაფერს ვყიდულობ, იმიტომ კი არა, რომ გოიმი ვარ და გემოვნება არა მაქვს — უბრალოდ, მისი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანია. მოსკოვში რომ ვიყავი, დავურეკე და ვუთხარი — რაღაც-რაღაცები გიყიდე-მეთქი. ძალიან გაუხარდა.

კახა:

— სულ პირველად, „ჟივანშის“ სუნამო მაჩუქა.

ია:

— ზუსტად „გავარტყი“, ძალიან მოეწონა.

— როგორც ჩანს, არაჩვეულებრივად ეწყობით ერთმანეთს...

— ზოდიაქოს ნიშნით, კახა კუროა, მე — ქალწული, ეს ორი ნიშანი კი არაჩვეულებრივად ეწყობა ერთმანეთს. ორივე, დამთმობი ვართ. ამ ორი წლის განმავლობაში, რაც ერთად ვართ, რა თქმა უნდა, კონფლიქტი მოგვსვლია, მაგრამ იმ დღესვე მოგვიგვარებია ყველაფერი. ჩხუბი ისეთ დეპრესიაში მაგდებს, რომ მერე, აღარც ჭამა მინდა და არც არაფერი.

— გიყვართ განმარტოება?

ია:

— წინა ზაფხულს, ერთად ვიყავით ბუკნარში, ზღვაზე. ხალხს უკვირდა, სად არის ეგ ბუკნარიო?!. პენსიონერებივით ვისვენებდით და ყველაზე კარგად იქ ვიგრძენით თავი. მიუხედავად იმისა, რომ საკმაო ხანს დავრჩით, წამოსვლა მაინც არ

გვინდოდა.

— დაოჯახებას როდის აპირებთ?

— გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ერთად ვიცხოვროთ, ცალკე. ველოდებით ბინას, რომელიც შენების პროცესშია; როცა დასრულდება, გადავალთ და ჩვენი ბუდე გვექნება.

— კახას მშობლებთან როგორო ურთიერთობა გაქვს?

— საუცხოო. საერთოდ, ძალიან მომწონს ძლიერი ქალები და კახას დედას სწორედ ამ კატეგორიას მივაკუთვნებ. მას ცხოვრებაში ბევრი რამ აქვს გამოვლილი, მყარად დგას მიწაზე, ეს არის ქალი, რომელიც ყველანაირი სირთულიდან და გაჭირვებიდან იპოვის გამოსავალს. რაღაცით ოთარაანთ ქვრივსაც ვადარებ... დიდ პატივს ვცემ ქალბატონ ნატას!

— კახა, რძალ-დედამთილს შორის ხშირია უთანხმოება. შენს მეუღლეს და დედას რომ მოუვიდეთ კონფლიქტი, როგორ მოიქცევი?

— არ იჩხუბებენ. საერთოდ, ქართულ ტრადიციებს პატივს ვცემ, მომწონს, როცა ადამიანმა იცის უფროსი და უმცროსი. რაზეა, ხალხო, ლაპარაკი?!. სირცხვილია, როცა ანეკდოტები იწერება რძალ-დედამთილზე... ია და დედაჩემი არ იჩხუბებენ, იმიტომ, რომ ეს ჩემი შეურაცხყოფა იქნება — როგორც დედის, ისე მეუღლის მხრიდან. შეიძლება, ფანტასტიკური ურთიერთობა არ ჰქონდეთ, მაგრამ ჩხუბი გამორიცხულია.

— როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ქორწილი?

ია:

— თეთრი კაბა ჩემი ბავშვობის ოცნებაა. ადრე, როცა ჭურჭლის საყიდლად უნივერმაღში მივდიოდით, დედა საპატარძლო კაბების სექციასთან მტოვებდა. ხომ არ გგონიათ, რომ ფეხს მოვიცვლიდი?..

კახა:

— მე ალბათ, თავადურ ჩოხას შევაკერვინებ. ბევრი თეთრი ვარდი იქნება, ძველი, კლასიკური სტილის ავტომანქანა — მაგალითად, „პობედა“, მუსიკა ცოცხალი შესრულებით.

— რამდენ შვილს იყოლიებთ?

ია:

— რამდენსაც ღმერთი მოგვცემს-მეთქი, — ვერ ვიტყვი. მინდა, ორი შვილი, შეიძლება — სამიც, გოგოც და ბიჭიც, თუმცა — ბიჭი უფრო.

— ია, ბოლოს მითხარი, შენი აზრით, რა პერსპექტივა აქვს კახას სამსახიობო კარიერაში?

— ძალიან ნიჭიერია. ახალი დამთავრებული აქვს უნივერსიტეტი და სულაც არ არის კატასტროფა, თუ ის ჯერ თეატრში ვერ დაკავდა. ისე, არაერთ ადამიანს უთქვამს, რომ კახასნაირი გარეგნობის ბიჭი სცენაზე ბევრი არ დგას; ამით არავის ვაყენებ შეურაცხყოფას. რუსთაველის თეატრში ბიჭების მიღება იყო გამოცხადებული, მაგრამ სამწუხაროდ, კახა იმ დროს ჯერ სტუდენტი გახლდათ... ■

ზაზა ზაალიშვილის ლასვეგასური კარიერა და ისევ ის, ისევე, თბილისში ძალა

„ქართველი ტენორი ზაზა ზაალიშვილი, რომელმაც წარმოადგინა კანიოს როლი, ძლიერ ჩამოჰგავს უდიდეს ესპანელს, ჰოსე კარერასს. განსაკუთრებით კი, ინტერპრეტაციის ინტელიგენტური მანერით“ — ასეთ შეფასებას აძლევს ლონდონის ერთ-ერთი წამყვანი გაზეთი ქართველი საოპერო მომღერლის შემოქმედებას. პროფესიით ენერგეტიკოსი და მისწრაფებით ჯაზმენი, ზაზა ზაალიშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში კლასიკური მუსიკის სიყვარულმა მიიყვანა. ჰერცოგისა და კავარადოსის პარტიების წარმატებით შესრულებას, მონრეალის მუსიკალურ ფესტივალზე გამარჯვება მოჰყვა, რამაც მისი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაგვიანებით მიღებული, 10-ლარიან ჯამაგირი, ხელსაყრელმა კონტრაქტებმა და მსოფლიოს საოპერო სამყაროში დამკვიდრების შანსმა შეცვალა... შემდეგ, ერთ წინადადებას, მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და სამშობლოსგან შორს 13 გრძელი წელიწადი მიილია. დღეს ქართველ ტენორს ევროპასა და ამერიკაში უკეთ იცნობენ, ვიდრე მის მშობლიურ ქვეყანაში...

ემა ტუხიაშვილი

— მამაჩემი ცნობილი საოპერო მომღერალი — თენგიზ ზაალიშვილი გახლავთ, ამიტომ, კლასიკური მუსიკის სიყვარულით ბავშვობიდან განვიმსჭვალე. მახსოვს, 7 წლის ვიყავი, როდესაც პირველად მოვუსმინე ენრიკე კარუზოს და ამის შემდეგ, საოპერო ხელოვნება, ჩემთვის, ერთ-ერთი საყვარელი მუსიკალური ჟანრი გახდა. 14 წლის ასაკში გიტარაზე დაკვრა ვისწავლე და ჯაზმა გამიტაცა. მოგვიანებით, მაშინდელ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარე, ენერგეტიკის ფაკულტეტზე და იქვე არსებულ ანსამბლ „ხომლის“ წევრიც გავხდი. იმ დროს, ანსამბლს თამაზ კაპანაძე ხელმძღვანელობდა, კომპოზიტორი ჟენია ჭავჭანიძე კი, რეპერტუარის შექმნაზე ზრუნავდა. ჟენიას ჯაზის საკმაოდ საინტერესო ხედვა ჰქონდა, მაგალითად, ხშირად ვასრულებდით ჯაზს გურული ინტონაციით. მეტიც, მუსიკალურ ფესტივალებზე მსმენელი ხშირად გაგვიოცებია ჯაზის, როკის და გურული სიმღერის ნაზავით. ამის გამო, საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზიის პირველმა არხმა ჩვენს ანსამბლს ვრცელი სიუჟეტიც კი მიუძღვნა. სხვათა შორის, საოპერო კარიერის მიუხედავად, ჯაზური მუსიკა, კვლავ ჩემი ცხოვრების ნაწილია. მონრეალში, სადაც ამჟამად ვცხოვრობ, მაქვს ჩემი მუსიკალური სტუდია. თავად ვუკრავ რამდენიმე მუსიკალურ ინსტრუმენტზე და პერიოდულად ვქმნი კომპოზიციებს, სადაც ჯაზიცაა, როკიც და ქართული ფოლკლორის მოტივებიც. დაახლოებით 6 თვეში, კანადაში გამოვა ჩემი მუსიკალური კომპოზიციების დისკი, ხოლო უფრო შორეულ პერსპექტივაში, დიდი სურვილი მაქვს, რომ საკუთარი მუსიკალური ანსამბლი ჩამოვაყალიბო. ჯაზისა და როკის ერთგული დარჩა ასევე ანსამბლ „ხომლის“ მაშინდელი ხელმძღვანელი, თამაზ კაპანაძე. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად, ის ფოთის პორტის ერთ-ერთი ხელმძღვანელია, პერიოდულად მაინც ახერხებს, ჯაზ-როკ ფესტივალის ორგანიზებას. სხვათა შორის, დიდი სურვილი გვქონდა, რომ ერთი ასეთი ფესტივალი საქართველოში ჩემი ყოფნის დროს დაგვემთხვია, მაგრამ ჩემმა მეგობარმა ფეხი მოიტეხა და ეს, შემოდგომისთვის გადავდეთ. იმედი მაქვს, რომ დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, მოვახერხებ და შემოდგომაზეც ჩამოვალ საქართველოში, ოღონდ, ახლა უკვე ჯაზფესტივალში მონაწილეობის მისაღებად.

— მომიყევით, როგორ იქეცით ჯაზმენი საოპერო მომღერლად?

— ანსამბლ „ხომლში“ მე მხოლოდ გიტარაზე ვუკრავდი და არც მიფიქრია, რომ საკუთარი ძალები სიმღერაში მომესინჯა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ერთ-ერთი საქალაქო ოლიმპიადის წინ ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტმა პირდაპირ მომთხოვა: „გიტარას ოლიმპიადაზე დაბალი კოეფიციენტი აქვს, ამიტომ ვიოლინოზე უნდა დაუკრაო. გადავირიე, რადგან ოლიმპიადა სამ თვეში იწყებოდა, ვიოლინოზე დაკვრას, დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მაინც ვერ ვისწავლიდი. არადა, ანსამბლის წევრობის გამო, სწავლის ეწ. თავისუფალი გრაფიკი მქონდა და ინსტიტუტისგან დავალებული ვიყავი, ამიტომ შევთავაზე: მოდით, ვიმღერებ-მეთქი. ასე შედგა ჩემი, როგორც ვოკალისტის, დებიუტი. შემდეგ ისე გამიტაცა სიმღერამ, რომ პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, კონსერვატორიაში ჩავაბარე და ჯანსუღ კახიძესთან მოსმენაზეც მოვხვდი. ჰერცოგის პარტიას იმღერებო? — მკითხა ბატონმა ჯანსუღმა. სულ რომ არ შემძლებოდა, უარი როგორ უნდა მეთქვა მისთვის?! ასე მივიღე მთავარი პარტია „რიგოლეტოში“. 28 წლის ვიყავი, როდესაც პირველად ვიმღერე ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ამ აზრის ჭეშმარიტებაში — არასოდეს არ არის გვიან. მით უფრო არ იყო დაგვიანებული კლასიკურ მუსიკასთან შეჭიდება, რომელიც მომღერლისგან უდიდეს ნებისყოფას და ენერგიას მოითხოვს. ხშირად, ჩვენი ცხოვრების რეჟიმს სპორტსმენების ცხოვრებას ვადარებ. ყოველდღიური ვარჯიში და დისციპლინა — მხოლოდ ამის შედეგადაა შესაძლებელი წარმატების მიღწევა. მახსოვს, ლუჩანო პავაროტის ინტერვიუს ვკითხულობდი, სადაც ის ამბობდა, რომ წელიწადში მხოლოდ ორ თვეს ისვენებს და დასვენების დროსაც, დღეში ნახევარ საათს მაინც მღერის.

იმედი მაქვს, რომ დატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, მოვახერხებ და შემოდგომაზეც ჩამოვალ საქართველოში

— უკვე 13 წელია, კანადაში ცხოვრობთ და მოღვაწეობთ. მაპატიეთ, მაგრამ თქვენს შემოქმედებას ალბათ,

გაცილებით უკეთ იცნობს იქაური აუდიტორია, ვიდრე ქართველი მსმენელი.

— თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე შესრულებული მაქვს, დონ ოტავიოს პარტია ოპერაში „დონ ჯოვანი“, დონ ბაზილიო — „ფიგაროს ქორწინებაში“, კავარადოსი — „ტოსკაში“, დონ ხოზე — „კარმენში“, ლენსკი — „ევგენი ონეგინში“ და მრავალი სხვა. 1993 წელს მონრეალის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსზე მიმიწვიეს, სადაც გავიმარჯვე და სამი სერიოზული შემოთავაზება მივიღე. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც თბილისში ოპერა თითქმის არ



თავიდან, ნიუ-იორკში გამართულ მოსმენებზე ხშირად მიხდებოდა იმის ახსნა, რომ რუსი არ ვიყავი

მოქმედებდა. ხოლო ჩემი, როგორც შტატიანი მომღერლის ხელფასი, 5 დოლარს არ აღემატებოდა. ამ დროს, კანადაში შემოთავაზებული ერთ-ერთი კონტრაქტით, კვებეკის „გრანდ ოპერაში“ უნდა შემესრულებინა ნადირის პარტია „მარგალიტის მაძიებლებში“, მეორე კონტრაქტის თანახმად, მონრეალის დიდ ორკესტრთან ერთად — ვერდის „რეკვიემში“ მემღერა და მესამე კონტრაქტი მაძლევდა უდიდეს შანსს, მემღერა მსოფლიოს უძლიერეს ბარიტონთან, ლუი კვილიკოსთან ერთად, რომელსაც სხვაგვარად „მისტერ რიგოლეტოსაც“ უწოდებენ. მართალია, მაშინ არ ვფიქრობდი, რომ კანადაში ასე დიდხანს დავრჩებოდი, მაგრამ სამივე კონტრაქტს მოვაწერე ხელი და ბობოქარ საოპერო ცხოვრებაშიც ჩავერთე.

— თქვენ მიერ ჩამოთვლილი პარტიებით თუ ვიმსჯელებთ, დიდად არ გაგიჭირდებოდათ საკუთარი ადგილის დამკვიდრება დასავლეთის საოპერო სამყაროში...

— თავიდან მართლაც, არ გამჭირვებია, ერთ კონტრაქტს მეორე მოსდევდა და საკმაოდ აქტიური სამუშაო გრაფიკით ვცხოვრობდი. მაგრამ იყო პერიოდები, როდესაც თავად უნდა მეზრუნა, რომ ჩემით, როგორც მომღერლით დამეინტერესებინა ვინმე. სწორედ ამ მიზნით, ყოველი წლის აპრილში ან ოქტომბერში, ნიუ-იორკში, მსოფლიოს ცნობილი საოპერო თეატრების ხელმძღვანელები იკრიბებიან და მომღერლების შესარჩევად მოსმენებს აწყობენ. ასეთ ვითარებაში, მომღერალსა და ოპერის დირექციას შორის გრძელვადიანი კონტრაქტი ფორმდება, რადგან ისეთ ოპერაზე მუშაობა, როგორიცაა „ოტელო“ ან „აიდა“, ყველაზე მცირე, 2 წლით ადრე მაინც იგეგმება. ნიუ-იორკში ამ დროს, ყველაზე — ცნობილი საოპერო მომღერლები იკრიბებიან. მწვავე კონკურენციაა გაჩაღებული. ერთი ვაკანტური ადგილისთვის ხშირად, 100 მომღერალი იბრძვის და ასევე კარგად მღერის.

— ბევრი ქართველი საოპერო მომღერალი მოღვაწეობს საზღვარგარეთ, ალბათ, კლასიკური მუსიკის მოყვარულთა წრეებში უკვე ჩამოყალიბებულია გარკვეული შეხედულება ქართველი შემსრულებლების მიმართ...

— თავიდან, ნიუ-იორკში გამართულ მოსმენებზე ხშირად მიხდებოდა იმის ახსნა, რომ რუსი არ ვიყავი. მეტი დამაჯერებლობისთვის იმასაც ვეუბნებოდი, რომ ჩვენ და რუსებს საერთო მხოლოდ აღმსარებლობა გვაქვს. ხოლო ჩვენი ენა ისე განსხვავდება რუსულისგან, როგორც ფრანგული და ჩინური. შემდეგ, რა თქმა უნდა, ვეუბნებოდი, რომ პაატა ბურჭულაძის თანამემამულე ვარ და ამით ყველაფერი იყო ნათქვამი. თავიდან, ამერიკელების ეწ. აზროვნების სტილიც მაოცებდა. მაგალითად, შემხვედრია უმსხვილესი საოპერო კომპანიის ხელმძღვანელი, რომელმაც არ იცოდა, თუ ვინ იყო გამოჩენილი იტალიელი მომღერალი მარიო ლანცა.

— ახლა მოგვიყევით იმ ძირითადი მიღწევების შესახებ, რომლებიც თქვენ 13-წლიანი საოპერო კარიერის მანძილზე შეიძლება დაიკვეხოთ.

— ჯერ გეტყვით იმას, რომ ჩემი საქმეების წარმართვაში მეხმარება კანადელი იმპრესარიო,

ერთი ვაკანტური ადგილისთვის ხშირად, 100 მომღერალი იბრძვის და ასევე კარგად მღერის.

რომელიც უწინ, მონრეალის ოპერის დირექტორი იყო. რაც შეეხება ჩემი რეპერტუარის სიუხვეს — ფილადელფიის „გრანდ ოპერის“ სცენაზე შესრულებული მაქვს კანიოს პარტია „ჯამბაზებში“, ნიუ-ჯერსის თეატრში ვიმღერე რადამესის პარტია „აიდაში“, ნიუ-იორკის თეატრში — პინკერტონის პარტია „ჩიო-ჩიო-სანში“. 2004 წელს იოანე-პავლე მეორისადმი მიძღვნილ გალა-კონცერტში ვმონაწილეობდი, 2005 წელს — მიუნხენის ზაფხულის საოპერო ფესტივალში. შარშანვე ვიმღერე მაკდუფის პარტია „მაკბეტში“, კაროლინის ოპერის თეატრში. წელს კი, მქონდა სოლო კონცერტი მონრეალის „პოლაკ ჰოლში“. გარდა ამისა, მონრეალში პედაგოგიურ საქმიანობასაც ვწევი — ვასწავლი მაგილეს კონსერვატორიის სტუდენტებს, სადაც ცნობილი ქართველი პიანისტი, მარინა მდივანიც ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მე და მარინა კარგი მეგობრები ვართ და როდესაც ერთმანეთს ვხვდებით, ქართულად ვმუსაიფობთ.

— ამჯერად რა იყო საქართველოში თქვენი ჩამოსვლის მიზეზი და როდის ბრუნდებით მონრეალში?

— საქართველოში 8 წელია, არ ვყოფილვარ. ჩამოსასვლელად ბევრი მიზეზი მქონდა. ჯერ ერთი, რომ ამდენი წელი, მამა არ მყავდა ნანახი. მთელი ამ ხნის განმავლობაში მასთან მხოლოდ ინტერნეტით ვურთიერთობდი. სამწუხაროდ, დედა ცოცხალი აღარ არის... ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ თბილისის ოპერის სცენაზე „აიდაში“ შევასრულე რადამესის პარტია. გამგზავრებამდე კი, ამავე თეატრის სცენაზე მონაწილეობას მივიღებ ჯუზეპე ვერდის „ტრუბადურში“, რომლის რეჟისორიც, ინგლისელი ვერნონ მაუნდი გახლავთ. ასევე ჩავატარე მასტერ-კლასი კონსერვატორიაში, ნოდარ ანდღულაძის სტუდენტთა ჯგუფთან. აქვე აუცილებლად უნდა გითხრათ — როდესაც თბილისში 8 წლის წინ ვიყავი, საშინელი შოკი მივიღე: მახსოვს, სინათლეც კი არ იყო ოპერაში. შოკი ახლაც მივიღე, მაგრამ — უკვე პოზიტიური. ოპერის თეატრში ახალი ორკესტრია, საოპერო ცხოვრება ჩვეულ რიტმს უბრუნდება, ამიტომ თბილისში დაბრუნებაზე რეალურად ვფიქრობ. ■

ფრაზა

მეენიალური

მცირე წინააღმდეგობანი მხედველობაში მისაღები არაა, როცა მათი დაძლევით ხელოვანი აღწევს უფრო ამაღლებულ მშვენიერებას.

გოეთე

sanam cocxlebi varT...

თანდათან გვშორდება ის დრო, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობისთვის ვიბრძოდით, წითელი დრაკონი მძლავრობდა და როგორც დაჩვეული იყო, მორიგ მსხვერპლს ითხოვდა. 15 წელია, დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და ახლა საქართველოში სხვა ბრძოლებია, თუმცა გამყოფი ხაზი ისევ სამშობლოს სიყვარულსა და ბოროტ დრაკონებთან ბრძოლაზე გადის.

1956

მანანა იაშვილი

იმ ახლო წარსულიდან ზოგიერთი ჭკუამხიარული ქართველი იაფფასიან პროდუქტს, უქმ სამსახურს და საბჭოურ მხიარულ მივლინებებს იხსენებს და მისტირის. ბევრი ყოფილი თანამდებობის პირი კი ეშმაკობს, პოლიტიკური მოთხოვნის მიხედვით ან საკუთარი თავის რეაბილიტაციისთვის ისეთ სურათს ხატავს, რომ თავი პარალელურ საქართველოში მცხოვრები უცხოპლანეტელი მგონია. მათ მონათხრობში, კომუნისტფუნქციონერებს საქართველოს დამოუკიდებლობა გულის ფიცარზე ჰქონდათ ამოჭრილი, ცეკას მდივნები ქართული ენის დასაცავად სტუდენტურ გამოსვლებს გეგმავდნენ, სუკის გამომძიებლები დაჭერილებს დისიდენტობაში ეცილებოდნენ და რუსეთის ბანაკებში, მონატრებული ძმების დარად, მათთვის ქართული ნობათი ჩაჰქონდათ. მოსამართლეები ცხარე ცრემლით ტიროდნენ განაჩენის გამოტანისას, ხოლო ქრისტიანული დღესასწაულების დროს, ტაძრები ისე იყო გადაჭედილი მომლოცველი მილიციელებით, რომ ლოცვის მოსურნე სტუდენტებს „ჩორნი ვორონებში“ და მილიციის განყოფილებებში უწევდათ მოცდა.

პუბლიცისტიკის ამგვარმა აღვირახსნილობამ გადამაწყვეტინა, რომ მხოლოდ საკუთარ ჩანაწერებსა და მოპოვებულ დოკუმენტებს არ დავყრდნობოდი და მოვლენები მონაწილეების მოგონებებით გამეჯერებინა. ობიექტურობას ვერც ასე დაიჩემებ, მაგრამ საფიქრალად და საკირკიტოდ მკითხველისათვის უფრო საინტერესო იქნება. ვფიქრობ, ამ წიგნს ერთი ავტორი არ ჰყავს, მისი ავტორი ის ასეულობით ადამიანია, რომლებიც XX საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდნენ, იღვწოდნენ და ოცნებობდნენ დამოუკიდებელ საქართველოზე და ვინც ცოცხალია, ახლაც სჯერა, რომ „საქართველო გაბრწყინდება!“

„ჯუდე! ჯუდე!“

დავიწყოთ **1956 წლის 9 მარტის** მოვლენებით, რადგან ეს იყო პირველი არასანქცირებული საპროტესტო გამოსვლა, რომელშიც უამრავი ხალხი იღებდა მონაწილეობას. დარბევას კი მოჰყვა საქართველოში პირველი არაფორმალური ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებზეც შემდეგ მოგითხრობთ. გავიდა ათწლეულები და ზოგიერთი მწერალი არაერთხელ ეცადა, ხალხის მასის მაშინდელი აღტყინება ეროვნულ იდეასთან დაეკავშირებინა, მაგრამ მთქმელმაც და წამკითხველმაც კარგად იცოდა, რომ ეს თეთრი ძაფით იყო ნაკერი, რადგან რაც არ უნდა საწყენი იყოს, ფაქტია, რომ მაშინ აბობოქრებული მასა „სტალინ! სტალინ!“-ის ყვირილით სანაპიროზე კერპის ძეგლს ყვავილების გვირგვინებით ამკობდა და სამთავრობო აგარაკებთან ვიღაც ჩინელს ღრიალით — „ჯუდე! ჯუდე!“ შველას შესთხოვდა.

ყველაფერი კომპარტიის XX ყრილობიდან დაიწყო, როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვმა სტალინის კრიტიკას მიჰყო ხელი და მის მმართველობას „პიროვნების კულტი“ უწოდა. მოგეხსენებათ, წინამორბედთა კრიტიკა კომუნისტების აუცილებელი ზნე-ჩვეულება იყო და ნიკიტა ხრუშჩოვიც დიდ, მსუყე ძვალს შეეჭიდა. სტალინის ლანძღვასთან ერთად, რუსეთის დიდ ქალაქებში ანტიქართული განწყობილებაც აგორდა, ფარული დირექტივა ამოქმედდა და დაიწყო ხელმძღვანელ პოსტებზე მომუშავე ქართველების სხვადასხვა მიზეზით სამსახურებიდან გათავისუფლება, შეიზღუდა რუსეთის ცენტრალური ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში ქართველი ახალგაზრდების მიღება, ასევე, ფარული დირექტივით აიკრძალა ქართველი ახალგაზრდებისთვის მთელი რიგი სამხედრო სპეციალობების დაუფლება.

უცნაური იყო, მაგრამ XX ყრილობის მასალები ღიად ცენტრალურ პრესაში არ გამოქვეყნებულა. საქართველოშიც ცოტამ თუ იცოდა, რა თქვა ნიკიტამ და რა დირექტივებით უნდა ეხელმძღვანელათ ადგილობრივი კომპარტიის მუშაკებს. მემუარისტ-ჩეკისტი **ფილიპე ბოგპოვი** წერს:

„მოსახლეობისათვის ხრუშჩოვის უცნობმა მოხსენებამ, მისი შინაარსის შესახებ დამახინჯებულმა ხმებმა გამოიწვია მრავალნაირი ინტერპრეტაცია და ათასგვარი ჭორი. ზოგი, მოხსენების შინაარსს, გადმოსცემდა ბერიას საბრალმდებლო დასკვნის ფრაგმენტების გამოყენებით, რომელიც მანამდე ყველა შრომით კოლექტივში იქნა წაკითხული. ამან ცეცხლზე ნავთი დაასხა...“

ამ ფოტოს გადაღებიდან სულ რამდენიმე წუთში დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს

რამდენიმე დღეში თბილისში, ბათუმში, სოხუმში, გორსა და ქუთაისში დაიწყო მიტინგები, რომლებსაც აშკარად თუ ფარულად, კომუნისტი ხელმძღვანელი მუშაკები უწევდნენ ორგანიზებას. მსვლელობა სანაპიროზე, ბელადის ძეგლთან, 7 მარტს დაიწყო.

ისტორიკოსი **ვოთა ჩართოლანი** მიყვება:

„დილაადრიან სტუდქალაქის წინ შე-

ვიკრიბეთ და ოცეულებად დავეწყვეთ. რა თქმა უნდა, აქ მეტწილად რაიონებიდან ჩამოსული სტუდენტები შევგროვდით. გაჩნდა ბელადის სურათები და სამკერდე ნიშნები. მოგვქონდა ყვავილების გვირგვინები წარწერიანი ლენტებით, რომელიც დიდი წვალებით მოვიპოვეთ. იმ დღეებში ყვავილების მაღაზიებს სტალინის სახელიანი ლენტით გვირგვინების გაყიდვა აეკრძალათ. ჩვენ, გვირგვინის შეკვეთებს გამოგონილ სახელზე ვაძლევდით, შემდეგ გოგონები ამ სახელს შლიდნენ და სტალინის სახელს აწერდნენ. თეთრ პერანგებში ვიყავით გამოწყობილნი და ასე მწყობრად წამოვედით პროსპექტზე. უცებ ზემო ქუჩიდან შავმა „ემადინმა“ ჩამოუხვია, დავინახეთ, რომ მანქანაში ვასილ მჟავანაძე (ცეკას მდივანი) იჯდა. ჩვენ წრე შევკარით და მანქანას არ ვუშვებდით. ბიჭებმა მანქანის უკანა მხარე ოდნავ ასწიეს ზევით და მანქანა ბორბლებს ჰაერში ატრიალებდა. მძღოლმა შეგონება დაგვიწყო, მაგრამ ამან ძალიან გაგვამხიარულა, ახალგაზრდები ვიყავით. მანქანიდან ჯერ მძღოლი გადმოვიდა საყვედურებით, შემდეგ კი, მჟავანაძემაც გააღო კარი და გადმოვიდა. მის გარშემო შევჯგუფდით და სტალინის სახელის შეურაცხყოფის გამო ჩვენი გულისტკივილი გამოვთქვით. მჟავანაძე ცდილობდა ჩვენს დამშვიდებას: ახლავე, როგორც კი კაბინეტში მივალ, მოსკოვში დავრეკავ და ყველაფერს გავარკვევ. ამ საქმეს უფროსები მოვუვლით, თქვენ კი დაიშალეთ და მეცნიერების შესწავლას მეტი ყურადღება დაუთმეთო. დამშვიდობებისას კიდევ ერთხელ გვირჩია დავშლილიყავით, მაგრამ ვინ დაუჯერებდა, მარშით წავედით სანაპიროსკენ“.

იმ დღეებში სანაპიროზე, ძეგლთან, ხალხის მსვლელობა არ წყდებოდა. ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან ბელადის ძეგლის ყვავილებით შესამკობად მოდიოდნენ მუშები, რაიონებიდან ჩამოდიოდნენ გლეხები, ახალგაზრდობა ხომ იქ ათენებდა და აღამებდა. იქვე, სატვირთო მანქანაზე ტრიბუნის მსგავსი რაღაც იყო გამართული, საიდანაც მსურველები სიტყვით მიმართავდნენ შეკრებილებს, სტალინის სადიდებელ ლექსებს ამბობდნენ და მღეროდნენ. ქალაქი პარალიზებული იყო. ჰყვებიან, რომ ვიღაც ქურდი ტრიბუნაზე ასტა და ხალხს მიმართა — ხომ არაფერი დაგიკარგავთო? შეკრებილებმა ჯიბეები მოიქექეს და უპასუხეს, — არაო. სტალინის პატივისცემით ახლა არაფერი დაგეკარგებათო, — დაამშვიდა ქურდმა სტალინელმა ხალხი.

ერთი შეხედვით ქაოსურად მიმდინარე მიტინგებს ფარული ორგანიზატორი მაინც ჰყავდა. საჭირო დროს ვიღაც წამოიძახებდა რაიმე ახალ იდეას და ემოციური ბრბო იმ წუთს იწყებდა ამ იდეის შესრულებას. ამგვარ მოწოდებაზე გაემართა ხალხი ორთაჭალის სამთავრობო აგარაკებზე „ჯუდეს“ ძახილით. 9 მარტს კი, მოწოდებაზე — მოსკოვში ტელეგრამა გავგზავნოთო, ხალხის უზარმაზარი მასა რუსთაველის გამზირისაკენ, მთავარი ფოსტისკენ დაიძრა; იქ კი ვიღაცამ წამოიძახა — „ფოსტა ავიღოთ, გენერალი გლადკოვი მოვკლათ!“ ამის შემდეგ ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს გაბრიყვებულ, უიარაღო ადამიანებს.

ვასილ მჟავანაძის ყოფილი თანაშემწე **გიორგი მგელაძე** იგონებს, რომ 7-8 მარტს, ქალაქში მდგომარეობა დაძაბული იყო. თანამშრომლები ცენტრალურ კომიტეტში აღამებდნენ და ათენებდნენ. „9 მარტს, დაახლოებით ორ საათზე სროლის ხმა მოგვესმა, პირველი მდივნის კაბინეტში შევვარდი, მაგიდაზე დამხობილ მჟავანაძეს ტელეფონის ყურმილი ეკავა და ბღაოდა — „ნე სტრელიატ, ნე სტრელიატ!..“

არის კიდევ ერთი ვერსია, რომელიც სამთავრობო აგარაკებისაკენ ხალხის მსვლელობას და „ჯუდეს“ ყვირილს ეხება. აღმოჩნდა, რომ XX ყრილობაზე დაპატიჟებული ჩინეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ჩჯუ დე თბილისში დასასვენებლად ჩამოვიდა. ჩინეთის კომპარტიის წარმომადგენლებმა რამდენჯერმე მოინახულეს მომიტინგეები და შეაგროვეს ათასობით წერილობითი მიმართვა სტალინის სახელის შებღალვის წინააღმდეგ. XX ყრილობის გადაწყვეტილებები მკაცრად გააკრიტიკა ჩინეთის კომპარტიამ. ჩინეთის კომპარტიის გაზეთმა „ჟენიმინ-ჟიბაომ“ დაბეჭდა სარედაქციო კრიტიკული სტატია, რომელიც რატომღაც საბჭოთა „პრავდამ“ გადმობეჭდა. ხრუშჩოვს ჩინეთის საელჩოს მიღებაზე სიტყვით გამოსვლამ მოუწია, სადაც თქვა, რომ არასწორად გაუგეს და არავის მისცემს სტალინის შეურაცხყოფის უფლებას.

ამბობენ, 9 მარტის შემდეგ, თბილისში მტკვარი რამდენიმე დღე სისხლით იყო შეღებილი და გვამები ზედ ტივტივებდაო. „არამიანცის“ საავადმყოფო დაჭრილებით იყო სავსე და დასახმარებლად ერევნიდან ქირურგები ჩამოიყვანეს. ახალნაოპერაციებ ადამიანებს ექიმები სახლებში ჩუმად აპარებდნენ. ჭირისუფლებს კი, მორგში თავიანთი ნათესავების და ახლობლების მოძებნის ეშინოდათ. კომენდანტის საათი გამოცხადდა და რეპრესიების შიში კიდევ დიდხანს ბოგინებდა ქალაქში.

ვასილ მჟავანაძემ ცრემლი შეიშრო და კრემლს ისეთი პატაკი ჩააბარა, როგორსაც მისგან ელოდნენ. დღემდე არავინ დაინტერესებულა, რა მოხდა, ვინ დარაზმა ხალხი, ან ვინ დაიძახა — კავშირგაბმულობის დაცვის უფროსს, გენერალ გლადკოვს ვესროლოთო. სწორედ ამ შეძახილის შემდეგ, თითქოს რაღაც ბრძანება მიიღესო, ჯარისკაცებმა სროლა დაიწყეს.

„ბერიაკი ვარ, ნუ მამკლავ"

იმ ღამეს განცდილმა განუკითხაობამ წინააღმდეგობის სურვილი აღძრა ახალგაზრდებში. წინა დღეებში ისინი აქტიურად ჩაითრიეს მიტინგებსა და მსვლელობებში. 9 მარტის ხოცვა-ჟლეტის დროს ეს ყმაწვილები დაცემულ ადამიანებს შველოდნენ და სამშვიდობოს გაჰყავდათ. თბილისის პირველ და მეორე ვაჟთა სკოლებში გაჩნდა ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ: ზვიად გამსახურდია, თამაზ გუნჯუა, გურამ დოჩანაშვილი, მერაბ კოსტავა, ტოლიკო მიქაძე, ჯონდო მეტრეველი, ვოვა სიხარულიძე, გურამ სხირტლაძე, თემურ ცერცვაძე.

ამბობენ, რომ ზვიად გამსახურდიამ დაწერა ფიცი, სიცოცხლის ფასად ებრძოლათ საქართველოს გათავისუფლებისათვის და ბიჭებმა ერთმანეთს შეჰფიცეს. ჯერ გადაწყვიტეს, პატრულებზე ენადირათ, ბნელ ადგილში მიემწყვდიათ ისინი და ეცემათ. შემოდგომაზე გაჩნდა იდეა, რომ პროკლამაციები დაემზადებინათ და გაევრცელებინათ. საბეჭდი მანქანა გურამ სხირტლაძესთან მიიტანეს. გურამს ცალკე ოთახი ჰქონდა და მასთან შედარებით თავისუფლად გრძნობდნენ თავს. კარგად რომ გამოჩენილიყო, პროკლამაციის ასლებს ტუშავდნენ და გასაშრობად ტახტზე აფენდნენ. მერაბ კოსტავა ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, ოთახში ბოლთას სცემდა და მეგობრებთან საუბრობდა. ისე იცოდა კამათში ჩართვა, რომ ტახტზე გაფენილი პროკლამაციები ავიწყდებოდა და პირდაპირ დაჯდებოდა ხოლმე. მივარდებოდნენ ამხანაგები, — ,რას შვრები, შე ყეენაო! — და იყო ერთი სიცილ-ხარხარი. ასე შეარქვეს მერაბს ყეენა.

12 დეკემბერს, ღამით, ჯგუფებად დაიყვნენ. ერთმა ჯგუფმა რუსთაველზე, მეორემ კი პლეხანოვზე გააკრა პროკლამაციები. მეორე დღეს შეიკრიბნენ, ერთმანეთს ანგარიში ჩააბარეს და ,,დარიალში“ პურმარილიც გადაიხადეს. იმ საღამოს ძალიან ბედნიერები და ამაყები იყვნენ. პირველ სადღეგრძელოდ

ზედა რიგში, მარცხნიდან მესამე — ვოვა სიხარულიძე, შუა რიგში, მარცხნიდან პირველი — გურამ დოჩანაშვილი, ქვედა რიგში, მარცხნიდან პირველი — ჯონდო მეგრეველი

ითქვა, ვისაც ჩვენ შორის პირველს მოკლავენ ან დაიჭერენ, იმას გაუმარჯოსო და სიმღერაც შემოსძახეს: „ბერიკაცი ვარ, ნუ მამკლავ“... შეწყობილად და ლამაზად მღეროდნენ, გრძნობდნენ, რომ სხვებისაგან განსხვავებული გზა აირჩიეს.

მეორე დღეს, ალექსანდრეს ბაღში ჩხუბი მოხდა, გურამ დოჩანაშვილი ფილტვის არეში დაჭრეს. ახალგაზრდებმა თავს უშველეს და თავდაცვისათვის იარაღის შოვნაზე დაიწყეს ზრუნვა.

გურამ დოჩანაშვილი მიყვება:

„მერვე პოლკი და მილიციის რიგითები. რუსები და ოსები იყვნენ, ქართველს ვერ ნახავდი. ახლა რომ მკითხოთ, რას ვერჩოდით იმ, ინტერნატში აღზრდილ უპატრონო ბიჭებს, სხვა რა გზა ჰქონდათ ცხოვრებაში? მერვე პოლკზე ვამბობ, მაგრამ მაინც საზიზღრები იყვნენ, „კუსოჩნიკები“. მიტინგების დროს ცუდ დღეში ვაგდებდით. მახსოვს, ვორონცოვის ხიდზე ერთერთს ვიღაც მიეპარა და ქუდი მტკვარში გადაუგდო. ის საწყალი არც დაფიქრებულა, ქუდს წყალში გადაჰყვა და პირდაპირ ისკუპა მტკვარში. მკაცრი დისციპლინა ჰქონდათ, ახლანდელს არ ჰგავდა. ამ დაკარგული ქუდისთვის ჰაუპტვახტში 15 დღეს აყურყუტებდნენ. პატარა ბიჭები, სადაც კი მოიხელთებდნენ, „კუსოჩნიკებს“ ქუდებს ხდიდნენ, შორს ისროდნენ და გარბოდნენ. ასეთი თამაში, ჩვენთვის სახალისო იყო, მათ კი ბოღმა ახრჩობდათ. მერე ეს თამაში საშიში გახდა, შეეძლოთ, ესროლათ. 9 მარტის შემდეგ ისინი ჯგუფურად პატრულირებდნენ ქალაქის ქუჩებში“.

პიჯაკის შიგა ჯიბეში პროკლამაციები მქონდა: „ძირს პირსისხლიანი ქართველი კომუნისტები!“

გურამ დოჩანაშვილი დღესაც ეჭვობს, რომ მისი დაჭრა ალექსანდრეს ბაღში შემთხვევითი ამბავი არ იყო:

„რუსთაველზე ვიყავით, ვიღაც ბიჭი მორბოდა ყვირილით — „ქართველებს სცემენ!“ სასწრაფოდ ჩავედით ბაღში, 700 კაცი მაინც იქნებოდა, დიდი ჩხუბი იყო. იმდენ ხალხში რაღა მაინცდამაინც მე ჩამარტყეს დანა? პიჯაკის შიგა ჯიბეში პროკლამაციები მქონდა: „ძირს პირსისხლიანი ქართველი კომუნისტები!“ წინადღეს გავაკარით, მაგრამ მე კიდევ დამრჩა. რაღა მე ამომარჩიეს? გუმანით ვიგრძენი რაღაც ცუდი, მაგრამ გვიან იყო, თვალებში შევხედე, მკვლელები იყვნენ. ყველანი გაიქცნენ და მე შევრჩი. სასწაულებრივად გადავრჩი.

საავადმყოფოში მაშინ არც აპარატურა იყო და არც ამდენი წამალი. მამაჩემი პირზე სარკეს მადებდა, სუნთქავს თუ არაო? ეს კარგა ხანს ვერ მიპატიებია მისთვის... საწყალი, ალბათ როგორ იტანჯებოდა, მე კი ვერ გავუგე... ამ დროს ვკვდები, ბიჭების ჯავრი ცალკე მაწუხებს, სად არიან? 55 დღე ვიწექი საავადმყოფოში, მამა და ბებია მივლიდნენ. ჟორა შავგულიძემ, ჩემმა ნათლიამ, დამახვია ექიმები. ამხანაგებიდან მხოლოდ გოგონები და ჯემალ შუბითიძე დადიოდნენ, ესეც გმირობის ტოლფასი იყო. როგორც ვიცი, ჩემს პალატაში სუკის აგენტი დააწვინეს, ჯანმრთელი ბრმა ნაწლავი ამოაჭრეს. ვითომ მის სანახავად, ინაურიც მობრძანდა. კარგად შემათვალიერა და მთავარ ექიმთან შევიდა მოსალაპარაკებლად, ციხის საავადმყოფოში გადავიყვანოთო. შესანიშნავი ადამიანი იყო ცხონებული დავით იოსელიანი, ბრწყინვალე ექიმი და დიდებული პიროვნება. კატეგორიული უარი უთხრა ინაურს და ფეხიც დაუბრახუნა, ავადმყოფის მოკვლის უფლებას არ მოგცემთო. არაფერი ვიცოდი, თურმე ჩვენებთან ჩხრეკაც იყო და ფაცა ბებია დაკითხვაზე დაჰყავდათ“.

14 დეკემბერს, გამთენიისას, გურამ სხირტლაძის და დაჭრილი გურამ დოჩანაშვილის გარდა, უშიშროებამ ყველა აკრიბა.

„საშინლად ვიტანჯებოდი, — მიამბობს **გურამ სხირტლაძე** — ვფიქრობდი, მეც წავსულიყავი და ჩავბარებოდი, მაგრამ მესმოდა, რომ ასეთ ნაბიჯს აზრი არ ჰქონდა. ოთახში ჩავიკეტე. ერთ საღამოს, რადიოთი ქართულ ხალხურ სიმღერებს გადმოსცემდნენ და „ბერიკაცი ვარ...“ დააგუგუნეს. ახლა არ მრცხვენია თქმა, მაშინ მწარედ ავქვითინდი. ვტიროდი და წარმოვიდგინე, რომ ისინი ერთად ისხდნენ უჩემოდ. ეს აუტანლად მტანჯველი მარტოობის გრძნობა გაუსაძლისი იყო.

სხვათა შორის, მრავალი წლის შემდეგ, ვნახე მასალები და 27 დეკემბრამდე ჩემი ხსენება არაა ჩვენებებში. იმ დღეს ჰკითხეს ბიჭებს — ვინაა გურამიო? — მაგრამ ისინი არ გატყდნენ. 29 დეკემბერს უკვე სახელითა და გვარით მიკითხეს და მეც იმ დილით ამიყვანეს. სახლში ხუთნი ამოვიდნენ, მაგრამ ქუჩა გადაკეტილი იყო. ეზოში ჩვენი მეორე სახლის სხვენზე იპოვეს იარაღი და საბეჭდი მანქანა.

ჩემს წასაყვანად რომ მოვიდნენ, მოვისვენე. უშიშროებაში გამატარეს ყველა პროცედურა და აი, გაიღო ერთი ურდულიანი კარი, შემდეგ დერეფანი და ისევ გაიღო ურდულიანი კარი. აღმოვჩნდი კამერაში სრულიად მარტო. ამას მართლა ვერ წარმოვიდგენდი, რატომღაც მეგონა, ბიჭებთან ერთად ვიქნებოდი. გვერდით კამერიდან ვიღაც ქალის გამუდმებული მოთქმა და ტირილი ისმოდა. არ ვიცი, სპეციალურად მოაწყვეს თუ მართლა გაჭირვებული იყო ვინმე. მისი ხმა ტვინს მიბურღავდა, საშინელება იყო.

დილით, პირველად მომიტანეს ცხელი წყალი, ქინქლებით და ბუზებით სავსე. ეს რა არის-მეთქი? „ეს ჩვენი კოფია, რა იყო, ინაურიც ამას სომს“ — კაი ტიპი იყო ის სუკის მცველი, იუმორი არ აკლდა.

ერთხელ, ჩემთან რამდენიმე დღით, თემურ ცერცვაძე შემოიყვანეს და მერე უცებ გააქრეს. მცველმა მომატყუა, სახლში გავუშვითო. როგორც იქნა, შევიტყვე, რომ სხვა კამერაში გადაეყვანათ. სასამართლომდე თანდათან გავერკვიე ციხის სიტუაციაში, გადაძახილ-გადმოძახილით უკვე ვიცოდით, ვინ რომელ კამერაში იყო. არავინ გამტყდარა, ყველანი ჩვენს თავზე ვიღებდით ყველაფერს.

ამბობენ, რომ ზვიად გამსახურდიამ დაწერა ფიცი, სიცოცხლის ფასად ებრძოლათ საქართველოს გათავისუფლებისათვის და ბიჭებმა ერთმანეთს შეჰფიცეს...

ერთ დღეს დასაკითხავად წამიყვანეს და ოთახში დედაჩემი შემოიყვანეს. გამომძიებელ გეგელიას რომ შევხედე, ეჭვი გამიჩნდა, დედაჩემის, როგორც მოწმის ან თანამონაწილის დაკითხვა უნდოდათ, რადგან ამგვარი შეხვედრები გამოძიების დროს, ისიც კა-გე-ბეში, არ ხდებოდა. დედა კი გახარებული იყო, გამომძიებელს ემადლიერებოდა, რომ შვილის ნახვის უფლება მისცეს. გამომძიებელმა კითხვების დასმა რომ დააპირა, ეჭვი გამართლდა და დროის მოგების მიზნით, გამომძიებელს უხეშად მივმართე — ფარდა გასწიე, მზე მაწუხებს-მეთქი. დედამ საყვედური მითხრა: როგორ მიმართავ უფროს ადამიანსო! დედაჩემს ხმამაღლა შევკადრე: — ჩაიზე კი არა ხარ დაპატიჟებული, აქ დაპირისპირებას გვიპირებენ-მეთქი. ჩემს ყვირილსა და ხმაურზე სხვა თანამშრომლებიც შემოვიდნენ, მე არ ვცხრებოდი და საკანში დამაბრუნეს.

იყო ასეთი მუხლი — დანაშაულის გაუცხადებლობა. საქმე დამთავრებული იყო და ჯერ ვიღაც შოთა ყულიჯანოვი შემომისახლეს. ჩვენთან ამანათებზე შეზღუდვა არ იყო და უამრავი მურაბა დამიგროვდა. დადგა და სულ შემიჭამა ის მურაბები. — ,რა იყო. ინაური არაფერს გაჭმევს-მეთქი?.. ღიად ვეუბნებოდი, ვინც იყო და ვერაფერს მპასუხობდა. მერე უეცრად გააქრეს და მთავარმა გამომძიებელმა გეგელიამ გასაუბრებისთვის დამიბარა. დედაზე დამიწყო ლაპარაკი, როგორი ურთიერთობა მაქვს, გულახდილი ვარ თუ არა მასთან და ასე შემდეგ. ვერ მივხდი, რა უნდოდა. დედასთან ძალიან ახლოს ვიყავი, ვმეგობრობდით და ასეც ვუთხარი, არ დამიმალავს. გეგელიას კი თურმე განუცხადებლობის მუხლით სურდა დედაჩემის დაპატიმრება და ცალკე ისიც დაჰკითხეს. ეს მძიმე სტატია იყო, მგონი რვა წლამდე. ჩვენთვის შეიძლება, პირობითი სასჯელი მოეცათ, დედას კი, როგორც უფროსს, ნამდვილად ციხე ელოდა. ამიტომაც ავტეხე ერთი ამბავი. შემდეგ გავიგე, ინაურმა უსაყვედურა გამომძიებლებს, ეს რაღა საჭირო იყოო?! დედას აღარ შეხებიან.

ჩვენი სასამართლო კი აპრილში გაიმართა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟურნალის საჭარჭიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ „პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ამ ადამიანის ბრძანებით დახოცეს მისი ძმა — ბრიტანიკუსი, დედა — აგრიპინა, ცოლი — ოქტავია, პრეფექტი — ბურუსი. თვითმკვლელობამდე მიიყვანეს მისი მასწავლებელი სენეკა, პოეტი ლუკანუსი და მწერალი პეტრონიუსი. ვისზეა ლაპარაკი?

2. ამბობენ, ამ ქვეყანაში უფრო მეტი ცხენია, ვიდრე მოსახლეობაო. სწორედ, ამ ქვეყანაში გახლდათ დაბადებული ცნობილი მოგზაური და ტელეწამყვანი იური სენკევიჩი.

3. ჩეხოვის თქმით, მისი მოსმენისას, ადამიანს კათოლიციზმის მიღება მოუნდება.

4. მისი ნამდვილი სახელი და გვარია მორდეხაი ლევი. რა სახელით და გვარით იცნობს ამ ადამიანს მსოფლიო?

5. ამერიკაში ყოფნისას, მაიაკოვსკის რუსმა ემიგრანტებმა შეხვედრა მოუწყვეს. პოეტმა ინგლისური არ იცოდა. ერთ-ერთმა ემიგრანტმა, რომელსაც მაიაკოვსკი არ უყვარდა, მის უხერხულ მდგომარეობაში ჩასაგდებად სიტყვა განგებ ინგლისურად წარმოთქვა. ამის პასუხად, მაიაკოვსკი ქართულად გამოვიდა. დარბაზში შეძახილი გაისმა: „ქართველი ხარ?“ რა უპასუხა მაიაკოვსკიმ?

6. რა არის ექსჰიბიციონიზმი?

7. „კინო შორსაა ხელოვნებისაგან, მსახიობი რომ არ გამოვსულიყავი, ...ს მივყოფდი ხელს,“ — ამბობდა მარლონ ბრანდო. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა.

8. „იგი ძალზე მახინჯია,“ — რის შესახებ ამბობდა ამას ზარატუსტრა?

9. ამერიკელებმა ამაში 7 მილიონ 200 ათასი დოლარი გადაიხადეს.

10. ევროპის ყველაზე დიდ სახელმწიფოდ დანია ითვლება. რატომ?

11. ახალდამწყები მსახიობი დაჟინებით სთხოვდა ბერნარდ შოუს, გაეწია მისთვის რეკომენდაცია. შოუ დათანხმდა და დაუწერა შემდეგი შინაარსის წერილი: „გულწრფელად ვუწევ რეკომენდაციას ამ ახალგაზრდა მსახიობს. იგი თამაშობს ჰამლეტს, რომეოს, შაილოკს, კეისარს, ბილიარდს, ... “ დაასრულეთ ბერნარდ შოუს სიტყვები.

12. რა ეწოდა 1825 წელს, პერუსგან გამოყოფილ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს?

13. რუსეთში მათ „მედვეუატნიკებს“ ეძახიან. ვინ არიან ისინი?

ანეკდოტები

* * *

— ჩხუბში სულერთია, ჩემზე ერთი მოდის თუ ასი!

— ეგ როგორ?

— ნებისმიერ შემთხვევაში ვითესები....

* * *

— თუ გინდა ქალი დასაჯო, უნდა უყიდო ნაირ-ნაირი კაბა და ისეთ ოთახში ჩაკეტო, სადაც სარკე არ არის.

* * *

აზერბაიჯანელი მივიდა სტომატოლოგთან. ექიმმა დასვა სავარძელზე და პირი გააღებინა, ხედავს — ყველა კბილი ოქროში აქვს ჩასმული.

— კი, მაგრამ რა გაწუხებთ? — ეკითხება ექიმი.

— არაფერი, სიგნალიზაცია მინდა დავიყენო!

* * *

მოკრივე, ახალგაცნობილ ქალს, თავისი ცხოვრების შესახებ უყვება. ორი საათის შემდეგ, ქალი ეკითხება:

— ნოკაუტისა და ნოკდაუნის გარდა, კიდევ სადა ხართ ნამყოფი?

* * *

მოკრივე ეუბნება შეყვარებულს:

— ხვალ შუადღეს, ბრძოლა მაქვს, საღამოს კი, კაფეში დაგელოდები.

— კარგი, ოღონდ, ხელში გაზეთი გეჭიროს.

* * *

ებრაელი სახურავიდან ჩამოვარდა, საკუთარი სამზარეულოს ღია ფანჯარას ჩაუფრინა და ცოლს შესძახა:

— სარა, ჩემთვის სადილი აღარ გააკეთო!

* * *

სვანმა გაიგო — დედამიწა ბრუნავსო და თავბრუ დაეხვა.

* * *

— ვერტმფრენს რად უნდა ზემოდან ამხელა პროპელერი?

— პილოტს რომ არ დასცხეს და არ გაოფლიანდეს.

— ნუ ახურებ!...

— მართალს გეუბნები. იმ დღეს, ვერტმფრენით ვმგზავრობდით და დაჯდომისას, უეცრად პროპელერი გაჩერდა. უნდა გენახა — პილოტს რა ოფლმა დაასხა!

* * *

— როდესაც შეყვარებულს ხვდები, სათვალეს რატომ იხსნი?

— ასე უფრო ლამაზად გამოვიყურებით მეც და ისიც.

* * *

— რა ჰქვია კაცს, რომელიც პრეზერვატივებს არ იყენებს?

— მამა.

* * *

სვანს სამსახურში იღებენ. უნდათ მისი ერუდიცია შეამოწმონ:

— გვიჩვენეთ რუკაზე წითელი, ყვითელი, შავი და თეთრი ზღვები!

— არ შემიძლია, დალტონიკი ვარ!

* * *

ცოლი ურეკავს ჭიჭიკიას:

— თბილისიდან სტუმრები ჩამოგვივიდნენ და სამსახურიდან დროზე მოდი.

— რა ფერის „საროჩკები“ აცვიათ?

— შავი.

— აუ, ეგენი დიდი ხნით იქნებიან ჩამოსულები.

* * *

— მომილოცე, ახალი პიესა დავწერე!

— რა პიესა?

— „ჰამლეტი“!

— ხუმრობ, შექსპირი მაინც არ გაგიგონია?

— პირდაპირ საოცარია! როდესაც „მაკბეტი“ დავწერე, მაშინაც ეგ ტიპი მიხსენეს.

* * *

არქიტექტორმა ააშენა ხიდი. არ იცის, როგორ გამოცადოს. წავა ბრძენთან რჩევის საკითხავად. ბრძენი ეუბნება:

— ხიდზე 100 სიდედრი დააყენე და უთხარი — ერთდროულად ახტნენ, თუ ხიდი არ ჩაინგრა, ხომ კარგი და თუ ჩაინგრა — მთლად უკეთესი.

* * *

ნარკუშა შედის ბაზარში:

— აი, ეს მწვანე რა არის, ბიძაჩემო?

— კიტრია!

— სამი კილო ამიწონე და სათითაოდ შემიხვიე! აი, ეს წითელი რა არის?

— პამიდორია!

— ეგეც სამი კილო ამიწონე და სათითაოდ შემიხვიე. ეგ თეთრი რა არის?

— ეგ ბრინჯია, მაგრამ არ იყიდება.

* * *

ნარკუშები პლანს ეწევიან.

— როდის იქნება „პრიხოდი“?

— აი, იმ ხის კენწეროზე ბებია რომ ჩამოჯდება, მაშინ.

იქვე, ეზოში ბომჟები არაყს სვამენ.

— როდის დავთვრებით?

— აი, იმ ბოძზე ძაღლი რომ აძვრება, მაშინ.

— ის ბებია რას ჩამომჯდარა ხის კენწეროზე?

— მაგას მოეშვი, ნარკომანებისაა.

* * *

სვანი ვენეციიდან დაბრუნდა. მეგობარი ეკითხება — როგორ დაისვენეო?

— აბა რა ვიცი, წყალდიდობა იყო და მთელი დღეები სახლში ვიჯექი.

* * *

მოსამართლე ეკითხება მოწმეს:

— საიდან დაასკვენით, რომ ბრალდებული ნასვამი იყო?

— ნასვამი კი არა, გაგლეჯილი მთვრალი იყო, პატივცემულო მოსამართლე! ტელეგრაფის ბოძს არხევდა და ძირს ჩამოყრილ ვაშლებს ეძებდა...

* * *

ზღაპრის გარჩევა:

— ხომ დარჩებოდა ის უბედური მგელი ცოცხალი, ბებიასთან მიმავალ წითელქუდას რომ არ გამოლაპარაკებოდა?!

* * *

— მამა, მართალია, რომ ზოგიერთ აზიურ ქვეყანაში, მამაკაცმა წინასწარ არ იცის, როგორია მისი საცოლე?

— ეგ, შვილო, ნებისმიერ ქვეყანაში ეგრეა.

ჯონჯის საფარჯიერ

„ეზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. რომის იმპერატორ ნერონზე.
2. მონღოლეთი.
3. „ორღანის მოსმენისას, კათოლიციზმის მიღება მოგინდებათ,“ — ამბობდა ჩეხოვი.
4. მორდეხაი ლევი კარლ მარქსის ნამდვილი სახელი და გვარია.
5. „ბაღდათელი ვარ, ბაღდათელი!“ — უპასუხა პოეტმა.
6. საზოგადოებრივ ადგილებში გაშიშვლების დაუძლეველ სურვილს, ექსჰიბიციონიზმი ეწოდება.
7. „მსახიობი რომ არ გამოვსულიყავი, ქურდობას მივყოფდი ხელს!“
8. სიმართლე ძალზე მახინჯია.
9. 7 მილიონ 200 ათას დოლარად, ამერიკელებმა რუსებისაგან ალასკა იყიდეს.
10. გრენლანდია დანიას ეკუთვნის.
11. ... მაგრამ ყველაზე უკეთესად, ამ უკანასკნელს.
12. 1825 წელს, პერუსგან გამოყოფილ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს, ბოლივია ეწოდა.
13. სეიფების გამტეხები.

რინგზე ამას ვფოვებ...

veluri wablis xeivani

ზაზა ვაჩნაძე

ნიკა თვითმფრინავში იჯდა და ყველანაირი მნიშვნელობით, ცაში იყო გამოკიდებული. რას შეიძლება განიცდიდეს მართლაც, ადამიანი, რომელიც სამშობლოში ლამის თხუთმეტი წელი არ ყოფილა და ახლა კი უკან ბრუნდება? თითქოს აღარც აპირებდა წამოსვლას, თითქოს უკან დასაბრუნებელი ყველანაირი გზაც მოჭრილი ჰქონდა... ამერიკაში საქმე კი ააწყო, არც ურიგო ფული იშოვა, მაგრამ როგორც კი ახალი მთავრობის ხმაურმა მის ყურამდეც მიაღწია, გულმა აქეთ გამოუწია.

ტრანზიტი მოსკოვზე ჰქონდა. ერთი ღამეც და მეორე დღეს თბილისში იქნებოდა. ცდილობდა, არაფერზე ეფიქრა. „ჩავალ და ვნახავ, რაც იქნება, იქნება“, ფიქრობდა ნიკა და თვალს იმ სავარძლისკენ აპარებდა, რომელშიც ქერათმიანი ქართველი გოგონა იჯდა. ეს გოგო მას თვალს არ აცილებდა, აეროპორტში თავიც კი დაუქნია, თითქოს რაღაც ანიშნაო, მაგრამ ნიკამ თვალი აარიდა... ახლა კი მოურიდებლად ტკბებოდა მისი ლამაზი სახის ყურებით და თითქოს უღიმოდა კიდეც... მოსკოვში მთელი ღამე უნდა გაეთია. მისი თვითმფრინავი თბილისისკენ მხოლოდ დილის ათზე მოფრინავდა. ნიკა მოსკოვს არ იცნობდა. ღამე სასტუმროში უნდა გაეთია და ცოტას ნერვიულობდა კიდეც... ჰოდა, როცა მოსკოვის აეროპორტში დოლარს რუსულ „რუბლზე“ ახურდავებდა და ამ გოგონამ — ღამე ერთ სასტუმროში გავათიოთო — შესთავაზა, ძალიან გაუხარდა...

გოგონას ერთი ხელჩანთა ჰქონდა, ნიკას — ერთი პიჯაკი და მეტი არაფერი, რადგან ტვირთს ამერიკაშივე მისცა დანიშნულება და თბილისის აეროპორტში უნდა მიეღო...

— სასტუმრომდე სულ ორი გაჩერებაა, ტაქსის რიგში დგომას და ლოდინს ჯობს, ტროლეიბუსით წავიდეთ, — შესთავაზა გოგონამ და ისიც დაეთანხმა.

გოგონა კიდევ რაღაცებს სთავაზობდა და ნიკაც ბრმასავით ემორჩილებოდა. ასე რომ, როცა სასტუმროში მის ნომერში აღმოჩნდა და გოგონამ შესვლისთანავე კარი გადაკეტა, ნიკას გაეცინა.

— გამოდის, რომ თქვენი ტყვე ვარ...

— არა მაქვს რუსების თავი... აი, ნახავთ, დათვრებიან, დაიწყებენ კორიდორში ხეტიალს და ცხრაჯერ უნდა მომიკაკუნონ... დაჯექით, დაკიდეთ ეგ პიჯაკი, არავინ წაგართმევთ... — მიმართა მან ნიკას. — არ გშიათ? ხელს პატარა ტორტი გამოვაყოლე, — და ჩანთიდან ტორტი ამოიღო, — გინდათ, ჩაის შევუკვეთ...

— როგორც თქვენ გინდათ, — უპასუხა ნიკამ და სავარძელში ჩაეშვა. გაახსენდა, ქართველი ქალები რუსეთში რუსებზე უარესად იქცევიანო, გაგონილი ჰქონდა. ქალების მეტი რა ჰყოლია, მაგრამ ასე ადვილად გამოეჭიროთ და ოთახში ჩაეკეტოთ, მის თავს პირველად ხდებოდა.

— ჩაი არა, მაგრამ გავალ, რაიმე დასალევს შემოვიტან... — თქვა ნიკამ და სკამიდან წამოდგა.

— იჯექით, იჯექით, მე თვითონ... — უთხრა გოგონამ. — მაგრამ ჯერ ნემსი უნდა გავიკეთო.

— ნემსი? — ვერ მიუხვდა ნიკა. — ნარკომანი ხარ?

— არა, არა, ჩვეულებრივი ნემსი. ნერვის ანთება მაქვს... სულ ერთი წუთი მჭირდება. — მერე ჩანთა გახსნა, ერთჯერადი შპრიცი ამოიღო, ამპულას თავი წაატეხა, ხსნარი ამოწოვა, შპრიცი შეამზადა და კაბა მოურიდებლად აიწია. მერე დუნდულა სპირტიანი ბამბით შეიზილა, ნემსი ჩაირტყა და დგუში დაცალა. მას ძაფის ტრუსი, ტანგა ეცვა და, როგორც ნიკამ დაასკვნა, მშვენიერი უკანალიც ჰქონდა.

— ახლავე შემოვალ, — თქვა მან. გავიდა და სახტად დარჩენილი ნიკა ნომერში დატოვა.

გოგონა მალევე დაბრუნდა უკან. თან არაყი და ორი ბოთლი ლუდიც შემოაყოლა.

— არაყი, ტორტი და ლუდი? — გაუკვირდა ნიკას. — მეგონა, შამპანურს მოიტანდი. — შენობით ლაპარაკზე გადავიდა.

— მე მაგრად მევასება, — თქვა გოგონამ და ბოთლი გახსნა. — შენ არა? — არაყი ჭიქებში ჩამოასხა და ნიკას მიუჭახუნა. — ვახ-ტან-გუ-რი, — დამარცვლა მან და ნიკასკენ მოშიშვლებული მკლავი გაიწვდინა. ქალი საკმაოდ პუტკუნა იყო და მისი გრილი და რბილი მკლავის შეხება ნიკას ესიამოვნა. არაყს სიმწარე დაჰკრავდა, ქალის ტუჩებს სიტკბო და, როგორც ხშირად ხდება ამ დროს, ნიკას მთელი ქვეყანა თავისი ეგონა.

— აუ, რა მაგრად ჭრიჭინებს... — თქვა საწოლის გამო ნიკამ, როცა შუა პარტიაში იყვნენ.

— შენ მერე უნდა ნახო, მთელი კორპუსი ქანაობას რომ დაიწყებს... — უპასუხა ქალმა და ტუჩებზე თითი მიადო, რა დროს ლაპარაკიაო?!

ნებისმიერ ქალთან წუთიერი გაცნობის შემდეგ, ნიკა თუ ლოგინში ხვდებოდა, „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა-კოცნა, მტლაშა-მტლუში“ აგონდებოდა, მაგრამ მეოცე საუკუნემ ამ ყველაფერს სექსი დაარქვა და ნიკაც ბედის ნაჩუქარ სიამოვნებაზე, როგორც საერთოდ, მამაკაცთა უმრავლესობა, უარს არ ამბობდა. ქალი „სლანიხა“ აღმოჩნდა, ძალიან სწრაფად ათრთოლდა, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ნიკა მიხვდა, რომ თვლას აზრი არ ჰქონდა, ქალმა მეათე ათრთოლებას უკვე ვნებიანი კვნესა და კივილებიც მოაყოლა და სადღაც მეცამეტე-მეთოთხმეტეზე მოამთავრა ყველაფერი...

— რა გქვია? — შეეკითხა ნიკა, როცა თავადაც მორჩა.

— უი, არ მითქვამს? ირინა.

— ლამაზი სახელია, — თქვა ნიკამ, ფეხით თავისი ტრუსი მოძებნა და ამოიცვა.

— რას შვრები, ეე, გაგიჟდი? — მოქაჩა მკლავებით ქალმა. ქვეშ მოიქცია და მის ტუჩებს დააკვდა. მერე კი ისეთი რიტმი შესთავაზა ზემოდან მყოფმა და ისეთი ზანზარი აუტეხა საწოლს, რომ ნიკას სიცილი აუვარდა...

— მივფრინავთ, მივფრინავთ... — თქვა მან და უეცრად მამაკაცის ხმა შემოესმა.

— მიფრინავთ, არა?

— ვაიმე, ჩემი ქმარი! — წამოიკივლა ირინამ და საწოლიდან გადავარდა.

ნიკამ მიიხედა და, მისდა გასაოცრად, ნომერში უცხო მამაკაცები დალანდა. რაც შემდეგ მოხდა, ძალიან ძნელი აღსაწერია. ირინა აწივლდა. წამოხტა, რა თქმა უნდა, შიშველი... თითქოს გაქცევა დააპირა, მაგრამ სად წავიდოდა, კარი კაცებს ჰქონდათ გადაკეტილი, და ისიც კუთხეში აიტუზა, თან მკერდს ხელის

მტევნებით იფარავდა. ირინას ის პირველი მამაკაცი მივარდა, ლოყებში ულაწუნებდა, აგინებდა, ურტყამდა და — შე ბოზო, ბოზოო, ღრიალებდა. დანარჩენმა ორმა კი, საწოლში გაუნძრევლად მყოფ, შიშველ ნიკას იარაღი დაადო, ტანისამოსი მიაყარა და: ჩქარა, შე ნაბიჭვარო, „პლეტი“, თუ გინდა გადარჩეო. ასე რომ, ნომრიდან ტყვიასავით გამოვარდნილი ნიკა, ტანისამოსს სასტუმროს დერეფანშივე იკრავდა... ლიფტსაც არ დაელოდა და პირდაპირ კიბეზე დაეშვა. ირინას წივილი ისევ ყურებში ედგა, მაგრამ სანამ სასტუმროს ჰოლს დატოვებდა, ჯიბეები მაინც მოიჩხრიკა. და „ჰოი, საკვირველებავ“, პირწმინდად გაესუფთავებინათ... აღარც საბუთები, აღარც მობილური, აღარც თვითმფრინავის ბილეთი და აღარც ფული, ასე, ორი ათას დოლარამდე...

არც დაფიქრებულა, ისე აქანდა უკან კიბეზე, ნომერი ღია დახვდა, მაგრამ იქ აღარავინ იყო. არც კვალი იმისი, რომ ორი წუთის წინ აქ ასეთი „მძიმე ტრაგედია“ დატრიალდა... ნიკა ისევ ჰოლში ჩაქანდა და ადმინისტრატორთან მიიჭრა...

აღმოჩნდა, რომ სასტუმროში შვიდამდე ირინა ცხოვრობდა, მაგრამ ქართული გვარით არც ერთი... „უარესებიც ხდება, მადლობა თქვი, რომ ცოცხალი ხარ, რუსეთი დიდია“, აუხსნა მას სასტუმროს ადმინისტრატორმა, რომელსაც თმაში ვარდი გაერჭო და რუსი ქალის სილამაზის ნიმუშად გამოდგებოდა. „თუ დარჩები, ღამეს ჩემთან გაგათევინებ“, — შესთავაზა მან ნიკას და ისიც ერთ ღამეში მეორედ დანებდა ბედის ახალ საჩუქარს...

და მართლაც, თუკი საჩუქარი რაიმეს ან ვინმეს ჰქვია, ეს სწორედ ლარისა იყო.

— შეგიძლია დაიძინო, მაგრამ თუ სურვილი გაქვს, ჩემთან ერთად წამოდი. დღეს ჩემი დაბადების დღეა, — უთხრა მან ნიკას. თან გააფრთხილა: — იცოდე, მხოლოდ ქალები ვიქნებით.

გინახავთ ქართველი კაცი, რომელიც ქალების კომპანიაზე უარს იტყვის? (თუმც, ალბათ, გამოიჩხრიკებიან ასეთებიც). მოკლედ, მეორე სართულის კაფეში, სუ-

ფრასთან რვა რუსის ქალი და ერთი ქართველი იჯდა, ნიკა. ნიკა ქალებმა სუფრის თავში დასვეს. მაგიდაზე, ძირითადად, რუსული სალათები, ძეხვეული და რვა ბოთლი არაყი იდგა. ნიკას ეს რვა ბოთლი არაყი ისე არ გაჰკვირვებია, როგორც ჭიქები. სუფრაზე ძველებური, თლილი ჩაის ჭიქები იდგა და როცა, ქალებმა ჭიქები ნახევრად გაავსეს, ნიკას, ცოტა არ იყოს, დასცხა. დასცხა და ინანა, რომ ენას კბილი არ დააჭირა და სუფრასთან დაჯდომისთანავე გამოაცხადა: დღეს მე ვარ თამადა და სუფრაც მე მიმყავსო.

გოგოები ერთიმეორეზე უკეთესები იყვნენ, გარდა ერთისა, ის ერთი ლარისას დედა იყო. ამის გამო, ნიკამ აქცენტი, ლარისას გვერდით მჯდარ ლუდაზე გადაიტანა, რის გამოც ლარისასგან საყვედური მიიღო, ყველას ეგონა, რომ ჩემი კი არა, ლუდას მოყვანილი იყავიო. მოკლედ, ნიკა თავგანწირულად სვამდა, ან სხვა რა შეიძლება დაარქვას კაცმა, თლილი ჩაის ჭიქებით არყის სმას? ქალებმა რვა ბოთლი არაყი ისე გამოცალეს, სიმთვრალისა არაფერი ეტყობოდათ. ნიკაც მაგრად იჯდა და, არც ურიგოდ უძღვებოდა სუფრას, მაგრამ ქალებმა რომ რვა ბოთლი გამოცალეს და რვა ბოთლი კიდევ დაამატეს, ნიკას მეორედაც დასცხა, თუმცა, არც ახლა შეიმჩნია და თამადობა განაგრძო. სადღაც ბოლოში, როცა ქეიფი, რომელიც უკვე ღრეობაში გადასულიყო, დასასრულს უახლოვდებოდა, სუფრას სასტუმროს მთავარი მეხანძრე შემოემატა. Âû ÷òî, îáàëääëè? Âû âñå ýòî âûïèëè? ჩასჩურჩულა მან ყურში ნიკას. ლარისა რომელიღაც მომღერალს ჰგავდა, ნიკამ ვერაფრით გაიხსენა ვერც სუფრაზე და ვერც ლოგინში იმ მომღერლის გვარი. ქალმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თუკი სექსში რაიმეს ჰარმონია ჰქვია, ეს სწორედ ის იყო.

ქალს ხორბლისფერი კანი და იმდენად სრულყოფილი თეძოები ჰქონდა, ნიკას აკვანში ეგონა თავი. მალე ლარისა ისე გადაირია, ნიკა ხელებით საწოლის გვერდებს რომ არ ჩასჭიდებოდა, ჭერამდე მოუწევდა ფრენა. გაუძლო, მაგრამ იმდენად მთვრალი იყო, მორჩა თუ არა, ვერ მიხვდა.

დილას, როცა ლარისა ნიკას ავტობუსისკენ მიარბენინებდა და ჯიბეში, ვითომც მძარცველების მიერ სასტუმროს ადმინისტრატორთან დატოვებული პასპორტი და თვითმფრინავის ბილეთი ჩაუტენა, ნიკამ მაინც აუხსნა ლარისას სიყვარული. დაახლოებით, ასეთი რამ უთხრა: არ მჯეროდა, თუ ქალის ერთი ნახვით შეყვარება შეიძლებოდა. ჩვენ ალბათ აღარ შევხვდებით, მაგრამ გახსოვდეს, რომ მე შენ მიმართ სიყვარულის გრძნობა გამიჩნდაო. რა სისულელეს არ იტყვის „პახმელიაზე“ კაცი, მით უმეტეს, თუ ის ქართველია, ფიქრობდა მერე ნიკა. რა ანალიზი იმას სჭირდებოდა, რომ მოსკოვის აეროპორტში ერთიანი, კარგად ორგანიზებული, გაქნილი ბანდა მუშაობდა, რომლებსაც ნიკასნაირი ბაიყუშები ლიფსიტებივით უვარდებოდათ პირში. მოკლედ, ნიკა იმ მეხანძრის ლაპარაკმა ისე დააეჭვა, ისიც კი გაიფიქრა: ვინ იცის, ქალები იქნებ წყალს ყლურწავდნენ და არაყს მარტო მე მასმევდნენო. მივიჩნიოთ, რომ იმ ღამეს ნიკამ ორ ქალს ორი ათასი დოლარი მიაფშვნიტა...

სოლომონს ინსულტმა, რომელიც ცოტა ხნის წინ გადაიტანა, ღრმა სკლეროზი დაუტოვა. ვეღარც შინაურს ცნობდა და ვეღარც გარეულს. ერთმანეთში აერია ბავშვობის, ახალგაზრდობის და შუახნის წლები. დაფარფატებდა ოთახიდან ოთახში და უაზრო ლაპარაკით გულს აწყალებდა. ამის შემხედვარე ვერიკო ყმუილის ხასიათზე დგებოდა, მაგრამ რა ექნა, თავს ზემოთ ძალა არ იყო და ისიც ხან უდრტვინველად, ხან ბუზღუნ-ბურტყუნით და ხანაც ღამის წივილ-კივილით ასრულებდა თავის მოვალეობას. მას ახლაც შპრიცი ეკავა ხელთ და მორჩილად იცდიდა, როდის მორჩებოდა ნამდვილ ღრიალს სოლომონი.

სოლომონისთვის ნემსის გაკეთება ნამდვილი ჯვარზე გაკვრა იყო. ათასჯერ ერჩია, თავი გაეტეხათ ან ხელ-ფეხი მოემტვრიათ, ვიდრე ნემსი გაეკეთებინათ. ახლაც ბევრი იყვირა, იღრიალა, მაგრამ ბოლოს, მაინც ბედს დამორჩილდა და შარვალი ჩაიწია. ვერიკოც, გამწარებული, ისეთი ძალით ჩაჰკრავდა ხოლმე ნემსს, თითქოს ყველა წყენა, რომელიც ცოლქმრობის მანძილზე დაეგროვებინა, ერთბაშად უნდა გააბათილოსო და სოლომონის ბოლო შეყვირებაც იქაურობას აზანზარებდა.

— რომ მცოდნოდა, ასეთი მშიშარა იყავი, არ არსებობს, არ გამოგყვებოდი, — დააყოლა ვერიკომ, როცა ნემსი დუნდულიდან ამოაძრო.

— ნეტავ, გცოდნოდა! — უპასუხა სოლომონმა და შარვალი შეიკრა.

— ჰოო, არა? რას იზამ, გვიანია თითზე კბენანი... — ეწყინა ვერიკოს.

— ჯერაც არა ხარ ჩაცმული? რაღას უყურებ, არ მივდივართ ვაშლების დასარგავად? — შეეკითხა ცოლს სოლომონი.

— რა ვაშლების? — გაუკვირდა ვერიკოს.

— გუშინ რომ მოვიტანე ნერგები ბაზრიდან, ამერიკული ჯიშები. სარდაფში არ ჩავიტანე და წყლიან ვედროში არ ჩავაწყვე?! — უპასუხა ქმარმა.

— სად აპირებ მერე დარგვას? — დაინტერესდა მეუღლე.

— როგორ თუ სად ვაპირებ, ნატახტარში არ მივდივართ? — განცვიფრდა სოლომონი.

— ააა. კარგი, იწექი ცოტა ხანს, ნუ ადგები, — მოიფიქრა ვერიკომ და შპრიცით ხელში სამზარეულოში შევიდა, სადაც დედამისი ჭარხლის ფოთოლს რეცხავდა. ვერიკომ შპრიცი ნაგვის ვედროში ჩაუძახა, სკამზე ჩამოჯდა და გულხელი დაიკრიფა.

— დედა, შენი სიძე ნატახტარში აპირებს წასვლას, ვაშლის ნერგები რომ მოვიტანე გუშინ, არ უნდა დავრგათო? რატომ ჩაცმული არა ხარო, მეკითხება.

ელისოს ხელი გაუშეშდა.

— მეტი არაფერი? მთლად აურია, რა

უნდა ვქნათ?

— რა ვიცი, ეგებ წამლებმა იმოქმედოს ცოტა.

— არა მგონია, წამლებმა რაიმე უშველოს, — არ დაეთანხმა ელისო. — ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ.

— რა ყველაფრისთვის? — შეშფოთდა ვერიკო.

— რა ვიცი, რამე სისულელე არ ჩაიდინოს, ცეცხლი არ წაგვიკიდოს, საერთოდ... რატომ შეშფოთდი ასე?

— არ ვიცი, გული გადამიქანდა. მაშინვე ყველაზე უარესს ვფიქრობ. მეცოდება, — უპასუხა ვერიკომ. — მე წასასვლელი ვარ. თორმეტზე მოსწავლეები მყავს დაბარებულები. შევივლი ბარემ კაფეში და ტორტსაც შევუკვეთ. შიგნიდან კარის ჩაკეტვა არ დაგავიწყდეთ, თორემ კიდევ რომ გაგვეპაროს და ახლა ნატახტარში წავიდეს, პატრული ვეღარ გვიშველის...

— კარგი, წადი, წადი, ამ ჭარხალს მე მივხედავ. სხვა... რა უნდა გავაკეთო?

— დასაჭრელია ყველაფერი, დედა. აი, — ვერიკომ ელისოს ქვაბზე მიუთითა, რომლიდანაც ორთქლი ამოდიოდა და რომელშიც სტაფილო, კარტოფილი და მოხარშული კვერცხები ეწყო. — მოხარშულია ყველაფერი. მარტო დაფცქვნა და დაჭრა უნდა. მაიონეზს მე შემოვიტან... კუჭმაჭია კიდევ წვრილად დასაჭრელი. ეს ანიც აღარ გამოჩნდა. მოკლედ, მოვა, ალბათ და დაასაქმე. ეს კუჭმაჭი იმას დააჭრევინე და იქნებ ნაპოლეონისთვის კრემიც გაამზადოს. მე ერთ საათში მოვრჩები და ორის ნახევარზე აქ ვიქნები.

სამზარეულოს კარში სოლომონი გამოჩნდა.

— ვერიკო, შენ რა, ჯერაც არა ხარ მზად? — მიმართა მან ცოლს. — მანქანის გასაღებს ვერ ვპოულობ.

— რა გვეშველება? — ჩაილაპარაკა ვერიკომ და ქმარს მიუტრიალდა. — რა დროს ნატახტარია, კაცო, არ უნდა გახსოვდეს, დღეს რა რიცხვია? დღეს ფერისცვალება როა, დაგავიწყდა? შენი სიდედრის დაბადების დღეა, კაცო, შენი სიდედრის. 85 წლის რომ გახდა, დილას მაგაზე არ გელაპარაკებოდი?

— მერე, ნერგები? — გაუკვირდა სოლომონს.

— რა ნერგები, კაცო, როდის იყო, აგვისტოში ნერგებს ვრგავდით, ნერგებს აპრილში არ ვრგავთ? — სცადა, ჭკუაზე მოეყვანა ქმარი ვერიკომ.

— მაშინ რაღას მაყიდვინეთ, ტყუილად გადამაყრევინეთ ორმოცი მანეთი? — გამწარდა სოლომონი.

— რა მანეთი, კაცო, სადღაა მანეთი. დღეს ლარებს ვხმარობთ, ლარებს, ქართულ ფულს, დაგავიწყდა? — შეეკითხა ქმარს ვერიკო.

— ჰო, ჰო, დღეს ლარია მიმოქცევაში, დაგავიწყდა? — ჩაერია ცოლ-ქმრის საუბარში ელისო.

სოლომონი ჩაფიქრდა. მაგიდას მიუჯდა და ქალებს უაზროდ მიაშტერდა.

— მომეცით რამე, მეც დაგეხმარებით, — მიმართა მან ქალებს.

ელისომ მოხარშული ბოსტნეულის ქვაბი მისკენ მიაჩოჩა.

— აი, ეს დაფცქვენი!

ვერიკომ წინსაფარი შეიხსნა და ქმარს ააფარა.

— მოკლედ, მე წავედი და ვეცდები, მალე მოვიდე, — თქვა მან და გასასვლელისკენ წავიდა. ამ დროს კარზე ზარის ხმაც გაისმა. ვერიკომ კარი გამოაღო.

— მე ვარ, — თქვა თეონამ და სახლში შემოვიდა.

— სად დაიკარგე, თეონა, აქამდე? დილიდან გასულები ხართ, — უსაყვედურა ვერიკომ. — ანი რაღა იქნა?

— ანი სამსახურში წავიდა. რა ვიცი, აბა. მე „მარშრუტკაში“ ჩამსვა და გამომისტუმრა, — თქვა თეონამ.

— შეარჩიეთ რამე, იყიდეთ? — შეეკითხა ვერიკო.

— სამჯერ შემომარბენინა მთელი ბაზრობა. სულ ბანძი, ბანძი, ბანძი ყველაფერი, — ახსენა თავისი საყვარელი სიტყვა თეონამ.

— ცარიელები მობრუნდით? — ეწყინა ვერიკოს.

— რატომ, ვიყიდეთ. — თეონამ ვერიკოს ცელოფანის პარკი უჩვენა. — ძალიან მაგარი რამე ვიყიდეთ.

— აბა, მაჩვენე, — სთხოვა ვერიკომ.

— არა, ვერ გაჩვენებთ. ანიმ მითხრა, არავის აჩვენო, მე თვითონ საზეიმოდ უნდა გადავცეო. — პარკი ზურგს უკან დამალა თეონამ.

— და მე არ უნდა ვიცოდე, რას ვჩუქნი დედაჩემს? — ეწყინა ვერიკოს.

— ცოტაც მოითმინეთ, რაა! რაღა დარჩა, — უსაყვედურა თეონამ.

— ჰო, კარგი... ლობიოს ხომ გაარჩევ? ჰოდა, გაურჩიე ბებოს და დაადგმევინე. ჭარხალი უჩემოდ არ შეკაზმოთ! ელისოს დაუჯერებ, სანამ მე მოვალ. გასაგებია?

— არის, — „ჩესტი“ აუღო ვერიკოს თეონამ.

— კარგი, აბა, მე გავიქეცი, დამაგვიანდა ამასობაში... — თქვა ვერიკომ და კარი გაიკეტა.

— ბებიკო, ბებიკუნა, — თეონამ მისაღებში შეიხედა. — ბეკო, ბეკო, ბეო, კარი გამიღეო, პირით საუზმე მომაქვს, ძუძუებით რძეო. — ელისო იქ არ დახვდა. — ბებო? საითა ხარ, ბებო?

— აქა ვარ, შვილო, სამზარეულოში, — გააგონა ელისომ.

— ბებო, ჩვენი კლასი მომავალ კვირას უფლისციხეში მიდის, — შევიდა თუ არა, ახარა ბებოს თეონამ.

— მერე? — შეეკითხა ელისო.

— მასწავლებელმა, ფული მოიტანეთო.

— გასაგებია, დედა არ გიშვებს, — დაასკვნა ელისომ.

— ჰო, თქვენი მასწავლებელი მოცლილია, რაში ენაღვლება, თვეში ცხრაჯერ ჩვენი ფულით ექსკურსიებზე დაგრიალებს, სად გაგონილა ამდენი ექსკურსიებიო.

— კარგი, ვერიკოს არ უთხრა, მე მოგცემ, იქამდე ჯერ დიდი დროა... — დაჰპირდა ელისო.

— ვაშაა! — გადაეხვია ბებოს თეონა. — ვიცოდი, ვიცოდი, რომ უარს არ მეტყოდი. აუ, როგორ მიყვარს ექსკურსიაზე სიარული, იცი? შენ ყველაზე საყვარელი ბებიკო ხარ, მთელი დედამიწის ზურგზე.

— ჰო, სანამ გაიზრდები, — ჩაილაპარაკა ელისომ.

— მეტი რაღა უნდა გავიზარდო, მეტრი და სამოცდათხუთმეტი ვარ უკვე, — ეწყინა თეონას.

— კი, სიმაღლე გემატება, ჭკუაზე კი რა მოგახსენო.

— კარგი, რა, ბებო, მე შენ სულ მეყვარები, ნუ იცი ხოლმე, რა, მაგის თქმა...

— ლოგინად რომ ჩავვარდე, მაშინაც? ან ამ ჩემი სიძესავით სკლეროზი რომ დამემართოს?

— არა, ბებო, შენ არც ლოგინად ჩავარდები და არც სკლეროზი დაგემართება და არც არასოდეს მოკვდები. ხომ არ მოკვდები, არა? — შეეხვეწა ბებოს თეონა.

— ჰო, ცას კიტრად გამოვებმები... — გაეცინა ელისოს.

— ცას კიტრად გამოებმები? ეგ რაღას ნიშნავს? — ვერ მიუხვდა თეონა.

— რა ვიცი, ასე ამბობენ. ადამიანი რომ დაბერდება და არა და აღარ კვდება... ღმერთსაც რომ აღარ სჭირდება და საიქიოს კარს მიუკეტავს ხოლმე... — მოუძებნა თავის ნათქვამს ახსნა ელისომ.

— მე რომ საიქიოს კარის გასაღები მქონოდა, არ გავაღებდი არასოდეს და არავინ აღარ მოკვდებოდა. იცი, ბებო, როცა პირველად გავიგე, რომ ყველა კვდება და მეც უნდა მოვკვდე, მთელი ღამეები არ მეძინა, მინდოდა, უკვდავი ვყოფილიყავი. სულ ეშმაკებსა და ქაჯებზე

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 42 55 44
822 006 005
822-006-099
ზარი ფასიანია, 18 წლიდან
დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-პარამეტრებითაც

ვფიქრობდი.

— არ ვიცი, მაინც ყველაფერს ჯობს, დროზე მოკვდე. არც იქით, არც აქეთ! — ჩაილაპარაკა ელისომ.

სამზარეულოში ჩაფიქრებული სოლომონი შემოვიდა.

— ძალიან მაწუხებს, ძალიან, — წყენით ჩაილაპარაკა მან.

— რა გაწუხებს? — შეეკითხა სიდედრი.

— რა მაწუხებს და გატეხავენ ისევ სარდაფს და მოიპარავენ ვაშლის ნერგებს. არ უნდა გადაგვედო ხვალისთვის... ფილთაქვის ქვა მოიპარეს და ვაშლის ნერგებს გააჩერებენ? — მიაყარა სოლომონმა.

— ნეტავ, რომელ საუკუნეში ცხოვრობს ეს კაცი... — გადაულაპარაკა ელისომ თეონას, რომელსაც ეღიმებოდა. — ნატახტარში ნაკვეთი, ოცდაათი წლის წინ, ეს როცა „სოფმშენში“ მუშაობდა, მაშინ გვქონდა, ორი თუ სამი წელი, დროებით სარგებლობაში...

— სად არის მანქანის გასაღები? შევიყვან ფარეხში, თორემ ამოწრუპავენ მთელ ბენზინს... — წამოდგა სკამიდან სოლომონი.

— შენი ჭირიმე, დაჯექი, რაა, და დაფცქვენი ეგ კარტოფილი, — შეეხვეწა ელისო. — ვინღა იპარავს დღეს ბენზინს, ათასნაირი ბენზინი იყიდება.

— მომეცი გასაღები და ჭანჭურის ჯემს ამოვიტან სარდაფიდან, — ჭანჭურზე გადავიდა სოლომონი.

— რომელი სარდაფიდან, კაცო! — გაუწყდა მოთმინების ძაფი ელისოს. — არა აქვს ამ სახლს სარდაფი, არა! ან მანქანის გასაღებს რომ ეძებ, მანქანა, ნიკა რომ მიდიოდა ამერიკაში, გზის ფული რომ გვჭირდებოდა, მაშინ არ გავყიდეთ?

— ვინ ნიკა? — ჩაფიქრდა სოლომონი.

— ვინ და შვილი შენი, შვილი... ჯერ ხომ რეზი დაიბადა, მერე ნიკა გაჩნდა, მერე ანი და ნაბოლარა კიდევ ხომ ირაკლია. ნიკა კი, აი, ამის მამა, ბიჭო, აღარ გახსოვს? — ჩაუწკაპუნა თეას თავში ელისომ. — ამერიკაში, კოლუმბიის უნივერსიტეტში რომ სწავლობდა, აღარ გახსოვს?

— არა, აღარ მახსოვს. მაისაშვილი ნიკა მახსოვს მარტო, „გორპროექტში“ პარტკომი რომ იყო, — გამოლენჩდა სოლომონი.

— პარტკომი არა, პროფკომი... შენი გვარი, შენი გვარი თუ გახსოვს? — ჩააცივდა ელისო.

— ჩემი გვარი? ნებიერიძე არა ვარ?

— ნებიერიძე არა, დადეშქელიანი... — ელისომ პირჯვარი გადაისახა. — ღმერთო, შენ გადაგვარჩინე!

თეონას ღამის ყურებამდე გაეხა ყბები.

ირაკლი, ძმებში ყველაზე უმცროსი, ცალკე ბინაში, ვერაზე, ოროთახიანში ცხოვრობდა. ის მარტო ტრუსში გამოწკეპილი, მაგიდას მისჯდომოდა და „ბორჯომს“ ყლურწავდა. იქვე კი მოკლე კაბაში, სარკის წინ, მასთან ღამენათევი, მსუბუქი ყოფაქცევის გოგონა იდგა და მაკიაჟით იყო დაკავებული.

— ორასი ათასი სამ თვეში? წელიწადში მილიონი გამოდის, მილიონამდე... ჩემი რამდენია, იქიდან? — ჰკითხა მან გოგონას.

— ოცი პროცენტი.

ირაკლიმ შეუსტვინა.

— ამდენი ფული აქვს მაგ ნაგავს?

გოგონამ არაფერი უპასუხა. შემოტრიალდა, ფეხები განზე გადგა და ირაკლის ხელით, ბარძაყებზე მიანიშნა.

— ჰო, მაგარია. იკაიფე, რა! — გოგონამ ბარძაყები მიატკუცა. — მარტო სამგან უნდა გადიოდეს შუქი, აქ, აქ და აქ, ჰო გადის? გამოიხედე!

— ჰო, გადის, გადის! — მიუგდო ირაკლიმ აგდებულად. — ახლა შენც გადი რა, დროზე აქედან! — და ირაკლიმ კარი ბოლომდე გამოაღო. — აბა, ჰე, შვიტ! გავარდი! მერე დამიმესიჯე!

გოგონა კუსკუსით გაიქცა კარისკენ, პომადიანი ტუჩები წინ გაბზიკა და ირაკლის ლოყა მიუშვირა.

— პაჩი, პაჩი?

ირაკლიმ ლოყაზე აკოცა და კარი შეიკეტა. ამ დროს მისი მობილურიც აწკრიალდა. ირაკლიმ ნომერს დახედა და უპასუხა.

— ჰოო, დედა... სად მცალია, დედა, დრო რომ მქონდეს... ვახ, ექვსამდე ერთი წუთი არ მაქვს, ერთი, თავისუფალი... რა? კარგი, რაა, დედა, რაა! ჯერ მერიაში ვარ მისასვლელი, მერე ენჯეოა ერთი, შემჭამეს, დაპირებული ვარ, იქ რომ არ მივიდე, არ არსებობს... მერე, სანამ სხდომა დაიწყება, პარლამენტის მისაღებში უნდა დავერჭო... მოკლედ, ექვსიდან რვამდე შენს განკარგულებაში ვარ და რაც გინდა, დამავალე... ჰოო, კარგი, კარგი, „ნაბეღლავი“, „ბორჯომი“, „კოკა-კოლა“, შოთები და ხაჭაპური... გასაგებია, მაგრამ ყველაფერი მე რომ ამკიდე, ჩემს ძვირფას ძმას არაფერს ავალებთ? კაი, ჰო, გავიგე, დედა, გავიგე! ირაკლიმ მობილური გამორთო და საწოლზე გაიშხლართა. — ბებიაჩემის იუბილე მინდოდა მე ახლა? — ჩაილაპარაკა და მობილურზე ნომერი აკრიბა. — ნუგზარ, ბიჭო, რა მაგარი პონტი გავჩითე... მერე მოგიყვები დაწვრილებით, კაი „კუში“ შეიძლება მოვარტყათ. ჰოო, მერე, მერე... ნუგზარ, ახლა მომისმინე. გამოართმევ ჩემი სახელით, ღამარას ფულს... ჩვენს მოლარეს. ჰო... ნუ ასი ღარი უნდა გეყოს. იყიდე ათი ბოთლი „კოკა-კოლა“, ან ნახევარი „ფანტა“, ნახევარი „კოკა-კოლა“, ასე აჯობებს, ხაჭაპური, მარუსიას შეუკვეთე და კაი ხაჭაპური გამოაცხობინე. თორმეტი, რა ვიცი, თოთხმეტი იყოს. შოთები, კახელი როა, ბეგლარა, მაგას გამოართვი, მაგდენივე დაახლოებით; დანარჩენის რაც მოგივიდეს — „ბორჯომი“ და „ნაბეღლავი“ და ჩემს მანქანაში ჩააწყვე. გასაგებია? სადღაც ხუთზე უნდა მოვიდე, ხომ მშვიდობაა? აბა, ჰე... — ირაკლიმ მობილური დადო, პლედი თავზე წაიფარა და დაიძინა. საღამომდე კიდევ ბევრი დრო იყო.

რეზიმ, სოლომონის და ვერიკოს უფროსმა ვაჟიშვილმა, სადარბაზოს კიბე ცელოფანის სავსე პარკით ხელში აიარა და სახლის კარზე ზარის ღილაკს მიაჭირა თითი. კარი თეონამ გაუღო... რეზიმ პარკები მიაწოდა.

— გამომართვი ესენი.

— არ შემოხვალ? — გაუკვირდა თეონას.

— მცალია შემოსასვლელად? — ხელი გაიქნია რეზიმ. — ან მექეიფება მე დღეს? ანდა, ვინმე რამეს მეკითხება საერთოდ?

— კარგი, რა, რეზი, — ეწყინა თეონას. — ყველაც ყველაფერს გეკითხება, აი, სად მიდიხარ ახლა? გეკითხები, მიპასუხე!

რეზიმ გაკვირვებულმა აათვალიერ-ჩაათვალიერა თეონა და მხოლოდ ახლაღა შენიშნა, რომ ამასობაში თეონა დაქალებულიყო კიდეც.

— შენ რა... მე მოვიტანე? თქვენ გააკეთეთ! მე რაღაში გჭირდებით, ფეხებში უნდა მოგებლანდოთ ტყუილად.

— ვიცი, სადაც მიდიხარ, ვიცი... ტოტალიზატორში ან კაზინოში, ჰო ასეა? — შეეკითხა დამრიგებლური ტონით თეონა.

— თეონა, არ გამაბრაზო, ახლა, შეიკეტე კარი და შედი სახლში. — რეზიმ ხელი ჩაიქნია და კიბეზე დაეშვა.

ჯერ მეორე სართულამდე არ ჩაეღწია, რომ ანის შეეფეთა. რეზიმ დას კუშტად შეხედა.

— შენ რა, მიდიხარ უკვე? რატომ არ დარჩი? — გაუკვირდა ანის.

— მოვალ, საღამოს მოვალ. სხვა რა გინდათ? მოვიტანე, რაც დედაჩემმა დამავალა... — მიახალა რეზიმ უხეშად.

— კაი, ბატონო, შეგეკითხე... შენ რა სულ ხმლის ტარზე გიკიდია ხელი?! — რეზი მიტრიალდა და კიბეზე ბურტყუნით დაეშვა.

„თავის უტვინობას სხვებს აბრალებს“, გაიფიქრა ანიმ და კიბეზე ასვლა განაგრ-

ძო.

— ჩემი დამთხვეული არ გამოჩენილა? — იკითხა ანიმ, როცა სამზარეულოში შევიდა, სადაც სოლომონი სტაფილოს წვრილად ჭრიდა, ხოლო ელისო ჭურჭელს რეცხავდა.

— არა, — მოკლედ მოჭრა ელისომ.

— მოიხედე აქეთ, ქალო, გაკოცო! არ მოგილოცო? — თქვა ანიმ.

— უი, სულ დამავიწყდა, — ახლაღა მოხედა ანის ელისომ. ქალებმა ერთმანეთი გადაკოცნეს. ანის ფრანგული სუნამოს სასიამოვნო სუნი ასდიოდა. „ამან თავს მაინც უშველა, კაი მაიმუნია“, — გაიფიქრა ელისომ.

— ჩემი ტკბილი ბებია, ეშმაკს დავიწყებია, — ჩაიღიღინა ანიმ, პიჯაკი გაიძრო და სამზარეულოს კარში გამოჩენილ თეონას მიაჩეჩა. — ეს მომაშორე, რა... — და დააყოლა: — ხომ არ გიჩვენებია?



— არა! ვერიკოს ძალიან უნდოდა, რომ ენახა, მაგრამ მე ვუთხარი — საზეიმო ვითარებაში უნდა გადავცეთ-მეთქი. ხომ კარგად მიპასუხია? — შეეკითხა ანის თეონა.

— გენიალურად, — თქვა ანიმ და ელისოს მიუბრუნდა. — აბა, დამასაქმეთ ახლა, ჩქარა, — თან მაჯაზე გაკეთებულ საათზე დაიხედა. — ზუსტად ერთი საათი მაქვს დრო...

— იცი, რა? აქაურობას ჩვენც მივხედავთ და ფანჯრებს თუ დაგვიწმენდს თქვენი ბრწყინვალება, ყველაზე კარგი საქმე ეგ იქნება, — უთხრა ელისომ.

— კარგი, რა, ბებო, როდის იყო, ფანჯრებს ვწმენდდი? თანაც სტუმრებს ხომ არ ველოდებით, დარჩეს, როგორც არის... ნეტაი შენ, — სთხოვა ანიმ.

— მაშინ მტვერსასრუტი ჩართე და ხალიჩა გაწმინდე... — სთხოვა ელისომ.

— კაი, რა, ბებო, რა! ცოტა ნორმალური რამე დამავალე, ხომ იცი, როგორ ვნერვიულობ, ის ჩემი გიჟი ორი ღამე რომ არ მოსულა შინ... შენი დაბადების დღე როა, აღბათ, ემახსოვრება...

— შვილო, რაც გასაკეთებელია, მე იმას გავაღებ, თორემ თუ გინდა, ნურაფერს ნუ გააკეთებ, — ეწყინა ელისოს.

— მინდა? ხომ იცი, როგორ მეჯავრება სამზარეულო და სახლის დალაგება... — არ დაიბნა ანი. — ხალიჩას აი, თეონა მიხედავს...

— ვა, რა კაია, ბიჭო... — ეწყინა თეონას. — მე ლობიო დავდგი.

— ლობიო დადგი? — განცვიფრდა ანი. — რას მელაპარაკები?! მაშინ შეგიძლია, ერთი თვე მასე გაუნძრევლად იდგე.

— კაი, მაშინ ხალიჩას გავწმენდ, — ჩაიბურტყუნა თეონამ, მიტრიალდა და მისაღებისკენ გააბიჯა.

— ნეტავ, რაღას მობრძანდებოდი, თუ ხელის გატოკება გეზარება? — მაინც უსაყვედურა ელისომ ანის.

— ერთი საათი მაქვს, ელისო, თავისუფალი და შემოგიარეთ, — ლამის ბუდეებიდან გადმოსცვივდა თვალები ანის. — რა ვიცი... ხომ უნდა ჩამთვლოდა, არა, რომ მეც ვითომ რაღაც გავაკეთე. ერთ საათში გარემოს დაცვის კვირეული იწყება და გახსნაზე უნდა ვიყო... გოჭი შეკვეთილი მაქვს, გაასუფთავებენ, შეკაზმავენ, შებრაწავენ და მოგართმევთ, ბატონო... პატარა საქმეა?

— რა ვიცი, ისე საქმიანად გაიძრე ეგ პიჯაკი და მიაჩეჩე იმ ბავშვს, მეგონა, ახლა ეს დატრიალდება და ყველას გვაჯობებს-მეთქი... — გაიცინა ელისომ.

კარზე ზარის ხმა გაისმა. თეონა გაიქცა და გააღო. ვერიკო შემოვიდა. ფეხსაცმელი გაიხადა, ფლოსტები ამოიცვა და სამზარეულოში შევიდა.

— ოჰ, მობრძანებულა ჩვენი ვარსკვლავი, — ჩაილაპარაკა მან ანის დანახვაზე. — რჩები თუ გვტოვებ, როგორც ყოველთვის?

— რანაირად დავრჩე, დედა, — გაიკვირვა ანიმ. — ერთ საათში რეპორტაჟი უნდა გავაკეთო, მერე პრესკონფერენციაზე უნდა გავვარდე, ჯანმრთელობის სამინისტროში, მერე ხომ უნდა დავამონტაჟოთ, არა, ეს ფირი, რასაც გადავიღებთ... ხომ მივუძღვენი, არა, მთელი დილა ელისოს?..

— გრცხვენოდეს, ჩვენთვის ორი ნაბიჯი გადადგი და მაშინვე დაგვამადლე, — არ დაუთმო ვერიკომ.

— რა ვქნა, დედა, მართლაც საქმე მაქვს, აბა, მე თუ ასე არ ვიწანწალე, ხონჩით ვინ მომართმევს ხელფასს? — თავი იმართლა ანიმ.

— არა, არა, ძალიან ძნელია, ძალიან ძნელია დღეს პედაგოგობა. არ ვიცი, რა მოვუხერხო ამ ბავშვებს, სამ-ოთხ სიტყვას ვაძლევ საზეპიროდ, მეტს კი არა და მაინც ზარმაცობენ... — დაიჩივლა ვერიკომ.

— იცი, რას გეტყვი? შენ ძალიან კარგი სამსახური გაქვს, ვერიკო, — მიუტრიალდა შვილს ელისო. — თან იტალიურის სპეციალისტები ცოტანი ხართ და სხვებთან შედარებით, მეტსაც გიხდიან... მაშ დაწყებითების პედაგოგებმა რა უნდა თქვან?

— კარგი, რა, დედა! თუკი ჩემი შრომის, როგორ ვთქვა, სიკეთე და მადლი არ დავინახე, მარტო იმაზე ხომ არაა, რამდენს მიხდიან?

ამ ყოველივეს დიდი ყურადღებით ისმენდა თეონა. რატომღაც ჩაფიქრდა. მერე მტვერსასრუტი ჩართო და ხალიჩის გაწმენდა დაიწყო.

ნიკა თვითმფრინავში ისე ავიდა, უკან, მოსკოვისკენ აღარც გაუხედავს. თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა. შეყო თუ არა თავი სალონში, მიხვდა, რომ სამშობლოში იყო. ეს აღარ იყო არც აეროპუსი და არც სუპერლაინერი. არც სავარძლებს დაჰკრავდა ის პეწი, რომელსაც მიჩვეულიყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, რაღაც ისეთი აურა იგრძნო, მოეჩვენა, რომ ერთი განზომილებიდან მეორეში გადავიდა, თითქოს ერთბაშად, რაღაც ვალდებულებისგან გათავისუფლდაო. ყველაფერი იმდენად მშობლიური ეჩვენა: მგზავრთა სახეები, სტიუარდესას შუბლშეკრული სახეც კი, ისე, რომ თავი, თავისებურ უწონადო მდგომარეობაშიც კი იგრძნო.

— ბოდიში, თქვენი სახელი? — ვიღაცის ხელი იგრძნო ხელზე, რამაც იმწამსვე რეალობაში დააბრუნა. დაიხედა. მის ხელს მომსხო, მოვარდისფრო, გრძელი თითები შეხებოდა. ახედა. მას საწინააღმდეგო სქესის, ოცდაათამდე წლის, გაფითქინებული ქალბატონის, ოდნავ ჩაჩხვლეტილი ალმურდაკრული ლოყა და ლამაზი სიელმის, თაფლისფერი თვალები უღიმოდა. ქალს თავზე ფრანგული ბერეტი დაედო, რომელზედაც თეთრი გვირილა დაებნია.

— სახელი? — შეეკითხა დაბნეული ნიკა. ოდნავ ჩაფიქრდა. — სახელი არ მაქვს, უსახელო ვარ... — ნიკა უცბად წამოდგა და ჰომერული სიცილი აუვარდა.

ქალმა მთელი ძალით დაქაჩა და ნიკამ იგრძნო, რომ რაღაც დააშავა. ხოლო შურისძიებით ანთებულმა თაფლისფერმა თვალებმა სასწრაფოდ ბოდიში მოახდევინა.

— თქვენ მე შეურაცხყოფა მომაყენეთ. თქვენს თავს დააბრალეთ!.. — მუქარით წარმოთქვა შეურაცხყოფილმა ქალბატონმა, სტიუარდესა გამოიძახა და ადგილი შეაცვლევინა. ასე რომ, თბილისის აეროპორტში ლაინერის დაშვებამდე, ნიკას გვერდზე საერთოდ, აღარ გაუხედავს.

რატომღაც აბსოლუტურად არ გრძნობდა სინდისის ქენჯნას. უხაროდა, რომ სამშობლოში ბრუნდებოდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მასტოპათია: დროულად ვიმკურნალოთ

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

მასტოპათია მკერდში არსებული კეთილთვისებიანი გამაგრებაა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის აბსოლუტურად უსაფრთხოა. ყოველთვის არსებობს მასტოპათიის პროგრესირების ალბათობა.



მასტოპათია ქალების თითქმის 50%-ს აქვს. დაავადებამ შეიძლება, პერიოდულად იჩინოს თავი — ავადმყოფის მდგომარეობა შეიძლება გართულდეს იმუნური სისტემის დასუსტებისა და სტრესების დროს. რისკ-ჯგუფში არიან ქალები, რომელთაც დარღვეული აქვთ ჰორმონული ფონი, აქვთ ღვიძლთან, საკვერცხეებთან, ფარისებრ ჯირკვალთან დაკავშირებული პრობლემები. მასტოპათიის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს შორის, მნიშვნელოვანია ძუძუთი კვებაზე უარის თქმა, მემკვიდრეობითობა, მენსტრუაციის ნაადრევი დაწყება და აბორტები (განსაკუთრებით, პირველი ორსულობის დროს).

მასტოპათიის პირველი ნიშნებია: გამაგრებები და ტკივილი სარძევე ჯირკვალში, აგრეთვე, გამონადენი მკერდიდან, მისი შეჭმუხნა ან პირიქით — შეშუპება, იღლიის ლიმფური კვანძების მკვეთრი გადიდება.

მასტოპათიის არსებობაზე ეჭვის გაჩენისთანავე, დაუყოვნებლივ ეჩვენეთ ექიმს — ის განსაზღვრავს, საშიშია თუ არა მდგომარეობა და გირჩევთ, როგორ მოიქცეთ. 30 წლამდე ასაკის ქალებს, რომელთაც არ უმშობიარიათ, მასტოპათიის დასადგენად, ულტრაბგერით გამოკვლევას უნიშნავენ, უფრო ასაკოვანებსა და მათ, ვისაც შვილები ჰყავთ, — მამოგრაფიას, ულტრაბგერასთან ერთად.

დაავადება ორგვარია: **დიფუზური მასტოპათია და კვანძოვანი ფორმა**. პირველ შემთხვევაში, სარძევე ჯირკვლის ქსოვილი იზრდება და გამკვრივებულ ნაწილაკებს წარმოქმნის. ამ ფორმას შედარებით იოლად მკურნალობენ ჰომეოპათიური, ფიტოთერაპიული და ზოგჯერ, ჰორმონული პრეპარატებით. უმჯობესია, არ გადადოთ მკურნალობა სამომავლოდ, რადგან დიფუზური მასტოპათია შეიძლება გადაიზარდოს კვანძოვანში, რომელიც თავის მხრივ, ავთვისებიანი გადაგვარების საშიშროებას ქმნის. თუ ექიმი კვანძოვან მასტოპათიას აღმოაჩენს, კეთდება პუნქცია (კვლევისათვის ნემსით იღებენ მასალას კვანძიდან). თუ კვანძოვანი ფორმის დიფუზურში გადაყვანა შეუძლებელია, მაშინ ოპერაცია ინიშნება. მიუხედავად იმისა, რომ მასტოპათიის ფონზე ავთვისებიანი სიმსივნის წარმოქმნა იშვიათია, მაინც უმჯობესია, არ გარისკოთ და დროულად ჩაიტაროთ მკურნალობა. ■

C ვიტამინი რკინასთან ერთად არ მიიღოთ!

ფრანგმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ვიტამინური კომპლექსების ზოგიერთი კომპონენტების ერთდროულად მიღება არ შეიძლება.

მაგალითად, C ვიტამინის და რკინის თანხვედრა ერთ პრეპარატში დაუშვებელია. „საქმე ისაა, რომ ორგანიზმში ერთდროულად მოხვედრისას ამ ნივთიერებებს სარგებლობა კი არ მოაქვს, არამედ ახდენს პროოქსიდანტურ მოქმედებას — გამომუშავდება თავისუფალი რადიკალები („მავნე“ მოლეკულები, რომლებიც იწვევს ჟანგვის პროცესების პროვოცირებას)“, — ამბობს საფრანგეთის გრენობლის უნივერსიტეტის ექიმი ჟაკ ვანდერმანდერი.

მედიკოსთა აზრით, თუთია და სპილენძიც ცალ-ცალკე უნდა მივიღოთ. როცა ეს ნივთიერებები ერთდროულად შედის ორგანიზმში, მათი ათვისება მინიმალურია, რადგან ანეიტრალებენ ერთმანეთს.

შესაძლოა, C ვიტამინის და რკინის, აგრეთვე სპილენძისა და თუთიის ერთდროულად მიღება (განსაკუთრებით, მცირე დოზებით) არ იწვევს ორგანიზმის მოწამვლას, მაგრამ ეს ნივთიერებები გროვდება ორგანიზმში და მოსალოდნელია უკუეფექტის განვითარება: პრეპარატი სარგებლობის ნაცვლად, ვნებს ორგანიზმს.

მეცნიერებმა უკვე დააპატენტეს ვიტამინური პრეპარატები, რომლებშიც ზემოთ აღნიშნული ნივთიერებების თანხვედრა არ ხდება — ისინი ცალ-ცალკე კაფსულებშია გადანაწილებული. ამ კაფსულებს კი, პაციენტი დილით და საღამოს მიიღებს.

P.S. საინტერესოა, როგორი იქნება დღემდე არსებული იმ რკინის პრეპარატების ბედი, რომლებშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამატებითი კომპონენტი იყო C ვიტამინი, რადგან მიიჩნეოდა, რომ ეს ვიტამინი ხელს უწყობს რკინის ათვისებას. ■

სტეროიდები მოზარდს აგრესიულს ხდის

ამერიკელი მკვლევარები ირწმუნებიან, რომ სტეროიდები აზიანებს მოზარდის ტვინს. ასეთი დასკვნა მათ პატარა ზღვის გოჭებზე ანაბოლური პრეპარატების ზემოქმედების შესწავლის შედეგად გამოიტანეს. ცხოველების აგრესიულობა თითქმის 10-ჯერ იზრდებოდა: თუ მანამდე, საკუთარ ტერიტორიას მოწინააღმდეგეებისგან ბრძოლით უხალისოდ იცავდნენ, პრეპარატის შეყვანის შემდეგ, გააფთრებით ეკვეთებოდნენ ხოლმე და დიდი ხნის განმავლობაში, ინარჩუნებდნენ აგრესიულობას. მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ სისხლში მოიმატა ჰორმონ ვაზოპრესინის დონემ. ეს ჰორმონი არაპირდაპირ ზემოქმედებას ახდენს ჰიპოთალამუსზე (ტვინის ერთ-ერთ უბანზე) და შეუძლია, გამოიწვიოს აგრესიულობა და ჰალუცინაციები. რადგან ტვინის ეს სტრუქტურები ზღვის გოჭებსა და ადამიანებს ერთმანეთის მსგავსი აქვთ, ანალოგიური შედეგები აღინიშნება მოზარდებშიც. თანაც, ანაბოლიკების მოხსნის შემდეგაც კი, ნეგატიური ეფექტი კიდევ 2 წელი შენარჩუნდება. ■

თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ სიგიჟეს ტატუირება წარმოადგენს — თითქმის მთელი მსოფლიო მოხატული დადის. ბევრ ადამიანს ინიციალების გარდა, პატრიოტული მოტივები და ეროტიკული ჩანახატები აქვს სამუდამოდ აღბეჭდილი სხეულზე. საქართველოში სვირინგი კომუნისტური მმართველობის დროს, „რამკიანი ქურდების" სამყაროში იყო გავრცელებული, ამიტომ ზოგიერთისთვის, ტატუირებული სხეული კვლავ ციხესთან ასოცირდება. თუმცა, ეს სტერეოტიპი თანდათან ირღვევა. იმის გასარკვევად, თუ როგორ ხდება ტატუირება, რა ასაკის ადამიანი იკეთებს, შესაძლებელია თუ არა ძველი ტატუს წაშლა და რა ფიგურებია მოდაში, — ტატუირების სპეციალისტი, ირმა ასკურავა გვიყვება.

სხეულის რა ადგილებზე იკეთებენ ყოფილები ტატუირებას და რა ფიგურებია მოდაში

მარეხ ჭონიშვილი

— როდის გაგიჩნდათ სურვილი, რომ ტატუირების გაკეთება გესწავლათ?

— საერთაშორისო ტურიზმის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და ვმუშაობდი კიდეც ჩემი პროფესიით. ტატუირების გაკეთება კი, შემთხვევით ვისწავლე. ერთ დღეს, უეცრად მომინდა და ჩემს ნაცნობ „ტატუიროვშჩიკთან" მივედი. მან იცოდა, რომ კარგად ვხატავდი. ერთ წელიწადში ავითვისე და უკვე 6 წელია, რაც ტატუირებას ვაკეთებ.

— თუ გახსოვთ, პირველად ვის გაუკეთეთ ტატუ?

— ჩემი ახლობელი იყო. მხარზე დრაკონი დავახატე, რასაც 8 საათი მოვანდომე. ახლა ამგვარ ნახატს 2 საათში ვაკეთებ.

— როგორ ხდება ტატუს გაკეთება?

— ტატუ ბუნებრივი საღებავით იხატება. ნახატი სხეულზე გადაგვაქვს „კაპიროვკის" მეშვეობით, შემდეგ კი, ამ ნახატის ნემსებით დამუშავება ხდება. ხატვის დროს სიმეტრია რომ არ დაირღვეს, კანი გადაჭიმული უნდა იყოს.

— არის თუ არა მტკივნეული ტატუირების გაკეთება?

— ადამიანის ორგანიზმს გააჩნია და კიდევ იმას, თუ სხეულის რომელ ნაწილზე იკეთებს ნახატს. ტატუირების გაკეთება ისეთი მტკივნეული არ არის, რომ გამაყუჩებელი ნემსის გაკეთება იყოს საჭირო.

— ტატუირება დროებითიც არის და მუდმივიც. რამდენ ხანს ძლებს დროებითი ტატუ?

— დროებითი ტატუირების გასაკეთებლად ნემსის გამოყენება საჭირო არ არის: არსებობს გამზადებული შაბლონები, რომლებიც კანზე გადაგვყავს. თუ კანი ცხიმიანია, ნახატი 5 დღეს გაძლებს, თუ ნორმალური — 10 დღეს. დაბანის შედეგად, ნახატი ფერს კარგავს და თანდათან იშლება.

— თუ შეიძლება მუდმივი ტატუირების წაშლა?

— ხშირია შემთხვევა, როდესაც მოდიან და უნდათ, წაიშალონ ციხეში გაკეთებული „ნაკოლკები". მაგრამ ეს ძალზე ხანგრძლივი და რთული პოცესია. ამ დროს, ადამიანს დიდი ნებისყოფა მოეთხოვება. ეს აგრეთვე, ძვირად ღირებული „სიამოვნებაა". ადამიანი, რომელიც მუდმივი ტატუირების გაკეთებას გადაწყვეტს, დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ არ მოჰბეზრდება და მთელი ცხოვრება ატარებს.

— თუ გთხოვენ ხოლმე, ურჩიოთ, რა დაიხატონ?

— რა თქმა უნდა, არსებობს ადამიანთა კატეგორია, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, რა დაიხატოს და ამ დროს, რა თქმა უნდა, ვურჩევ, რა ჯობია, რომელი ნახატი უფრო ლამაზად გამოჩნდება კანზე და სხეულის რა ადგილას მოუხდება; ჩემთან მოსულ ადამიანს ყოველთვის ვურჩევ, ტატუ გაიკეთოს სხეულის ისეთ ადგილზე, რომ ვერ შეხედოს, რადგან როცა ხშირად ხედავ, გბეზრდება ან სურვილი გიჩნდება, რაღაც შეცვალო.

— ტატუირება ბევრისთვის ციხესთან ასოცირდება. წაიშალა თუ არა ეს სტერეოტიპი?

— ტატუს დიდი ისტორია აქვს. ამბობენ, რომ ნეფერტიტისაც კი ჰქონდა ხელზე გაკეთებული სვირინგი. ასევე მას იკეთებდნენ სხვადასხვა ტომის ადამიანები, რომ ერთმანეთისაგან განსხვავებული ყოფილიყვნენ. დროთა განმავლობაში, ტექნიკა დაიხვეწა. ჩვენს საუკუნეში კი, ხელოვნებას უფრო მიუახლოვდა, ვიდრე ციხეს... მეც და ჩემთან მოსული ადამიანებიც ამას, როგორც ხელოვნებას, სილამაზეს, ისე ვუყურებთ. ყოველთვის ვცდილობ, რომ განსაკუთრებული ნახატი გამოვიდეს და მას არ შეხედონ, როგორც ორნამენტს. ხშირად ისეთი კარგი სვირინგი გამიკეთებია, გული მწყდებოდა, რომ ადამიანი უნდა წასულიყო და ეს ნახატიც მას უნდა გაჰყოლოდა.

— ძირითადად, რა ასაკის ადამიანები მოდიან?

— თითქმის ყველა ასაკის კლიენტი მყავს. მოვიდა 64 წლის ქალბატონი, რომელმაც ტატუირებით მუცელზე ნაოპერაციები დაიფარა. 18 წლამდე ახალგაზრდებს, მშობლების ნებართვის გარეშე, არ ვუკეთებთ ტატუირებას, რადგან ეს კანონს ეწინააღმდეგება. თუმცა, იყო ერთი შემთხვევა, როდესაც მამამ თავად მოიყვანა 15-16 წლის გოგონები ტატუს გასაკეთებლად. როდესაც ჩემი გაოცებული სახე დაინახა, მითხრა — მირჩევნია, ჩემთან ერთად, სტერილურად, სუფთად და ხარისხიანად გაიკეთონ, ვიდრე სხვაგან წავიდნენ და შემდეგ, პრობლემები შემიქმნანო.

— ტატუირება ორგანიზმისთვის მავნებელი ხომ არ არის?

— მთელი სხეულიც რომ მოიხატო, ეს არანაირ ზიანს არ მიაყენებს ორგანიზმს. მოხატვა ხდება ბუნებრივი საღებავებით, რომლებიც ჩვენთან არ იშოვება და მოსკოვიდან ჩამომაქვს. როცა ადამიანი ტატუს იკეთებს, მისი მოვლაც უნდა იცოდეს: 10 დღის განმავლობაში, ნახატი, ვაზელინის თხელი ფენით უნდა ჰქონდეს დაფარული, მოარიდოს მზეს, წყალს, სანამ არ მოშუშდება. მოვლის პროცესის დარღვევის შემთხვევაში, ნახატი ხმება, ეკარგება ფერები და პირვანდელი ეფექტი და სილამაზე აღარ აქვს. ტატუს გასაკეთებლად, კარგი პერიოდია ზაფხულის დასაწყისი, რადგან ძლიერი სიცხე ნახატს არ უხდება. ასევე კარგი პერიოდია ზამთარი, მაგრამ ზამთარში იშვიათად იკეთებენ.

— წელს რა ფიგურებს უფრო იხატავენ?

— წელს მოდაშია ცხოველები — ვეფხვი, ლომი, „სკარპიონჩიკები", გოგონებში ძირითადად, ყვავილები, პეპლები. ამ სეზონში გოგონებს ვურჩევ, ნაზი ნახატები გაიკეთონ. ბოლო დროს, ისეთ რაღაცას იხატავენ, რომ გაოცდებით...

— მაინც რის დახატვას გთხოვენ?

— ვერ ვიტყვი. ამ შემთხვევაში, მკითხველის ფანტაზიას მივცემ გასაქანს...

— ძირითადად, სხეულის რა ადგილებზე იხატავენ?

— ვერც ამას ვიტყვი — თითქმის ყველგან: ფეხზე, მკლავზე, ზურგზე, მუცელზე, მკერდზე, ინტიმურ ადგილებში, განსაკუთრებით — ქალები. მაგრამ უმრავლესობა მაინც გამოსაჩენ ადგილას იხატავს. ■

მთელი სხეულიც რომ მოიხატო, ეს არანაირ ზიანს არ მიაყენებს ორგანიზმს

„[illegible] ლამაზად, [illegible]“

რეზიკომ პირველად ჩემი გაკეთებული მაკარონის კერძი მიირთვა

მომღერალ თამუნა ამონაშვილს, სამზარეულოში ფუსფუსს, სხვა საქმეების მოგვარება ურჩევნია. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ მას გემრიელი კერძების მომზადება შეუძლია, ოჯახში, კერძებს ძირითადად, თამუნას დედა ამზადებს.

ეკა მინდაძე

— თამუნა, პირველად რამდენი წლის იყავი, კერძის მომზადება რომ გადაწყვიტე?

— სკოლის მოსწავლე ვიყავი, როცა ვაშლის ნამცხვრის ცხობა ვისწავლე. სხვათა შორის, პირველსავე ცდაზე კარგი გამომივიდა. ისეთი გემრიელი იყო, რომ მის გემოს ჩემი და დღესაც იხსენებს. ამის შემდეგ, ისევ გავთამამდი, რომ ნამცხვრების ცხობა დავიწყე, მაგრამ ამ გატაცებამ მალევე გამიარა.

— დღეს ნამცხვრებს აღარ აცხობ?

— ნამცხვრების ცხობა წარსულს ჩაბარდა. თანაც, ამისათვის დრო არ მრჩება.

— თამუნა, ყველაზე გემრიელი მაინც რომელი კერძი გამოგდის?

— ქათმის ჩახოხბილი, ხახვში ჩაშუშული სოკო, შემწვარი კარტოფილი და ყველიანი მაკარონი.

— ყველაზე მეტად რომელი კერძი გიყვარს?

— ძალიან მიყვარს მეგრული სამზარეულო: ღომსა და შებოლილ ყველს სიამოვნებით შევექცევი ხოლმე — ჩემი ნომერ პირველი კერძია.

— ღომის გაკეთება იცი?

— არა. ფანტასტიკურ ღომს აკეთებს დედა. იმედია, მომავალში მეც შევძლებ მის მომზადებას.

— თუ გაქვთ ოჯახში ისეთი კერძი, რომელსაც ტრადიციულად მხოლოდ დღესასწაულებზე ამზადებთ?

— ჩვენს ოჯახში თითქმის ყველა დღესასწაულზე დედა ტრადიციულად უგემრიელეს ბაჟესა და აკუწულ ხინკალს აკეთებს.

— ოდესმე თუ გაგიკეთებია ხინკალი?

— მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარს, არასოდეს გამიკეთებია.

— გიყვარს სუფრის ლამაზად გაწყობა?

— ლამაზად გაწყობილ სუფრაზე თითქოს უფრო გემრიელია ყველაფერი. მართალია, ოჯახში უცბად წახემსების დროს ვერ ვახერხებ სუფრის ლამაზად გაწყობას, მაგრამ საკმარისია, ოჯახში ერთი კაცი შემოგვემატოს, მაშინვე განსაკუთრებულად ვშლით სუფრას. მიმაჩნია, რომ ეს სტუმრის მიმართ ერთგვარი პატივისცემის გამოხატვაა.

— მეუღლეს პირველად რომელი კერძი მოუმზადე?

— რეზიკომ პირველად ჩემი გაკეთებული მაკარონის კერძი მიირთვა და იმდენად მოეწონა, რომ მას შემდეგ, სულ მაკარონის მომზადებას მთხოვს. ისე რეზიკოს ჩემი გაკეთებული ყველანაირი კერძი მოსწონს.

— უცხო ქვეყნის სამზარეულოდან, უპირატესობას რომელს ანიჭებ?

— მიყვარს ჩინური, იაპონური და ინდური სამზარეულო.

— ალბათ საზღვარგარეთ არაერთი უცხო კერძიც გექნება გასინჯული, არა?

— როგორ არა! საბერძნეთში რვაფეხა ვჭამეთ და იმდენად მოგვწონა, რომ ხუთჯერ შევუკვეთეთ. ჩვენ თევზი გვეგონა, თურმე რვაფეხა ყოფილა. ისე მართლაც გემრიელი იყო. ბაყაყიც გამისინჯავს და ისიც მომეწონა — ისეთია, ქათმის ხორცისგან შეიძლება ვერც კი გაარჩიო. სხვათა შორის, მოსკოვში ყოფნისას ბაყაყის კერძი არაერთხელ მომიმზადებია. უგემრიელესი იყო ბაჟეში ჩაწყობილი ბაყაყი.

მოსკოვში ყოფნისას ბაყაყის კერძი არაერთხელ მომიმზადებია

— ქვეწარმავალი თუ გაგისინჯავს?

— ქვეწარმავალი არასოდეს გამისინჯავს. ის იმდენად მეზიზღება, გამორიცხულია, პირი დავაკარო.

— არის თუ არა ისეთი კერძი, რომლის ყოველდღე ჭამა არ მოგბეზრდება?

— კერძი არა, მაგრამ ყოველ დილით უზმოზე ყავა თუ არ დავლიე, საშინელი დისკომფორტი მაქვს ხოლმე.

— სასმელებიდან ყველაზე მეტად რომელი მოგწონს?

— ჩვეულებრივი წყალი. რაც შეეხება ალკოჰოლურ სასმელს, შავი და წითელი ღვინო მიყვარს. ვიცი, რომ ერთი ჭიქა ნატურალური ღვინო ქალის ორგანიზმისთვის სასარგებლოა. ამიტომ ყოველთვის მაქვს კახეთიდან ახლობლების მიერ გამოგზავნილი ღვინო, რომელსაც წამალივით ვსვამ.

— თუ არის ისეთი ნივთი, რომელიც სამზარეულოში გულით გინდა რომ გქონდეს და არ გაქვს?

— ძალიან მინდა, რომ 1.000-დოლარიანი სამზარეულო კომპლექტი მქონდეს *(იცინის)*.

— რომელიმე კერძის შენეულ რეცეპტს ხომ ვერ გაგვიმხელ?

— აიღეთ ღორის ხორცის თხელი, მოგრძო ნაჭერი. დააყარეთ შავი პილპილი და მარილი. ზემოდან დაადეთ შემწვარი კვერცხი და შეახვიეთ ფოლგის ქაღალდში. გვერდები და კუთხები ძაფით შემოუკერეთ. მიღებული მასა შედგით ცხელ ჰაერღუმელში და შეწვით. 20 წუთის შემდეგ, გადმოიღეთ, შემოაცილეთ ფოლგის ქაღალდი და დაჭერით მრგვალ ნაჭრებად. პარალელურად, შეწვით მოგრძო ნაჭრებად დაჭრილი კარტოფილი, დადეთ ის ფართო თეფშის შუაში, გარშემო შემოულაგეთ შემწვარი ხორცის მრგვალი ნაჭრები, შემწვარი სოკო და თხლად დააჭერით პომიდორი.

■

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲗ, „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚᲘ, ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲗ ~ „ᲝᲗᲐᲠᲐᲜᲗ ᲥᲕᲠᲘᲕᲘᲡ“ ᲑᲘᲝᲠᲑᲘ...

1985 წლის 25 ივლისს, მთელი საქართველო შეძრა ჰამლეტ გონაშვილის უეცარმა გარდაცვალებამ. იმ ტრაგიკული დღიდან, 21 წელი გავიდა. წელს, 20 ივნისს, მას 78 წელი შეუსრულდებოდა. ამ თარიღის აღსანიშნავად, მის მეუღლეს — ᲚᲐᲛᲐᲠᲐ ᲪᲘᲜᲪᲐᲒᲐᲫᲔᲡ და მეგობრებს — ᲕᲔᲛᲐᲚ ᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡᲐ და ᲗᲔᲛᲣᲠ ᲩᲐᲚᲐᲑᲐᲨᲕᲘᲚᲡ შევხვდით. „ქართული ჰანგის უფლისწული“ მათ გულებში სიცოცხლეს დღესაც განაგრძობს...

თამუნა კვინიკაძე

— ჰამლეტის დეიდაშვილი ჩემი თანამშრომელი გახლდათ. იგი მის ოჯახში, დაბადების დღის აღსანიშნავ სუფრაზე გავიცანი. მაშინ სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი იყო. ჩვენი შეხვედრიდან რამდენიმე დღეში, დასასვენებლად ქობულეთში წავედი. ერთ დღეს, რადიომიმღები ჩავრთე, დიქტორმა გამოაცხადა, რომ ჰამლეტ გონაშვილი იმღერებდა. პირველად იქ მოვუსმინე „დაიგვიანეს“. აღვფრთოვანდი, ოთახში ვეღარ „დავეტიე“, სანაპიროზე გავედი და ზღვის ცქერით გავინეიტრალე ის აღმაფრენა, რომელიც ჩემში ჰამლეტის ხმის გაგონებამ გამოიწვია.

— ერთმანეთი სუფრაზე გაიცანით. მაშინ არ უმღერია?

— სხვებთან ერთად იმღერა. პირველსავე შეხვედრისას მომეწონა. ქობულეთიდან რომ ჩამოვედი, ჩემთან სამსახურში მოვიდა, მერე კინოში დამპატიჟა და ასე, თანდათან აეწყო ჩვენი ურთიერთობა.

— როგორი შეყვარებული იყო?

— ძალიან ყურადღებიანი. იცოდა ყვავილების მორთმევა. არასოდეს შეეშლებოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო მანდილოსანთან. ერთხელ ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე ვიყავი წასული. იმ საღამოს კახეთიდან მამიდამისს ლამაზი იასამნები ჩამოუტანია. ჰამლეტს უთქვამს — გვიანი რომ არ იყოს, ამ იასამნებს ლამარას მივართმევდიო. — არ არის გვიანი და წადიო, — შეუგულიანებია დას. მან არ იცოდა, რომ სახლში არ ვიყავი: იმ დროს, მამაჩემი იყო ჩემთან ლანჩხუთიდან ჩამოსული, კარზე კაკუნის ხმა რომ გაუგონია, უკითხავს, ვინ არისო? ჰამლეტს კაცის ხმა რომ გაუგია, დაბნეულა და კითხვა შეუბრუნებია. რადგან მამას კარზე მომდგარი სტუმრის ვინაობა ვერ გაუგია, კარიც არ გაუღია. ჰამლეტს იასამნები კიბის თავზე დაუტოვებია და წასულა. სახლში რომ დავბრუნდი და იასამნები დავინახე, მივხვდი, რომ ჰამლეტის მოტანილი იქნებოდა, მაგრამ ხელი არ მოვკიდე: მამას რომ ეკითხა, რა უნდა მეპასუხა?! ოთახში შესვლისთანავე მკაცრი ხმით მითხრა — აქ შენს მოსვლამდე, ვიღაც კაცი მოვიდა, გიკითხა, ვინაობა კი არ გამიმხილაო. — მამა, სამი დღის წინ, დაბლა სართულზე მცხოვრებ მეზობელთან წყალი რომ ჩავუშვი, ალბათ საჩხუბრად ის ამოვიდა-მეთქი, — გამოვიყვანე თავი მდგომარეობიდან. მამამ ჩემი ნათქვამი დაიჯერა.

— თქვენმა მშობლებმა არ იცოდნენ, რომ შეყვარებული იყავით?

— იცოდნენ, მაგრამ მამა ვერ მიხვდა, კარს მომდგარი სტუმარი ჰამლეტი თუ იქნებოდა. იმ პერიოდში ჰამლეტი ყიფშიძის ქუჩაზე იშენებდა ბინას. მითხრა — ბინა რომ მექნება, ვიქორწინოთო. რადგან მიყვარდა, წინააღმდეგი არც მე ვიყავი, უფრო მეტიც, შევთავაზე — ჩემს ერთოთახიან ბინაში ვიცხოვროთ-მეთქი. ეს მან არ მოისურვა, ამით ცოტა გამანაწყენა და ვუსაყვედურე: კარგი, ბატონო, მშენებლობის დამთავრებას დაელოდე-მეთქი.

— ტრადიციული ქორწილი გქონდათ?

— 1972 წლის 27 ივლისს ვიქორწინეთ. 26-ში საღამოს, მოვიდა ჩემთან და მითხრა — მე ტრადიციების მიმდევარი კაცი ვარ, შენი ხელი შენს მშობლებს უნდა ვთხოვოო. რადგან ჩემი მშობლები, ლანჩხუთის რაიონში ცხოვრობდნენ და იქ ჩასვლას ვერ ვახერხებდით, ამიტომ ბიძაჩემთან მივედით. ბიცოლამ სუფრა გაგვიშალა, გაგვიმასპინძლდნენ. ჰამლეტმა და ბიძაჩემმა კარგად გაუგეს ერთმანეთს, ისაუბრეს სხვადასხვა თემაზე, საერთო ენაც გამონახეს. ყველაფერზე ილაპარაკეს, გარდა იმისა, თუ რაზე ვიყავით მისულები... ღამის 12 საათი შესრულდა. ვატყობ, რომ ჰამლეტი თქმას აპირებს, ინიციატივა ჩემს თავზე ავიღე და ბიძაჩემს ვუთხარი — იცით, ჰამლეტი თქვენთან რატომ მოვიდა-მეთქი? — რას ჰქვია, რატომ მოვიდა, რა, არ უნდა მოსულიყოო? — არა, ბიძია, მას უნდა, ჩემი ხელი გთხოვოთ-მეთქი. ჰოო, დამიდასტურა ჰამლეტმაც... ასე მარტივად გადავწყვიტე ეს საკითხი. მეორე დღეს შევხვდით ერთმანეთს 3 საათზე და ხელი მოვაწერეთ.

— თქვენმა მშობლებმა როგორ მიიღეს სძე?

— ჩემი მშობლები ლანჩხუთში ცხოვრობდნენ. მათთან ბიცოლა წავიდა. სანათესაოში ყველანი ტექნიკური დარგის მუშაკები გვყავდნენ. მომღერალი მათთვის ცოტა უცხო იყო. პატივი სცეს ჩემს არჩევანს, თუმცა, ცოტათი გამინაწყენდნენ, განსაკუთრებით ძმა... მე და ჰამლეტი გემით წავედით საქორწინო მოგზაურობაში. ჩემი ძმა პირველად, ბათუმის პორტში ვნახეთ. ჰამლეტი ფიზიკურად ძლიერი იყო, ხელის ჩამორთმევაც რაღაც განსაკუთრებული სჩვეოდა. ჩემს ძმას გაცნობის შემდეგ უთქვამს — ახლა მივხვდი, ლამარას კარგი არჩევანი გაუკეთებია, ცოლად ვაუკაცს გაჰყ-

ჰამლეტ გონაშვილის ვაჟი ოჯახთან ერთად

ოლიაო!.. ჩვენი ოჯახი ლანჩხუთში ცნობილი და დაფასებული იყო. მამა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი გახლდათ, დედა — პედაგოგი, მე — ჩაის ფაბრიკის ყოფილი მთავარი ინჟინერი. ყველას ძალიან აინტერესებდა, თუ ვისზე გავაკეთებდი არჩევანს, რა კაცს გავყვებოდი ცოლად. ჰამლეტის მომღერლობა რომ შეიტყვეს, ცოტა არასერიოზულად აღიქვეს. ერთ დღეს, მამაჩემთან ერთი მეგობარი მისულა და უკითხავს — ლამარას მეუღლე მარტო მღერისო? — არა, გუნდთან ერთადაცო. — მიუგია მამაჩემს.

— რაიმე უცნაური თვისება თუ ახასიათებდა?

— თვითონ ამბობდა — სიზუსტე მიყვარსო, — მაგრამ მას წესად ჰქონდა დაგვიანება. საქმის გადადება უყვარდა. იმაში, რაც ჰამლეტმა თავის ერს დაუტოვა, დიდი დამსახურება მიუძღვის ანზორ ერქომაიშვილს. იგი წინასწარ მიკავშირდებოდა ხოლმე და მეუბნებოდა — შეამზადე, განწყობილება შეუქმენიო... ხშირად, ჩაწერიდან რომ მოვიდოდა, მეტყოდა — ჩავწერეთ, მაგრამ არ მომეწონა და ანზორს წავაშლევინეო. მერე ვურეკავდი ანზორს. ის კი მპასუხობდა — ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ბრწყინვალე ჩანაწერი გამოვიდა. მოვატყუე, თითქოს წავშალე, მაგის წაშლა როგორ შეიძლება, შენახული მაქვსო!..

— ალბათ, ამ მეთოდით არაერთი უნიკალური ჩანაწერი გადარჩა.

— დიახ, ეს ანზორ ერქომაიშვილის დამსახურებაა.

— ჰამლეტ გონაშვილი და ქართული სუფრა — რას გვეტყოდით ამ თემაზე?

— კარზე ზარის ხმა ახარებდა იმიტომ, რომ სტუმარი უყვარდა ძალიან. ერთი თხილი რომ ჰქონოდა, იმასაც სხვას გაუყოფდა. დღე არ გავიდოდა ისე, ნახევარი ლიტრი ღვინო რომ არ დაელია. კონცერტის ან რეპეტიციის შემდეგ, სახლში რომ მოვიდოდა, ვახშმისთვის ერთი ლიტრი ღვინო ყოველთვის მიმქონდა სუფრაზე, ვსაუბრობდით, ერთმანეთს ვუყვებოდით თუ რა გავაკეთეთ მთელი დღის განმავლობაში. დიდი გეგმები ჰქონდა, აღმაფრენის წლები ედგა. სამწუხაროდ, მაშინ დაიღუპა, როცა სიცოცხლე ყველაზე მეტად უხაროდა. ბოლო კონცერტი თელავში ჰქონდა 1985 წლის 24 ივლისს. 25 ივლისს კი, თავის ეზოში ტრაგიკულად დაიღუპა... ვერასოდეს ვიფიქრებდი, ასე ადრე თუ წავიდოდა ამ ქვეყნიდან. ვერც ის წარმომედგინა, თუ პანთეონში არ დაკრძალავდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა. საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს და 19 წლის შემდეგ გადაასვენეს მისი ნეშტი დიდუბის პანთეონში. თვითონ სულ ამბობდა, მიცვალებულს მომგონი უცოცხლოს ღმერთმაო, მომგონს უდღეგრძელებდა. ერთხელ, ასეთ ლეგენდასაც მომიყვა: ბაბუა და შვილიშვილი იყვნენ გარდაცვლილები. ბაბუა ყოველ დილით ბავშვს დოქით წყაროზე აგზავნიდა. ერთხელ, ბავშვი ხელცარიელი დაბრუნებულა, ბაბუ ჩვენს წყაროზე წყალი აღარ მოდისო. — დავქცეულვართ, ბაბუ, და ეგ არის — იმ ქვეყნად მომგონებელი აღარ გვყოლიაო... ამბობდა — მიცვალებულს ცრემლი ამშვენებსო. თუ ეს ასეა, ჰამლეტს თავისი ხალხისგან ცრემლი ნამდვილად არ დაჰკლებია...

ჯემალ გალაშვილი:

— ჰამლეტ გონაშვილთან დიდი მეგობრობა მაკავშირებდა. შემდეგ, ჩვენი მეგობრობა ნათესაობაში გადაიზარდა: გიამ მისი შვილი — გიორგი მონათლა. ეს კიდევ ერთი დასტურია იმ სიახლოვისა, რომელიც ამ ორ ოჯახს აკავშირებდა. კარის მეზობლები ვიყავით, უერთმანეთოდ პური არ გაგვიტეხია, ერთ ბოთლ ღვინოზე ღამეები გვითენებია. მას დიდი ამაგი აქვს ჩემს შვილზე. გიამ რომ ფოლკლორისტობა აირჩია, ეს მისი გავლენის შედეგია. ბევრს ელაპარაკებოდა, უხსნიდა, არიგებდა. თვითონ გიტარის დაკვრა არ იცოდა და გია ამეცადინებდა. მე მოცებდა არა მარტო მისი ნიჭიერება, არამედ მისი კეთილშობილება. იყო საოცრად ზრდილი, დახვეწილი, ტაქტიანი ადამიანი. უყვარდა თავისი ხალხი და ქვეყანა, რაღაც განუმეორებელი სიყვარულით. ჰამლეტი მომღერალ-შემსრულებელი კი არა, მომღერალ-შემოქმედი იყო. რაც არ უნდა ემღერა, თვითმყოფადობას არ უკარგავდა და ამავე დროს, ახლებური ხიბლის შემატებას ახერხებდა. ჩვენს ცხოვრებაში იყო საოცარი დამთხვევები: ორივე კახელები ვართ, ორივეს გვყავს გურული მეუღლეები, ლანჩხუთელები; უფრო მეტიც — ორივეს, სეხნია სიდედრები გვყავს — ნინო სარჯველაძე. ამაზე ხშირად ვხუმრობდით... 100 წელიწადში ერთხელ რომ იბადება, უფალმა ისეთი მომღერალი მოუვლინა, ჰამლეტ გონაშვილის სახით, ჩვენს ქვეყანას. ისიც უფლის ნება იყო, რომ იგი შეხვდა ანზორ ერქომაიშვილს. ჰამლეტი ყველასთან ვერ გამონახავდა საერთო ენას. მათი ტანდემი აუცილებელი იყო. ჰამლეტი თავდაუზოგავად იხარჯებოდა. ალბათ, მისი უცნაური გარდაცვალებაც ამით აიხსნება — ის საკუთარ თავზე ყველაზე ნაკლებად ფიქრობდა... ვერ იტანდა უსამართლობას. ერთხელ, ერთმა მეზობელმა, სამეზობლოს წინაშე რაღაც დააშავა. ჰამლეტმა ერთხელ უთხრა ტკბილად, ორჯერ, სამჯერ... რომ ვერაფერი შეასმინა, მერე უნდა გენახათ, რა დღეში ჩააგდო, 10 კაცი ვაწყნარებდით. გაბრაზება იშვიათად იცოდა, მაგრამ თუ გაბრაზდებოდა — ჩემს მტერს!.. ეს ადამიანი ყველა დადებითი თვისებით იყო შემკული, მაგრამ ჰქონდა ერთი ნაკლიც: დაგვიანება იცოდა. რომ არა ქალბატონი ლამარა, ვერც ერთი მისი კონცერტი დათქმულ დროს ვერ დაიწყებოდა.

თემურ ჩალაბაშვილი:

— ჰამლეტ გონაშვილზე ძალიან ბევრი დაწერილა და თქმულა. ის იმდენად კარგი პიროვნება იყო, რომ ლაპარაკიც კი მიჭირს. ჩვენ ერთმანეთი 1972 წელს გავიცანით. ჩემზე გაცილებით უფროსი იყო, მაგრამ მასთან ურთიერთობისას ასაკობრივი სხვაობა არასდროს მიგრძნია. გამორჩეული ინდივიდუალურობის მქონე კაცი გახლდათ. პიროვნულად არ ჰგავდა არავის, ისეთივე განსხვავებული და განუმეორებელი იყო მისი

მამა ვერ მისვდა, კარს მომდგარი სტუმარი ჰამლეტი თუ იქნებოდა... 1972 წლის 27 ივლისს ვიქორწინეთ

სიმღერაც... თბილისობის დღესასაწაული ახალი დამკვიდრებული იყო. მე და ჰამლეტი ერთმანეთს რიყეზე შევხვდით. იქვე ერთი მოხუცი ქალბატონი მზესუმზირას ყიდდა. სრულიად დაუმსახურებლად, მილიციელმა მას შეურაცხყოფა მიაყენა, მზესუმზირა გადაუყარა. ამის შემხედვარე ჰამლეტი უნდა გენახათ, რა დღეში ჩავარდა. იმ მილიციელს ლამის „პაგონები“ აახია: აქედან იწყებთ წესრიგის დამყარებასო?!. მიუხედავად იმისა, რომ მოთმინებით და თავშეკავებითაც გამოირჩეოდა, ეს უსამართლობა, სხვისი ჩაგვრა ვერ აიტანა. ხომ შეიძლებოდა, გულგრილად ჩაევლო, მაგრამ ამის გაკეთება მას არ შეეძლო... ჰამლეტს ბუნებაში ყოფნა და მოგზაურობა უყვარდა ძალიან. რომანტიკული ხასიათი ჰქონდა. მე და ჩემი მეუღლე ახალდაქორწინებულები ვიყავით. ღამის 3 საათზე, სუფრიდან წამოგვშალა, კუს ტბაზე აგვიყვანა და გვაყურებინა, თუ რა ლამაზად თენდებოდა თბილისში. ბაგებიდან მამლების ყივილის ხმა რომ გაისმა, მაშინ წამოვედით და სახლში ბედნიერები დავბრუნდით. საოცარი სიფაქიზით ექცეოდა თავის მეუღლეს. ერთხელ, ანაგაში, საკუთარ ეზოში თუთა დაკრიფა, ლამარას წავუღებო — თქვა. გზაში აღმოაჩინა, რომ წამოღება დავიწყებია და საგარეჯოდან უკან მიგვაბრუნა. ვეუბნებოდით — ბაზარში იყიდე, რა მოხდა-თქო?! — მაგრამ არ დაგვიჯერა — ის ხომ ჩემი ხელით არის დაკრეფილიო. იგი თავისი ცხოვრებით, რაინდობით, ვაჟკაცობით „ვეფხისტყაოსნის“ ავთანდილს ჰგავდა, სიკვდილით კი — „ოთარაანთ ქვრივის“ გიორგისავით წავიდა ამ ქვეყნიდან...

■

„კაცნი, რომელნიც მოიკლებენ საჭმელსა და არ იშლიან ცუდთა საქმეთა, დაემსგავსებიან ეშმაკსა...“

ეკლესიის მიერ დაწესებულ ოთხ დიდ მარხვას შორის, ერთ-ერთია პეტრეპავლობის მარხვა, რომელიც ყოველთვის, სულთმოფენობის დღესასწაულიდან ერთი კვირის შემდეგ, წლეულს — 19 ივნისს იწყება და პეტრეპავლობის დღესასწაულამდე — 12 ივლისამდე გასტანს. სულთმოფენობის დღესასწაული მოძრავია და ყოველთვის, აღდგომის დღესასწაულიდან 50-ე დღეს აღინიშნება. ამგვარად, პეტრეპავლობის მარხვის დასაწყისი და ხანგრძლივობა აღდგომის თარიღზეა დამოკიდებული, იგი ყველაზე ხანგრძლივად — თვე-ნახევარი, ყველაზე მცირე ხნით კი — ერთი კვირა გრძელდება.

მორენა მერკვილაძე

პეტრეპავლობის მარხვას ძველად, „ერგასის შემდგომს“ („ერგასი“ ნიშნავს „ორმოცდამეათეს“) უწოდებდნენ, მოგვიანებით კი, იმის გამო, რომ პეტრეპავლობის დღესასწაულით — მოციქულთა თავთა ხსენების დღით გვირგვინდება, პეტრეპავლობის მარხვის სახელწოდებით დამკვიდრდა.

საეკლესიო გადმოცემის თანახმად, პეტრეპავლობის მარხვა მოციქულთა ხანიდან იღებს სათავეს: სულიწმიდის გარდამოსვლის, სულთმოფენობის შემდეგ, უფლის მოციქულები ლოცვითა და მარხვით ემზადებოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში ქადაგებისთვის, საყოველთაო წესად კი, ესპანეთის 517 წლისა და ტრულის 582 წლის მეორე საეკლესიო კრებაზე განაწესეს.

ტიპიკონის თანახმად, პეტრეპავლობის მარხვა თევზით ხსნილია, ოთხშაბათისა და პარასკევის გარდა.

მარხვას უდიდესი არსი და მნიშვნელობა აქვს. მისი შენახვით, ადამიანი განიწმინდება სულიერად და ხორციელად. „წმინდა წერილის“ თანახმად, მარხვა ჯერ კიდევ მიწიერ სამოთხეში დაუწესა ღმერთმა პირველ ადამიანებს, როდესაც უთხრა: „ხოლო ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით სჭამოთ. ხოლო ხისა მისგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა ჭამოთ მისგან, რამეთუ რომელსა დღეს ჭამოთ მისგან, სიკუდილითა მოსწყდეთ“. სწორედ აქედან იღებს სათავეს მარხვა თავისი არსით და მიგვანიშნებს იმაზე, რომ მის დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. „წმინდა წერილი“, როგორც „ძველი“, ასევე „ახალი აღთქმა“ კიდევ არაერთგზის მიგვითითებს მარხვის აუცილებლობაზე. თავად უფალმა იესო ქრისტემაც კი იმარხულა ნათლისღების შემდეგ: „და იმარხვიდა ორმოც დღე და ორმოც ღამე“, — გვამცნობს მათე მახარებელი.

ეკლესიური მოძღვრებით, მარხვა მხოლოდ გარკვეულ საკვებზე ნებაყოფლობით უარის თქმით როდი გამოიხატება.

საჭიროა აგრეთვე, სულიერებაზე მომეტებული ზრუნვა — გაძლიერებული ლოცვა, ცოდვათა გამო გულწრფელი სინანული, „წმინდა წერილისა“ და სხვა, სულისათვის სასარგებლო საღმრთო ლიტერატურის კითხვა, ცოდვილ, მავნე ჩვევებზე უარის თქმა და სხვა ღვთივსათნო საქმეთა აღსრულება — მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ამაღლდება ჩვენი მარხვა უფლის საყდრამდე და ღვთის მადლსა და წყალობასაც დავიმსახურებთ: „კაცნი, რომელნიც მოიკლებენ საჭმელსა და არ იშლიან ცუდთა საქმეთა, დაემსგავსებიან ეშმაკსა, რომელიც საერთოდ არაფერს სჭამს, მაგრამ ღმერთის წინააღმდეგობას არ იშლის“, — ბრძანებს წმინდა ბასილი დიდი.

მარხვის დაწყების წინ, ადამიანმა ლოცვა-კურთხევა უნდა მიიღოს სულიერი მოძღვრისაგან, რადგან ნებისმიერი სულიერი ღვაწლის თვითნებურად აღებამ შესაძლოა, ადამიანი ხიბლში ჩააგდოს და ამპარტავნების მომაკვდინებელ ცოდვას აზიაროს. ■

ყოველადწმინდა ღვთისმშობლის ნებით დაარსებული ახალი შუამთის მონასტერი

ახალი შუამთის მონასტერი კახეთში, თელავის მახლობლად მდებარე ცივგომბორის მთის ტყით შეფენილ კალთებზე მდებარეობს. მონასტერი XVI საუკუნის 50-იან წლებში დაუარსებიათ ლევან კახთა მეფესა და მის მეუღლეს, მამია გურიელის ასულს — თინათინს: „უდაბნო შუამთისა, არს კერძოსა კახეთისასა, მდგომარე პირსა თურდოს ხევისასა, მარჯვენის საკახეთოსა გზისა, კალთასა ზედა ტყიანისა ცივის მთისასა... აღაშენა ამას ადგილსა ზედა ახალი ესე შუამთის მონასტერი დედოფალმან თინათინმა, მეუღლემან ლეონ კახთა მეფისამან“, — წერს შუამთის მონასტერში მოღვაწე არქიმანდრიტი ტარასი.

მორენა მერკვილაძე

მონასტერს ახალი შუამთა, V საუკუნეში დაარსებული ძველი შუამთის მონასტრის გავლენით ეწოდა, რომელიც მისგან ორი კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. იგი მთის ორ ხევს შორის, ბორცვზეა აღმართული. სწორედ ასეთი მდებარეობის გამო ეწოდა მონასტერს შუამთა.

როგორც აღვნიშნეთ, ახალი შუამთის მონასტერი დაარსებულია ლევან კახთა მეფისა (1520-1574) და მისი მეუღლის, თინათინის მიერ: გურიის მთავრის, მამია გურიელის ასული თინათინი ცოლად გაჰყოლია კახეთის მეფე ლევანს. კახეთში მიმავალი ასულისთვის მამია გურიელს თან გაუტანებია ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ყოველთვის განუშორებლად დაჰქონდა. სამეფო ამალის თანხლებით სატახტო ქალაქ გრემში მიმავალ ახალჯვარდაწერილ წყვილს, იმ ადგილას შემოღამებია, სადაც ამჟამად, ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის ხატის მონასტერი დგას. გურიიდან წამობრძანებული სასწაულმოქმედი ხატი იქვე, ერთი შინდის ხის ქვეშ დაუბრძანებიათ, თვითონაც დასასვენებლად ჩამომსხდარან. მეორე დილით, როდესაც სამეფო ამალა წამოშლილა და გზის გასაგრძელებლად მო-

მზადებულა, ღვთისმშობლის ხატი ადგილიდან ვერასგზით ვერ დაუძრავთ. თინათინ დედოფალს ეს უფლის მინიშნებად მიუჩნევია და აღთქმა დაუდვია, რომ იმ ადგილას ეკლესიას ააგებდა. ამის შემდეგ, ხახულის ღვთისმშობლის ხატი მათ ნებას დაჰყოლია.

მოგვიანებით, დედოფალ თინათინს მართლაც, შეუსრულებია დადებული აღთქმა — ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელზე მონასტერი დაუარსებია, თავის მეუღლესთან, ლევან კახთა მეფესთან ერთად.

ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებით, შემდეგი გადმოცემაც არსებობს: გურიის მთავრის, მამია გურიელის ასულ თინათინს სიყრმის ჟამს, ჩვენება უხილავს — თითქოს ცოლად მიჰყვებოდა „კაცსა ვისმეს მთავართაგანსა“. მათ გზად ერთ ადგილას დაუსვენიათ, სადაც თეთრი შინდის ხე მდგარა. ერთ-ერთ სამღვდელო პირს, თინათინისთვის უთქვამს — ამ ადგილას ღვთისმშობლის სახელზე მონასტერი დააარსეო. როდესაც თინათინი ცოლად გაჰყოლია ლევან მეფეს და მასთან ერთად, კახეთისკენ მიმავალს, გზად შუამთაში შეუსვენია, მას ჩვენებაში ნანახი შინდის ხე უხილავს. ამ მინიშნების შემდეგ, დედოფალ თინათინს, თავად მაყაშვილისგან შეუძენია მიწები და იმ ადგილას მონასტერი დაუარსებია, ყოვლდაწმინდა ღვთისმშობლის სახელზე...

ახალდაარსებულ მონასტერში თინათინმა მამისგან მზითვად ბოძებული, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი დააბრძანა, რომელსაც ორმოცდახუთი საზურგე ჰქონდა და თითოეულ მათგანში წმინდა ნაწილი იყო ჩაბრძანებული. მოგვიანებით, ლევან მეფესა და მის თანამეცხედრეს ხატი ძვირფასი პერანგით შეუმოსავთ (ამჟამად, ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი საქართველოს ხელოვნების მუზეუმშია დაცული). იმ პერიოდში, ძველი შუამთის მონასტერში სამონასტრო ცხოვრება თითქმის ნახევარი საუკუნის შეწყვეტილი იყო, ამიტომ თინათინ დედოფლის მიერ დაარსებული მონასტერი ახალ სასულიერო კერად იქცა.

დაახლოებით 1550 წელს, თინათინ დედოფალი მის მიერვე დაარსებულ მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად და სიცოცხლის ბოლომდე, იქვე მოღვაწეობდა. გარდაცვალების შემდეგ, ახალი შუამთის მონასტრის მთავარ — ღვთისმშობლის შობის ტაძარშია დაკრძალული. ერთი პერიოდი, მისი საფლავის ადგილსამყოფლის შესახებ არავინ უწყოდა. იგი XX საუკუნის ბოლოს აღმოაჩინა ეპისკოპოსმა კირიონმა (შემდგომში — საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა), რომელიც იმხანად, ალავერდის ეპისკოპოსი და იმავდროულად, ახალი შუამთის მონასტრის წინამძღვარი იყო. სწორედ წინამძღვრობის პერიოდში გადაწყვიტა მან მონასტრის განახლება და იქ სასულიერო ცხოვრების აღორძინება. განახლებითი სამუშაოები მონასტრის მთავარი — ღვთისმშობლის შობის ტაძრიდან დაიწყო: გაიწმინდა ტაძრის შეთეთრებული კედლები და გამოჩნდა ფრესკათა დიდი ნაწილი, დაიგო მარმარილოს იატაკი და სხვა. სწორედ ამ სამუშაოების დროს გაიხსნა თინათინ დედოფლის საფლავი, რომელიც ერთ დროს მდიდრულად ყოფილა შემკული, შემდეგ კი მაჰმადიანებს გაუძარცვავთ და ნაგვით აუვსიათ. მონასტრის დამაარსებლის ძვირფასი ნეშტი საფლავიდან ამოუბრძანებიათ და სამარხის გასუფთავების შემდეგ, კვლავ მოწიწებით დაუკრძალავთ.

ახალი შუამთა

ეს მოხდა 1899 წლის 14 მაისს (ძველი სტილით). ამავე წლის 21 სექტემბერს, ეპისკოპოსმა კირიონმა, დედოფალ თინათინის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა და განაწესა: „ამიერითგან ყოველ წელიწადს ძმანი ამა მონასტრისანი აღასრულებენ წირვას და პანაშვიდს 9 ენკენისთვეს. ღმერთმა ჰკითხოს იმას, ვინც ეს დადგენილება გადააგდოს და არ შეასრულოს“. ამგვარად, ძველი სტილით 9, ხოლო ახალი სტილით — 22 სექტემბერი, თინათინის სულის მოსახსენიებელ დღედ დაწესდა. მაგრამ კომუნისტური მმართველობის წლებში, ეს წესი არ აღესრულებოდა; მოგვიანებით, 1999 წელს, მიტროპოლიტმა დავითმა (მახარაძემ) აღადგინა.

ახალი შუამთის მონასტერს არც თინათინ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ მოჰკლებია ყურადღება კახეთის მეფეთა მხრიდან. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო მონასტერში დაბრძანებული უდიდესი სიწმინდე — ხახულის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი. როდესაც მონასტერი დამპყრობელთა შემოსევის საფრთხის წინაშე იდგა, მეფე ერეკლე მეორეს სასწაულმოქმედი ხატი ხშირად გადაუბრძანებია სასახლეში, რათა სიწმინდე ურჯულოებს არ ჩაეგდოთ ხელში. მეფეს ხატისთვის მრავალი ვერცხლის კანდელი შეუწირავს; მისივე ღვაწლით განახლდა XV საუკუნის 60-იან წლებში, ახალი შუამთის მონასტერი, რასაც მთავარი ტაძრის დასავლეთით გაკეთებული წარწერაც მოწმობს: „ეკლესია ყოვლად შობისა, აღშენებული სანატრელად ხსენებულის დედოფლის თინათინის, დაძველებული და დაქცეული და განძარცული კუალად მეფემან სრულიად ქვემოისა საქართველოისამან მეორემან მეფემან ჰერეკლემ ბრძანებითა და საფასითა წარგებითა გუმბათით მოკიდებით სამხროებით განვაახლე“.

XX საუკუნეში, მონასტრის მთავარი ტაძარი ჭავჭავაძეთა საგვარეულო საძვალე იყო. სწორედ ამ პერიოდში დაკრძალეს მონასტერში: გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე, მარიამ ავალიშვილი, პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე, მისი ძე დავით ჭავჭავაძე და სხვანი. თუმცა, ჭავჭავაძეების გარდა, მონასტრის მიმართ განსაკუთრებული მზრუნველობის გამოჩენის შემთხვევაში, იქ სხვა საგვარეულოთა წარმომადგენელი თავადებიც იკრძალებოდნენ: ჩოლოყაშვილები, მაყაშვილები, ანდრონიკაშვილები და სხვა.

XX საუკუნეში, ახალი შუამთის ხახულის ღვთისმშობლის მონასტერში სამონასტრო ცხოვრება საგრძნობლად მინელდა, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში კი — საბოლოოდ შეწყდა.

იმ პერიოდში, მონასტერში, მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლი იყო განთავსებული. 1990 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, შუამთის მონასტერში კვლავ დამკვიდრდნენ დედები და სამონასტრო ცხოვრება განახლდა.

სადღეისოდ, მონასტერში თოთხმეტი მონაზონი მოღვაწეობს. იქვე ცხოვრობს რამდენიმე მორჩილიც.

■

ჩემი მეუფება არა ამ სოფლისაგან არს — პროკურატორ პილატეს უთხრა იესომ, როცა იმან ჰკითხა — რა მეუფება ხარო (ამ სოფლის მეუფე რომ ვიყო, მსახურები დამიცავდნენო).

იოანე 18, 36



ფრაზა

გენიალური

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. ბრელო თივის ნაფშვენია.
2. „თელხი“ და „ნიავი“ სინონიმებია.
3. ბეჰემოთი წყალში მშობიარობს.
4. ლოტი ზღვის სიღრმის გასაზომი ხელსაწყოა.
5. ინგებორგა დაბკუნაიტე ლატვიელი მსახიობია.
6. ლითონის ჩამოსასხმელ ყალიბს დარჯაკი ჰქვია.
7. უხარისხო მატყლისგან მოთელილ ნაბადს თექურას ეძახიან.

8. მერილინ მონროს, ქერაკულულებიან ცოდვილ ანგელოზს ეძახდნენ.
9. ავტომატი „კალაშნიკოვი“ 50-ზე მეტ ქვეყანას აქვს შეიარაღებაში.
10. ბუბკო ერთგვარი წებოა. იგი წყალში, გაქნილი ფქვილისგან მზადდება.
11. კომპოზიტორ რაიმონდ პაულსს ძალზე უყვარს მულტფილმების ყურება.
12. „უ ნას ვ რასიი ვსიო სეკრეტნო ი ნიჩევო ნე ტაინა“, — ამბობენ რუსები.
13. ძველ რომში თუკი ოპერაციის დროს პაციენტი კვდებოდა, ექიმს ხელებს აჭრიდნენ.
14. ძველი ეგვიპტელები ბაბუინებს წვრთნიდნენ და სუფრასთან მომსახურებას ასწავლიდნენ.
15. სიცოცხლის ბოლო წლებში, ამერიკელი მომღერალი დინ რიდი აღმოსავლეთ ბერლინში გადავიდა საცხოვრებლად.
16. რეჟისორი ვუდი ალენი 138-ჯერ იყო წარდგენილი „ოსკარზე“ სხვადასხვა ნომინაციაში. ამჟამად იგი 18 „ოსკარის“ მფლობელია.
17. ინგლისელმა მწერალმა ქალმა, ვირჯინია ვულფმა საკუთარი წიგნების უმრავლესობა ფეხზე მდგომმა დაწერა.
18. „მოგაყენებთ მაქსიმალურ ზიანს, გაგიბანძებთ მაგ თქვენს ბრაზილიას!“ — ემუქრება ბრაზილიის ნაკრების გულშემატკივრებს არგენტინის გულშემატკივარი ლექს-სენი.
19. ნაცრისფერ, რბილ ქვას, რომელიც ადვილად ითლება და ცეცხლზე არ სკდება, თირი, მეორენაირად კი — მჭადაქვა ჰქვია. საქართველოში მისგან კერას აკეთებდნენ.
20. „მეგობრისათვის სიცოცხლის გაწირვა ძნელი არ არის, ძნელია, იპოვო ასეთი მეგობარი“, — ამბობდა მიგელ სერვანტესი.
21. XX საუკუნის ფოტოებზე ასახული ადამიანები თითქმის არასდროს იღიმებიან. იმ დროს, ჯერ კიდევ არ

14 წლის ბიჭის სიფათიანი ლაშე და ქართველი მონადირისთვის მიუღებელი წესები

„საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა საზოგადოების“ პრეზიდენტი რეზო ჟიჟინაძე ნადირობის დიდი ტრფიალია. გარდა საქართველოსი, აზერბაიჯანში, ყაზახეთში, ყირგიზეთში და ალტაიშიც კი უნადირია. ბატონ რეზოს წიგნიც აქვს გამოცემული: „ნადირობა ოქროს მთებში“, სადაც აღწერილია მისი ნადირობა ალტაის მთებში.

მარეხ ჭონიშვილი

— მამაჩემი პროვიზორი გახლდათ, მაგრამ ნადირობა მისი ცხოვრების ყველაზე დიდი სიამოვნება და სიხარული იყო. პირველად 14 წლის ვიყავი, მამამ სანადიროდ ყვარელში რომ წამიყვანა. ის ძალიან მკაცრი კაცი იყო და ყველა იმ პირობას იცავდა, რომელიც მონადირეს მოეთხოვებოდა.

— როგორ გაიხსენებთ თქვენს პირველ ნადირობას?

— მამამ და ჩემმა სიძემ — ვახტანგ შავგულიძემ პირველსავე წასვლაზე გამომცადეს და ყვარლის მთებში მარტოდმარტო, სხვა გზით გამიშვეს, ისინი კი, მოპირდაპირე მხარეს წავიდნენ. — გზაში საშინელმა სეტყვამ და თავსხმა წვიმამ მომისწრო. იალაღზე ხეც კი არ იყო, რომ შევფარებოდი. შემდეგ ოდნავ გადმოზნექილი კლდე დავინახე და მას შევაფარე თავი. ტანსაცმელი მთლად დამსველებოდა, გავიხადე, გავწურე, მაგრამ მისი ჩაცმა გამიჭირდა. როცა წვიმამ გადაიღო, უკვე ისე ბნელოდა, რომ იმ ვიწროებში გზას ველარ გავიგნებდი. რამდენჯერმე გავძახე მამაჩემს, თოფიც გავისროლე, მაგრამ ექოს გარდა, არავინ მიპასუხა. მთელი ღამე ვარჯიშში გავათენე. როგორც კი ინათა, მამაჩემი და ვახტანგი გამოჩნდნენ. თურმე იქვე, ხევს გადაღმა 20 მეტრში ყოფილან, ჩემი ხმა ესმოდათ, მაგრამ არ მპასუხობდნენ. სიცივისგან აკანკალებულს, ვახტანგმა მშრალი წინდები და საცვლები მომცა. მერე ცეცხლი დაანთეს, ტანსაცმელიც გამიშრეს და თუნუქის ტოლჩით ჩაიც მომიდღეს.

— თუ გახსოვთ, რა იყო თქვენი პირველი ნანადირევი?

— პირველად ფრინველზე ვინადირე, მაგრამ ზუსტად არ მახსოვს — ხოხობი მოვკალი თუ მწყერი. საქართველოს მთებში ძალიან ბევრი ნადირი მყავს მოკლული — დათვი, არჩვი და ა.შ. უცხოეთში, კერძოდ კი — ალტაიში, თოვლის ჯიქი მოვკალი. ის საკმაოდ სახიფათო და ძლიერი ნადირია. მის ტყავს ძალიან ვუფრთხილდებოდი, მაგრამ სამწუხაროდ, დავკარგე.

— მონადირეს განსაკუთრებით თოფი უყვარს. თქვენ ბევრი თოფი გაქვთ?

— თოფების კარგი კოლექცია მქონდა, მაგრამ გავყიდე. 5 ბიჭი მყავდა. მათგან ორს, ნადირობა ძალიან უყვარდა, განსაკუთრებით კი — უმცროსს. მისი დაღუპვის შემდეგ კი, თოფებისა და საერთოდ სანადირო აღჭურვილობის მიმართ ყოველგვარი ინტერესი დავკარგე. მხოლოდ 2 სანადირო თოფი დავიტოვე. სანადირო თოფი ორნაირია — გლუვლულიანი და ხრახნილლულიანი. გლუვლულიან თოფს ფრინველებზე სანადიროდ იყენებენ, ხოლო ხრახნიანს — ნადირზე. ეს თოფი რომ გქონდეს, სპეციალური ნებართვაა საჭირო. მამას ძალიან ძვირფასი და მდიდარი თოფების კოლექცია ჰქონდა. მათ შორის იყო ინგლისის მეფის შვილის — ჯორჯის ნაჩუქარი, მსოფლიოში საუკეთესო სანადირო თოფი — „გოლან-გოლანი“. 30-იან წლებში ჯორჯი საქართველოში ყოფილა ჩამოსული. ჩვენმა მთავრობამ სანადიროდ, ლა-

მამას ძალიან ძვირფასი და მდიდარი თოფების კოლექცია ჰქონდა. მათ შორის იყო ინგლისის მეფის შვილის — ჯორჯის ნაჩუქარი

გოდეხში წაიყვანა. მას მამაჩემის ნადირობა მოსწონებია და სანადირო თოფი უჩუქებია.

— ვინ იყვნენ თქვენი პარტნიორები ნადირობისას და ძირითადად, სად ნადირობდით ხოლმე?

— ნადირობაში ხშირია გასაჭირი, ამიტომ, პარტნიორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დარწმუნებული უნდა იყო, რომ ადამიანი, რომელთან ერთადაც სანადიროდ მიდიხარ, არ გიღალატებს. ხანდახან ისეთი სიმწარე მინახავს, რომ მითქვამს: მეორედ სანადიროდ აღარ წავალ-მეთქი, მაგრამ ადამიანის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ ყველაფერი ცუდი ავიწყდება, მხოლოდ კარგი და ლამაზი ამახსოვრდება. მე ძალიან გამიმართლა, რადგან შესაძლებლობა მქონდა, მენადირა ისეთ ადგილებში, სადაც სხვებს ამის უფლება არ ჰქონდათ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მთელი 20 წელი, ლამაზ ზღაპარში გავატარე: ეს იყო კამჩატკა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი. ძალიან მწყდება გული, რომ ეს ყველაფერი ფირზე არა მაქვს აღბეჭდილი. მე თვითონ სურათების გადაღება არ მეხერხება. ისეთი ადამიანიც ვერ ვიპოვე, რომელიც მთაში ამყვებოდა და ყოველივეს დააფიქსირებდა.

დარწმუნებული უნდა იყო, რომ ადამიანი, რომელთან ერთადაც სანადიროდ მიდიხარ, არ გიღალატებს

— რით განსხვავდება საქართველოში ნადირობა საზღვარგარეთ ნადირობისგან?

— ერთ ამბავს მოგიყვებით, რომელიც ალტაიში ნადირობისას შემემთხვა. ირმებზე სანადიროდ ვიყავი წასული იქაურ მონადირეებთან — ბარაჩაკ მენდუჟოვთან და კოლია ბაიდანოვთან ერთად. პირველ დღეს ვერაფერი მოვინადირეთ, კარავში დავბრუნდით და დავიძინეთ, მეორე დღეს, როგორც კი გათენდა, ცხენები შევკაზმეთ და გზას გავუდექით. გზაში ბარაჩაკმა დიყი (*ველური მცენარე. — ავტ.*) მოჭრა, გული გამოულო და ცალი მხრიდან სატუჩე გაუკეთა. თავიდან ვერ მივხვდი, რაში სჭირდებოდა. ბარაჩაკი ცხენიდან ჩამოვიდა და ჩვენც გვანიშნა, რომ ჩამოვქვეითებულიყავით. ცხენიდან ჩამოვედი და თოფი მოვიმარჯვე, რომ ვესროლო, მაგრამ ვერაფერს ვხედავ. ბარაჩაკმა კი, დიყის ღერო ამოიღო და ძალიან გამიკვირდა, როდესაც დიყის ღეროდან მარალის ბღავილი მომესმა. ამ ხმამ მოატყუა და ხუთი მარალი გამოიყვანა მინდორზე. ძალიან ლამაზი სანახავი იყო. ბარაჩაკმა კი მანიშნა — ესროლეო. თვითონ არ ესროდა: სტუმარი ვიყავი და პირველობას მე მითმობდა, ამით პატივისცემას გამოხატავდა. ბარაჩაკს ვუთხარი: მე ვერ ვესვრი მაგ ხერხით მოტყუებულ ნადირს, ჩვენში ასე ნადირობა სამარცხვინოდ მიიჩნევა-მეთქი. მან კი, გაგულისებულმა, მიპასუხა: ნადირი იმისია, რომ მის მოსატყუებლად ყველა ხერხი იხმაროო. ამის შემდეგ, დავინტერესდი და გავარკვიე, რომ ირმებსა და შვლებზე ნადირობისას ასეთი ხერხის გამოყენება საზღვარგარეთის ქვეყნებში გავრცელებული ყოფილა, საქართველოში კი, მის შესახებ, არაფერი მსმენია და მართალი გითხრათ, მეამაყება კიდეც. ქართული ჭიდაობისა არ იყოს, ნადირობა უპირველეს ყოვლისა, რაინდული სულით უნდა გამოირჩეოდეს.

— მონადირე ხიფათისაგან დაზღვეული არ არის. ამასთან დაკავშირებით რაიმეს ხომ არ გაიხსენებდით?

— ერთ-ერთი ნადირობის დროს, ცხენებით ბილიკზე მივდიოდით. ძალიან ვიწრო ბილიკი იყო, ქვემოთ კი — კლდე. ჩემ უკან ბარაჩაკი მოდიოდა. მოულოდნელად ჩემმა ცხენმა მთელი ტანით წინ წაიწია, ერთიანად აცახცახდა და ყალყზე შედგა. კრაზანები, კრაზანები! — დაიძახა ბარაჩაკმა, მაგრამ უკვე დაკბენილი ვყავდით კრაზანებს. ძლივს მოვახერხე ცხენიდან ჩამოსვლა. ნელ-ნელა სამშვიდობოს გავედით და ცხენებიც გავიყვანეთ. მაგრამ კარგა გვარიანად ვიყავით დაკბენილი. ყველანი გადარჩენას მილოცავდნენ. იმ წუთში არავის უთქვამს, თუ რა საცოდავი შესახედავი ვიყავი, მაგრამ ეს მხოლოდ იმ წუთში, შემდეგ კი — იცოცხლე, დაცინვას არ მაკლებდნენ. არადა, იმ დროს ცხენს ერთი ნაბიჯიც რომ გადაედგა მარჯვნივ, ამ ამბავს ველარ მოგიყვებოდით... გარდა იმისა, რომ ბევრ ხიფათს გადავყრივარ, ხშირად ვეხუმრებოდით ერთმანეთს... ნადირობის დროს მე და რეზო სალუქვაძეს წითელი ფერის ულამაზესმა მელამ გადაგვირბინა. როგორც კი დავინახე, ცხენიდან გადმოვხტი: ცხენიდან ვერ ვესროდი, არ იყო თოფის ხმას შეჩვეული და რომ მესროლა, თვითონაც გადაიჩეხებოდა და მეც გადამიყოლებდა. სანამ მე თოფი გადმოვიღე და გავმართე, მელა

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

იდგა ჰიგიენა სათანადო დონეზე და ადამიანთა უმრავლესობას სავალალო მდგომარეობაში ჰქონდა კბილები.

22. კომპოზიტორმა ნიკიტა ბოგოსლოვსკიმ ერთხელ თავის მეგობარს, იური ლევიტანს სთხოვა, რაიმე დამიხატეო. ცნობილი რადიოდიქტორი ხატვის ბაიბურში არ იყო, მაგრამ დიდი ხვეწნის შემდეგ, ფურცელზე ბავშვურ სტილში დახატა პატარა სახლი, რომლის საკვამურიდან კვამლი ამოდიოდა და მეგობრის თხოვნით, ნახატის უკანა მხარეს საკუთარი ხელმოწერა გააკეთა. ბოგოსლოვსკიმ სურათი ჩარჩოში ჩასვა და კედელზე დაკიდა. შემდგომში, კომპოზიტორმა ამ ნახატის საშუალებით, მრავალი ნაძლევი მოიგო. არავის სჯეროდა, რომ ეს ბავშვური ნაჯღაბნი იური ლევიტანის ქმნილება იყო.

23. ივანე ჯავახიშვილი და ზაქარია ფალიაშვილი საუკეთესო მეგობრები იყვნენ. ზაქარია ფალიაშვილის ნაწარმოებებს პირველი, ტრადიციულად, ივანე ჯავახიშვილი ისმენდა ხოლმე. P.S. დღეს ერთ-ერთი მათგანის პორტრეტი ორლარიან კუპიურას ამშვენებს, მეორისა — ხუთლარიან კუპიურას.

24. კომპანია „როქსაიდ ინტერნეშენელის“ მესვეურთა მტკიცებით, მათი პროდუქცია მომხმარებელთა ყველაზე მაღალ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. იგი მზადდება იმავე მასალით, რა მასალითაც კეთდება ჭოკით ხტომისათვის საჭირო სუპერთანამედროვე ინვენტარი და ავტომობილთა ბამპერები. სარეკლამო რგოლებში კომპანია ხაზს უსვამს, რომ მათი პროდუქციის ფორმა აეროდინამიკურად ოპტიმიზებულია და მისი მოხმარების დროს, სამუშაო ზედაპირზე არ იქმნება ეგრეთ წოდებული საჰაერო ბალიშები. მოკლედ, ბევრი რომ აღარ განვალოთ, გეტყვით, რომ „როქსაიდ ინტერნეშენელი“ ბუზის საკლავების დამამზადებელი უმსხვილესი კომპანიაა მსოფლიოში.

25. ფეხბურთის XV მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით, რუსეთში ჩატარდა გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო, გაერკვიათ მოსახლეობის აზრი, თუ ვინ გახდება წელს მსოფლიო ჩემპიონი. გამოკითხულთა 6%-მა ჩემპიონობის უდავო კანდიდატად საკუთარი ქვეყნის ნაკრები დაასახელა. ძნელია, გაიზიარო მათი ოპტიმიზმი, მით უმეტეს, რომ რუსეთის ნაკრები წლევანდელ ჩემპიონატში საერთოდ არ მონაწილეობს.

გაუჩინარდა. არ მახსოვს, მაგრამ როგორც რეზო სალუქვაძე მარწმუნებს, თურმე მითქვამს — უჰ, რა ლამაზი მელაა, ბაბას როგორ გავახარებ-მეთქი!.. ბაბა ჩემი მეუღლეა. რეზოს ძალიან მწარე ენა აქვს, ამიტომ სულ მახსენებდა იმ ამბავს და მეუბნებოდა: მელას რომ სცოდნოდა, კარგი ქალისთვის გინდოდა ძღვნად მისი ტყავი ან თვითონვე გაიძრობდა, ანდა, ძმა, აუცილებლად გაჩერდებოდა და დაგიძახებდა — მესროლეო, — მაგრამ არ იცოდა, ამიტომაც გაშპა ასე და გული არ დაგწყდესო.

— **თევზაობა თუ გიყვართ?**

— თევზაობა არ მიყვარს, თუმცა მითევზავია სასროლი ბადით. ანკესით თევზაობა არ მიყვარს. არ შემიძლია, საათობით ვუყურო, თევზი როდის წამოეგება. ჩემი მეგობრები ბევრს ეცადნენ, რომ თევზაობა შემყვარებოდა, მაგრამ ვერ ამიყოლიეს. მე სულით მონადირე ვარ.

— **მონადირე კაცს ძაღლები უყვარს. თქვენ თუ გყავთ ძაღლები?**

— ნადირობისას ძაღლს ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. ფრინველზე ნადირობა კი ძაღლის გარეშე, უაზრობაა. მამაჩემს 14 ძაღლი ჰყავდა, მაგრამ მე, სამწუხაროდ, არ მყოლია: სამსახურის გამო, ამ სიამოვნებაზე უარი ვთქვი. თანაც მუშაობის ისეთი რეჟიმი მქონდა, რომ ვერ შევძლებდი, მათთვის მომევლო და სათანადო ყურადღება მიმექცია.

— **ნადირობის დროს რაიმე რიტუალს ხომ არ ასრულებდით?**

— საქართველოში განსაკუთრებული რიტუალი არა გვაქვს — უბრალოდ, ნადირობის წინ, ოჩოპინტრეს სადღეგრძელოს ვსვამდით. მაგრამ რაც შეეხება ალტაის — იქ ნადირობის წინ, მთელ რიტუალს ატარებენ. მხეცებს იქაური მონადირეები სახელებით არ ახსენებენ, მაგალითად: დათვს ბაბუას ეძახდნენ, მგელს — გრძელკუდა ბიძას და ა.შ. ხოლო როცა ნადირობაზე ლაპარაკობდნენ, დაუშვებელი იყო ყოყოჩობა, ხუმრობა, უადგილო სიცილი. მონადირეები ერიდებოდნენ ერთმანეთთან კინკლაობასა და ჩხუბს.

— **რა არის საჭირო იმისთვის, რომ კარგი მონადირე გახდე?**

— ძალიან ბევრი მიფიქრია ამ საკითხზე, მაგრამ მაინც ვერ გამიგია, თუ რა არის ნადირობაში უპირველესი. ბევრი ამბობს, რომ თოფი, მაგრამ ჩემი აზრით, თოფი ბევრს არაფერს ნიშნავს, თუმცა ღმერთმა ნუ ქნას, რომ ნადირობისას თოფმა გიღალატოს. ნადირობა უპირველესად, ბუნების სიყვარულის გამოხატულებაა. ამასთანავე, უნდა გჯეროდეს შენი თავის, უნდა იყო ძალიან მოხერხებული, გამტანი, უღალატო ადამიანი; უნდა შეგეძლოს გადაწყვეტილების სწრაფად მიღება. მოკლედ, კარგ მონადირეს ქართველი რაინდის, ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება უნდა ჰქონდეს...

■

იმ აფთიაქში არ შემესვლება...

ინგა ჯაყელი

მეზობელმა მოკრძალებულად მთხოვა, ახლომდებარე აფთიაქში გამეგზავნე წამლის მოსატანადო. როგორ დავზარდებოდი, მაგრამ სერიოზულად კი შევშფოთდი — რაიმე სერიოზული არ სჭირდეს, რომ ეს, სიცოცხლით სავსე და მორიდებული ახალგაზრდა ქალი აფთიაქში მე მიშვებს-მეთქი?!

— რა მოგივიდა? ექიმსაც ხომ არ გამოვუძახოთ, თუ თავს ისე ცუდად გრძნობ, რომ აფთიაქამდეც ვეღარ მისულხარ?! — ვკითხე შეწუხებულმა.

— არა, კაუვით ჯანმრთელი ვარ, ეგ წამალიც დედაჩემისთვის მინდა... მე უბრალოდ, სირცხვილით ვეღარ შევდივარ კარგა ხანია, იმ აფთიაქში! — სახეზე წამოჭარხალდა ია, თან ღიმილი ვერ შეიკავა და აი, რა მიამბო:

— გაზაფხულზე, გრიპის ეპიდემია რომ მოედო ქალაქს, ჩემი ბიჭებიც გახდნენ ავად და რადგან მთელი თბილისი იმსანად, პოპულარულ ვირატონს სვამდა, არც მე მიფიქრია ბევრი — აფთიაქში გავიქეცი, რომ წამალი მეყიდა. 4 წლის ნიკუშა გამომეტირა, ვერაფრით მოვიშორე, გაღიზიანებულმა, ბავშვს ხელი დავავლე და თან წავიყვანე.

აფთიაქში რიგი დამხვდა. როცა ჩემი ჯერი მოვიდა, გამყიდველს მშვიდად ვუთხარი — ათი ცალი ვიაგრა გამომიწერეთ-მეთქი...

გაკვირვებულმა შემომხედა, თუმცა, სიტყვით არაფერი მაკადრა და განმიმარტა:

— ვიაგრას მხოლოდ ექიმის რეცეპტით ვიძლევით!..

არადა, წინადღეს მოიტანა წამალი ჩემმა მულმა და არავითარი რეცეპტი მისთვის არ მოუთხოვიათ, ამიტომ გავღიზიანდი და საკმაოდ უხეშად ვუთხარი:

— მთელი თბილისი ვიაგრას სვამს და არავისთვის მოგითხოვიათ რეცეპტი. მე რაღას მიშლით ნერვებს?!

საქმეში მეორე პროვიზორი ჩაერთო, აშკარად, უფროსი იყო და სიტუაციის განმუხტვა სცადა:

— ვისთვის გნებავთ, ქალბატონო, ვიაგრა, თან — ასეთი რაოდენობით?!

— ვისთვის და ჩემი ბიჭებისთვის: ენერგიაგამოცლილები, მისავათებულები წვანან და არაფრის თავი არა აქვთ, — ვუპასუხე და თითქმის მოთმინებადაკარგულმა დავუმატე: — დროზე გამიშვით, დარდით ვკვდები!

— რა ხნის არიან თქვენი ბიჭები? — საუბარში ჩაერთო ჩემ უკან მდგომი მყიდველი, რომელიც ინტერესით და თავისებური თანაგრძნობით მიცქერდა...

— 10 და 20 წლის! — ვთქვი რაც შეიძლება დამაჯერებელი ტონით.

დარბაზში სიცილი აეტყდა. უფროსმა პროვიზორმაც შვებით ამოისუნთქა:

— რაღაცა გეშლებათ, საყვარელო. დამშვიდდით. მითხარით, რა სჭირთ თქვენს ბავშვებს და საჭირო წამლის შერჩევაშიც დაგეხმარებით.

— რა უნდა სჭირდეთ?! — აღვშფოთდი. — გრიპი აქვთ! ან რა უნდა მეშლებოდეს — აგერ მიწერია წამლის სახელი! — და მეტი დამაჯერებლობისთვის, საფულიდან, ჩემი მულის მოცემული, ქაღალდის ნაგლეჯი ამოვიღე: — აი, აგერ წერია გარკვევით — ვი-რა-ტო-ნი! — წავიკითხე დამარცვლით და რაც შეიძლება ხმამაღლა, თან, გამარჯვებულის იერით გადავხედე სეირის მაცქერლებს, რომლებიც ხარხარებდნენ, ცრემლს იწმენდნენ და მლოცავდნენ — შენ გაიხარე, რა გემრიელად გვაცინეო!..

— ხომ გითხარით, რომ გეშლებოდათ: ეს ვიაგრა საიდან მოიტანეთ! — გამიღიმა გამყიდველმა და ვირატონი გამომიწოდა. — რადგან ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა, საჩუქრად მოგართმევთ, ღმერთმა შეარგოს თქვენს ვაჟკაცებს!..

სახეზე ალმური მომედო, შერცხვენილს, ატირებას აღარაფერი მიკლდა, მაგრამ ამით რომ დამთავრებულიყო ჩემი იმდღევანდელი თავგადასავალი, რაღა მიჭირდა?!. თურმე, 4 წლის ნიკუშას იმ არეულობაში დრო ეხელთა და იმ დახლს მისდგომოდა, სადაც რეკლამის მიზნით, სხვადასხვა ფორმისა და ფერის პრეზერვატივი გამოეფინათ: ერთი — ზღარბს ჰგავდა, მეორე — მსხალს და რა ვიცი კიდევ, რას — ჯანდაბა მაგათ მომგონს!.. გაჯიუტდა ბავშვი და ფეხი ვერ მოვაცვლევინე — მიყიდე და მიყიდე ბუშტებიო!..

— ვაუკაცებს ვზრდიო — შენ უნდა დაიტრაბახო! — დამცინა ერთ-ერთმა მყიდველმა, რომელსაც მეორემაც აუბა მხარი.

— აბა, რა: 10 და 20 წლის ბიჭებს ვიაგრას ასმევ, 4 წლისა კი — პრეზერვატივებს იმარაგებს!..

ხარხარსა და ჟრიამულში ძლივს გამოვიყვანე აჩხავლებული ნიკუშა გარეთ... ჰოდა, მას შემდეგ, იმ აფთიაქში ჩემს შესვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ეგ კი არა და, როცა იმ ქუჩაზე მინევს გავლა, მეორე მხარეზე გადავდივარ, რომ შემთხვევით არ მიცნოს ვინმემ! — დაამთავრა მოყოლა იამ და მის მონათხრობზე ჩვენც ბევრი ვიხალისეთ.

■

აქ დაბეჭდილ ფოტოზე მკითხველი უთუოდ იცნობს ცნობილ დეტექტივს — შერლოკ ჰოლმსს. ეს მისი ჩვეული ატრიბუტის — ჩიბუხის გარეშეც არ იქნება ძნელი. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთად აღწერს მას ავტორი: „მაღალი და ტანადი, გამხდარი, ჩამოთლილი პირისახით, დიდი, არწივისებური ცხვირითა და პატარა, ახლო-ახლო ჩამჯდარი თვალებით“.

მაგრამ ეს მსახიობი როდია, რომელიც თეატრში ან კინოში მის როლს ასრულებს. სურათზე თვითონ შერლოკ ჰოლმსია აღბეჭდილი, უფრო სწორად, ადამიანი, რომელმაც შთააგონა კონან დოილს მისი ლიტერატურული სახე. მეორე ფოტოზე კი, ადვილი მისახვედრია, მისი უერთგულესი მეგობარი და ბიოგრაფი ექიმი უოტსონია, სინამდვილეშიც ექიმი, შემდეგ კი მწერალი არტურ კონან დოილი.

შერლოკ ჰოლმსი ცხოვრობდა და დღესაც ცოცხლობს

XX საუკუნის ბოლოს, ახალგაზრდა სტუდენტი არტურ კონან დოილი ედინბურგის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა. მისი სახელი ფიგურირებს ედინბურგის უნივერსიტეტის 1881 წლის კურსდამთავრებულთა სიაში.

ახალგაზრდა ექიმმა გადაწყვიტა, დაოსტატებულიყო და სამედიცინო პრაქტიკას მიჰყო ხელი. მალე ქალაქ პორტსმუტის გარეუბნის ერთ-ერთი სახლის კარზე გაჩნდა სპილენძის დაფა, წარწერით: „კონან დოილი, ექიმი და ქირურგი“.

ოცი წლის „ექიმსა და ქირურგს“ ბევრი თავისუფალი დრო რჩებოდა, რადგან პორტსმუტის გარეუბნის მცხოვრებლებიც კი ამჯობინებდნენ, თავიანთ ჯანმრთელობაზე ზრუნვა უფრო გამოცდილ ექიმთათვის მიენდოთ. ჰოდა, ახალგაზრდა ექიმს როგორმე ფული რომ ეშოვა და თავი გაეტანა, ლიტერატურული საქმიანობის დაწყება მოუხდა.

მაგრამ რაზე შეეძლო წერა ყმაწვილს, რომელსაც პრაქტიკულად არავითარი ცხოვრებისეული გამოცდილება არ გააჩნდა? ერთადერთი, რაც ჰქონდა, ამერიკელი მწერლის ედგარ ალან პოს შემოქმედებით, მისი დეტექტივებით გატაცება იყო, მათი უცვლელი გმირით — დეტექტივი დიუპენით, რომელიც უბადლო დედუქციური მეთოდით გამოირჩეოდა. და კიდევ, ახალგაზრდას თვალწინ ჰყავდა ასეთივე ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი — სამეფო ჰოსპიტლის პროფესორი ჯოზეფ ბელი.

პროფესორი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე კითხულობდა ლექციებს და არაჩვეულებრივი გამჭრიახობით ხშირად გაუკვირვებია სტუდენტები, მათ შორის, თავისი საყვარელი მოწაფე — კონან დოილიც. ის ხშირად იმეორებდა თავის საყვარელ გამოთქმას: „გამოიყენეთ დედუქციის ძალა“.

ადილობრივი პოლიცია ხშირად მიდიოდა ჯოზეფ ბელთან დახმარების სათხოვნელად. ის პოლიციაში მაძებარ-კონსულტანტად ირიცხებოდა, თუმცა დანაშაულის გახსნა მისთვის ერთგვარი ჰობი იყო. ეს თანამშრომლობა თითქმის 20 წელიწადს გრძელდებოდა. კრიმინალისტიკამ შემთხვევით როდი გაიტაცა ჯოზეფ ბელი — ამას ხელი შეუწყო მისი მეგობრის — სასამართლო მედიცინის პროფესორისა და პოლიციის ექიმის ჰენრი ლითლჯონის ძიებებში მონაწილეობამ. ბელი არა მარტო ეხმარებოდა მას დანაშაულების გახსნაში, არამედ უამრავ სისხლის სამართლის საქმეს საგულდაგულოდ იმახსოვრებდა და შემდგომ ნაცნობ-მეგობრებსა თუ სტუდენტებს მოუთხრობდა.

როცა კონან დოილმა ლიტერატორობა გადაწყვიტა, გონება დაძაბა, პროფესორის არაერთი საინტერესო მონათხრობი გაიხსენა და საგულდაგულოდ ჩაინიშნა. შემდეგ კი, მთავარი გმირის მხატვრული სახის შექმნაზე რომ ფიქრობდა, გამოიყენა პროფესორის არამარტო გარეგნობა, არამედ მისი ფენომენალური ნიჭიცა და უნარიც. როცა კონან დოილს, როგორც მწერალს, წარმატება ეწვია, თხოვნით მიმართა პროფესორს, მოეთხრო მის მიერ გახსნილი სხვა დანაშაულების შესახებ ანუ „მოემარაგებინა სიუჟეტებით სხვა მოთხრობებისთვისაც“.

ჯოზეფ ბელი ამაზე უარს არასოდეს ამბობდა და საღამოობით, ისინი საათობით ისხდნენ მის ბინაში განმარტოებით; ზოგჯერ მათ ჰენრი ლითლჯონიც უერთდებოდა. ჯოზეფი და ჰენრი გულუხვად უზიარებდნენ ახალგაზრდას თავიანთ მდიდარ გამოცდილებას, ზოგჯერ კი სამეული ერთად მიეშურებოდა რომელიმე ახალჩადენილი დანაშაულის გასახსნელად.

ჰოლმსისა და უოტსონის მისამართით ასეულობით წერილი მიდიოდა თხოვნით, გაეხსნათ ესა თუ ის დანაშაული. უფრო მეტიც, კონან დოილსაც ხშირად მიმართავდა პოლიცია ანალოგიური თხოვნით. „მე თვითონაც მიწევდა იმ ამოცანების გადაწყვეტა, რომლებიც მისტერ ჰოლმსისთვის მომიფიქრებია — იგონებდა კონან დოილი. — მა-

გალითად, დაიკარგა ვიღაც ჯენტლმენი. გაირკვა, რომ წინადღეს მან ბანკიდან გაიტანა მთელი თავისი ფული — 40 ათასი გირვანქა სტერლინგი. პოლიციას ეჭვი აღეძრა, რომ ის გაძარცვის მიზნით მოკლეს. უკანასკნელად ჯენტლმენი ნახეს ლონდონის ერთ-ერთ დიდ სასტუმროში, სადაც სოფლიდან ჩამოსვლისთანავე დაბინავდა. იმავე დღის საღამოს ის მიუზიკ-ჰოლში იყო, იქიდან 22.00 საათზე წავიდა, სასტუმროში დაბრუნდა, ტანსაცმელი გამოიცვალა და უკვალოდ გაქრა. არავის უნახავს, როგორ გავიდა სასტუმროდან. იმ დროს, როცა დოილს დახმარებისთვის მიმართეს, შემთხვევიდან უკვე ერთი კვირა იყო გასული. ამ ხნის განმავლობაში პოლიციამ დაკარგულის კვალს ვერ მიაგნო. აი, ასეთი იყო ფაქტები. გამბედაობა მოვიკრიბე, რომ საქმისთვის მისტერ ჰოლმსის თვალით შემეხედა და ვარაუდი გამოვთქვი — დაკარგული გლაზგოში ან ედინბურგში უნდა ყოფილიყო, თანაც სრულიად საღ-სალამათი. მოგვიანებით, ეს ვერსია დადასტურდა კიდეც“.

მაგრამ კონან დოილის პრაქტიკაში ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, რომელთა წინაშე თვით შერლოკ ჰოლმსიც კი დაყრიდა ფარ-ხმალს. აი, მაგალითად, ასეთი შემთხვევა: უმწიკვლო რეპუტაციის ჯენტლმენი ოჯახის წევრებთან ერთად საღამოს სასეირნოდ გაემართა. როცა სახლიდან ყველანი გავიდნენ, უცებ გაახსენდა, რომ შინ რაღაც დარჩა. იგი მაშინვე შებრუნდა სახლში, რომლის კარიც ჯერ ისევ ღია იყო, თანამგზავრები კი ქუჩაში უცდიდნენ. მაგრამ ჯენტლმენი იმ კარში სამუდამოდ გაუჩინარდა და იმ დღიდან ერთი მცირედი ხელმოსაჭიდიც კი არაფერი გამოჩნდა, რომ როგორმე მიახლოებოდნენ საიდუმლოს გასაღებს.

მსგავსმა იდუმალმა, უფრო სწორად ზებუნებრივმა მოვლენებმა უბიძგა მწერალს, ანომალიური მოვლენების კვლევისთვის მოეკიდა ხელი. ამასთან, ის არც სპირიტიზმის სეანსებს თაკილობდა და არც მოჩვენებებზე ნადირობას.

მწერალმა შემთხვევით როდი დაასახლა თავისი გმირები ბეიკერ-სტრიტის 221ბ სახლში. იმ დროს ასეთნომრიანი სახლი არ არსებობდა, მაგრამ გადიოდა წლები, ქუჩა სულ უფრო იზრდებოდა და 1932 წლის 18 მარტს ლონდონში მართლაც გაჩნდა ასეთი შენობა. ის ერთმა ფირმამ დაიკავა, რომელსაც უნდა „გაემართლებინა“ სახლის უკვე არსებული საყოველთაო აღიარება. ჰოდა, საგანგებოდ ამისთვის დაქირავებულ კაცს ევალებოდა, შერლოკ ჰოლმსისადმი მიწერილ წერილებზე ეპასუხა.



მაგრამ ცნობილ მაძებარს არა მარტო წერილებს სწერდნენ, არამედ მასთან მიდიოდნენ კიდეც. ერთხელ, კონან დოილმა ინგლისში ჩასული ფრანგი მოსწავლეების შესახებაც გაიხსენა, რომლებიც ითხოვდნენ, ეჩვენებინათ მუსიე ჰოლმსის ბინა ბეიკერ-სტრიტზე. ადრე უკვე ნახსენებ ფირმას ჰოლმსის მუზეუმის გახსნაც მოუხდა. მუზეუმი 1954 წელს, ნახევარი საუკუნის წინათ გაიხსნა და სახლის კედელზე გაჩნდა მემორიალური დაფა, რომელიც იუწყებოდა, რომ „აქ 1881 წლიდან 1903 წლამდე ცხოვრობდა და მუშაობდა შერლოკ ჰოლმსი“. ცნობისმოყვარე ადამიანს მხოლოდ 17 საფეხურის ავლა მოუწევს, რომ სასტუმრო ოთახში აღმოჩნდეს. მაგიდაზე აწყვია ფინჯნები, საშაქრე, სარძევე; იქვე, ოდნავ მოშორებით კი, გასაღების აცმა და რევოლვერის ორი ტყვია ალაგია. ბუხრის თავზეა შემოდებული ცნობილი ზარდახშა მოწამლული ეკლით, რომელიც მტრებმა გაუგზავნეს ჰოლმსს. იატაკზე სპარსული ფეხსაცმელია, რომელშიც შერლოკ ჰოლმსი თამბაქოს მარაგს ინახავდა, კუთხეში, პატარა სათლში, წესისამებრ, სიგარები აწყვია, იქვეა ჰომლსის რევოლვერიც და მისი საყვარელი ვიოლინოც. ფანჯარასთან კი მაძებრის ცნობილი ბიუსტი დგას, რომლის ორიგინალიც პოლკოვნიკ მორანის ტყვიამ დაამსხვრია.

შორიახლოს, ერთ წყნარ ქუჩაზე, ტრაფალგარის მოედანთან კიდევ ერთი მუზეუმია — შერლოკ ჰოლმსის ბარი და სასტუმრო, რომელშიც ის „ხშირად ცხოვრობდა“, დოქტორ უოტსონთან ერთად. ბარის მეორე სართულზე, შუშის კედლის მიღმა, ბეიკერ-სტრიტზე მდებარე ოთახის ზუსტი ასლია მოწყობილი.

საერთოდ კი, დიდი მაძებარი ცხოვრობდა, დღესაც ცხოვრობს და წერილებსაც კი იღებს წინადადებებით, გამოიძიოს საიდუმლოებით მოცული ესა თუ ის საქმე. უფრო ხშირად ასეთი წერილის ავტორი ზრდილობიან პასუხს იღებს: „მისტერ ჰოლმსმა მთხოვა (მისი მდივანი გახლავართ), მისი სახელით მეპასუხა თქვენს წერილზე. მას ძალიან სიამოვნებს თაყვანისმცემელთა წერილების უწყვეტი ნაკადი, მაგრამ ამჟამად გამოძიების საქმეებით უკვე აღარაა დაკავებული. მისტერ ჰოლმსი დამსახურებულ პენსიაზეა. ის სასექსის საგრაფოში ცხოვრობს და ფუტკრების მოშენებითაა დაკავებული“... ■



ფრაზები გენიალური

ის ვისაც სურს, იცოდეს — რა მოხდება, მან ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რაც მომხდარა.

მაკიაველი

ფეხბურთის ვარსკვლავთა თანამგზავრები

ალბათ იმაზე არავინ იდავებს, რომ ვიქტორია ადამსი მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა მეუღლეებსა და მეგობარ გოგონებს შორის, ყველაზე პოპულარული ქალბატონია. ამბობენ, რომ მასმედია სწორედ მის გამო იჩენს დიდ ყურადღებას ცნობილ მოთამაშეთა ცოლებისა თუ საყვარლების მიმართ. ცხადია, ეს თემა განსაკუთრებით აქტუალურია მუნდიალის მსვლელობისას. ამიტომ, ზოგიერთი ცნობილი ფეხბურთელის მეორე ნახევარზე ჩვენი მკითხველის ყურადღებასაც შევაჩერებთ.

ვიქტორია ბექჰემი – დევიდ ბექჰემის ცოლი

მისის ბექჰემზე ძალიან ბევრი დაწერილა. ის 1974 წელს დაიბადა. გათხოვებამდე, პოპჯგუფის — The Spice Girls შემადგენლობაში მღეროდა. დევიდისა ვიქტორიას ქორწინება 1999 წელს შედგა. ამჟამად, ბექჰემებს სამი ვაჟიშვილი ჰყავთ: 7 წლის ბრუკლინი, 3 წლის რომეო და წლისა და 3 თვის კრუზი.

რაიკა ოლივეირა – რონალდოს მეგობარი

რონალდომ და რაიკა ოლივეირამ ერთმანეთი შარშან გაიცნეს, მას შემდეგ, რაც ბრაზილიელი ვარსკვლავი სხვა მოდელ, დანიელა ჩიკარელის დაშორდა. რაიკა 1984 წელსაა დაბადებული. 1999 წელს, მან საერთაშორისო კონკურსში — Elite Model Look — მეორე ადგილი დაიკავა. ამის გამო, მისი წარმატება „ბრაზილიურ სენსაციად“ მონათლეს. რაიკა პოპულარული გახდა მოდის ცნობილი სახლების მესვეურთათვის. ამჟამად ოლივეირა (სიმაღლე 181 სმ, 86-60-89) Victoria's Secret-ისა და Dior-ის სახეა. ქორწინებაზე კი, როგორც ჩანს, ის ჯერ არ ფიქრობს.

ვერონიკ ზიდანი – ზინედინ ზიდანის მეუღლე

1993 წლამდე ანუ ზინედინის გაცნობამდე, ესპანური წარმოშობის ფრანგი,



ვერონიკ ფერნანდესი პროფესიონალი მოცეკვავე და ქორეოგრაფიის მასწავლებელი გახლდათ. გარდა ამისა, ცოტაოდენ ფულს მოდელობითაც გამოიმუშავებდა. ზიდათან ქორწინების შემდეგ, მან ყველაფერი მიატოვა და თავი ოჯახს მიუძღვნა. ერთი სიტყვით, დღეს ვერონიკა საცეკვაოდ ვეღარ იცლის. ზიზუსთან ერთად, ის ოთხ შვილს ზრდის: 12 წლის ენცოს, 8 წლის ლუკას, 4 წლის ტეოს და 6 თვის ელიაზს.

ნიკოლ მერი – ტიერი ანრის ცოლი

2003 წლის 5 ივლისს, ტიერი ანრიმ მოდელსა და მსახიობ, ნიკოლ მერიზე იქორწინა. თავისი მომავალი მეუღლე ლამაზმანმა ნიუ-იორკში, სარეკლამო რგოლის გადაღებისას გაიცნო. 25 წლის ნიკოლი მეუღლეს ყველგან თან დაჰყვება და არც ერთ მის მატჩს არ აცდენს. ამასთან, მას ჯერჯერობით არც მანეკენის კარიერა მიუტოვებია. მერი კარგი როლის მიღებაზე ოცნებობს, თუმცა მისი აზრით, ნებისმიერი ქალისთვის მთავარი, ოჯახი და შვილებია. ტიერისა და ნიკოლს ჰყავთ ქალიშვილი თეა, რომელიც 2005 წლის 27 მაისს დაიბადა.

კრისტინ პაზიკი – ანდრეი შევჩენკოს ცოლი

ამერიკელმა მოდელმა, ანდრეი, ჯორჯო არმანის საღამოზე გაიცნო. კრისტინმა სახელი ჟურნალების, Vogue-სა და GO!-ს საშუალებით გაითქვა, რომელთა გარეკანზეც ხშირად ხვდებოდა. გარდა ამისა, პაზიკს რომანი ჰქონდა სილვიო ბერლუსკონის ვაჟიშვილთან. შევჩენკოს ის ერთი წლის განმავლობაში ხვდებოდა. 2004 წლის 14 ივლისს, ვაშინგტონის მუნიციპალიტეტში ფეხბურთელმა და მოდელმა თავიანთი ურთიერთობა ოფიციალურად გააფორმეს. იმავე წელს, ახალდაქორწინებულებს ვაჟიშვილი შეეძინათ, რომელსაც ჯორდანი დაარქვეს. გეტყვით იმასაც, რომ პაზიკი მსახიობობაზე ოცნებობს.

ჰელენ შვედენი – ლუიშ ფიგუს ცოლი

ლუიშ ფიგუს მეუღლემ სახელი გაითქვა ეროტიკული ფოტოებით, რომლებიც, რა თქმა უნდა, მამაკაცთათვის განკუთვნილ ჟურნალებში იბეჭდებოდა. ამჟამად, ელენი მზრუნველი დედაა, რომელიც სამ ქალიშვილს ზრდის — დანიელას, მარტინას და სტელას.

შვედენი 1976 წელს, შვედეთში დაიბადა. ფიგუ მან „ფლამენკოს“ კონცერტზე 1996 წელს გაიცნო, თუმცა, ფეხბურთელი და მოდელი მხოლოდ 5 წლის შემდეგ დაქორწინდნენ. დაოჯახების შემდეგ, ელენმა ცოტა ხნით, სამოდელო საქმიანობაც მიატოვა. დღეს ის კვლავ მონაწილეობს ფოტოსესიებსა და ჩვენებებში, თუმცა, დედიშობილა გამოჩენას ერიდება.

ვერენა კიორტი – ოლივერ კანის მეგობარი

2003 წელს, დიდი სკანდალი აგორდა, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ოლივერ კანს 21 წლის ვერენა კიორტთან ჰქონდა რომანი. იმ პერიოდში, გოლკიპერის კანონიერი მეუღლე, სიმონა 9 თვის ფეხმძიმე იყო. გარდა ამისა, ოლი და სიმონა 4 წლის ქალიშვილს, კატარინა-მარიასაც ზრდიდნენ. მაგრამ ვერც ვაჟიშვილ დევიდის დაბადებამ და ვერც სიმონასთან 18-წლიანმა ნაცნობობამ კანს ოჯახი ვერ შეანარჩუნებინა. ვერენა ფეხბურთელმა მიუნხენის ერთ-ერთ დისკოთეკაზე გაიცნო, სადაც კიორტი ბარმენად მუშაობდა. ამასთან, გერმანელი მეკარე ცოლთან ოფიციალურად ჯერაც არ განქორწინებულა და ამგვარად განაგრძობს კიორტთან ურთიერთობას.

ივანა ნედვედი – პაველ ნედვედის ცოლი

როდესაც ერთმანეთი გაიცნეს, ივანა 13 წლის იყო, ხოლო პაველი — 15-ის. მათი მეგობრობა თანდათან სიყვარულში გადაიზარდა, ხოლო გაცნობიდან 6 წლის შემდეგ, იქორწინეს კიდეც. ნედვედების ოჯახი ტურინის ახლოს მდებარე უზარმაზარ სახლში ცხოვრობს, დასვენებას კი, საკუთარ ვილაში ამჯობინებს, რომელიც დასავლეთ ბოჰემიაში მდებარეობს. ივანა არ მუშაობს, ის საოჯახო საქმეს უძღვება და მეუღლესთან ერთად, ორ შვილს — პაველსა და ივანას ზრდის. სხვათა შორის, 32 წლის ივანას მალე, მესამე შვილი შეეძინება.

ლეონტინ სლაატსი – რუდ ვან ნისტელროის ცოლი

ვან ნისტელროიმ და ლეონტინ სლაატსმა 2004 წლის ივლისში იქორწინეს. მათი რომანი 8 წელი გრძელდებოდა, ერთმანეთი კი, მომავალმა შეყვარებულებმა ჯერ კიდევ ბავშვობაში გაიცნეს. ლეონტინი ძალზე იშვიათად ჩნდება საზოგადოებაში. ამბობენ, რომ ის, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ყურადღების ცენტრში პირველად სწორედ თავისი ქორწილის დროს მოექცა. ამჟამად სლაატსი 26 წლისაა და ოჯახზე ზრუნვითაა დაკავებული, თანაც, მალე დედაც გახდება.

ილარი ბლასი – ფრანჩესკო ტოტის ცოლი

ილარი იტალიაში, 1981 წელსაა დაბადებული. მას ბავშვობიდან იტაცებდა ფოტოგრაფების წინაშე ტრიალი და სტადიონზე სიარული. ერთი სიტყვით, ის მოდელი გახდა, ხოლო 2005 წელს, ტოტიზე იქორწინა, მაგრამ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფაკულტეტის დამთავრებაც მოახერხა. ამგვარად, მას ტელევიზიაში მუშაობის დაწყების შესაძლებლობა მიეცა. შარშან ნოემბერში, ილარის, ვაჟიშვილი შეეძინა, რომელსაც კრისტიანი დაარქვეს. უკვე თებერვალში, ის სამუშაოს დაუბრუნდა და სან-რემოს 2006 წლის მუსიკალურ ფესტივალსაც გაუძღვა. ■

მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან გერმანიამდე

„ღმერთის ხელით" მოგებული მუნდიალი

1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება კოლუმბიაში იგეგმებოდა, მაგრამ ამ სამხრეთამერიკული ქვეყნის ხელისუფლებამ ყველასათვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და ეკონომიკური პრობლემების გამო, უარი განაცხადა. სწორედ ამ დროს, ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი მექსიკამ გამოთქვა. მიუხედავად იმისა, რომ მუნდიალის დაწყებამდე არცთუ ისე ბევრი დრო იყო დარჩენილი, მექსიკას კი სულ ცოტა ხნით ადრე, საშინელი მიწისძვრა ჰქონდა გადატანილი (25 ათასამდე ადამიანი დაიღუპა), ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ამოცანას თავი ჩინებულად გაართვეს.

აღსანიშნავია ის, რომ იმ პერიოდში, ფიფამ სპეციალური კომისიაც კი გამოყო, რომელმაც მექსიკაში განლაგებული სტადიონები საფუძვლიანად გამოიკვლია. მასპინძლებს მცირეოდენი რეკონსტრუქციის ჩატარება მხოლოდ „აცტეკას" ლეგენდარულ სარბიელზე მოუხდათ. სტადიონის ქვედა იარუსსა და მინდორს შორის მანძილი 27 მეტრამდე შემცირდა, რაც იქ დამონტაჟებულ ტრიბუნებზე მსხდომ ქომაგებს ფეხბურთით ტკბობის საშუალებას აძლევდა.

ჩემპიონატის მიმდინარეობისას აცტეკების მიწაზე ნამდვილი ზეიმი სუფევდა. ქალაქის ქუჩები სტუმრებისადმი მისასალმებელი პლაკატებით იყო მოფენილი, ყველაზე ხშირად კი, პიკეს გამოსახულებას შეხვდებოდით: ეს მხიარული ბიჭუნა-წიწაკა, რომელსაც თავზე უზარმაზარი სომბრერო ეხურა, მექსიკელებმა პირველობის თილისმად აირჩიეს და მას დიდი სიყვარულით ეპყრობოდნენ.

როგორც 1982 წელს ესპანეთში, მექსიკაშიც 24 ნაკრები შეიკრიბა. გუნდები 6 ქვეჯგუფად განაწილდნენ, საიდანაც 8 უიღბლოს შინ მოუწევდა გამგზავრება, დანარჩენები კი (ჯგუფების პირველ-მეორე ადგილებზე გასულები და 4 საუკეთესო „მესამეადგილოსანი") თასისთვის ბრძოლას განაგრძობდნენ.

შესარჩევმა რაუნდმა, ფაქტობრივად, სენსაციის გარეშე ჩაიარა. ერთადერთი გამონაკლისი, მაროკოს ნაკრების ასპარეზობა გახლდათ, რომელმაც მეექვსე ჯგუფში ინგლისის, პოლონეთისა და პორტუგალიის გუნდები ჩამოიტოვა.

საწყის შეხვედრებში კარგი გამოხმაურება ჰქონდათ საბჭოთა კავშირის და დანიის ნაკრებთა ასპარეზობასაც. განსაკუთრებით საბჭოელების თამაში უნდა გამოვარჩიოთ, რომლებმაც პირველსავე შეხვედრაში გაიბრწყინეს. სადებიუტო მატჩში ისინი უნგრეთის ძლიერ გუნდს დაუპირისპირდნენ. უნგრელებს მსოფლიო ჩემპიონატის მოსამზადებელ ციკლში თვით ბრაზილია ჰყავდათ განადგურებული (3:0). ამიტომ, მექსიკის პირველობას დიდ იმედებსაც უკავშირებდნენ. მაგრამ საბჭოთა ფეხბურთელებმა მათ შანსი არ დაუტოვეს და 6 უპასუხო გოლი გაუტანეს. ამ დროს, გუნდს უკრაინელი ვალერი ლობანოვსკი წვრთნიდა და რა გასაკვირია, რომ ნაკრებში 12 ფეხბურთელი ჰყავდა მიწვეული იმ კიევის „დინამოდან", რომელმაც 1986 წლის მაისში, თასების მფლობელთა თასის მოგება მოახერხა?!

აუცილებელია აღინიშნოს იმ დაძაბული ატმოსფეროს შესახებ, რომელშიც მეოთხედფინალური მატჩები წარიმართა. მხოლოდ ის რად ღირს, რომ ორ მათგანში (გფრ-მექსიკა და ბელგია-ესპანეთი) გამარჯვებულის გამოსავლენად, თერთმეტმეტრიანების სერიის დანიშვნა გახდა საჭირო. მიუხედავად ამისა, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არგენტინისა და ინგლისის დაპირისპირება აღმოჩნდა, რომელსაც გარდა სპორტულისა, გარკვეული პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა: ბრიტანელებსა და არგენტინელებს შორის, ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულების გამო, საომარი მოქმედებები სულ ახალი დასრულებული გახლდათ, ამდენად ყველა ელოდა, რომ საბრძოლო პოლიგონად უკვე საფეხბურთო მინდორი იქცეოდა. მიუხედავად ამისა, შეხვედრამ, ყველასათვის მოულოდნელად, მშვიდ ატმოსფეროში ჩაიარა. თუმცა კი, ერთი „ბომბი" მაინც აფეთქდა. ეს, მატჩის მეორე ტაიმის დასაწყისში მოხდა, როდესაც არგენტინელმა მარადონამ ინგლისელთა გოლკიპერ პიტერ შილტონთან ჭიდილისას, მეტოქის კარის დალაშქვრა მოახერხა, ოღონდ... ხელით. ინგლისელები შოკში ჩაცვივდნენ. ტრიბუნებზე შეფენილმა ათასობით გულშემატკივარმა და მილიონობით ტელემაყურებელმა დაინახა, რომ გოლი წესების დარღვევით გავიდა. მაგრამ დარღვევა ვერ შეამჩნია იმან, ვისაც ეს ყველაზე მეტად ევალებოდა. ტუნისელმა არბიტრმა ბენ ნასერმა საყოველთაო აღშფოთება არად ჩააგდო და არგენტინელებს ბურთი ჩაუთვალა.

გაგრძელება

იხ. გვ. 72

ბოგვინიეზა

შიო გვეტაძე

ქუთაისის მილიციის მიერ შეიარაღებული ბანდისა და მისი მეთაურის, მათე ჩარგიევის დაპატიმრების შემდეგ, გამომძიებელი ლევან მინდელი შორეულ მაგადანში მიდის და, ბოლოს და ბოლოს, ამ მივლინების შედეგად დაადგენს, რომ მათ, ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტ საშკა ჩერქეზთან აქვთ საქმე. გამოძიება დასასრულს უახლოვდება. სწორედ ამ დროს, საშკა გაქცევას შეეცდება და მძიმედ დაჭრიან. სასწრაფოდ ჩატარებული ოპერაციის მიუხედავად, მისი გადარჩენა ეჭვს იწვევს. საშკა თავადაც ფიქრობს, რომ მალე მოკვდება და გამოიძახებს მინდელს, რათა მას თავისი ცხოვრების შესახებ მოუყვეს.

მისი ყველა უბედურება 1937 წლის 10 იანვარს დაიწყო: ბიჭის დაბადების დღეს, ღამით, მის ოჯახში „ჩეკისტები“ მივიდნენ და დედ-მამას უბრძანეს, რომ მათ გაჰყოლოდნენ...

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-23)

ისევ შუშაბანდში გამოვედით. 1-2 წუთის შემდეგ, დედაც მობრუნდა. ორივეს ჩავაცვი პალტო, შემდეგ, ჩემს საწოლ ოთახში შევვარდი, ელვისუსწრაფესად ჩავიცვი შარვალი და პერანგი, შიშველი ფეხები „ტუფლებში“ ჩავყავი და ისევ შუშაბანდში გავჩნდი. ჩემი მშობლები უკვე მზად იყვნენ. საკიდრიდან პალტო ჩამოვგლიჯე და მხრებზე მოვიგდე.

„შენ საით, ბიჭო?“ — შემეკითხა შავკოსტიუმიანი.

„როგორ თუ საით? მშობლებს გამოვყვები“, — მივუგე, რაც შეიძლება მშვიდად.

„ეგ გამორიცხულია! იქ შენ ვერ წაგიყვანთ!“ — ისეთი ტონით მიპასუხა, რომ მივხვდი, ხვეწნა-მუდარა გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებდა.

„შენ არ წამოხვალ, თამაზ! — მტკიცე ხმით მითხრა მამამ. — ეს საჭირო არ არის და არც შეიძლება! მე მგონი, ჩვენ მალე დავბრუნდებით, ხოლო თუ დაგვიგვიანდეს... — მამას ხმა აუთრთოლდა — ან ვერასოდეს დავბრუნდეთ, მხოლოდ ორ რამეს გავალებ: გახსოვდეს, რომ შენ და ეკა პატიოსანმა მშობლებმა გაგზარდეს, ადამიანებმა, რომლებსაც არაფრით შეუბღალავთ სინდისი, მთელი შეძლებით ემსახურებოდნენ ხალხს და თავიანთი წვლილი შეჰქონდათ საერთო საქმეში. რაც არ უნდა მოხდეს, მტკიცედ იყავით დარწმუნებული, რომ მე და დედას ჩირქი არ მოგვიცხია ჩვენი სახელისათვის და თქვენც — შენ და ეკაც — არასოდეს შერცხვებით ჩვენი წარსულით. ეს ერთი, — მამამ ცოტა შეისვენა და უფრო რბილად განაგრძო: — მეორე — ის, რომ შენ უკვე ვაჟკაცი ხარ, ჭკუა მოგეკითხება, ეკა კი, პატარაა. მოუარე მას. სათუთად მოეპყარი და თუ... ერთი სიტყვით, დარდი შეუმსუბუქე! მშვიდობით, ჩემო ბიჭუნა!“

ამ სიტყვებით მამა მომეხვია, რამდენჯერმე მაკოცა და სწრაფად გავიდა კარში.

„მშვიდობით, შვილო, მშვიდობით, ჩემო საყვარელო, თამაზ! თავს გაუფრთხილდი, გახსოვდეს შენი დედ-მამა და ეკას, ჩვენს ეკას მოუარე!“

„ვაიმე, შვილებო! უბედურო შვილებო!“ — ამოიგმინა დედამ, შემდეგ მომეხვია. დიდხანს ვყავდი გულში ჩაკრული. მე ხმას ვერ ვიღებდი, მოზღვავებულმა ცრემლებმა ლაპარაკის უნარი წამართვა და მიუხედავად იმისა, რომ ვცდილობდი, თავი შემეკავებინა, ისევ ავზლუქუნდი, ვკოცნიდი დედას, ვეალერსებოდი... მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როდესაც ქუჩიდან მანქანის ძრავას ხმაური გავიგონე.

უეცრად მივხვდი — ყველაფერი დამთავდა. ჩემი დღეობა, რომელიც სულ რამდენიმე საათის წინ დამთავრდა, შორეულ, დაუჯერებელ წარსულად იქცა, წინ კი, მხოლოდ სიბნელე და სიცარიელე ჩანდა, სადაც ეკას უზრუნველი, სიყვარულით გამთბარი ბავშვობა დასაღუპავად იყო განწირული...

თვალწინ მედგა სახლიდან ახლახან წაყვანილი დედ-მამა. ვგრძნობდი — ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო.

„ველარ ვნახავ, ვერც ერთს ველარ ვნახავ!“ — ვიყვირე რაღაც არაადამიანური ხმით და იატაკზე დავემხე.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი ამ მდგომარეობაში...

„თამაზ, აქ სად დაწოლილხარ?!. უჰ, რა სასაცილო ხარ! ერთი, დედას ვუთხრა...“ — მომესმა უეცრად და თავი ავწიე. ფანჯრიდან ზამთრის დილა იცქირებოდა, მაგრამ — არა მოლუშული. საამოდ თოვდა. ყველაფერი ისე იყო, როგორც გუშინ, თითქოს ღამეს უბედურებაც არ მოეტანოს. ჩემ წინ ღამის პერანგში კოჭებამდე ჩაფლული ეკა იდგა, ტუჩები დაებუშტა და გაკვირვებით მიცქეროდა.

— შენ რა, თამაზ, გიტირია? ვინ გაგაჯავრა? — ატიტინდა ის. შემდეგ, ჩემ გვერდით, ხალიჩაზე დაეშვა და მოფერება დამიწყო.

— ადექი, თორემ, გავჯავრდები და მეც ვიტირებ! — ჩაიჟღურტულა ბავშვმა და თმაში ხელი ჩამავლო. გული სიბრალულით ამევსო. უეცრად ფეხზე წამოვიჭერი, ეკა ხელში ავიტაცე, გულში ჩავიკარი და გაშმაგებით დავუწყე კოცნა. ეკამ მკლავები კისერზე შემომაჭდო და თვალები განაბა. დიდხანს ვეალერსებოდი ეკას, ვკოცნიდი, ვეფერებოდი, თვალებიდან კი ღაპაღუპით მდიოდა ცრემლები...

ეკამ ხელები გამიშვა, თავი ასწია, შემომხედა: ჩემმა ცრემლებმა შეაკრთო, ფოფინა თვალებში შიში ჩაეღვარა, ჩემი ხელებისგან თავი გაითავისუფლა, ხალიჩაზე ჩამოცურდა. დიდი ადამიანივით შემათვალიერა:

„რა მოგვიდა, თამაზ?“ — მკითხა შეშინებულმა.

„არაფერი, გენაცვალე, არაფერი“.

„გტკივა რამე?“

„ჰო, ჰო, მტკივა, აი, აქ, თავი მტკივა“, — ჩავეჭიდე მის ნათქვამს.

„წამალი უნდა დალიო და მოგირჩება“, — სერიოზულად მითხრა ეკამ, შემდეგ ხელი ჩამავლო.

„აი, წავიდეთ დედიკოსთან, წამალს მოგვცემს“.

უნებურად გავყევი, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ შევჩერდი: სად წავყოლოდი?.. ეკაც შედგა, შემომხედა. დიდი, მეტყველი თვალებით გაკვირვებით მიცქერდა და ჩემი უცნაური საქციელის ახსნას მთხოვდა...

„შენ უკვე ვაჟკაცი ხარ, ჭკუა გეკითხება, ეკა კი პატარაა, მოუარე მას, სათუთად მოეპყარი...“ — ისე გარკვევით შემომესმა მამის დანაბარები, რომ უნებურად, შუშაბანდისკენ გავიხედე — მომეჩვენა, რომ მამა იქ იდგა და სიყვარულით სავსე თვალებით შემომცქეროდა...

ცრემლები შევიმშრალე და ეკას ხელი მოვხვიე.

„წამალი არ მინდა, ეკა, ისედაც გამივლის, — მივუგე ნაძალადევი სიმშვიდით, შემდეგ ხელში ავიყვანე, ალერსიანად დავტუქსე: — არ გრცხვენია, ასეთი დიდი გოგო ხარ და პერანგის ამარა დატანტალებ! დედიკომ და მამიკომ რომ დაინახონ, ხომ გაჯავრდებიან?!“

„მე ახლავე ჩავიცვამ, შენ დედიკოს და მამიკოს ნუ ეტყვი, არ მინდა, გავაჯავრო, კარგი?“ — აჭიკჭიკდა ეკა... პასუხისთვის არ დაუცდია, ისე გაეშურა თავისი ოთახისკენ.

მარტო დავრჩი. ფანჯარასთან მივედი,

გახურებული შუბლი ცივ მინას მივაბჯინე. მესიამოვნა... ქუჩას გავხედე. გაღვიძებული ქალაქი ჩვეულ ცხოვრებას განაგრძობდა. აი, ზარის წკრიალით ჩაიქროლა ტრამვაიმ, მძღოლი ჭაღარა ულვაშებით ვიცანი: თითქმის 10 წლის მანძილზე, ამ ხაზზე მუშაობდა. ჩვენი ეზოს ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ, ჟივილ-ხივილით თოვლის გუნდებს ესროდნენ ერთმანეთს. მეეზოვე ნიკალა, განუყრელი გრძელტარიანი ცოცხით ხელში, ეზოში დაბორიალებდა და „მოგონილი“ სიბრაზით, ბავშვებს უჯავრდებოდა. ჩვენ კარგად ვიცოდით ძია ნიკალას ხასიათი და სულ არ გვეშინოდა მისი... ქუჩაში ხალხი მოძრაობდა, ყველას სადღაც მიეჩქარებოდა, ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული. მათთვის ამ დილას განსაკუთრებული არაფერი მოუტანია, არაფერი შეცვლილა მათ ცხოვრებაში, ხოლო ჩემი ცხოვრება...

„თამაზ, მე უკვე ჩავიცვი, აბა, შემომხედე!“

შევბრუნდი. ჩემ წინ ეკა იდგა. ჩაეცვა, პირი დაებანა, ბავშვური გულმოდგინებით დაევარცხნა სქელი წაბლისფერი თმა და ლამაზი თვალებით მიცქეროდა.

„მოდი, ეკა, რაღაც უნდა გითხრა“, — ხელი მოვკიდე, ტახტზე დავსვი და მეც გვერდით მივუჯექი.

„რა უნდა მითხრა?“

ენა დამება. არ ვიცოდი, საიდან დამეწყო, როგორ გადმომეცა მომხდარი ამბავი. წინასწარ არ მოვმზადებულვარ და ვდუმდი.

— უჰ, რანაირი ხარ დღეს, თამაზ! იატაკზე გძინავს, ტირი... სულ არ მომწონხარ, გებუტები! — სხაპასხუპით წარმოთქვა ეკამ, შემდეგ, ტახტიდან წამოხტა და დაუმატა: — მე დედასთან წავალ, მამიკოც მინდა, რატომ სძინავთ ამდენ ხანს?“

„მოიცა, ეკა! — შევაჩერე. — დედა და მამა სახლში არ არიან, წუხელ ისინი... ისინი მივლინებაში წავიდნენ“.

„მივლინებაში? ორთავე ერთად?! ნუ მატყუებ, დედიკო და მამიკო ერთად არასოდეს დადიან მივლინებაში“.

„არ დადიოდნენ, ახლა კი წავიდნენ. შენი თავი მე ჩამაბარეს, ჩემო გოგონა, ხომ ყველაფერს დამიჯერებ?.. მამიკო ახალ კაბას ჩამოგიტანს, დედა კი, დიდ თოჯინას — აი, ისეთს, ძია ვარდენმა რომ მოგიტანა. ხომ გაგიხარდება?“

„უჰ, რა კარგია! — შემოჰკრა ტაში ეკამ და სიხარულისგან შეხტა. მერე თვალები მომაპყრო და გულუბრყვილოდ მკითხა: — შენ რატომ ტიროდი? დედიკოსა და მამიკოს წასვლა გეწყინა?“

„ჰო, ეკა. მეწყინა, ძალიან მეწყინა მათი წასვლა და ამიტომ ვიტირე“.

„რა სულელი ხარ, ბიჭო, ისინი ხომ მალე ჩამოვლენ, რა გატირებდა?“

„რა თქმა უნდა, ჩამოვლენ, ეკა. მანამდე კი, ჭკვიანად უნდა მოიქცე და ყველაფერი დამიჯერო“.

„დაგიჯერებ. თუმცა ძალიან მეჯავრება, გოგლიმოგლსაც შევჭამ, კაკაოსაც დავლევ, კარგი?“ — შემომცინა ბავშვმა.

საათმა დარეკა.

„ვაიმე, სკოლა!“ — იყვირა უეცრად ეკამ და შიშით შემომხედა.

„დღეს სკოლაში არ წახვალ. ეკა. დედამ ტელეფონით დაურეკა მასწავლებელს და გააფრთხილა, რომ ვერ მიხვალ“.

„რატომ? — გაუკვირდა ეკას. — მერე, ავად რომ არა ვარ?“

„ასეა საჭირო, ძალიან ცივა“.

ეკამ უნდობლად შემომხედა. ეტყობოდა, რომ დამაჯერებლად არ ეჩვენა ჩემი ნათქვამი, მაგრამ კითხვა აღარ მოუცია.

„ეკა, შედი, გენაცვალე, შენს ოთახში, მეც ახლავე მოვალ. შემდეგ ვისაუბროთ“, — ვთხოვე მე.

ეკა უსიტყვოდ გაბაკუნდა.

რაღაც უნდა მომემოქმედა. მხოლოდ ახლა გამახსენდა დეიდა თამარი. გადავწყვიტე, დამერეკა და მეთხოვა, ჩვენთან მოსულიყო.

ტელეფონის ყურმილი ავიღე, ნომრის ასაკრეფად მოვემზადე, ზუმერს ვუცდიდი. აპარატი დუმდა... რამდენიმე წუთის შემდეგ მივხვდი, რომ ხაზი გათიშული იყო... ყურმილი აპარატზე დავდე, უკანასკნელი ენერგია მოვიკრიბე, სამზარეულოში გავედი და საუზმის მზადებას შევუდექი. ეკა ჩემთან ერთად ფუსფუსებდა — მეხმარებოდა, დიასახლისობდა...

ხმის ამოღებლად ვისაუზმეთ, უფრო სწორად — ეკამ ისაუზმა, მე კი არაფერს მივკარებივარ.

„რა გავაკეთო, რა ვიღონო?..“ — ვფიქრობდი და ვიდრე ეკა საუზმობდა, ათასი გადაწყვეტილება მივიღე და უარვყავი. ბოლოს, იმაზე შევჩერდი, რომ ყველაფერი დეიდაჩემისთვის შემეტყობინებინა. მივიღე თუ არა ეს გადაწყვეტილება, სასწრაფოდ ჩავიცვი, ეკას დავუბარე, ჭკვიანად მოქცეულიყო და სახლიდან გავედი.

დეიდაჩემს თავზარი დასცა ჩემი მშობლების დაპატიმრებამ. ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, მერე ისტერიკული ტირილი აუვარდა, დიდხანს ტიროდა. მე ჩუმად ვიჯექი, არ ვტიროდი, ცრემლი უკვე გამშრალი მქონდა...

როცა უბედურებით მოგვრილმა პირველმა შოკმა გაუარა, დეიდამ ტირილი შეწყვიტა და დაწვრილებით გამომკითხა მომხდარი ამბავი. ყველაფერი ვუამბე. შევთანხმდით, ეკასათვის ჯერჯეროობით არაფერი შეგვეტყობინებინა.

„აქ რაღაც გაუგებრობაა. უდანაშაულო ხალხს არავინ დასჯის. გული არ გაიტეხო. არ არის საჭირო, ქვეყანას გავაგებინოთ ყოველივე“, — დამარიგა დეიდამ.

„კი, მაგრამ დედა? მამა?.. არ უნდა გავიგოთ, სად წაიყვანეს, რატომ წაიყვანეს?“ — ვკითხე.

„წადი, მე თვითონ გავიგებ. 4 საათამდე მოვალ, ყველაფერს შეგატყობინებ“, — მიპასუხა და ჩაცმას შეუდგა.

სახლში დავბრუნდი. ეკა და მეზობლის გოგონა თამაშობდნენ.

„თამაზ, — არ მაცალა ეკამ პალტოს გახდა, — აი, თინიკო ამბობს, რომ ჩვენი დედიკო და მამიკო სულაც არ არიან წასულები მივლინებაში“.

„როგორ თუ არ არიან?!“ — ვკითხე, უფრო თინას, ვიდრე ჩემს დაიკოს და კუშტად შევხედე... თინიკო აიბუზა, შემდეგ, გულუბრყვილოდ შემომხედა:

„ჰო, დღეს დილით მამამ თქვა, წაიყვანესო, მანქანით მოვიდნენო და...“

„რა თქმა უნდა, მანქანით წაიყვანეს, სასწრაფო საქმე იყო“, — შევაწყვეტინე სიტყვა ბავშვს და მეორე ოთახში გავედი.

მაშ ასე, მეზობლებმა მანქანის მოსვლა, ჩხრეკა და მშობლების დაპატიმრება შეიტყვეს, მაგრამ შემოსვლა ვერავინ გაბედა, თუმცა ჩვენი ოჯახი უყვარდათ და ჩემს მშობლებს პატივს სცემდნენ.

არ ვიცოდი, რა ბრალს სდებდნენ დედას ან მამას, მაგრამ არც ისე პატარა ვიყავი, ვერ მივმხდარიყავი, რომ მოხდა რაღაც სერიოზული და საშინელი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისეთ ცნობილ

სპეციალისტს, როგორიც მამა იყო, არ დაიჭერდნენ და არც ბინას გაუჩხრეკდნენ შუაღამისას.

მაგრამ რა მოხდა?.. ნუთუ ჩემი მშობლები ბოროტმოქმედები იყვნენ? „მე და დედას ჩირქი არ მოგვიცხია ჩვენი სახელისათვის და თქვენც არასოდეს შეგრცხვებათ ჩვენი“, — გამახსენდა მამის სიტყვები და შემრცხვა, რომ ეჭვი შევიტანე მშობლების უდანაშაულობაში. შემდეგ ბრაზი მომერია — როგორ შეუძლია თინას მამას ან სხვა მეზობელს, დაეჭვდნენ ჩემი მშობლების სისპეტაკეში?! დააპატიმრეს?.. მერე რა მოხდა?! აი, გაარკვევენ ყველაფერს, ორივეს გაათავისუფლებენ და არავის ექნება უფლება, ცუდი თვალით შეხედოს ჩვენს ოჯახს. მშობლები ხომ მუდამ სამშობლოს სიყვარულსა და ხალხის სამსახურს მინერგავდნენ! განა შეიძლება, შვილს ერთი რამ ჩაუნერგო და თავად ამის საწინააღმდეგო აკეთო?!.

ჩემივე მსჯელობამ გული დამიმშვიდა. ოდნავ დავწყნარდი. მდგომარეობა არცთუ ისე საშინელი მეჩვენა. „დედას და მამას მალე გამოუშვებენ, ბევრი-ბევრი, ერთი კვირა გააჩერონ, ეს არაფერია“, — ვფიქრობდი და ბავშვებთან ოთახში გავედი.

ეკა მარტო დამხვდა. ტახტზე მობუზულს, თვალები ცრემლებით ავსებოდა.

„რა მოხდა, ეკა?“

„დეიდა მარომ თინიკო წაიყვანა. გაუჯავრდა — მეორედ არ გნახო ეკასთან შესულიო, — ამოილუღლუღა ეკამ და ცრემლის ყლაპვით დაუმატა: — განა ჩემთან თამაში არ შეიძლება?! ცუდი ბავშვი ვარ?!“

გული მომიკვდა, მაგრამ თავი შევიკავე, ბავშვს დავუყვავე: „აბა, რას ამბობ, ეკა? შენ რა შუაში ხარ? დეიდა მარო ალბათ, თინიკომ გააჯავრა. განა გითხრა, ცუდი ხარო?“

„არა, მაგრამ თინიკოს რად უთხრა, ეკასთან არ გნახოო?“

„ეგ არაფერია. აბა, წამოდი, შენი სათამაშოები ვნახოთ, თოჯინაც წავიყვანოთ“, — შევცვალე საუბრის თემა და საძინებელ ოთახში შევიყვანე. დიდხანს ვთამაშობდით, ეკამ სწრაფად გადაიყარა დარდი და კისკისით აავსო ოთახი...

დღის 5 საათზე დეიდა მოვიდა. ხმის ამოუღებლად ვისადილეთ. შემდეგ, ეკა საძინებელ ოთახში გავიყვანე, დავაწვინე, მე კი სასადილო ოთახში დავბრუნდი. დეიდა დაღვრემილი იჯდა.

უხმოდ ჩამოვჯექი სკამზე. დეიდის გამოხედვა არ მომეწონა, იმის შიშით, რომ ცუდი არაფერი ეთქვა, ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი. ოთახში გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ საათის წიკწიკი არღვევდა.

„ღმერთო ჩემო!“ — ამოიოხრა დეიდამ და ცრემლები გადმოყარა.

„დეიდა თამარ, გაიგე რამე?“ — ვკითხე და ვიგრძენი, როგორ მომებჯინა გული ყელში.

დეიდაჩემი დუმდა, თვალები დაეხარა, ხოლო ღვარად წამოსული ცრემლები წვიმის წვეთებივით ხმაურით ეცემოდა მაგიდაზე.

„დეიდა!“ — შევეხმიანე ხელმეორედ.

მან თავი ასწია, შემომხედა, შემდეგ უეცრად ხელი მომხვია და ჩუმი, საწყალობელი ხმით ატირდა.

ჟრუანტელმა დამიარა. მიუხედავად იმისა, რომ ბინაში საკმაოდ თბილოდა, კანკალი დამაწყებინა. ციებიანივით, კბილს კბილზე ვაცემინებდი. დეიდა კი მეფერებოდა და კვლავ ჩუმად, ისე, რომ ეკას არ გაეგონა, ტიროდა...

რამდენიმე წუთი ასე ვიჯექით. შემდეგ, დეიდის ხელებიდან თავი გავითავისუფლე, წამოვდექი და რამდენჯერმე ოთახში უმიზნოდ გავიარ-გამოვიარე. ახლა ისიც არ მინდოდა, რომ დეიდას ეთქვა რაიმე. ისევ გაურკვევლობა მერჩია, მწარე სინამდვილის მოსმენას. ეჭვი აღარ მეპარებოდა — დეიდაჩემმა ცუდი, ძალზე ცუდი ამბავი მოიტანა.

„თამაზ, — მითხრა მან, — აქ მოდი“.

უხმოდ მივუახლოვდი.

„დაჯექი, შვილო“, — მომმართა მთრთოლვარე ხმით.

სკამზე დავჯექი, უფრო სწორად — დავეცი. დეიდა ისევ დუმდა, არც მე ვიღებდი ხმას.

„შვილო, თამაზ, — ნაღვლიანად დაიწყო დედიამ. — უბედურებას დახვედრა უნდა, შენ ახლა, დიდი ბიჭი ხარ, ყველაფერი...“

„დეიდა, — შევაწყვეტინე სიტყვა, — შესავალი საჭირო არ არის... — პირდაპირ მითხარი ყველაფერი!“

დეიდამ ისევ გადმოყარა ცრემლები.

„უბედური შენი მშობლები დააპატიმრეს... მძიმე ბრალდებას უყენებენ...“ — უფრო ამოიხრიალა, ვიდრე თქვა და ხმამაღლა აქვითინდა.

თავზარი დამეცა. მძიმე ბრალდება!.. ჩემი მშობლები, ჩემი და ეკას დედ-მამა — ბოროტმოქმედნი!.. მაშ, მამაჩემი დანაშაულებრივ ცხოვრებას ეწეოდა და დედასთან ერთად, უსინდისოდ ატყუებდა ხალხს, მთავრობას, ოჯახს?! მაგრამ რისთვის?! „გახსოვდეს, რაც არ უნდა მოხდეს, მტკიცედ იყავი დარწმუნებული, მე და დედას ჩირქი არ მოგვიცხია ჩვენი სახელისათვის“, — ისევ ჩამესმა მამის სიტყვები. მამა თვალწინ დამიდგა: ნათელი შუბლი, მიმზიდველი სახე, მტკიცე გამოხედვა, თავის სიმართლეში დარწმუნებული ადამიანის ნაბიჯით სახლიდან მიმავალი...“

„შვილებო, უბედურო შვილებო!..“ — ტყვიასავით გამიარა გულში, უეცრად დაბერებული დედის გოდებამაც და სკამიდან წამოვიჭერი, ხელები თმაში ჩავივლე. დეიდაჩემმა შიშით შემომხედა, წამოიწია.

„არ მჯერა, ტყუილია! მამას არ შეეძლო, დედა არ იზამდა! ისინი შვილებს არ უმტრობდნენ. თქვენ ყველანი ტყუით, ცილს სწამებთ!“ — ავყვირდი გამწარებული.

„ჩუმად, შვილო, — პირზე ხელი ამაფარა დეიდამ, — არსად წამოგცდეს ეს სიტყვები: რაკი დაიჭირეს, ალბათ, დამნაშავეებიც არიან“.

„დეიდა!..“

„ჩუმად-მეთქი. ტყუილად არ იჭერენ, უსათუოდ რაღაც არის. შენ არ იცი, არც მე, იმათ კი იციან და იმიტომ დაიჭირეს...“

„დეიდა!..“

„ჰო, შვილო, დეიდა ვარ და მომისმინე: თუ უდანაშაულონი არიან, გამოუშვებენ, საქმის გარკვევამდე კი, მოითმინე და ფრთხილად იყავი, დამნაშავის ქომაგი, თვითონაც დამნაშავეა, დიდი დამნაშავე, გესმის?“

„დეიდა, შენ... არ იცი, რა თქვა მამამ, რა მითხრა წასვლის წინ. შენ არ იცნობ ჩემს მშობლებს! ისინი სისაძაგლეს არასოდეს — გესმის? — არასოდეს ჩაიდენდნენ!“

„დაწყნარდი, თამაზ, მე ხომ ჩემს მოსაზრებას არ გეუბნები, ეს თვითონ იმ ორგანოში მითხრეს, რომელმაც დააპატიმრა, ამ საკითხზე პროკურორსაც ველაპარაკე“.

„არა-მეთქი, ტყუილია! აი, ნახავ, ისინი შეცდნენ, უთუოდ შეცდნენ!“ — ჯიუტად გავიმეორე და დეიდაჩემს სიძულვილით შევხედე.

„ღმერთმა ქნას, შვილო! ნეტავ, ასეც მოხდეს. მაშინ ბედნიერი ქალი ვიქნები. მაგრამ ჯერ ეს ასეა და ახლა ყვირილი კი არა, ჭკუა გმართებს, წინ უნდა გაიხედო, შენ ჯერ კიდევ არ იცი ყველაფერი“.

„მეტი რაღა უნდა ვიცოდე?“

„მომისმინე, თამაზ. შენს დედ-მამას ასეულათასობით მანეთის გაფლანგვას აბრალებენ. ბრალდება 7 აგვისტოს კანონით არის დაკვალიფიცირებული. ეს საშინელი დანაშაულია და მის ჩამდენს არ ებოდიშებიან, დამნაშავის მთელი ქონება კონფისკაციას ექვემდებარება... საჭიროა, ძვირფასი ნივთების გადამალვა. ცხოვრება ხომ გინდათ“.

„ნივთები გადავმალო? რისთვის?!“

„როგორ თუ რისთვის, აკი გითხარი, ყველაფერს წაიღებენ-მეთქი“.

„თუ მამაჩემი გამფლანგველია, დედაჩემიც, — ნივთებს რა თავში ვიხლი? რას ამბობ, დეიდა?!“ — აღვშფოთდი მე.

„შენ ჯერ ისევ ბავშვი ხარ, თამაზ, დამიჯერე!“

„არასოდეს! მამა და დედა დაბრუნდებიან! დაე, ყველაფერი ჩამოგვართვან, მე ქურდი არ გავხდები, მშობლების ნივთებს არ მოვიპარავ! არც დედა, არც მამა ამ საქციელს არ მომიწონებენ“.

„დამიჯერე, თამაზ!..“

„არა-მეთქი! ტყუილად ნუ მირჩევ!..“

ოთახში ცოფიანივით დავრბოდი. ახლა ყველაზე მეტად დეიდაჩემი მეჯავრებოდა, მძულდა, დანახვაც არ მინდოდა მისი... ძლივს ვიკავებდი თავს, რომ სახლიდან არ გამეგდო. ისიც მიხვდა ალბათ, ჩემს განწყობილებას, უხმოდ წამოდგა.

„დამშვიდდი, თამაზ. მე ახლა წავალ, დილით ადრე შემოვივლი, მანამდე კი — იფიქრე. ხვალ შეიძლება, გვიანაც იყოს...“ — ჩუმად დასძინა მან და კარისკენ გაემართა. პასუხი არ გამიცია. დეიდამ უხმაუროდ გაიხურა კარი.

დიდხანს დავდიოდი ოთახში. გონება არ მემორჩილებოდა: „შენი მშობლები სა-

შიში დამნაშავენი აღმოჩნდნენ“... დეიდის სიტყვები ტვინს მიბურღავდა, საშინლად შემძულდა დეიდა თამარი. „როგორ გაბედა ამის დაჯერება, როგორ გაბედა!“ — ვასკდებოდი ჩემს გულს და ოთახში ადგილს ვერ ვპოულობდი. სული შემეხუთა, ფანჯარა გამოვაღე, ბინაში ზამთრის სუსხიანი ჰაერი შემოიჭრა. უკვე კარგა ხნის დაღამებული იყო, მაგრამ სიბნელე არ შემიმჩნევია, ან კი როგორ შევამჩნევდი, როდესაც ჩემს სულში ჯერ გათენებამდე დაესადგურებინა უსასრულო ღამეს?!. — პატიმარმა წამით შეისვენა, გაჭირვებით მოიწმინდა შუბლიდან ოფლი და წყალი ითხოვა. მინდელმა გაფითრებულ ტუჩებთან ჭიქა მიუტანა. დაჭრილმა მოსვა, მადლიერებით შეხედა გამომძიებელს და განაგრძო: — ...დიდხანს ვიდექი ფანჯარასთან და უაზროდ გავყურებდი ზამთრის ღამეს. არაფერზე აღარ ვფიქრობდი, ფიქრის უნარი წამერთვა. „თამაზ!“ — მომესმა ხმა. გამოვერკვიე, ფანჯარას მოვშორდი. მაგიდასთან ეკა იდგა და გაკვირვებული მიყურებდა. ბინაში ბნელოდა. ჩამრთველის ღილაკს დავაჭირე ხელი, ოთახი თვალისმომჭრელმა შუქმა გაანათა. ეკასთან მივედი, ხელში ავიყვანე და უსიტყვოდ დავსვი ტახტზე.

„გშია, ეკა?“ — შევეკითხე მხოლოდ იმისათვის, რომ რამე მეთქვა, სიჩუმე დამერღვია.

— „არა, მეშინია, თამაზ!“ — მომიგო ეკამ და ატირდა.

— აბა, რისი გეშინია? არ გრცხვენია?!“ — მოვეფერე ბავშვს.

„არ ვიცი, მეშინია...“ — ამოილუღლუღა მან და გულში ჩამეკრა. მე დიდხანს უხმოდ ვეალერსებოდი. ეკას ჩაეძინა. კედლის საათმა 12-ჯერ დარეკა, შემდეგ ისევ სიჩუმემ დაისადგურა. ჩემს მკერდში ჩაკრული ეკა მშვიდად ფშვინავდა.

უეცრად, ზარის წკრიალმა გამომაფხიზლა, ჩვენი ბინის კარზე რეკავდნენ. „დეიდა თამარია“, — გავიფიქრე და ადგომა დამეზარა, არ მინდოდა მისი დანახვა. ზარის ხმა ისევ გაისმა — ხანგრძლივად, დაჟინებით... ავდექი, ეკა ფრთხილად მივაწვინე ტახტზე, ხალათი გადავაფარე. შემდეგ, შუშაბანდში გავედი და კარი გავაღე.

ოთახში ჩემთვის უცნობი პირები შემოვიდნენ.

„რა გნებავთ?“ — შევეკითხე შემოსულთ და უეცრად ვიცანი: ისევ ისინი იყვნენ — ისინი, ვინც ჩემი მშობლები წაიყვანა.

შემოსულებმა უხმოდ გაიარეს შუშაბანდი და მისაღებ ოთახში შევიდნენ. მეც უკან გავყევი. სამნი იყვნენ.

უხმოდ მიუსხდნენ მაგიდას. მეც ხმას არ ვიღებდი.

შავკოსტიუმიანმა ჯიბიდან ქაღალდი ამოიღო, გამომიწოდა.

„წაიკითხეთ“, — მითხრა მოკლედ.

ქაღალდი ჩამოვართვი, მექანიკურად წავიკითხე.

დეიდაჩემი მართალი აღმოჩნდა: მე და ეკას ბინიდან გვასახლებდნენ...

გული ყელში მომებჯინა, მერე სიბრაზე დავიოკე და უხმოდ დავუბრუნე ქაღალდი შავკოსტიუმიანს.

„მოემზადეთ, რამდენიმე წუთში უნდა წავიდეთ!“ — მკაცრად მომმართა მეორემ.

მივაჩერდი. სწორედ ის იყო, წინაღამეს ჩახუტებულ დედას რომ მომაგლიჯა და მეორე ოთახში გაყვანით მემუქრებოდა.

„სად უნდა წავიდეთ? თუ ბინიდან მასახლებთ, მე მარტო შემიძლია წასვლა“, — მივუგე ნაძალადევი სიმშვიდით და სკამიდან წამოვდექი.

„ბიჭიკო, — მომმართა შავკოსტიუმიანმა, — მართალია, ბინიდან გასახლებთ, მაგრამ ქუჩაში როდი გაგდებთ: თქვენთვის უკვე გამონახულია სხვა ბინა და იქ უნდა მიგიყვანოთ. ნივთების ნაწილსაც წაიღებთ, ასეთია განკარგულება“.

პასუხი არ გამიცია. ეკასთან მივედი, გავაღვიძე.

„რა იყო, თამაზ?“ — მკითხა ბავშვმა და ტახტზე წამოჯდა.

„უნდა წავიდეთ, ეკა“, — მივუგე მშვიდად.

„საად?“ — გაკვირვებით იკითხა ეკამ და მხოლოდ ახლა შეამჩნია ოთახში მყოფი უცნობები.

„სტუმრები მოვიდნენ?“ — დავუმატე ჩუმად.

„ჰო... არა... სტუმრები კი არა, ისე... შენ ვერ გაიგებ, ეკა, შემდეგ აგიხსნი“, — დავუმატე დაბნეულმა და ტანსაცმელი მივაწოდე.

ეკამ გაკვირვებით შემომხედა და ჩაცმას შეუდგა...

ახალ ბინაში მანქანით მიგვიყვანეს. შავკოსტიუმიანი ცოტა ხნით შეყოვნდა.

„არ იდარდო, თამაზ, ყველაფერი გაირკვევა და მშობლები დაბრუნდებიან... მანამდე კი... ისწავლე, დაიკოს მოუარე, ყოველთვის ისე მოიქეცი, როგორც მამამ დაგიბარა. მე სხვა დროს შემოვივლი“, — დამარიგა მან და წავიდნენ.

ეკა გაოცებული მიყურებდა და თუმცა ვერ მიმხვდარიყო, თუ რა მოხდა, კითხვის მოცემას ვერ მიბედავდა. ოთახის კუთხეში დაგებულ ფარდაგზე მჯდარს, მაგრად ჩაებღუჯა თავისი საყვარელი თოჯინა და შეშინებული თვალებით მიყურებდა. დიდხანს ვდუმდი.

...მაშ ასე, ყველაფერი დამთავრდა, მე და ეკა მარტონი დავრჩით და ჩვენი ცხოვრების გზა მე უნდა გამეკვლია.

„რა იქნება ხვალ, ზეგ?.. ერთი თვის შემდეგ?..“ — ვფიქრობდი მე, მაგრამ ვერას გზით ვერ წარმომედგინა, თუ რა იქნებოდა მომავალში. ერთი რამ ცხადი იყო: ჩემი მშობლები მოკლე ხანში ოჯახს ვერ დაუბრუნდებოდნენ, არ გაათავისუფლებდნენ — ეს გადაწყვეტილი იყო, თორემ, ბინიდან ასე სწრაფად არ გამოგვასახლებდნენ. მაგრამ ნუთუ, მამა და დედა მართლაც, ბოროტმოქმედები იყვნენ?!

„ტყუილია, შეცდომაა!“ — ვიმხნევებდი თავს...

„ბოროტმოქმედნი არიან! შენც და ეკაც ბოროტმოქმედთა შვილები ხართ!“ — ჩამძახოდა ვიღაცა და ახლაღა შევამჩნიე, რომ წუხელს აქეთ, ეს ვიღაც, ჩემს გულში უკითხავად ჩასახლებული, მთელი ძალით მებრძოდა და მარწმუნებდა, რომ ჩემი მშობლები შეცდომით არ იყვნენ დაპატიმრებულნი.

„ტყუი, საზიზღარო, ცილს სწამებ ჩემს მშობლებს!“ — შევუტიე იმ სხვას...

„შენ თვითონ იცი, რომ არ ვტყუი! შენ მოგატყუეს შენმა მშობლებმა, ჩვენთან უდანაშაულოებს არ აპატიმრებენ!“ — მიპასუხა ორეულმა...

თმაში ხელი ჩავივლე, გიჟივით დავიწყე ოთახში სირბილი, მაგრამ ორეული „ფეხდაფეხ დამდევდა“, მოსვენებას არ მაძლევდა და დაჟინებით მარწმუნებდა, რომ ჩემი მშობლები დამნაშავენი იყვნენ.

...როგორც იქნა, გათენდა. ეკა ოთახში დავტოვე და ქუჩაში გამოვედი. მიმოვიხედე: სადღაც ავლაბარში ვიყავი, მაგრამ რომელ ქუჩაზე — ვერ გავარკვიე.

სწრაფად შევბრუნდი ოთახში, ფარდაგზე მოკუნტული ეკა გავაღვიძე, ჩავაცვი. გადავწყვიტე, დეიდა თამართან წავსულიყავით, თუმცა, ვინმეს რომ ეკითხა, რა მინდოდა, რისთვის მივდიოდი? —

ვერ ვუპასუხებდი.

დეიდა სახლში დამხვდა, გულთბილად მიგვიღო, მოგვეფერა, გაგვამხნევა.

„რა ვუყოთ, შვილო, მარტო თქვენს თავს როდია ასეთი ამბავი. მოვითმინოთ, თუ რაიმე შეცდომაა, გაირკვევა, უდანაშაულოდ ხომ არ დასჯიან?!. დავიცადოთ, დრო ყველაფერს გვიჩვენებს“.

პასუხი არ გამიცია. უძილოდ გატარებულმა ღამემ და იდუმალ ორეულთან ბრძოლამ მომქანცა, მშობლების უდანაშაულობის რწმენა შემირყია და თითქმის დამარწმუნა, რომ მათ რაღაც საშინელი ჰქონდათ ჩადენილი.

პირველ ხანებში, სკოლაში თანაგრძნობით მექცეოდნენ. ძია ვარდენიც კვირაში ერთხელ მაინც შემოივლიდა დეიდასთან, ჩვენს სანახავად. გვესაუბრებოდა, გვამხნევებდა და რწმენას გამოთქვამდა, რომ ჩემი მშობლების დაპატიმრება — გაუგებრობა იყო მხოლოდ და ყველაფერი მალე ძველ კალაპოტში ჩადგებოდა.

ჩემი დედ-მამის საქმეს ასე, 36-დან 38 წლამდე ასაკის გამომძიებელი იძიებდა. ერთხელ, ძია ვარდენმა მეც წამიყვანა გამომძიებელთან. მე მაშინვე ვიცანი შავკოსტიუმიანი „ჩეკისტი“. მან ძალზე თავაზიანად მიგვიღო, შეგვპირდა, რომ ყველაფერს მალე გაარკვევდა. ამასთან, ცდილობდა, დავერწმუნებინეთ, რომ უდანაშაულო ადამიანი არ დაისჯებოდა...

ამის შემდეგ, ხშირად დავდიოდი გამომძიებელთან და მუდამ გახარებული ვბრუნდებოდი სახლში. თანდათან შემისუსტდა მტანჯველი ეჭვი და ჩამენერგა რწმენა, რომ მშობლები გაუგებრობის გამო იყვნენ დაპატიმრებული.

ამით გამხნევებული, არაფრად ვაგდებდი ბინიდან გამოსახლებას და ჩემდამი ორიოდე მასწავლებლისა და მოსწავლის ცივ დამოკიდებულებას. „ზოგი ჭირი მარგებელია, — ვეუბნებოდი დეიდას, — ის მაინც გავიგე, ვის უყვარდა ჩვენი ოჯახი გულწრფელად და ვინ კიდევ, მამაჩემის სახელის გამო გვეტმასნებოდა“.

ასე გავიდა ერთი თვე.

ერთ დღეს, სკოლაში მისული, ჩვეულებრივად მივესალმე ამხანაგებს, მაგრამ სალამზე არავინ მიპასუხა, ხოლო გაიოზმა, რომელიც თავისი ეგოიზმითა და ბოროტი ხასიათით გამოირჩეოდა, ზიზღით გადმომხედა, მერხზე გაზეთი დამიდო და ღვარძლიანად მესროლა: „აჰა, წაიკითხე!“

ამხანაგების ასეთმა ქცევამ იმდენად გამაკვირვა, რომ არც კი ვცდილვარ, შევპასუხებოდი გაიოზს, მექანიკურად გამოვართვი გაზეთი და უაზროდ გადავათვალიერე პირველი გვერდი.

„მესამე, მესამე გვერდი წაიკითხე! იქ ნახავ შენთვის საინტერესო წერილს!..“ — ბოროტად ჩაიქირქილა გაიოზმა.

უხმოდ გავშალე გაზეთი, მესამე გვერდს დავხედე. საკმაოდ ვრცელი წერილის სათაური მსხვილი შრიფტით იყო აწყობილი და მაშინვე ვიგრძენი, თუ როგორ ჩამწყდა მკერდში რაღაც, თვალთ დამიბნელდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ვუკვლევ ყველა ნაფიცლების ჩადენის მიზეზი მოგონება იყო

„აბა, ხე და შეშა ხომ არ ვარ?..“

მთავარია, კომფორტი იყოს და ადამიანი ყველგან იცხოვრებს

გასული კვირის „ლაივ შოუს“ „აუტსაიდერი“ გუგა ბესელია აღმოჩნდა, რომელმაც ხმების 67 პროცენტით პროექტი დატოვა. ახლა, „ჯეობარში“ მხოლოდ ორი ბიჭი დარჩა და ვნახოთ — როგორ განვითარდება მოვლენები. მანამდე კი, ინტერვიუს ჩასაწერად გუგას შევხვდით, რომელიც დანიშნულ ადგილას, სასიამოვნო გარეგნობის გოგონასთან ერთად, ხელჩაკიდებული მოვიდა. რა თქმა უნდა, იმ გოგონას ვინაობით დავინტერესდი, მაგრამ გუგამ მკაცრად მიპასუხა: ამ საკითხზე კომენტარს არ გავაკეთებო. მიუხედავად ამისა, ძნელი მისახვედრი არ იყო, თუ რას წარმოადგენდა ის გოგონა „ჯეობარელისთვის“...

ნათია ქივიძე

— 1984 წლის 24 ივლისს დავიბადე, ზოდიაქოთი ლომი ვარ. დავამთავრე სიეი-სის ბიზნესადმინისტრირების ფაკულტეტი და პროფესიით მენეჯერი გახლავართ. თუ „ჯეობარში“ ბარ-მენეჯერის თანაშემწეობას არ ჩავთვლით, ჩემი პროფესიით ჯერ არ მიმუშავია. მიმაჩნია, რომ რასაც ბარში ვაკეთებდი, ურიგოდ არ გამომდიოდა და დღემდე ვერ ვხვდები — რატომ გადამაყენეს იმ თანამდებობიდან. ამის რეალური მიზეზი არ არსებობდა, ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს პროვოკაცია იყო, რომელზეც ზოგ-ზოგიერთებს სურდათ — წამოვგებულიყავი, მაგრამ არ გამოუვიდათ.

— რატომ გადაწყვიტე „ჯეობარში“ მონაწილეობა?

— პირველ რიგში იმიტომ, რომ საკუთარ თავს გამოცდა ჩავუტარე — მაინტერესებდა, იმ გარემოში თავს როგორ ვიგრძნობდი და ხალხი როგორ აღმიქვამდა.

— ეს გამოცდა ჩააბარე?

— პრინციპში, ჩავაბარე, რადგან იქიდან რომ გამოვედი, ხალხის დიდი სიყვარული ვიგრძენი, თუმცა, რაღაცების გაკეთება უკეთესადაც შეიძლებოდა...

— მაგალითად ისე, რომ პროექტიდან არ გამოვარდნილიყავი?

— მართალი ხარ... რა თქმა უნდა, 35.000-ც ძალიან მჭირდებოდა, რათა ჩემი ოცნება ამეხდინა და გამეხსნა კლუბი, სადაც ხალხს ექნებოდა საშუალება, რომ ნამდვილი ფეხბურთი დიდ ეკრანზე ეხილა. ეს იდეა პროექტში — „იდეა, ფული და ერთი შანსი“ — მივიტანე, მაგრამ რატომღაც, ამით არ დაინტერესდნენ. ვიფიქრე, ბარემ აქ ვარ-მეთქი და ჩემი ანკეტა „ჯეობარ 2“-ში შევიტანე.

— „ჯეობარში“ ცხოვრება იოლი იყო?

— მთავარია, კომფორტი იყოს და ადამიანი ყველგან იცხოვრებს. „ჯეობარში“ კი, კომფორტი ნამდვილად არ გვაკლდა.

— გარედან ისე ჩანდა, რომ საკუთარ თავში ჩაკეტილი იყავი...

— ჩაკეტილი კი არ ვიყავი, მოთამაშეებთან შეგნებულად ვიცავდი დისტანციას. ვცდილობდი, არავის დავმეგობრებოდი, რადგან ეს ისეთი თამაშია, რომ ადრე თუ გვიან, ყველა ყველას გაწირავს. მეგობრის გაწირვა კი, ჩემს ხასიათში არ ზის... პროექტის დამთავრების შემდეგ, რაზეა ლაპარაკი, ყველასთან ვიმეგობრებ.

— პირველ „ჯეობარს“ თუ უყურებდი?

— ვერ ვუყურებდი, რადგან მაშინ ერთ-ერთ ბარში ვმუშაობდი და ამის დრო არ მქონდა.

— შენი აზრით, „ჯეობარ 2“-ში, რა იყო კარგი და რა ცუდი?

— გარედან ყველაფერი უფრო ადვილად შესაფასებელია. ხომ გაგიგონია: „სხვა სხვისა ომსა ბრძენიაო.“ შიგნით, ყველაფერი სხვაგვარად იყო — ყველაფრისგან თავის შეკავება გვჭირდებოდა, ყველანი „პრესში“ ვიყავით. მგონი, ცუდად არ მითამაშია. ერთადერთხელ იყო შემთხვევა, როცა ნატასთან მომივიდა შელაპარაკება. დანარჩენ შემთხვევაში, სიმშვიდეს ვინარჩუნებდი.

— მართალი ხარ. სხვებისგან განსხვავებით, შენ ნაკლებად კონფლიქტური იყავი...

— ადამიანმა, რომელიც შენთვის არაფერს წარმოადგენს, რომელიც ისეთივე კონკურენტია შენთვის, როგორიც შენ ხარ მისთვის — არ უნდა გაგაღიზიანოს. თუ მისი აზრი გაგაღიზიანებს, ე.ი. შენ იმას აამაღლებ. ასეთი პრინციპით ვუდგებოდი

ამ საკითხს. თან, „ორი ყურის პრინციპი“ მქონდა — ერთში შემდიოდა, მეორიდან გამომდიოდა. მათ რომ ავყოლოდი, ნერვებს დავიგლეჯდი და ვერანაირ სიამოვნებას ვერ მივიღებდი.

— ნატალის თავიდან მოსწონდი, მერე კი, ჩემი აზრით, შენ მიმართ აგრესიული გახდა. რატომ?

— გავიგე, რომ ნატალის მოვწონდი, მაგრამ მის მიმართ, არანაირი გრძნობა არ მქონია. ალბათ, ამ ფაქტმა გააღიზიანა და ამიტომ გახდა აგრესიული. „ღორმა ღორს უთხრა, დინგიანი ხარო“ — ისე გამოუვიდა. თვითონ უსაქმურად იყო და მე მეუბნებოდა: რას დამდგარხარო. ბარში რაც სასმელი იყო, თითქმის ყველაფერს ვასხამდი, უსაქმურად ნამდვილად არ ვყოფილვარ. თვითონ კი, წამოგორებული მავალდებულებდა: საფერფლეები გაწმინდეო.

— მიუხედავად ამ ყველაფრისა, ნატალისთან მეგობრობას თუ განაგრძობ?

— არანაირ მეგობრობას არ განვაგრძობ. რაც „ჯეობარიდან“ გამოვედი, არ მინახავს და არც მაქვს სურვილი, რომ ვნახო.

— როცა რომელიმე გოგონას მოსწონხარ, ყოველთვის ასეთი აგრესიული ხდები მის მიმართ?

— რა სისულელეა. როცა ადამიანი შენ მიმართ სიმპათიას გამოხატავს, ბუნებრივია, მის მიმართ შენც დადებითი ემოცია გიჩნდება, მაგრამ აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ეს სიმპათია, ნატალის აგრესიაში გადაეზარდა და მეც „დამგრუზა“ — ხე და შეშა ხომ არ ვარ, რომ სიმპათიის გამო გავგიჟდე.

— ბარში არავის მიმართ არ გაგჩენია სიმპათია?

— იქ ისეთი სიტუაცია იყო, რომ ჩვენ, ყველა ერთმანეთის კონკურენტები ვიყავით. ამის გამო, მათ სხვა თვალით ვერ შევხედავდი. ბარში ორი ძალიან მაგარი ადამიანი — შოკა და ტატა დავტოვე. შოკა ძალიან ღრმა და საინტერესო პიროვნებაა, ტატა კი, როგორიც ჩანს, საერთოდ არ თამაშობს და ეს დასაფასებელია.

— შენ რა იცი? იქნებ, ძალიან კარგად თამაშობს?

— არა, ადამიანებში ძალიან კარგად ვერკვევი... ჩელესთან, თაზოსთან და ნიკუშასთანაც აუცილებლად განვაგრძობ მეგობრობას, თუ რა თქმა უნდა, ამას თვითონაც მოისურვებენ.

— ბარში დაბრუნება რომ შეგოგთავაზონ, რას იზამ?

— სიამოვნებით დავბრუნდები. ჯერ ერთი, ფულის მოგების კიდევ ერთი შანსი გამიჩნდება და მეორეც, იქ ცხოვრება კიდევ მინდა.

— შენი აზრით, ვინ გახდება პროექტის გამარჯვებული?

— მინდა, რომ ფინალში შოკა და ტატა გავიდნენ და ვინ გაიმარჯვებს, მერე გადაწყდება...

■

„ჯეობარის“ ყველაზე რეიტინგული მოთამაშის მესაიდუმლე

„ოცა პაემანზე მივდიოდი, ჩელე თვითონ მიიჩევდა ტანსაცმელს“

„ჯეობარის“ ყველაზე პოპულარული და რეიტინგული მოთამაშე, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი დათო გელაძე, **იგივე ჩელე გახლავთ. სიმართლე რომ გითხრათ, მეც მისი გულშემატკივარი ვარ. რამდენიმე წლის წინ, დათოს მშობლები გარდაეცვალა და მხოლოდ ერთადერთი და —** თეა გელაძე **ჰყავს, რომელსაც ინტერვიუს ჩასაწერად შინ, „ცხიმკომბინატის“ საერთო საცხოვრებელში ვეწვიეთ, სადაც გარს დათოს მეზობლები შემომეხვივნენ და მითხრეს — ჩელე მხიარული ადამიანია. ყოველ დილით მისი ხმა გვაღვიძებდა, ვითომ, ხან ბოთლებს იბარებდა და ხანაც მაწონს ყიდდა. უბანს მისი არყოფნა დაეტყო, ძალიან გვენატრებაო...**

ნათია ქივიძე

— როგორც ვიცი, ცხინვალიდან ლტოლვილები ხართ...

— მართალია. როცა ცხინვალში ომი დაიწყო, დათუჩა 4 წლის, მე კი — 12-ის ვიყავი. ჩვენ, 2 წლის განმავლობაში, გურიაში, ბებიასთან და ბაბუასთან ვცხოვრობდით, დედა და მამა კი, თბილისში იყვნენ. მერე, ძალიან მოგვენატრა ერთმანეთი და მშობლებმა ჩვენც აქ წამოგვიყვანეს. თავდაპირველად, რამდენიმე თვე, სასტუმრო „აფხაზეთში“ ვცხოვრობდით. მერე კი, „ცხიმკომბინატის“ საერთო საცხოვრებელში გადმოგვიყვანეს და უკვე 15 წელია, აქ ვართ. 4 წლის წინ, დედა გარდაიცვალა, 1 წლის შემდეგ კი, მამაც მივაბარეთ მიწას.



— დათოზე 8 წლით დიდი ხარ. ალბათ, მის აღზრდაში მონაწილეობას შენც იღებდი, არა?

— როცა დათო დაიბადა, მოვითხოვე — გვერდზე დამიწვინეთ-მეთქი და იმის შემდეგ, სულ ჩემ გვერდით იყო, რადგან დედა მუშაობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი, სულ ჩემი გასაზრდელი გახდა. ის მართლა არაჩვეულებრივი ადამიანია. მჯერა, რომ ცუდ საქციელს არასდროს ჩაიდენს — რომ გაიგოს, ასე ვაქებ, ძალიან გაუკვირდება.

— რატომ? ხშირად კამათობთ ხოლმე?

— რადგან უფროსი ვარ, ამას ჩემს სასიკეთოდ ვიყენებ და ხშირად ვაძლევ შენიშვნებს, მაგრამ ახლა უკვე გაიზარდა და ვეღარ ვერევი — კაცობს. ამ დროს კი, ჯერ ისევ გასაზრდელია, დიდი ბავშვია.

— ვინ გადაწყვიტა, რომ დათოს თეატრალურ ინსტიტუტში უნდა ესწავლა?

— დათო ყოველთვის მხიარული იყო და ბევრი ადამიანის პაროდიას აკეთებდა, კარგადაც ცეკვავდა. ამიტომ კოლეჯს რომ ამთავრებდა, ვუთხარი: იქნებ თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება სცადო-მეთქი, მაგრამ შევატყვე, რომ ჩემი რჩევით დიდად არ აღტაცებულა. მამიდაშვილი გვყავს მსახიობი და მანაც სთხოვა — მხოლოდ ერთ გასაუბრებაზე მიდი და თუ არ მოგეწონება, ვინ დაგაძალებს, უკან წამოდიო. გასაუბრებიდან აღფრთოვანებული დაბრუნდა და გამოგვიცხადა — ჩაბარება უნდა ვცადოო. დათო წიგნებში ასე „ჩამჯდარი“ არასოდეს მინახავს, ორ თვეში გამოცდებისთვის მოემზადა. სიმართლე გითხრათ, იმედი არ მქონდა, რომ ჩააბარებდა, მაგრამ ალბათ ძალზე იღბლიანია — პირველსავე ცდაზე ჩაირიცხა.

— „ჯეობარში“ მონაწილეობა რატომ გადაწყვიტა?

— რეკლამები რომ გადიოდა, ვთხოვე — მოსინჯე და

საბუთები შეიტანე-მეთქი. მითხრა: ინსტიტუტიდან არ გამიშვებენ, თან გამოცდების პერიოდი ემთხვევაო. როგორც ვიცი, კურსელმა გოგონამ, საბუთების მიღების ბოლო დღეს, ძალით მიიყვანა „რუსთავი 2“-ში. იმწუთას არ ემჩნეოდა, რომ თამაშის დიდი სურვილი ჰქონდა, მაგრამ როცა დაურეკეს და უთხრეს — „ჯეოობარში“ არჩეული ხარო, აქ იცი, რა ამბავი იყო?.. დათოს პროექტში მონაწილეობა რომ მიეღო, პირველ რიგში, იმიტომ მინდოდა — იქნებ, ვინმე გამოჩნდეს, რომელიც მის ნიჭს დაინახავს და შოუდან გამოსვლის შემდეგ, სამსახურს შესთავაზებს-მეთქი. რა თქმა უნდა, თანხის მოგების სურვილიც გვაქვს. ვის არ უნდა 35.000? თამაშის დასაწყისში რაღაც მოშვებული იყო, მაგრამ ახლა აზარტში შევიდა და როგორც თვითონ ამბობს — ერთი სული აქვს, ჯიბე გამოუწიონ და ის ფული ჩაუდონ.

— რაში უნდა გამოიყენოს მოგებული ფული?

— ჩვენი ყველაზე დიდი სურვილია — სახლი ვიყიდოთ, რადგან უკვე 15 წელია, რაც ასე ვცხოვრობთ. ვინც ჩვენს სიტუაციაშია, მარტო ის თუ გაიგებს, რა საშინელებაა აქ ცხოვრება.

— ამ 15 წლის განმავლობაში, დათოს „ცხიმკომბინატი“ ისე შეჰყვარებია, რომ როცა „ჯეოობარში“ ბენდი ჩამოაყალიბა, ეს სახელი დაარქვა...

— *(იცინის)*. ამ სახელს რომ არქმევდა ბენდს, ალბათ ფიქრობდა, რომ ამით აქაურ მეგობრებსა და მეზობლებს ასიამოვნებდა, თორემ...

— გამოცდების პრობლემაც მოაგვარა და ლექსით, რომელიც დედას ეძღვნება, დიდი მოწონებაც დაიმსახურა.

— მართალია. ეს ლექსი, დათოს ხმამაღლა არასოდეს წაუკითხავს. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, მშობლებზე არ ვილაპარაკოთ, რადგან მერე, თავს ცუდად ვგრძნობთ. სახლს რომ ვალაგებდი, ეს ლექსი მის რვეულში ვიპოვე და მაშინვე გადავიწერე, როცა შინ მარტო ვიყავი, მას მაშინ ვკითხულობდი ხოლმე. დათუნამ თუ ის გამოცდისთვის მოამზადა, ნამდვილად არ ვიცოდი...

— შენი აზრით, რამდენად ბუნებრივად იქცევა დათო „ჯეოობარში“?

— დათოს ვინც იცნობს, ყველა ხვდება, რომ ეს თამაში არ არის. რა გიჟიც არის, ის გიჟი დარჩა — როცა ნასვამია ან ძალიან მოიწყენს, ან ძალიან მხიარული ხდება. როგორც მე მექცეოდა სახლში და მამწარებდა, ისე ექცევა შოკას და მიხარია, რომ მაგ წამებისგან დავისვენე *(იცინის)*. ერთადერთი დღე მაქვს — შაბათი, როცა დილით გვიანობამდე ძილის საშუალება მაქვს (დანარჩენ დღეებში ვმუშაობ და ძალიან ადრე ვდგები), მაგრამ გამოძინებას ვინ გაცლიდა?..

— როცა გავრცელდა ხმა, რომ შოკას და დათუჩას ერთმანეთი მოსწონდათ, შენ ამაზე რა აზრის იყავი?

— მე დათოს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ ეს ყველაფერი უბრალოდ თამაში იყო. გამორიცხულია, რომ ერთ თვეში, დათოს ტვინი გადაუბრუნდეს და ვინმე შეიყვაროს.

— რას იტყვი „კუდრაჭაზე“, რომელიც დათოს მოენატრა და ბარში მიუყვანეს?

— ალბათ, ერთმანეთი მოსწონთ, მაგრამ ვერ ვიტყვი, დათო შეყვარებულია-მეთქი, რადგან როცა ასეა, სიყვარულზე ყოველთვის ხმამაღლა ლაპარაკობს.

— ეი. ერთმანეთის მესაიდუმლეები ხართ. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ დათოს იმდენად მოენატრე, ცარიელი ტელეფონის ყურმილით გესაუბრებოდა.

— ამ ფაქტმა ჩემზე იმდენად იმოქმედა, რომ მთელი ღამე გავათენე, საერთოდ არ მიძინია. როცა მე მესაუბრებოდა, მივხვდი, რომ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაიხსნა. როცა თქვა: თეო, მომენატრეო, მივხვდი, რომ მასში რაღაც განსაკუთრებული ხდებოდა, მაგრამ... მაშინ ძალიან შემეცოდა და საშინლად მომინდა, რომ სახლში ყოფილიყო. მგონი, სითბო და მოფერება მოენატრა და ამის გამო, გული დამწყდა.

— ხშირად ეფერები ხოლმე?

— ის უფრო მეფერება. ძირითადად, სულ ვკამათობთ ან ერთმანეთს ვეხუმრებით. როცა რაღაც რჩევას ვაძლევ, ყოველთვის მეწინააღმდეგება, უნდა, რომ თავისი გაიტანოს, მაგრამ საბოლოოდ, ჩემს რჩევას მაინც ითვალისწინებს. რაც შეეხება საიდუმლოებს, ყოველთვის იცის — ვინ მომწონს, რას ვაკეთებ და ა.შ. როცა პაემანზე მივდივარ, ტანსაცმელს ის მირჩევს ხოლმე. როცა ის მიდის ვიღაცასთან შესახვედრად, სარკეს ვერ ვაშორებ. დათო უფრო ხშირად იხედება სარკეში, ვიდრე — მე.

— ოდესმე თუ ყოფილა სერიოზულად შეყვარებული?

— შეყვარებული ნამდვილად იყო, მაგრამ ახლა ერთმანეთს დაშორდნენ. როცა ის გოგონა უყვარდა, ხშირად ლაპარაკობდა მასზე. ახლა კი, როცა ამ თემაზე აღარ საუბრობს, ვიცი, რომ შეყვარებული აღარ არის.

— ყველა ფიქრობს, რომ ჩელე აუცილებლად „ჯეოობარის“ გამარჯვებული გახდება...

— ამ საკითხზე საერთოდ არ ვფიქრობ. თუმცა, მიმაჩნია, რომ დათოს ყველაზე დიდი კონკურენტი ნიკუშაა, რომელიც მარტო ჩემს ძმას კი არა, მეც ძალიან მიყვარს. თუ დათო არ გახდება გამარჯვებული, მაშინ ნიკუშას ვუგულშემატკივრებ.

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

„ზღვარად“ ქცეული „მირაჟი“ და „გრძნობადი სინათლე“

ჯგუფი „ზღვარი“ 1999 წელს შეიქმნა და როგორც მისი წევრები ამბობენ, ისინი ხელოვნების თავისებური აღქმით გამოირჩევიან. „ზღვარი“ ორ ნაწილად იყოფა — პოეტური ჯგუფი და როკჯგუფი. ორივეგან ერთი და იგივე ადამიანები არიან გაერთიანებული: კახა ბაციკაძე, გიორგი ზუხბაია, სერგი და ვასო ლომაძეები, რომლებსაც როკჯგუფში კიდევ ორი წევრი — ლუკა ამირანაშვილი და გიორგი მიჩიტაშვილი ემატებათ. მათ 2006 წელს, რიგით მე-6 წიგნი — „გრძნობათა სინათლე“ გამოსცეს. „ზღვარს“ ასევე, გამოცემული აქვს 4 ალბომი. ამჟამად, ისინი ახალ პროექტზე — როკოპერაზე მუშაობენ, რაზეც ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, სერგი ლომაძე გვესაუბრა.

სოფო ჭონიმვილი

— თავიდან, ჩვენს ჯგუფს „მირაჟი“ ერქვა. 4 წევრისგან შედგებოდა, მაგრამ მაშინ, ეს სახელი ძალიან ბევრ ჯგუფს ერქვა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთაც. ამიტომ, საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ ჯგუფისთვის სახელი შეგვეცვალა. „მირაჟი“ დასაწყისში პოეტური ჯგუფი იყო, რომელიც შემდგომ მუსიკით და განხვავებული ფილოსოფიური ხედვითაც დავტვირთეთ.

— რას ნიშნავს „ზღვარი“, როგორი ახსნა აქვს ამ სახელწოდებას?

— „ზღვარი“ ჯგუფის ერთ-ერთი წევრის, გიორგი ზუხბაიას დაწერილი ფილოსოფიური მოთხრობაა. სწორედ, ამ მოთხრობის გამო დავარქვით ჯგუფს ეს სახელი. რაც შეეხება ჩვენს მუსიკალურ მიმართულებას — „რაიმროკს“ („რაიმ“ — ინგლისურად, ლექსს ნიშნავს), ის საკმაოდ რთული მიმდინარეობაა. იყო დრო, როცა გვინდოდა, რომ პოპულარულები ვყოფილიყავით, მაგრამ დღეს, ამაზე აღარ ვფიქრობთ. მთავარია, შენი საქმე კარგად, ხარისხიანად აკეთო. და მოვა დრო, როცა შეგამჩნევენ, სათანადოდ დაგაფასებენ. 2003-2004 წლებში, ჯგუფი „ზღვარი“, როკფესტივალზე, საუკეთესო როკჯგუფად აღიარეს.

პროდიუსერი არასოდეს გვყოლია, დახმარება არც არავისთვის გვითხოვია. ჩვენს საქმეს წყნარად ვაკეთებთ. თუმცა გვინდოდა, მსოფლიო კულტურის ნაწილად ვქცეულიყავით...

— პროდიუსერი თუ გყავთ?

— პროდიუსერი არასოდეს გვყოლია, დახმარება არც არავისთვის გვითხოვია. ჩვენს საქმეს წყნარად ვაკეთებთ. თუმცა გვინდოდა, მსოფლიო კულტურის ნაწილად ვქცეულიყავით... სხვათა შორის, გერმანიაში ვიყავით ჩასულები და ყოველგვარი ამბიციის გარეშე ვიტყვი, რომ იქ, ჩვენი ჯგუფი ძალიან მოეწონათ. რამდენიმე საგაზეთო სტატიაც მოგვიძღვნეს.

— ტექსტებს ვინ გიწერთ?

— ტექსტსაც და მუსიკასაც, ჯგუფის წევრები ერთობლივად ვწერთ.

— ამჟამად, რას საქმიანობთ? ახალი კლიპის გადაღებას ხომ არ აპირებთ?

— ჯერჯერობით არა. 3 წელია, რაც როკოპერაზე ვმუშაობთ, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დასრულებული.

— რას ნიშნავს როკოპერა?

— ეს არის ოპერა — როკის ელემენტებით, რომელსაც შექსპირის პიესის („ჰამლეტი“) მიხედვით, ჩვენი ერთ-ერთი წევრი, კახა ბაციკაძე ქმნის. თუ პროექტი ისე დასრულდა, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ის საუკუნის პროექტი გახდება.

— როდის დასრულდება თქვენი „საუკუნის პროექტი“?

— ზუსტად არ ვიცით. რადგან თვითონ მუშაობის პროცესია ძალიან რთული.

— მოდი, ახლა ჯგუფ „ზღვრის“ ახალ წიგნზე — „გრძნობადი სინათლე“ ვილაპარაკოთ...

— ჩვენი ყოველი წიგნი უდიდესი შრომის შედეგადაა შექმნილი. ამ კონკრეტულ წიგნში, 7 ადამიანის შემოქმედებაა შესული. „გრძნობადი სინათლე“ წიგნს მე დავარქვი. სათაურის განმარტება დაახლოებით ასეთია — ჭეშმარიტი ხელოვნება, გრძნობადი სინათლეა, რომელიც შესაძლოა, მზერით ვერც აღიქვა, ის აუცილებლად უნდა იგრძნო. გრძნობაა ის, რაც მიგიყვანს ხელოვნების შეცნობამდე.

— თქვენთან საუბრის შემდეგ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ რაღაცით უკმაყოფილო ხართ?

— უკმაყოფილო არა ვარ. საქართველო ნიჭიერი ადამიანების ქვეყანაა და უბრალოდ, გული მწყდება, რომ ისინი ერთმანეთის მიმართ შურით არიან აღვსილნი და ერთმანეთს მტრობენ.

— დაბოლოს, თქვენი პოეზია მაინც რითი გამოირჩევა?

— ჯგუფ „ზღვრის“ პოეზიას, არცთუ იშვიათად, ავანგარდულს უწოდებენ, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ გემოვნება მაინც „ძველმოდური“ შემოგვრჩა. ქართული პოეზიის გენიოსებად რუსთაველს, ბარათაშვილს, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს და გრანელს მივიჩნევთ. ჩვენს მიმდევრებს ვურჩევდი, რომ უპირველეს ყოვლისა, ქართული კლასიკა ღრმად შეისწავლონ.

■

ზუზუ სუნამოს ექსპერტი გახდა

პარფიუმერიულ მაღაზიათა ქსელი „ვულე-ვუს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, ზუზუს (ნინო ნოდია) გასულ კვირას დიდი გაწამაწია ჰქონდა. მას ქალებისთვის განკუთნილი „არმანის“ ახალი სუნამოს პრეზენტაცია უნდა მოეწყო. რესტორან „ქალაქურში“ დიზაინერმა ინა ბახტაძემ სტუმრების შესახვედრად დარბაზი ორიგინალურად და რომანტიკულად გააფორმა: არყის პატარა ჭიქებში „არმანის“ სუნამოს არომატის მქონე სანთლები განალაგა, რომლებიც ლამაზად ლიცლიცებდნენ, უკრავდა ვიოლინო, ფორტეპიანო. დარბაზი ნელ-ნელა ივსებოდა სტუმრებით, საგანგებოდ მოწვეული მოცეკვავე წყვილი „ვალსს“ ცეკვავდა. ცნობილი სახეებიდან იქ შეამჩნევდით: ბასა ფოცხიშვილს, დათო გომართელს, ნატო მეტონიძეს, რომლებიც ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს პრეზენტაციაზე განვითარებულ მოვლენებს: სტუმრებს შამპანურით, ა-ლა-ფურშეტითა და ტორტით გაუმასპინძლდნენ.

ზუზუ: „სუნამო ჩემთვის მნიშვნელოვანი ატრიბუტია. თუმცა, მოდური სუნამოს სურნელება არ არის განმსაზღვრელი ადამიანის გემოვნების. ამასთან, ნებისმიერ ადამიანს თავისებურად ერწყმის სუნამოს სურნელი და სწორედ ეს განაპირობებს მისი იდუმალი კოდის საიდუმლოსაც“. ■

„სტერვა“ ხატია, „მარტივი“ შოუ და ინტელექტის საზომი

„I სტერეოს“ „სტერვა“ ხატიას კიდევ ერთ გადაცემაზე მოუწევს მუშაობა. მას „მარტივი“ დაერქმევა. სტუდიაში წამყვანს ეწვევიან სტუმრები, რომლებსაც ხატიას დასმულ მარტივ შეკითხვებზე მოუწევთ პასუხის გაცემა.

ხატია: შოუს „მარტივი“ ჰქვია და მარტივ კითხვებზე იქნება აგებული, რაც თითქმის ყველამ იცის. მაგალითად, ვინ დაწერა „დიდოსტატის მარჯვენა“, რა ერქვა შორენას შველს და ა.შ. ყველაფერი სისხარტეზე იქნება დამოკიდებული. სწრაფად უნდა უპასუხონ შეკითხვებს. გადაცემაში ინტელექტუალური კითხვის დასმის საშუალება ექნება მაყურებელს როგორც პირდაპირ ეთერში სატელეფონო ზარით, ისე SMS-ის საშუალებით“. ■

ჯაბა ბოჯგუა პროდიუსეროობასაც ითავსებს

ახალბედა მომღერალს, ანა გარდაბაძეს, შემოქმედებითმა ჯგუფმა სიმღერაზე — „მოვა დრო“, კლიპი გადაუღო. კლიპის რეჟისორები არიან — კობა ბრეგვაძე და კოსტა ჯორბენაძე, ოპერატორი — ნიკა წეველიძე. სიმღერა ცნობილი რუსული სიმღერის ქართული ვერსიაა, რომელზეც ახალი ტექსტი ნანა ცინცაძემ მიუსადაგა. როგორც გაირკვა, ამ ახალგაზრდა მომღერლის პროდიუსერი ჯაბა ბოჯგუაა. კლიპის პრეზენტაცია კლუბ „პარიზის ვარსკვლავში“ გაიმართა. სტუმართა შორის იყვნენ: ეთერ კაკულია, ანრი ჯოხაძე, გიგა კვენეტაძე... ■

„მის საქართველო 2006“-ის ძებნა უკვე დაიწყო

სამოდელო სააგენტო „იმიჯ-ცენტრი“ სილამაზის კონკურსს — „მის საქართველო“ ტურიზმის დეპარტამენტისა და ბათუმის მერიის მხარდაჭერით ატარებს. ამ პროექტის მიზანია, საქართველოში „მის საქართველო 2006“-ის გამოვლენა და ამასთან ერთად, აჭარაში ტურიზმის განვითარება. ორგანიზატორების მიერ განსაზღვრული წესებისა და პირობების თანახმად, შესარჩევი ტურები საქართველოს რაიონებში მოეწყობა. კონკურსში მონაწილეობის საშუალება ექნებათ 17-დან 25 წლამდე ასაკის გოგონებს. შესარჩევი ტური თბილისში გაიმართება და 30 ნახევარფინალისტს გამოავლენენ.

კონკურსისთვის მოსამზადებელ ეტაპს ფინალისტები ბათუმში გაივლიან. ღონისძიების ფინალური შოუ და გალა-კონცერტი 15 ივლისს, ბათუმის თეატრში გაიმართება, სადაც ჟიური გამოავლენს „მის საქართველო 2006“-ს და ასევე ნომინაციებში გამარჯვებულებს. „მის საქართველო 2006“-ს გადაეცემა

„მის საქართველო 2006“-ის საჩუქარი

მთავარი პრიზი — „ჰიუნდაი გეტსი“, ხოლო ნომინაციებში გამარჯვებულები სპონსორებისგან სხვადასხვა საჩუქრით დაჯილდოვდებიან.

2003 წლიდან „იმიჯ-ცენტრი“ საქართველოში ოფიციალურად ისეთი კონკურსების წარმომადგენელია, როგორებიცაა: „მის მსოფლიო“, „მის სამყარო“ და „მის ტურიზმ ინტერნეიშენალი“. „მის საქართველო 2006“-ის ტიტულის მფლობელი გაემგზავრება პოლონეთში, ქალაქ ვარშავაში, „მის მსოფლიო 2006“-ზე.

ამ კონკურსებისწინა სამზადისი უკვე დაწყებულია, რასაც პირადად ხელმძღვანელობს „იმიჯ-ცენტრის“ შეფი ია კიწმარიშვილი, რომელიც ამ კონკურსისთვის სპეციალურად ნიუ-იორკიდან ჩამოვიდა. შეგახსენებთ წინა წლების გამარჯვებულებს: პირველი „მის საქართველო“ (2003წ.) ირინა ონაშვილი, მეორე „მის საქართველო“ (2004წ) სალომე ჩიკვილაძე, მესამე „მის საქართველო“ (2005წ.) სალომე ხელაშვილი. ვნახოთ, ვინ იქნება შემდეგი... ■

ბრიტანული წარმოშობის მსახიობმა, შარლოტა რემპლინგმა რეჟისორ დომინიკ მოლის ფილმში — „ლემინგი“ — პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი გმირი განასახიერა. მანამდე, კინოვარსკვლავმა მთავარი როლები ითამაშა: ლუკინო ვისკონტის სურათში — „ღმერთების დაღუპვა“, ლილიან კავანის ფილმში — „ღამის პორტიე“, სიდნეი ლიუმეტის, ნაგიში ოშიმას, პატრის შეროს, ფრანსუა ოზონის სურათებში. ახალ როლთან დაკავშირებით, ერთ-ერთ უცხოურ ჟურნალში რემპლინგის სახელდახელო ინტერვიუ გამოქვეყნდა.

ჰოლივუდის უარმყოფელი შარლოტა რემპლინგი და „ძირითადი ინსტინქტი-2“

— ფრანსუა ოზონის ფილმებში — „ქვიშის ქვეშ“, „აუზი“, ამუამად „ლემინგშიც“, ექსტრემალურ სიტუაციებში მყოფ უცნაურ გმირებს განასახიერებთ. ეს ექსპერიმენტები მართლა მოგწონთ თუ შერყეული ფსიქიკის არაორდინარული ქალის ამპლუას მძევლად იქეცით?

— უმთავრესი, რაც მაინტერესებს, — ეს, რთული პერსონაჟია. დიდი შინაგანი ძალის მქონე ხასიათები მომწონს. ამა თუ იმ გმირის თამაშის დროს, ჩემს ფარულ შესაძლებლობებს ვიყენებ და ვცდილობ, ეს შესაძლებლობები გმირის განსახიერებისას გამოვავლინო.

— თუ გქონიათ შემთხვევა, როცა სცენარის წაკითხვის შემდეგ მიმხვდარხართ, რომ ამ როლს ვერ გაუმკლავდებოდით?

— არა, ასეთი რამ არასდროს მომხდარა. მუშაობის დროს მთავარია, რეჟისორის ჩანაფიქრი რეალობად გადავაქციო. როლზე უარის თქმა შემიძლია, თუ მასალა არ მომწონს და პერსონაჟთან დაკავშირებით, რეჟისორთან ვერ შევთანხმდები.

— ფრანგული კინემატოგრაფი ჰოლივუდთან გაჯიბრებას ცდილობს. მრავალი კომერციული ფილმი გამოჩნდა. „ინდუსტრიის“ ფილმებში შეგნებულად არ თამაშობთ თუ რეჟისორები

„ძირითადი ინსტინქტი-2“

თავად არ გიხმობენ? ვინ ვის იწუნებს?..

— მე ის გზა ავირჩიე, რომელმაც ჩემი დღევანდელი მდგომარეობა მომიტანა. ევროპიდან და ამერიკიდან მრავალ შეთავაზებას ვიღებ, მაგრამ მხოლოდ ჰონორარისთვის მუშაობა არ მაინტერესებს. იმ ფილმებს ვირჩევ, რომლებიც ჩემს შინაგან სამყაროს რაიმეს შემატებს. „ლემინგი“ სწორედ ასეთი სურათია. არცთუ ისე ურიგო, თან, წარმატებული ფილმები — ოღონდ, ისეთი, რომლებიც გონებას საკვებს არ აწვდის, — არ მაინტერესებს. როლებს ძალზე ფრთხილად ვირჩევ.

— ჩემი აზრით, ნერვიული დაძაბულობის ზღვარზე მყოფი ქალის განსახიერება მსახიობს სულიერად ფიტავს. პერსონაჟთა განცდებს თქვენს შინაგან სამყაროში რამდენად უშვებთ? თუ ნამდვილი ცხოვრება მხოლოდ კინოკამერის გამორთვის შემდეგ იწყება?

„ღამის პორტიე“

— ყველაფერი სამსახიობო ტექნიკაზეა დამოკიდებული. რა თქმა უნდა, მსახიობმა ის ხერხები უნდა გამონახოს, რომლებიც მას საშუალებას მისცემს, რომ როლმა მისი პიროვნება არ შთანთქას. მსახიობმა მთელი მისი არსება ფილმს უნდა მიუძღვნას, მაგრამ როდესაც კამერა ითიშება, მაშინვე, ჩვეულ მდგომარეობას ვუბრუნდები — ვხუმრობ, ვიცინი... როდესაც უფრო ახალგაზრდა ვიყავი, ვფიქრობდი, რომ მუდმივად პერსონაჟის გრძნობებით უნდა მეცხოვრა; ახლა კი გადართვა ვისწავლე, რადგან სულ როლში ყოფნა ძალზე ძნელია.

— თქვენ გმირები „ლემინგში“, ფილმში — „სამხრეთისაკენ“ — მაყურებელში სიბრალულის გრძნობას აღძრავს. ისეთი „იდეალური“ ქალის თამაში არ გინდათ, რომელიც სიბრალულის ნაცვლად, შურის გრძნობას გამოიწვევდა?

— არ ვიცი, მე ხომ საავტორო, დამოუკიდებელ კინოში ვთამაშობ. ასეთ კინოში „იდეალური“ ქალები და საერთოდ, არაფერი იდეალური არ არსებობს. მომწონს რეალური პერსონაჟის თამაში, იმის გადმოცემა, თუ რას გრძნობს ქალი იმის გამო, რაც მის ცხოვრებაში ნამდვილად ხდება. მართალია, ამის შესახებ ლაპარაკი იმ ფილმშიც შეიძლება, რომელსაც ბედნიერი დასასრული აქვს, მაგრამ ამის სპეციალისტები ამერიკელები არიან.

„ლემინგი“

— შეგიძლიათ, ჰოლივუდის კომერციულ სურათში საკუთარი თავის წარმოდგენა?

— სწორედ ამის გაკეთებას ვაპირებ, მაგრამ ჰოლივუდში კი არა, ფრანგულ კომედიაში, რომლის სცენარი სპეციალურად ჩემთვის დაიწერა. ამ ფილმში მთავარ როლს ჟან როშფორი ითამაშებს. იმედი მაქვს, რომ ყველაფერი შესანიშნავად გამოგვივა. მართალია, დაბეჯითებით არც კი ვიცით, გადაღებები დაიწყება თუ არა, მაგრამ თუ შეიტყობთ, რომ ეკრანებზე კომედია გამოვიდა, სადაც მთავარ როლს მე ვთამაშობ, გირჩევთ, აუცილებლად ნახოთ.

— ჰოლივუდს უარყოფთ, მაგრამ სურათში — „ძირითადი ინსტინქტი-2“ ითამაშეთ. რატომ?

— უბრალოდ, მაინტერესებდა. ამ როლისთვის ძალების დაძაბვა არ დამჭირვებია.

— თქვენთვის რომელია იდეალური როლი?

— იდეალი — არაერთგვაროვანი ცნებაა. იდეალი, სწორედ ისაა, რაზეც ჩემი გმირი ელენი („სამხრეთისკენ“ — ასაკოვანი ქალი ახალგაზრდა საყვარელთან შესახვედრად კურორტზე მიემგზავრება) ოცნებობს. მას ყველაფრის გაკონტროლება სურს, რაც კი ქვეყანაზე ხდება, მაგრამ სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. ყოველთვის შეიძლება გამოხტეს რაღაც, რაც ყველაფერს გაანადგურებს.

— წელს, ბერლინის კინოფესტივალის ჟიურის ხელმძღვანელობდით, რომელიც მსოფლიოში ყველაზე სოციალური ფესტივალის რეპუტაციით სარგებლობს. ბერლინის კინოფესტივალზე, როგორც წესი, ის ფილმები ჩააქვთ, რომელშიც პოლიტიკური პრობლემები და საზოგადოების მანკიერი მხარეებია ასახული. ამგვარი კინო რამდენად გიტაცებთ? რამდენად მნიშვნელოვანია დღეს სოციალური კინემატოგრაფი? შეუძლია კი ფილმებს საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრა?

— დაწმუნებული ვარ, რომ შეუძლია. მე პოლიტიკური და სოციალური კინოს უდიდესი თაყვანისმცემელი ვარ. ამგვარი ფილმები დაგროვილი პრობლემების სიღრმისეულ წვდომაში გვეხმარება. ასეთმა კინომ შესაძლოა, საზოგადოება არ შეცვალოს, მაგრამ შექმნილ სიტუაციაზე კი თვალს აგვიხელს. ფსიქოლოგები ირწმუნებიან, რომ პრობლემაზე ხმამაღლა ლაპარაკის დაწყება, პრობლემის გადაჭრისკენ მიმავალი ნახევარი გზის გავლას უდრის... ■

უმა თურმანი მაკშოიმაში დამრუნემაზე ოცნემობს

ერთ-ერთ სატელევიზიო შოუში უმა თურმანმა განაცხადა: „ძალიან მინდა, ერთი დღით მაინც უკან, ბავშვობაში დავბრუნდე. მკრეხელობა იქნებოდა, ჩემი ამჟამინდელი ცხოვრების გამო დამეჩივლა, მაგრამ ბავშვური უზრუნველობისა და მხიარულების ენით გამოუთქმელი შეგრძნება ძლიერ მაკლია. ვაღიარებ, რომ ჩემი შვილების მშურს“. ბედნიერი ბავშვობის გახსენებაში მსახიობს სწორედ შვილები ეხმარებიან. ცოტა ხნის წინ, უმა 4 წლის როანთან ერთად, ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში სეირნობდა. საბავშვო მოედანზე ატრაქციონის დანახვისას დედა-შვილმა მოედანს მიაშურა. უმამ შვილთან ერთად სიამოვნებით ისრიალა. სხვათა შორის, პატარა როანი სახელგანთქმული დედის კვალს მიჰყვება. მარტის თვიდან მოყოლებული, ბავშვი ბროდვეის თეატრ „იმპერიალთან“ არსებულ სტუდიაში სწავლობს. უმა ამბობს, რომ სწავლის დაწყება როანმა თავად მოისურვა და თეატრიც კი თვითონ შეარჩია. ვინ იცი, იქნებ, ათიოდე წლის შემდეგ, უმცროსმა თურმანმა სახელოვან დედას აჯობოს კიდეც?! ■

ნიკოლ კიდმანი მეოთე ქორწინემის ზღურმლზე

ჰოლივუდის ვარსკვლავის, ნიკოლ კიდმანის რჩეული, 38 წლის ქანთრიმუსიკოსი კეიტ ურბანია. მათი რომანი გასული წლის ზაფხულში დაიწყო და მას შემდეგ პრესა ხან ნიშნობის, ხანაც წყვილის დაშორების შესახებ არაერთხელ იუწყებოდა. და აი, ახლახან საქველმოქმედო საღამოზე ურბანთან ერთად მისულმა ნიკოლმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა: „კეიტი ჩემი საქმროა. ოფიციალურ ღონისძიებებზე მეგობრებთან ერთად არ დავდივარ“, — განაცხადა მსახიობმა, მაგრამ ქორწილის ზუსტი თარიღის შესახებ, მაინც არაფერი უთქვამს. მოარული ხმების თანახმად, ქორწილი ივნისში ან ივლისში შედგება. ეს ქორწინება ნიკოლ კიდმანისთვის ოჯახური ბედნიერების მოპოვების მეორე მცდელობა იქნება. ■

პრინცესა დაიანას დაღუპვის ახალი ფაქტები

პრინცესა დაიანას დაღუპვის საქმე ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. პერიოდულად, მისი ტრაგიკული აღსასრულის ახალ-ახალი დეტალები ხმაურდება. ლონდონის პოლიციის ყოფილმა უფროსმა, სერ ჯონ სტივენსმა განაცხადა, რომ ახალ მოწმეებს მიაგნო, რომელთა ჩვენების საფუძველზე ავტოკატასტროფის შესახებ ახალ ცნობებს ფლობს. შემდგომი კომენტარებისგან სტივენსმა თავი შეიკავა. სკოტლანდ-იარდის წარმომადგენელმა ახალი ცნობების შესახებ ინფორმაციის არსებობა დაადასტურა; ის ირწმუნება, რომ მოწმეებმა ჩვენება უკვე მისცეს და გამოძიება კვლავ გრძელდება.

მკითხველს შევახსენებთ, რომ პრინცესა დაიანა და მისი სატრფო — დოდი ალ-ფაიედი 1997 წლის 31 აგვისტოს პარიზში მომხდარ ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ. ერთ-ერთი ვერსიით, ავარია უბედური შემთხვევა არ ყოფილა და ის, ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა მოაწყვეს, რადგან პრინცესა დაიანასა და დოდი ალ-ფაიედის რომანი სამეფო გვარის უკმაყოფილებას იწვევდა. ჯერჯერობით კი, ოფიციალური ვერსია ასეთია: ავტომანქანის მძღოლი მთვრალი იყო. მან სიჩქარეს გადააჭარბა. ამასთან, „მერსედესს“ მოტოციკლეტებზე ამხედრებული პაპარაცები მისდევდნენ, რასაც ავარიის პროვოცირება შეეძლო. ■

შარლიზ ტერონი მართლაც თხოვდება!

ჰოლივუდის ვარსკვლავის შარლიზ ტერონის თაყვანისმცემელნი მისი ბედნიერებით ისევ ხარობენ. ბოიფრენდ სტიუარტ ტაუნსენდთან მრავალგზის დაშორებისა და ხანგრძლივი ფიქრის შემდგომ, მსახიობმა ბოლოს და ბოლოს, გათხოვება გადაწყვიტა.

როდესაც რამდენიმე თვის წინ „ოსკარების“ გადაცემის ცერემონიაზე შარლიზი მარტო გამოცხადდა, ჭორიკანებმა გადაწყვიტეს, რომ შეყვარებულები ერთმანეთს საბოლოოდ დაშორდნენ. ჟურნალისტების შეკითხვებით გატანჯულმა ტერონის პრესმდივანმა ეს ინფორმაცია უარყო. „დასკვნების გამოტანას ნუ იჩქარებთ. დღეს იჩხუბეს — ხვალ ისევ შერიგდებიან“, — განაცხადა მან.

მართლაც, ამის შემდეგ ორიოდ თვეში შარლიზი და სტიუარტი წვეულებაზე კვლავ ერთად ნახეს. ხელიხელჩაკიდებული შეყვარებულები მტრედებივით ღუღუნებდნენ. მსახიობს თითზე ბეჭედი უელავდა, რომელიც ძალზე საეჭვოდ წააგავდა საქორწინო ბეჭედს. ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთები ვარაუდობენ, რომ წყვილმა მაღალი საზოგადოების ქრონიკის რეპორტიორები ეშმაკურად გააცურა და საიდუმლოდ დაინიშნა. თავად შარლიზი კომენტარებისგან თავს იკავებს, მაგრამ მისი ბედნიერი ღიმილი მრავლისმეტყველია. ტაბლოიდების ჟურნალისტებმა გონება დაძაბეს და შარლიზის ოდესღაც ნათქვამი სიტყვები გაიხსენეს იმის შესახებ, რომ მან ქორწინებისადმი დამოკიდებულება სწორედ სტიუარტის წყალობით შეიცვალა: „დიდი ხნის განმავლობაში მეგონა, რომ ამ ნაბიჯს (გათხოვება) არასოდეს გადავდგამდი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ საქორწინო ცერემონია, ყველა ცერემონიებს შორის, უმშვენიერესია!“ — ამბობს შარლიზ ტერონი. ■

MS12 Corsa

Opel Corsa 1.300.000 დოლარად — ძვირია თუ იაფი?.. სპეციალისტების აზრით, თუ მას Maserati-ს „ჩანგალი“ ახლავს, ეს სავსებით ნორმალური ფასია, მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ ახალი MC12 Corsa კონკურენციას ისეთ „მონსტრს“ გაუწევს, როგორიცაა Ferrari Enzo.

Corsa-ს ვერსია, Ferrari Enzo-ს „ბიძაშვილის“ — MC12 GTI-ს ბაზაზე შეიქმნა. ეს არა უბრალოდ ექსკლუზიური, არამედ საცალო პროდუქტია: მას სულ 12 ცალად გამოუშვებენ. 755 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ავტომობილის ჩვეულებრივ ტრასებზე გამოყვანაც შეუძლებელი იქნება — ის მხოლოდ სარბოლო პოლიგონზე გამოჩნდება.

■

კონცეპტუალური ავტომანქანების კონკურსში გამარჯვებულები



აშშ-ში 2006 წლის საუკეთესო კონცეპტუალური ავტომობილები დაასახელეს. ეს კონკურსი, რომელიც ამერიკის საავტომობილო პრესის სამხრეთაღმოსავლური ორგანიზაციის (SEAMO) თაოსნობით იმართება, წლეულს მეხუთედ ჩატარდა. ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაშიც აშშ-ში ცნობილი საავტომობილო ჟურნალისტები შედიოდნენ, 4 ნომინაციაში გამარჯვებულები გამოავლინა.

საუკეთესო კონცეპტ-ავტოდ, Chevrolet Camaro აღიარეს. ამ ნომინაციაში ყველაზე მწვავე კონკურენცია აღინიშნა: ფინალში 12 მანქანა გავიდა.

ნომინაციაში — „წლის მოდელი“ — ის კონცეპტუალური მოდელები მოხვდა, რომელთა სერიული წარმოებაც უკვე გადაწყვეტილია. მათ შორის გამარჯვებულად ერთდროულად 2 მოდელი — Aston Martin Rapide და Volvo C30 გამოაცხადეს.

პერსპექტიული პიკაპებისა და ყველგანმავლების კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა Dodge Rampage-მა. ჟიურის წევრთა აზრით, XX საუკუნის ამერიკული პიკაპი სწორედ ისე უნდა გამოიყურებოდეს, როგორც ეს მანქანა.

კონკურსის ორგანიზატორების მიერ დაწესებული მეოთხე — სპეციალური პრემია გათვალისწინებული იყო იმ მანქანებისთვის, რომლებიც ვერ თავსდება მიღებული კლასიფიკაციის ფარგლებში. 2006 წლის გამარჯვებულად ამ ნომინაციაში Ford Reflex დაასახელეს.

■

E კლასის 33 Mercedes პარიზიდან პეკინამდე „გაიბენს“

კომპანია „მერსედეს-ბენცი“ სიმბოლური რბოლისთვის — E-Class Experience — ემზადება, რომელიც 21 ოქტომბერს, პარიზში აიღებს სტარტს და 17 ნოემბერს, პეკინში დასრულდება. ორგანიზატორთა გეგმის თანახმად, 26-დღიანი გარბენის მარშრუტი 8 ქვეყანაზე (გერმანია, საფრანგეთი, პოლონეთი, რუსეთი, ყაზახეთი და ა.შ.) გადის და საერთო ჯამში 13600 კმ-ს შეადგენს. ესოდენ ხანგრძლივ მოგზაურობაში კომპანია Mercedes E-Class-ს E33 სერიულ მანქანას უშვებს; მათგან 30, 6-ცილინდრიანი ტურბოდიზელის ძრავათი და 4Matic-ის ტიპის სრული ამძრავის სისტემით, ხოლო დანარჩენი 3 — დიზელის ძრავათი და გამონაბოლქვის გამწმენდი, Bluetec-ის სისტემითაა აღჭურვილი.

მანქანების საჭესთან 330 ადამიანი შეენაცვლება ერთმანეთს, მათ შორის — „მერსედეს-ბენცის“ ჩვეულებრივი მყიდველები, სხვადასხვა გამოცემის ჟურნალისტები, ცნობილი ადამიანები და ტაქსის მძღოლები იმ ქვეყნებიდან, რომლებიც გარბენის მარშრუტში შედის. ფინიშს Mercedes E-Class-ის განახლებული ვერსიის ოფიციალურ პრემიერას დაამთხვევენ, რომელიც ჩინეთში დაგეგმილ ადგილობრივ ავტოშოუზე გაიმართება.

■

1 ცურვის სტილი
2 მძიმე მოწამვლა კონსერვით
3 პომიდვრის წვენი
4 ზღვის დიდი ტროპიკული ფრინველი
5 ჯარისკაცი თურქეთში
6 პაპა
7 ბანქოს ერთგვარი თამაში
8 აუქციონზე გასაყიდი ნივთი
9 უშმაგო, მოუხერ-ხებელი
10 კანონის გაუქმება
11 სამკა-ციანი ანსამბლი
12 ძვირფასი ქვა
13 სითხის საცავი დიდ რეზერვუარი
14 ნადირობის ქალღმერთი რომ. ძით.
15 მრწამსი
16 არბიტრი
17 ბადმინ-ტონის ბურთი
18 კლიტე
19 ფეხბურთის მეფე
20 ბრაზილი-ური ყავა
21 სახელმ-წიფო ევროპაში
22 თფილი ვნახბის გუმოაფნელად
23 გრძელი კარავი
24 ჭაობის დიდი ფრინველი
25 ვაზის ხეივანი
26 რისამე მარაგი
27 მზის ამოსვლა
28 იტალიელი ფერმწერი
29 დაბა საშრეთ საქართველოში
30 ჯუჯა ცხენი
31 წამლის ფორმა
32 შიიზმის მიმდევარი მუსლიმანი
33 ტყის ავსული
34 შუამანი გველი
35 მდინარე აზიაში
36 ფენა
37 მძორის მჭამელი ცხოველი
38 გემის უკანა ნაწილი
39 ძვ. რომაელთა სამოსი
40 ქალაქტონი გერმანიაში
41 ჩრდი-ლო - ამერიკელი ინდიელი
42 ტყის ყაყაჩო, იორ-დასალამი
43 ნაპოლეო-ნის მარშალი
44 რინიტი
45 სუსტი ქარი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. სულავესი; 2. ყვირილი; 3. ვიქტორია; 4. ფლორა; 5. როიალი; 6. სტეკი; 7. კატასროფა; 8. ჰარლემი; 9. ასორტი; 10. პალო; 11. თოვლი; 12. არტერია; 13. მოტივი; 14. ჰოკეი; 15. ნარტა; 16. ლაინერი; 17. ალბატროსი; 18. იუანი; 19. ზვინი; 20. ლინზა; 21. გრიზლი; 22. ნონა; 23. გიგანტიზმი; 24. წირი; 25. ალიბი; 26. ეიფელი; 27. კოვბოი; 28. ქვირითი; 29. ფა; 30. ჰობი; 31. ანა; 32. ფენომენი; 33. მონრეალი; 34. მიკი; 35. სვავი; 36. ვანგა; 37. ლონდონი; 38. სლაი; 39. სადავე; 40. ჰელიუმი; 41. პირველი; 42. იმპერია.

სურათებზე: სკარლეტ იოჰანსონი; რობი უილიამსი.

kviris astrologiuri prognozi (15 – 21 ivnisi)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

ამ კვირას, ყველაფრის გულთან ახლოს მიტანა არ ღირს. გირჩევთ, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში სიფრთხილე გამოიჩინოთ. დაფიქრდით — რისთვის იქმნით პრობლემას? ნუ დასდევთ მას უკან მხოლოდ იმისთვის, რომ ღალატში გამოიჭიროთ. ამას სჯობს, შაბათ-კვირა დაგეგმოთ და ეს დღეები, მასთან ერთად, ქალაქგარეთ გაატაროთ.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

ამ დღეებში, შესაძლებელია მეორე ნახევართან პრობლემები გაგიჩნდეთ. ერთმა დაუფიქრებლად ნათქვამმა სიტყვამ, შესაძლოა, თქვენი სიყვარული ცოცხლად დამარხოს“. საკუთარი პერსონით ისე ხართ გატაცებული, რომ ირგვლივ მყოფებს ვერც ამჩნევთ. თუ ენას კბილს არ დააჭერთ, კვირის ბოლოს სკანდალი გარდაუვალი იქნება.

ᲢᲧᲣᲐᲠᲘ 21.05-21.06

ყურადღება მიაქციეთ საყვარელი ადამიანის გრძნობებს, ხშირად-ხშირად შეახსენეთ მას, რომ გიყვართ და მის გარეშე თქვენს არსებობას აზრი არ ექნებოდა. თუ ასე არ მოიქცევით, ის უსაფუძვლო ეჭვიანობას დაიწყებს და თქვენი ურთიერთობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. შეეცადეთ, უქმე დღეები ერთად, რომანტიკულ ატმოსფეროში გაატაროთ.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

სანამ რამეს გადაწყვეტთ კარგად დაფიქრდით, ყველაფერი აწონ-დაწონეთ და სასიყვარულო ფრონტზეც ისე იმოქმედეთ. ამ კვირას შესაძლოა, ისეთ წვეულებაზე მიგიწვიონ, სადაც სიტუაცია არც თქვენ მოგეწონებათ და არც თქვენს რჩეულს.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდით. თუ საკუთარი ემოციების გაკონტროლებას შეძლებთ, მაშინ თქვენი მეორე ნახევარი, იმის შიშით, რომ სამსახურიდან ცუდ ხასიათზე დაბრუნდებით რომანტიკულ სიურპრიზს მოგიწყობთ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

იმოქმედეთ გრძნობებით, აკონტროლეთ სიტყვები, გაიღიმეთ და ეს ყველაფერი დადებით ემოციას მოგიტანთ. ამით კი, არა მარტო საყვარელი ადამიანის, არამედ გარშემო მყოფების ყურადღების მიპყრობას შეძლებთ. ამ კვირას, სასიყვარულო ფრონტზე წარმატება გელით.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

თუ ამ კვირას სკანდალური იქნებით და საყვარელ ადამიანთან მომხდარ უსიამოვნებაში ახლობლებს დაადანაშაულებთ, მაშინ ჩიხში მოექცევით და მანუგეშებელიც არავინ გეყოლებათ. თუ მომხდარ ამბავს გულწრფელად მოუყვებით მეგობრებს, ისინი მომხდარს სწორად შეაფასებენ და სიტუაციიდან გამოსავლის პოვნაში დაგეხმარებიან.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

რამდენიც არ უნდა იბუზღუნოთ, საბოლოოდ, მაინც ყველაფერი ისე იქნება, როგორც მას უნდა. ამ კვირას, მოულოდნელად გესტუმრებათ ადამიანი, რომელიც საქმიან წინადადებას შემოგთავაზებთ. შესაძლოა, ამის გამო არჩევანის წინაშეც მოგიწიოთ დადგომამ — ან სამსახური ან საყვარელი ადამიანი.

ᲛᲨᲕᲘᲚᲚᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

გინდოდათ, ეს კვირა ოჯახის წევრებთან ერთად გაგეტარებინათ? ასეთი შესაძლებლობა კვირის ბოლოს მოგეცემათ, მაშინ, როცა საყვარელი ადამიანის ოჯახის წევრებისთვის გაცნობა მოგიწევთ. თქვენი რჩეული ახლობლების აღფრთოვანებას დაიმსახურებს.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲠᲥᲐ 22.12-20.01

ეს კვირა საკმაოდ მნიშვნელოვანია თქვენს ცხოვრებაში. შეეცადეთ, საყვარელ ადამიანს საკუთარი გრძნობები არ დაუმალოთ და ის ამის გამო, სასიამოვნო საღამოთი დაგაჯილდოებთ.

ᲛᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01.-19.02

ამ კვირას, შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ საყვარელი ადამიანი გღალატობთ, მაგრამ ეს თქვენი ფანტაზიის ნაყოფი იქნება და სხვა არაფერი. შეეცადეთ, რაღაც სისულელეების გამო, მისი საყვედური არ დაიმსახუროთ. თუ გაჯიუტდებით და მის დადანაშაულებას განაგრძობთ, შეიძლება ის სამუდამოდ დაკარგოთ.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ 20.02-20.03

ამ კვირას, სასიყვარულო ფრონტზე, მოსალოდნელია კონფლიქტური სიტუაციები, რომლის მთავარი მიზეზიც თქვენი გრძელი ენა იქნება. დროა, ისწავლოთ თავის გაკონტროლება, ნუ იქცევით ჭირვეული ბავშვივით და ყველაფერი კარგად იქნება.

„...ᲕᲘᲖᲣᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲕᲬᲝᲜᲕᲐᲠ თუ ᲩᲔᲛᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ...“

ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲛᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲖᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲛᲐᲛᲝᲧᲝᲚᲘᲚᲘ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ

დასაწყისი იხ. გვ. 7

ყველაზე მეტად, ჩვენი ხელისუფლება უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ ცხინვალში სიტუაცია არ გამწვავდეს, რადგან რუსებზეც და ოსებზეც უფრო მეტად, ჩვენ ვართ დაინტერესებული, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად გადაწყდეს. ოსური მოსახლეობის ერთი ნაწილი რომ ასე არ ფიქრობს, ეს ცხადია.

საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად არ აძლევს ხელს სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვა, მით უმეტეს, რომ სამშვიდობო პროცესში მხარს გვიჭერენ აშშ და ევროპა. ვფიქრობ, გვაქვს შანსი, წლის ბოლომდე, კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოვაგვაროთ.

— თვითმარქვია პრეზიდენტები — ბაღაფში და კოკოითი საქართველოს მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას მოითხოვენ და რუსეთის მხარდაჭერითაც სარგებლობენ. ამ ყველაფრის ფონზე, ხომ არ გართულდება სამშვიდობო გეგმის შესრულება?

— ის, რომ ბაღაფში და კოკოითი დამოუკიდებლობის აღიარებას მოითხოვენ, უაზრობაა: თუ მათ დამოუკიდებლობა სურთ, სხვა ქვეყანასთან მიერთებას არ უნდა გეგმავდნენ. ვფიქრობ, მათი სურვილი სამშვიდობო გეგმის განხორციელებას ხელს ვერ შეუშლის. კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის საქართველოს „ჭერქვეშ“ ცხოვრება მიმზიდველი მაშინ იქნება, როდესაც ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური მდგომარეობა გამოსწორდება. რუსეთი მათთვის არ წარმოადგენს გზას ევროპისაკენ. თუ მათ დემოკრატია და განვითარება სურთ, მხარი უნდა დაგვიჭირონ სამშვიდობო გეგმის განხორციელებაში. ■

რამდენად დამოუკიდებელი ადამიანი ხართ?

1. სკოლის დამთავრების შემდეგ, როგორ აირჩიეთ მომავალი პროფესია?

ა) გაითვალისწინეთ როგორც თქვენი გატაცება, ასევე საკუთარი შესაძლებლობები და არჩევანი დამოუკიდებლად გააკეთეთ;

ბ) გაითვალისწინეთ მშობლებისა და ნათესავების აზრი და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ;

გ) მხოლოდ მეგობრების და ახლობლების აზრი გაითვალისწინეთ.

2. ვისი ან რისი იმედი გქონდათ, როცა უმაღლეს სასწავლებელში აბარებდით?

ა) მხოლოდ საკუთარი თავის რწმენისა და ცოდნის იმედი გქონდათ;

ბ) ბედის წყალობისა და კავშირების იმედი გქონდათ;

გ) მხოლოდ ოჯახური კავშირების იმედად იყავით.

3. უმაღლესში სწავლისას, როგორ ემზადებოდით სემინარებისა თუ სასემინარო გამოცდებისათვის?

ა) საკუთარი შრომისმოყვარეობის წყალობით, სწავლა არ გაგჭირვებიათ;

ბ) ზოგჯერ დახმარებისათვის პედაგოგებსა და თანაკურსელებს მიმართავდით;

გ) მხოლოდ სხვისი დახმარებისა და ჩაწყობის იმედად იყავით.

4. როგორ იშოვეთ პირველი სამსახური?

ა) უმაღლესის დამთავრების შემდეგ გაგანაწილეს;

ბ) გამოცდილ ნაცნობ-მეგობრებში გაიკითხეთ, მათ ხელთ არსებული ინფორმაცია გამოიყენეთ და სამსახური ისე იშოვეთ;

გ) სამსახური გავლენიანი ახლობლების წყალობით იშოვეთ.

5. როგორ იღებთ გადაწყვეტილებას, როცა სამსახურში რთულ სიტუაციაში ვარდებით?

ა) მხოლოდ საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნაზე დაყრდნობით;

ბ) ზოგჯერ კონსულტაციისთვის კოლეგებს მიმართავთ;

გ) გადაწყვეტილებას ყოველთვის კოლეგებთან კონსულტაციის შედეგად იღებთ.

6. როგორ მიიღეთ ოჯახის შექმნის გადაწყვეტილება?

ა) საბოლოო გადაწყვეტილება თავად, ყველასგან დამოუკიდებლად მიიღეთ;

ბ) გაითვალისწინეთ მშობლებისა და ახლობლების აზრიც;

გ) საცოლე (საქმრო) ჯერ ოჯახის წევრებს გააცანით და მხოლოდ მათთან მოთათბირების შემდეგ მიიღეთ გადაწყვეტილება.

7. თუკი ხანგრძლივი დროის მანძილზე თქვენი ცოლი (ქმარი) მივლინებაში იმყოფება, შეგიძლიათ თუ არა დამოუკიდებლად მიიღოთ სერიოზული გადაწყვეტილება, ვთქვათ, ბინის, აგარაკის, ავეჯის შეძენის თაობაზე ან სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება?

ა) დიახ;

ბ) რა თქმა უნდა, თქვენ შეგიძლიათ ამის გაკეთება, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუკი მსგავსი სერიოზული საკითხის გადაწყვეტას, თქვენი მეორე ნახევარის ჩამოსვლამდე გადადებთ;

გ) არა.

8. რამდენად დაჟინებით იცავდით საკუთარ აზრს მოზარდობისას?

ა) ყოველთვის დაჟინებით იცავდით და ამასთან დაკავშირებით, მშობლებთან კონფლიქტებიც კი გქონდათ;

ბ) დაჟინებით იცავდით, მაგრამ მშობლებისადმი პატივისცემასაც ინარჩუნებდით;

გ) არ კამათობდით, რადგან გადაწყვეტილებას თავად არასოდეს იღებდით.

9. დღესდღეობით, რამდენად დაჟინებით იცავთ საკუთარ აზრს სამსახურში, შინ და მეგობრებთან?

ა) გარემო პირობებს მნიშვნელობა არა აქვს — თქვენ ყოველთვის იცავთ საკუთარ აზრს;

ბ) ხშირ შემთხვევაში დაჟინებით იცავთ;

გ) ძალზე იშვიათად იცავთ დაჟინებით.

10. როგორ ვითარდებით პროფესიულად სამსახურებრივ, საზოგადოებრივ და ინტელექტუალურ ასპარეზზე?

ა) საკუთარი თავი მთლიანად კარიერას მიუძღვენით;

ბ) თქვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია მეუღლისა და ახლობლების აზრიც;

გ) თქვენ მთლიანად მეუღლის (ახლობლების) აზრზე ხართ დამოკიდებული.

11. როგორ მოიქცევით, თუკი თვალნათლივ ხედავთ, რომ თქვენი მეუღლე, ოჯახის რომელიმე წევრი ან ახლობელი თავს არ უვლის და ჰრიქით, საკუთარ ჯანმრთელობას ზიანსაც კი აყენებს?

ა) აიძულებთ მას საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვას;

ბ) ტაქტიანად მიუთითებთ თუ შექმნილ სიტუაციაში როგორ უნდა მოიქცეს;

გ) ეცდებით სიტუაციის გამოსწორებას, მაგრამ როგორც ყოველთვის, არაფერი გამოგივათ.

დაავსამეთ ქულები: დაავსამეთ ქულები: ყოველ „ა“ ვარიანტში დაიწერეთ 4 ქულა, „ბ“ ვარიანტში — 2, ხოლო „გ“ ვარიანტში — 0.

ტესტის შედეგები

30-44 ქულა: შეიძლება ითქვას, რომ ზედმიწევნით დამოუკიდებელი ადამიანი ბრძანდებით. თქვენ არა მარტო ვერ იტანთ იმას, როცა თქვენს საქმეებში ერევიან, არამედ სხვისი აზრის მოსმენაც კი არ გსურთ. საინტერესოა, ნუთუ არასოდეს შეგპარვიათ ეჭვი იმაში, რომ ამა თუ იმ ძალზე სერიოზული გადაწყვეტილების მიღებისას, ადამიანი ყოველთვის ზედმიწევნით ზუსტად ვერ გაითვალისწინებს მის დადებით თუ უარყოფით მხარეებს? გირჩევთ, დაფიქრდეთ, მეტისმეტად ჯიუტად ხომ არ იქცევით? და გაითვალისწინოთ ერთი რამ: თავდაჯერებულობა მხოლოდ ზომიერების ფარგლებშია კარგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ნაკლად იქცევა.

15-29 ქულა: ხასიათის სიმტკიცით გამოირჩევით, სტრესებსაც შესანიშნავად უმკლავდებით და საიმედო მეგობარიც ბრძანდებით. თქვენ მიერ გამოვლენილი საკუთარი თავისა და მომავლის რწმენა, სულაც არ გახლავთ გადაჭარბებული. დამოუკიდებელი ადამიანი ხართ, მაგრამ თქვენდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყოველთვის ყურადღებით ისმენთ და ითვალისწინებთ ირგვლივ მყოფების აზრსაც; ამ თვისების გამო კი, თქვენ ყველას პატივისცემას იმსახურებთ.

0-14 ქულა: მეტისმეტად გაუბედავი ადამიანი ბრძანდებით. სამწუხაროდ, თქვენი ამ თვისების გამოისობით, ირგვლივ მყოფები ხშირად იგნორირებას გიკეთებენ და არაფრად გაგდებენ. აუცილებლად უნდა სცადოთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება: ჯერ წვრილმანებით დაიწყეთ, შემდეგ კი, უფრო სერიოზულ რამეებზეც გადადით. რა თქმა უნდა, გონიერების ფარგლებში. ხოლო თუ თქვენი ხასიათიდან გამომდინარე ამას ვერ შეძლებთ, ის მაინც უნდა სცადოთ, რომ გაუბედაობა ასე აშკარად არ აღგებეჭდოთ სახეზე. გახდით უფრო დამოუკიდებელი და ეს საკუთარი თავის რწმენას შეგძენთ ანუ იმას, რაც ესოდენ გაკლიათ.

მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან გერმანიამდე

„ღმერთის ხელით" მოგებული მუნდიალი

დასაწყისი იხ. გვ. 56

საინტერესოა, რომ მოგვიანებით, მოწოდების სიმაღლეზე ვერც თავად ეპიზოდის გმირი (ან ანტიგმირი?..) მარადონა აღმოჩნდა. მექსიკის ჩემპიონატის უდავოდ საუკეთესო ფეხბურთელმა აღიარა, რომ ინგლისელებს მართლაც, ხელით გაუტანა გოლი, თუმცა, დიეგოს თქმით, ეს მისი კი არა... ღმერთის ხელი გახლდათ... ამ ეპიზოდიდან მცირე ხნის შემდეგ, არგენტინელმა ვარსკვლავმა ბრიტანელ მცველებს გამოცდილი სლალომისტივით აუარა გვერდი და მოედნის საკუთარი ნახევრიდან დაწყებული რეიდი ფანტასტიკური გოლით დაგვირგვინა. არგენტინამ ტრიუმფისკენ სვლა განაგრძო, მარადონას მიერ გატანილი ბურთი კი, მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში გამორჩეულად აღიარეს.

ნახევარფინალში მარადონამ ბელგიელებსაც ორი გოლი გაუტანა და გუნდი ფინალში გაიყვანა, სადაც სამხრეთამერიკელებს ზემოთ ხსენებული გუნდი-იღბალი — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები ელოდათ.

ფინალს „აცტეკაზე" 115 ათასამდე გულშემატკივარი დაესწრო, რომლებიც ჩინებული სანახაობის მომსწრენი გახდნენ. როგორც მოსალოდნელი გახლდათ, გერმანელებს მთელი ყურადღება მარადონას შეჩერებაზე ჰქონდათ გადატანილი, ამან კი ხელ-ფეხი გაუხსნა სხვა არგენტინელებს. მატჩის დასრულებამდე თხუთმეტიოდე წუთით ადრე, სამხრეთამერიკელები, ბრაუნისა და ვალდანის გოლების წყალობით, 2:0-ს იგებდნენ. ფინალის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა, თუმცა გერმანელების უტეხმა ხასიათმა კიდევ ერთხელ იჩინა თავი. პირველი საპასუხო გოლი მანამდე არაფრით გამორჩეულმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ შეაგდო. ამას ფიოლერის მიერ გატანილი ბურთი მოჰყვა. ჰაერში დამატებითი დროის „სუნი" დატრიალდა. მაგრამ ამ დროს, ისევ ლეგენდარული არგენტინელის ჯერი დადგა: მარადონას თავად არ გაუტანია, მაგრამ ბურუჩაგას მართლაც რომ „ოქროს პასი" მისცა. ეს უკანასკნელი გერმანელთა გოლკიპერ ტონი შუმახერთან პირისპირ დარჩა და გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. არგენტინის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი მეორედ გახდა, მარადონა კი, მექსიკის მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატი 31 მაისიდან 29 ივნისამდე მიმდინარეობდა. გავიდა 132 გოლი (საშუალოდ, 2,54 თითოეულ მატჩში). ტურნირის ბომბარდირი 6 გოლით გარი ლინეკერი გახდა.

მექსიკასა და ბულგარეთს შორის მერვედფინალური მატჩის შემდეგ, რომელშიც მასპინძელმა მანუელ ნეგრეტემ ფანტასტიკური გოლი გაიტანა, ამ უკანასკნელს „აცტეკას" სტადიონზე ძეგლი დაუდგეს.

ურუგვაისა და შოტლანდიის გუნდების შეხვედრაში სამხრეთამერიკელი ხოსე ბატისტა უკვე 56-ე წამზე გააძევეს, რაც სარეკორდო მაჩვენებელი გახლდათ. საინტერესოა, რომ ურუგვაიელებმა 10 კაცის შემადგენლობით, დარჩენილი 89 წუთი ვაჟკაცურად გაძლეს და უგოლო ფრეს „გამორჩენენ"...

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიამვილმა

იაპონური სენსაცია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ" ნიშნავს ციფრს, „დოკუ" — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

4	5	2	1	3	8	9	6	7
3	1	8	7	9	6	4	5	2
9	6	7	2	4	5	8	1	3
2	9	6	5	7	1	3	8	4
8	4	1	3	6	2	7	9	5
7	3	5	4	8	9	6	2	1
5	8	4	9	1	3	2	7	6
6	2	3	8	5	7	1	4	9
1	7	9	6	2	4	5	3	8

2	9	5	7	6	8	1	3	4
6	7	8	3	1	4	5	9	2
3	4	1	2	5	9	8	7	6
7	5	2	9	3	6	4	8	1
1	8	6	4	2	7	3	5	9
9	3	4	5	8	1	6	2	7
8	6	3	1	9	2	7	4	2
4	1	9	8	7	5	2	6	3
5	2	7	6	4	3	9	1	5

* მარტივი

3		4			7			2
		5	6	3	9			
		7				3	9	1
	6		3	9	5		7	
4	3						5	9
	5		1	4	8		3	
5	4	1				6		
			5	2	1	4		
8			7			9		5

** საშუალო

		8	4	6			1	
5		1				6	2	
		3	7	1			9	
7			2		3			8
8	9		6		1		4	3
6			8		4			1
	5			3	7	4		
	8	9				1		2
4			2	8	5		6	

ფოტოკუიროზები






Premier by Dead Sea Premier
ნიღაბი ღამის ფეხრის
L.T.D. I.L. PREMIER
Premier
by Dead Sea Prem
MASK MIRACLE
ALL SKIN TYPES
by Dead Sea
ღაჯილდოვებული
ხოგოის საუკეთესო
პროდუქტი
ტელ: (+995 32) 38 44 54
მობ: (+995 99) 54 66 66
შ.პ.ს. ი.ლ. პრემიერ
www.il-premier.ge

b143/22